

114
1950


ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

მნათობი

10

მეცხრე წიგნი



1950



მნათობი

შოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

წელიწადი ოცდამეშვიდე

10



ნოემბერი

19

სახელგამი
თბილისი

50



137065

10

შინაარსი

ილო მოსაშვილი — მისი ვარსკვლავი, პიესა	33
სანდრო ეშლი-მშრიძე — ახალი ლექსები	39
იაკინთე ლინაშვილი — ერთგულება, რომანი	63
სიმონ მთვარაძე — ჩაშლილი ქორწილი, მოთხრობა, დასასრული	80
ახალბაზრად მწარალთა შემოქმედება: ვერა ბუაჩიძე — შეილება (მოთხრობა); ლადო მრეველიშვილი — ცხენამზედნელი (ლექსი); გ. ხუბაშვილი — სტუდენტის დაბრუნება (ლექსი); ხამიდ ხალვაში — ყარა-უემი (ლექსი)	108—114
ბენო თათარაშვილი — ხეივანი გზის, ნარკვევი	115
ჯონ მილტონი — დაკარგული სამოთხე, ნაწყვეტები პირველი წიგნიდან, თარგმანი ანგლისურიდან ვახტანგ ქვიციანიძისა	122
—	
ბელა ბანძულაძე — ი. ბ. სტალინის შრომების შესახებ ენათმეცნიერების საკითხებზე, წერილი	127
მ. მამუკაშვილი — თანამედროვე სოციალ-დემოკრატების იდეოლოგია, წერილი	140
—	
ნინო შვანბერიძე — შალვა აფხაიძე — „აკაკი ხორავა“, ბიბლიოგრაფია	160
აბ. თოფჩიანი — ვ. ქვიციანიძე — „ქართული ენის სწავლება დაწესებულების სკოლაში“, ბიბლიოგრაფია	163
სიმონ არაბულიძე — ნ. ჩაჩავა — „სიციოტლეს ვუმღერ“, ბიბლიოგრაფია	165

პასუხისმგებელი რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია

ნიკოლოზ აბიაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ლევან ასათიანი, შალვა აფხაიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ილო მოსაშვილი, შალვა რადიანი, ლეო ძინაჩელი, სიმონ ჩიქოვანი, ოთარ ჩხეიძე, სერგი შილაია.

ხელმოწერილია დასაბუქდად 20/XI-50 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10 1/2 ფ. ში 06230. შეკვ. № 822. ტირაჟი 5.500.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული საქ. პოლიგრაფიკომპლექსის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელეფ. 3-23-42.

Комбинат Печати Грузполиграфиздата при Совете Министров Грузинской ССР, Тбилиси, улица Марджанишвили, № 5.

ილო მოსაგვილი

მისი პარსკვლავი

(პიესა 4 მოქმედებად და 10 სურათად)

მოქმედნი პირნი



- გიორგი გიგაური — მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, ზოტტენიკოსი, 36 წლისა.
სიმონ მენაბდე — საცდელი ფერმის ვაშვე, ზოტტენიკოსი, 30 წლისა.
ნატო — დედამისი, 60 წლისა.
ნინო უსტიაშვილი — მეურნეობის ვეტექიმი, სიმონის საცოლე, 24 წლისა.
ასე — ნინოს მამა, ამავე მეურნეობის მწყემსი, მოზუცი.
ვაია — ახალგაზრდა მწყემსი, 16—17 წლისა.
ნაიფორე უკლება — მეურნეობის ბუღალტერი, შუახნისა.
სოლომონ ზანდუყელი — პროფესორი ზოტტენიკოსი, გიორგის ყოფილი მასწავლებელი, 60 წ.
დარეჯანი — მისი ცოლი, 50 წ.
ეთერი — მათი ქალიშვილი, ახლადკურსდამთავრებული, ზოტტენიკოსი, 22 წ.
ტასიკო — მათი შინამოსამსახურე, ახალგაზრდა.
ანდრო ვაშაძე — მინისტრის მოადგილე, გიორგის ხნისა.
სამსონ ნებეგრძე — კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, გიორგის სტუდენტობის ამხანაგი,
ახლა — მისი უფროსი, 40 წ.
თინათინ — მისი ცოლი, 35 წლისა.
არაკლი მექვამიშვილი — ინსტიტუტის პარტიზუროს მდივანი, 32 წ.
ვარლამ ხელიძე — პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი, შუახნისა.
ცოლა — ანდრო ვაშაძის პირადი მდივანი, 20 წ.
პირველი ახალგაზრდა.
მეორე ახალგაზრდა.
მესამე ახალგაზრდა.
ინსტიტუტის კარისკაცი, მოზუცი.
ახალგაზრდა მწყემსი.
მწყემსები.
სამეცნიერო საბჭოს წევრები.
სტუმრები.

მოქმედება პირველი

პირველი სურათი

კვლევითი ინსტიტუტის სხდომების დარბაზი, შუაში მწყევან სუფრაგადაფარებული გრძელი მაგიდა, რომელსაც თავში ჩვეულებრივი საწერი მაგიდა აჭვს მიღებული. მაგიდაზე — ბორჯომის წყლის ბოთლები და კიბები, მის ირგვლივ — სკამები, დარბაზის სიღრმეშიც სკამებია ჩამწყობებული სტუმრებისათვის. დარბაზის უკანა კედელს ორი ფართო და მაღალი ფანჯარა აჭვს. მათ შუა გახსნილი კარი ახდის აივანზე გადის, საიდანაც მკაფიოდ მოსმანს თბილისის მტკვრის მარჯვენა მხარეს; მამადავითის მთა, კლდეზე პირდაპირ ასროლილი რკინიგზა და სულ ზევით, ცაში აწვდილი მრავალთაღიანი შენობა. დარბაზის კედლებზე ბელადისა და მის თანამებრძოლთა სურათები მოსმანს.

(ფარდის ახდისას, ფანჯრებთან, აივანზე, მოსაუბრე ხალხი ირევა. სცენის მარცხენა მხარეს სამი ახალგაზრდა კამათობს, ეტყობა სტუდენტები არიან. მათს პირდაპირ, მარჯვნივ ნინო და ეთერი საუბრობენ).

- ეთერი — ნამდვილად გითხრა, არ მეგონა, თუ გიორგი ასე განათლებული კაცი იყო, რამდენი რამ სცოდნია!
- ნინო — რად გიკვირს, ეთერი? კაცი ათი-თორმეტი წელიწადია ამ საკითხზე მუშაობს.
- ეთერი — რა ვიცი რადგან ასე უბრალოდ აცვია, რატომღაც მეგონა მეცნიერებასთან მწყურალად არის მეთქი!
- ნინო — რატომ? მამაშენი ზომ ცნობილი მეცნიერია და ჩემს სტუდენტობაში, სოფელში რომ ჩამოდიოდა, მუდამ უბრალოდ ეცემა...
- ეთერი — თბილისი, ინსტიტუტი, სამეცნიერო საბჭო, სოფელი ხომ არ არის? კაცი ბუნებაში გადატრიალების მოხდენას აპირებს და რომ შეხედავ, ერთი უსწავლელი ვინმე გეგონება!
- ნინო — მამ, შენის აზრით, საკმარისია კაცმა ახალთახალი შლიაბა დაიხუროს, ყელზე ფერადი გალსტუკი შეიბას, თანაც ხელში ძველი გაზეთებით გატენილი პორტფელი დაიჭიროს და, — უკვე მეცნიერია!
- ეთერი — ეგ უარესი! ასეთმა ფიტულმა საკიროა მხოლოდ ხმა ამოიღოს და მისი შლიაბა მამინეე ხარხარს იწყებს, — თავის საკუთარ პატრონს დასცინის... გიორგი ხომ ასეთი არ არის?.. ამგვარი ჩაცმულობა მას, პირიქით, — დაამშვენებდა, მეტ ლაზათს მისცემდა.
- ნინო — რადგან უბრალოდ ჩაცმულ კაცზე ასეთი უცნაური აზრისა ყოფილხარ, ალბათ ამიტომ უფრო მოგეწონა მისი მოხსენება!
- ეთერი — მაგეტომ კი არა, მე გიორგის გამბედაობა მომწონს, — ისე ლაპარაკობს, თითქოს ბუნების ამ გამოუცნობი საიდუმლოების გასაღები უკვე ხელთა ჰქონდეს... თუმცა, ისიც უნდა გითხრა, ცოტა ხეპრე არის, გახსოვს? წელან მამაჩემს როგორ უხეშად უპასუხა!
- ნინო — ეთერი, შენ კარგად იცი, ნათლიაჩემი როგორ მიყვარს! ის თუ არა, მე ახლა, იმოდენა მეურნეობის ვეტექიმი კი არა, სოფლის უბრალო გოგო ვიქნებოდი... ერთი სიტყვით, მამაშენი ჩემთვისაც ნამდვილი მამაა, მაგრამ აბა გაიხსენე, გიორგიმ ასე რად უპასუხა? ყმაწვილო, მეცნიერება კახური ლავაში კი არ არის, ხელდახელ მაიკრა და გამოაცხოვო...
- ეთერი — მერე და, რა არის აქ საწყენი?
- ნინო — როგორ თუ რა? კაცი ამ საქმეს გადაყვა, შენი თვალთა ხედავ, — ფარიდან ფარაში, წვიმასა და თოვლ-ყვამში, მწყემსებთან ერთად მუხლამდე ტალახს როგორა ზელავს; ათი ათას ცხვარს სათითაოდ სინჯავს, ზობავს და სწონავს, მერე დალილილ-დაქანცული ლაბორატორიაში ათენებს ღამეს... და ამოდენა შრომის შემდეგ, რასაც ეძებდა, თითქოს მიიღწეო... გახსოვს? როგორ აღტაცებულმა დაამთავრა მოხსენება, — ათი წლის შრომამ ტყუილად არ ჩაგვიარა, ახალი ჯიშის ცხვარი ნამდვილად გამოყვანილია, დღეს თუ ერთი გეყავს, მალე ათასები გეყვოლებო, ეგონა — დარბაზი ტაშით შეხედებოდა, მამაშენმა კი, ერთბაშად ცივი წყალი გადაასხა... აბა, დაფიქრიდი!
- ეთერი — მართალი ხარ, ნინო, მაგრამ, ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, მისი ყოფილი სტუდენტია, ასეთი პასუხი არ ეკადრებოდა...
- (საუბრის განაგრძობენ).
- 1 ახალგაზ. — მერე რა ვუყოთ, რომ პროფესორია! თუ მცოდნე კაცი ყალბ გზაზე დადგა, ის უფრო მაგრა და საფუძვლიანად შესტობავს!
- 3 ახალგაზ. — (მეორეს) დიას, ასეა!



2 ახალგაზ. — (ცხარობს) რას ლაპარაკობთ, რას?! განა ჩვენი ინსტიტუტი აქვს დამთავრებული? ხუთ წელიწადს შევიცარიაში სწავლავდით და დოქტორის ხარისხი გერმანიაში მიიღო... პირველად ლექციებს იქვე კითხულობდა...

3 ახალგაზ. — შენც ერთი, გააქირე საქმე მაგ უცხოეთით!.. რამდენი უცხოეთში განათლებამიღებული კაცი ყოფილა და ბოლოს ჩიტირეკია გამოსულა! მიჩურინმა თუ უცხოეთში არ ისწავლა, ბიჭო, ამერიკელები არ ეპატიებოდნენ, ჩვენთან წამოდის! (შუბლზე თითს მიიბჯენს) შენ თავი სთქვი, თავი, თორემ სოლომონ ზურგიელიძესაც თურმე ოქსფორდის უნივერსიტეტი ჰქონდა დამთავრებული!

2 ახალგაზ. — (ნაწყენი) წადი თუ ძმა ხარ, შენთან სერიოზული კამათი არ შეიძლება.

1 ახალგაზ. — მამ, შენის აზრით, აი ჩვენი თქმური ცხვარი, თუნდა ჩვენებური ხორბალი, თუნდა კიდევ ჩვენი ქართული, გრძელხორთქმიანი ფუტკარი, ეგრე, — თავისთავად, ადამიანის ჩაურევლად გაჩნდნენ ამ ქვეყანაზე? ჯდახიშვილს თავის შრომაში სამასამდე ქართული ვაზის ჯიში აქვს დასახელებული და შენ როგორა გგონია, ეს ჩვენებური რქაწითელი თუ საფერავი, ქვეყანა რომ გააჩინა, ღმერთმა თავისი ხელით დარგონოეს ვენახში და ჩვენს მამა-პაპას აღარაფერი გაუკეთებია?!

2 ახალგაზ. — მაგას ვინ ამბობს? მაგრამ განა ორ-სამ წელიწადს გამოჰყავდათ ეს ჯიშები? საუკუნეების მანძილზე, თაობიდან თაობამდე შრომობდნენ და იბრძოდნენ, გიგაურს კი ერთი ხელის მოსმით უნდა ახალი ჯიში გამოიყვანოს!

1 ახალგ. — ერთი ხელის მოსმით, რატომ? კაცი ათ წელიწადზე მეტია მუშაობს... და შენ ნუ გავიწყდება, რასაც წინათ საუკუნეები სჭირდებოდა, ახლა...

3 ახალგ. — (სიტყვა ჩამოართვა) ჩვენი საუკუნე ურმის საუკუნე კი არ არის, ატომური ენერჯის საუკუნეა.

1 ახალგ. — (მეორეს) კომუნისმის საუკუნეა, ამხანაგო კომკავშირელო!

3 ახალგ. — დიას! და შენს პროფესორს, ცოტა არ იყოს, ნაფტალინის სუნი უღის!..

1 ახალგ. — დიას, დიაააახს!

(შემოდის სამსონი, მას შეტისმეტად გაკრახმებული საყვლო აქვს, კისერს ძლივს აბრუნებს, საერთოდ ეტეობა — თავის გარეგნობაზე ჰარბად ზრუნავს. საწერ მაგიდას მიუჯდა, ზარი დარეკა, შემოდინ და გრძელი მაგიდის ორველი სხდებიან გიორგი გიგაური, სოლომონ ზანდუკელი, ანდრო ვაშაძე, ირაკლი მუქევაძე. მშვიდი და სამეცნიერო საბჭოს სხვა წევრები, სტუმრები, მათ შორის ნინო, ეთერი და სამი ახალგაზრდა, დარბაზის სიღრმეში დასხდნენ).

სამსონი — ამხანაგ გიგაურის მოხსენების გარშემო, კამათი გრძელდება, სიტყვა ეკუთვნის პროფესორ სოლომონ ზანდუკელს.

სოლომონი — (ლაპარაკობს ისე, თითქოს თვითონვე მოსწონს თავისი ლაპარაკი) პატივცემულო, სამეცნიერო საბჭოს წევრებო! მე მუდამ სიხარულით ვეგებები ჩემი მოწაფეების, ჩვენი ახალგაზრდა, ნიჭიერი მეცნიერების ყოველ გაბედულ ცდას, ბუნების ურთულესი მოვლენების დიდ საიდუმლოებას ფარდა ამხადონ და მათი განვითარება ადამიანის ნება-სურვილს დაუმორჩილონ...

გ ი ო რ გ ი — (ირონიულად) მაგრამ...

ს ო ლ ო მ ო ნ ი — დიახ, ყმაწვილო, მაგრამ... ჩვენ მეცნიერები ვფართ: დამი მუშე-
გვიძლია ახალგაზრდა კაცის ყოველი ნაოცნებარი მეცნიერულ კვლევად
მივიჩნით...

გ ი ო რ გ ი — რას დაიჩემეთ ეს ნაოცნებარი! არ იფიქროთ ჩემს მცირე შრომას
მათს დიად საქმეს ვადარებდე, მაგრამ კაცობრიობის ყველაზე დიდი მეც-
ნიერები ლენინიცა და სტალინიც ოდესღაც ოცნებობდნენ კომუნისმის
გამარჯვებაზე ჩვენს ქვეყანაში, მაშინ იგი განუხორციელებელ ზღაპრად
მიჩნდათ მხოლოდ ჭაობისა და რუტინის ქონდრისკაცებს... ფანჯრები
ვახსენით, ბატონო პროფესორო და დაინახეთ, ეს ოცნება დღეს სინამდვი-
ლედ იქცა!

ს ო ლ ო მ ო ნ ი — თქვენი პასუხი ამ საკითხს სრულებით არ შეეხება.

ს ა მ ს ო ნ ი — ამხანაგო გიორგი, გთხოვთ ხელს ნუ უშლით!

ს ო ლ ო მ ო ნ ი — პატივცემულო, სამეცნიერო საბჭოს წევრებო! ამხანაგი გი-
გაური შარშანაც, შარშანწინაც და კიდევ უფრო ადრე, გვარწმუნებდა, რომ
მის მიერ უკვე გამოყვანილია ცხერის ახალი ჯიში, რომელსაც მერიზო-
სისებური მატყლი აქვს და საერთო წონითაც, ნაპარსის წონითაც თუშურ
ცხვარს მნიშვნელოვნად აღემატება... და ბოლოს რა აღმოჩნდა? ეს ცხვა-
რი ვერ შეეგუა ჩვენი ქვეყნის პირობებს და მისი უმრავლესობა ამოწყდა,
რამაც ჩვენი საბჭოთა მეურნეობა დიდად დააზარალა. ჩვენს სხდომას პა-
ტივცემული მინისტრის მოადგილე ესწრება და მას ეს ამბავი კარგად
მოეხსენება.

გ ა შ ა ძ ე — (მუდამ მაღლა იცქირება) მართალსა ბრძანებთ...

გ ი ო რ გ ი — ჩვენს მუშაობაში ეს საფეხური არ გაგვევლო, დღეს ახალი ჯი-
შის ცხვარი არ გვეყოლებოდა. ეს ცხვარი ისევე ამტანია, როგორც თუშუ-
რი ცხვარი და მას აღემატება საერთო წონითაც, მატყლის ხარისხითაც...

ს ო ლ ო მ ო ნ ი — თქვენ ახალი ჯიშის ცხვარზე ისე ლაპარაკობთ, თითქოს
მთელი ფარები გყავდეთ... მე მინდა სამეცნიერო საბჭოს წევრებმა ნათ-
ლად იცოდნენ, სულ რამდენი გყავთ ასეთი ცხვარი?

გ ი ო რ გ ი — ჯერჯერობით ერთი.

(სტუმრებს შორის ვიღაცამ ხმამაღლა გაიცინა).

ს ო ლ ო მ ო ნ ი — და ეს ერთადერთი ცხვარი გვეყოლებათ წელსაც, მერმისსაც,
შემდეგშიაც, რადგან... მე აქ გადაჭრით ვამტკიცებ, არც ერთი ხელოვნუ-
რი შერჩევით გამოყვანილი ჯიში თავის ახლადშეძენილ ბიოლოგიურ თვისებებს
მემკვიდრეობით არ გადასცემს, უკეთ რომ ვთქვათ, — ვერ გადასცემს...
და როგორც თქვენ უწოდებთ, ის თქვენი თეთრი ვარსკვლავი, როგორც
მოულოდნელად გამოჩნდა, ასევე მოულოდნელად გაქრება.

გ ი ო რ გ ი — ჩვენთვის კი არა, მისი გამოჩენა თქვენთვის იყო მოულოდნელი,
ბატონო პროფესორო... ალბათ ძალიან გინდათ ის გაქრეს, მაგრამ ასე
არ მოხდება! დიახ, დიახ, არ მოხდება!..

ს ო ლ ო მ ო ნ ი — ეს ჩვენს სურვილებზე როდია დამოკიდებული. გენები,
ყმაწვილო, მხოლოდ გენები განსაზღვრავენ ყოველი ცოცხალი სხეულის
თვისებებს. თქვენ ამ სხეულზე რა ზეგავლენაც უნდა მოახდინოთ, თვი-
თონ გენები ამ ზეგავლენის გარეშე რჩებიან, რადგან ისინი ჩანასახიდანვე
დამოუკიდებლად არსებობენ ყოველ სხეულში.

გ ი ო რ გ ი — პატივცემულო პროფესორო, თქვენ ალბათ სპეციალური ხელსაწყოების საშუალებით გინახავთ და ვთხოვთ, სამეცნიერო საბჭოს მოახსენოთ, რას წარმოადგენენ ეს გენები, რა გარეგნობა აქვთ, რა ფერისანი არიან, რა გზით და რანაირად წარმართავენ ცხოველისა თუ მცენარის თვისებების განვითარებას?

ს ო ლ ო მ ო ნ ი — ნახვით ისინი ჯერ არავის უნახავს, მაშასადამე, არც მე მინახავს... მეცნიერება ჯერ მხოლოდ ეძებს მათი შესწავლის საშუალებებს, მაგრამ ეს არაფერს ნიშნავს. ერთ დროს არც ისა სჯეროდათ, რომ ცოცხალ სხეულში თვალთ უხილავი მიკრობები ცხოვრობდნენ... ჩვენ უნდა აღმოვაჩინოთ ისინი, — ეს არის თანამედროვე ბიოლოგიის ამოცანა!

გ ი ო რ გ ი — მაშ, თქვენის აზრით, ეს რაღაც სულივით უხილავი გენები ელობებიან წინ აღამიანს ბუნების გარდაქმნაში?

ს ო ლ ო მ ო ნ ი — დიახ, ასე ვახლავთ.

გ ი ო რ გ ი — მე კი მგონია, თქვენ სცდებით... უხილავი არსებანი კი არა, ვინც ჩვენ ამ დიდ საქმეში წინ გვედობება, უბრალო თვალთაც ადვილად შესამჩნევნი ბრძანდებით ბატონო პროფესორო!..

(დარბაზში ჩოჩოლი).

ს ა მ ს ო ნ ი — (წამოიჭრა, ზარს აწკრიალებს) ამხანაგო გიგაურო, რასა გავს ეს? შე ნებას არ გაძლევთ... თქვენ დემაგოგიით გინდათ ფონს გახვიდეთ!..

ს ო ლ ო მ ო ნ ი — (აღელვებული) მიუდგომელი, პრინციპული კრიტიკისათვის შეურაცხყოფას მაცენებენ... მე უარს ვამბობ სიტყვაზე... მე... ვტოვებ სხდომას!

(სწრაფი ნაბიჯით მიდის დარბაზიდან).

ს ა მ ს ო ნ ი — (ზარს აწკრიალებს) ამხანაგო პროფესორო, ბატონო სოლომონ!..

ვ ა შ ა ძ ე — (წამოიჭრა, უკან გაჰყვა) ბატონო სოლომონ!..

ხ მ ე ბ ი დ ა რ ბ ა ზ შ ი — „მეტის მეთია!“ „გიგაური არა სტყუის“... ეს როგორ გაბედა!“, „სირცხვილია, სირცხვილი!“

ს ა მ ს ო ნ ი — (ზარს აწკრიალებს) სიჩუმე, ამხანაგებო!

ვ ა შ ა ძ ე — (შემოდის) ველარ დავაბრუნე!.. რა თქმა უნდა წავიდიოდა, კაცს საჯაროდ შეურაცხყოფა მივაყენეთ!

ი რ ა კ ლ ი — წინადადება შემომამქვს, სხდომა ხვალისათვის გადავდოთ.

ვ ა შ ა ძ ე — რა თქმა უნდა, გადავდოთ! ეს სხდომა კი არა, შუა ბაზარი გამოვიდა!

ს ა მ ს ო ნ ი — ამხანაგებო! სხდომა გადადებულია, სტუმრებს ვთხოვთ დარბაზიდან!

(ხალხი ვადის, დარბაზში რჩებიან: ვ ა შ ა ძ ე, ს ა მ ს ო ნ ი, ი რ ა კ ლ ი, გ ი ო რ გ ი).

ვ ა შ ა ძ ე — (მცაცრად) ამხანაგო გიგაურო, თქვენი დღევანდელი საქციელი ყოვლად დაუშვებლად მიმაჩნია! თქვენ უკადრისი დემაგოგიით გინდათ დაამინოთ ჩვენი ერთი საუკეთესო უპარტო, მაგრამ ნამდვილად საბჭოთა მეცნიერი. თქვენ არ გინდათ მოითმინოთ კრიტიკა, რაზედაც პარტია მუდამ მიგვეითებეს!

გ ი ო რ გ ი — მე მწამს კრიტიკა, რომელსაც წინ მიჰყავს ჩვენი ცხოვრება, მაგრამ თქვენს დღევანდელს კრიტიკას, ცოტა არ იყოს, ობის სუნი უდიოდა!

ს ა მ ს ო ნ ი — მხოლოდ შენ გეჩვენება ასე.

გ ი ო რ გ ი — ნეტავი მეჩვენებოდეს, ეს ბევრად უკეთესი იქნებოდა საქმისათვის.

ი რ ა კ ლ ი — ამხანაგო ანდრო, გულახდილად გითხრათ, არც მე მომეწონა ამხანაგ გიორგის თავშეუკაცებელი გამოსვლა... მის რეპლიკას თითქმის პოლიტიკური ბრალდების ხასიათი ჰქონდა, რაც უმართებულოდ მიმაჩნია პროფესორ ზანდუკელის მიმართ და მერე ისიც საჯარო სხდომაზე... მაგრამ, ისიც უნდა ითქვას, რომ გიორგის საფუძველი აქვს, ექვი შეიტანოს ზოგიერთი ამხანაგის გულწრფელობაში! კაცი ასეთ მნიშვნელოვან საკითხზე მოხსენებას აკეთებს, ყველასათვის რომ ნათელი იყოს მისი ამდენი ხნის შრომის შედეგი, ამ სიშორეზე ჩამოიყვანა ის ცხვარიც, იმ ცხვარის წინა თაობაც და ყველას გეთხოვა საკუთარი თვალით გვეჩახა, შეგვემოწმებინა, — ნამდვილად მიღწეულია თუ არა, რასაც საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი მიზნად ისახავდა მუშაობის დროს... და წარმოიდგინეთ, არც ერთი კაცი არ გააკარებია! თითქოს ყველას ეწყინა, ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა. (სამსონს მოუბრუნდა) აი, თვითონ თქვენც, ამხანაგო სამსონ!.. ინსტიტუტის დირექტორი ბრძანდებით, ყველაზე მეტად თქვენ უნდა იყოთ ამ საქმით დაინტერესებული და, პირდაპირ უნდა გითხრათ, აქვე, ინსტიტუტის ბაღში ჩასვლა არ ინებეთ!..

გ ი ო რ გ ი — დიახ, ასეა... არ უნახავთ და არც უნდათ ნახონ... შესცქერიან იმ ზანდუკელს, როგორც ოქროთი მოჭრილ ბუდას კერპს ხაშიშით გაბრუებული ქურუმები და ასკილივით თავს უქნევენ! მათ დაეიწყებიათ, რომ მორგანიზმი ბიოლოგიაში ჩვენს ცხოვრებას წარსულისაკენ მიათრევს... ესე იგი, დავსხდეთ ამხანაგებო, და მათხოვრებევით ხელგაწვდილებმა ვუცადოთ, თვითონ ბუნება როდის მოგვართმევს საესე ზონჩას!..

ვ ა შ ა ძ ე — (ცუტყავს, გიორგის ლაპარაკი არ მოსწონს). კმარა, ამხანაგო გიგაურო, კმარა! თქვენ ძალიან ბრტყელ-ბრტყელს ლაპარაკობთ... რახან ასე ძალიან გინდათ, მალე ენახავთ თქვენს ცხვარსაც, საერთოდ თქვენს მეურნეობასაც!

(ქუდი დახურა, მიდის, სამსონი გაჰყვა).

გ ი ო რ გ ი — მუქარა? არაფერი მესმის!.. სამსონი რომ ელაჭუცება ზანდუკელს, ეს ადვილი გასაგებია, სადოქტორო შრომას ამზადებს და საესე თავის მაგიერ, ამ ლიპლიბა ქუდით უნდა სამეცნიერო ხარისხი მოიპოვოს, მაგრამ ვაშაძე ხომ დიდი კაცია, მინისტრის მოადგილე?! ვერაფერი გამოვიდა!

ი რ ა კ ლ ი — შრომას სწერს?

გ ი ო რ გ ი — საინტერესო თემაა... (ენამწარედ) ნამდვილ გადატრიალებას მოახდენს ჩვენს ზოოტექნიკაში!

ი რ ა კ ლ ი — მაინც, რა თემაა?

გ ი ო რ გ ი — „სამტრედოული ქათმის ბიბილო და ბუმბული“!

ი რ ა კ ლ ი — ამ გაჯავრებულ გულზე ხუმრობა დაიწყე?

გ ი ო რ გ ი — არ გჯერა?! ნამდვილს გუებნები!..

ი რ ა კ ლ ი — კი, მაგრამ ასეთი თემა საიდან მონახა? ვის, რაში სჭირდება?!

გ ი ო რ გ ი — პირველყოელისა, თვითონ მას!.. არც ტალახი, არც ლამეების ტეხვა... სამტრედოული ქათმის ბიბილოცა და ბუმბულიც თბილისში ფუთობით იშოვება... სამტრედოული არ იქნება და, დიღმური იყოს, ბიბილო ხომ ყვირილს არ დაიწყებს?! მერე კიდევ მთავარი ოპონენტი კეთილი



მეგობარი და, — ესაც შენი დოქტორობა! ამხანაგო ირაკლი, შენ ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანი ხარ, კარგად დააცქერდი, — დაწესებულებაში ოთახის სოკოები მომრავლდნენ!

(გარედან ხმაური. კარებში გამოჩნდნენ მოხუცი კარისკაცი და ახალგაზრდა მწყემსი გი. მს. მოკლე ჩოხა-ახალხი, მოხდენილი საცვეთები და კობად ამოსხმული ქალამნები აცეია. ხელში გრძელი, მწყემსური კავკაზური უჭირავს.)

გ ი ა — (გამწარებელი ეჩხუბება კარისკაცს) შენ ის ცხვარი უბრალო ცხვარი ხომ არ გგონია! მაგისი ბადალი ამ ქვეყანაზე ჯერ არაფერი გაჩენილა! ჰოდა, ჯოხს რო უქნევ, განა ძალღია? ერთიც ენახოთ, მოხვდეს, — მერე? არ იცი, რო ემაგ თავს შუაზე გაგიტეხავ?

(კომალს უღერებს).

კ ა რ ი ს კ ა ც ი — ერთი ამ ლაწირაკს უყურეთ! ამხანაგო ირაკლი, გაზონებში ცხვრები შეურყეია და ბალახი ერთიანად მოუძოვინებია!

გ ი ა — (დაცინებით) დახე, დახე, რა მომხდარა?! შენ თუ კაი კაცი ხარ, მაგაზე რა გაჩხუბებს? ბალახი ამ მზიან ქვეყანაზე იმითენ ამოდის, რომ საქონელმა მოძოვოს, მამ სხვა რა საქმე აქვს? კაცებო, ერთი ამას დამიხედეთ! ცხვარი კი არა, ცხვრების ხენწიფა და ერთი მუტა ბალახი არ ემეტება! ი რ ა კ ლ ი — ბიჭო, ბალი წაგისდენია და კიდევ შენვე ჩხუბობ?

გ ი ა — (შედიდურად) იცი რითენა ვჩხუბობ? (კარისკაცზე აჩვენებს) აი, ამითანა ხალხს ცხვრის ზორცი ძალიან უყვარს და თითონ ცხვარი კი არა! ეს დალოცვილები, — ცხვრის მწუადი გეინდაო, ცხვრის კაი ყველი გვინდაო, კაი აბრეშუმით მატყლი ხო გვინდა და გვინდაო... და ამ ცხვარს ასე გონია ფამიანი არისო, — ისე უყურებენ! (ირაკლის) აი, რითენა ვჩხუბობ.. (გიორგის სახელოზე ხელს ავლეებს) გიორგი ძიავე, წავიდეთ შენი ჭირიმე, თორემ მე ისე ვხედავ, ამათ ჩვენი სიკეთე არ უნდათ...

გ ი ო რ გ ი — (ირაკლის) გიამ არ იცის რაშია საქმე, მაგრამ მართალს ამბობს... (გეას) წავიდეთ!

(მიდიან).

ფ ა რ ლ ა

მ ე ო რ ე ს უ რ ა თ ი

მდიდრულად მოწყობილი სასტუმრო ოთახი სოლომონ ზანდუკელის ბინაზე, მისი ზურგის ფართო კარი სასაფლაოში გადის, რომლის ღია ფანჯრებიდან თბილისი ისევე მოსმანს, როგორც პირველ სურათში. სასტუმროში — ფერადბავეროვანი რბილი ავეჯი, კედლებზე ხალიჩები და სურათები, რომელთა შორის გამოირჩევა ორი დიდი პორტრეტი: ერთი — ყურთმაჯებიანი კახა-ახალხში გამოწყობილი თბილისის ძველი მოქალაქისა, მეორე — გულისპირიან კახაში მორთულ მანდილოსნისა, მაღალი ჩიბტი-კოპით თავზე. ოთახის ორივე კუთხეში ოქროსფერ ზარზირიანი ტრიუმფები დვას. საერთოდ ოთახის მოწყობილობას ძველებური იერი დაჰკრავს.

(ფარდის ახდინას, სასაფლაოში თეთრწინსაფრიანი მოახლე ქალი აწყობს სასაფლაო ზაგიდას, რომლის შუაგულში ყვეილების დიდი თაიგული მოსმანს. სასტუმროში — საშინაო ხალათში გამოწყობილი დარეჯანი საეარძელ-საქანელაში უგუნებოდ ქანაობს. იგი შეუახნის ქალია, მაგრამ ეტყობა თავის გარეგნობაზე ზრუნვას დიდ დროს ანდომებს: — თმა დახვეული აქვს, ეტყობა შედლებილი უნდა ჰქონდეს. დარეჯანის პირდაპირ — ტახტზე, ეთერ იწინს კითხულობს, ისიც უგუნებოდ ჩანს).

ე თ ე რ ი — რას ამბობ, დედა! ამდენი ნამუშევარი წყალში გადაყარო? წელიწადი დაჯვარგო?!

ღ ა რ ე ჯ ა ნ ი — ეთქვი და გავათავე! ვიდრე ვეებატონი გიგაური იმ მეურნობაში ბრძანდება, შენ იქ ფეხის დამდგმელი აღარა ხარ!..

ე თ ე რ ი — მერე? სადილობო შრომა? ძალად რატომ დავეისაჯო თავი?!

ღ ა რ ე ჯ ა ნ ი — მამაშენს რა ვუთხრა, რომ ყველაფერი მისი ბრალია... რამდენი ველაპარაკე, — ქალია, სამედიცინო ინსტიტუტში სჯობია მეთქი... არა, სადაც მე ვარ, ჩემი ქალიშვილიც იქ უნდა იყოსო, ახლა კი, იცოცხლე თვითონაც ნანობს.

ე თ ე რ ი — ზამთარში, იმ ტალახსა და ყინვაში შინ არ დამაყენეთ, მოსათაგებელი ბარემ მოათავეო და ეხლა, შუა ზაფხულში, როდესაც იქ ყოფნა მართლა სიცოცხლეა... არა დედა, ეს რამ გაფიქრებინა?

ღ ა რ ე ჯ ა ნ ი — მე რომ ნება მოგცე, შენ თვითონ არ უნდა წახვიდე.

ე თ ე რ ი — მამაჩემი და გიგაური შარშანაც, ამ ზამთარშიც ეღავებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ იქ ყოფნის დროს, გიგაურს ჩემთვის უარი არაფერზე უთქვამს; პირიქით, მუდამ განსაკუთრებული ყურადღებით მექეცოდა... თუ არა და, ისეთი არ მოხდა? მტრები ხომ არ არიან? როგორც მეცნიერები ეღავებიან ერთმანეთს!

ღ ა რ ე ჯ ა ნ ი — (გაკაკასებული წამოიჭრა) ეგ-ლა მაკლია, ტეტია გიგაური მეცნიერად გამოგეცხადებინა! ყოჩაღ ქალო, ის მამა შენს არ ინლობს, შენ კი... აი, თურმე კომკავშირში როგორ გასწავლიან მშობლების პატივისცემას... უსირცხვილო!..

(ზარის ხმა ზღვიზედ).

ე თ ე რ ი — კმარა დედა, მგონი მამაჩემია, იმასთან მაინც ნულარაფერს იტყვით... ცოდვია, კაცი ისეც გამწარებულა... (კართან მივიდა) ვინ არის?

ხ მ ა გ ა რ ე დ ა ნ — ნათლია ჩემო, კარი გამოიღეთ, მე ვარ... იასე ვარ!

ღ ა რ ე ჯ ა ნ ი — ვინა, იასეო? დიდი ხანია ჩვენს კარს არ მოსდგომია! (ეთერის) უთხარი, შინ არ არიან თქო!

ე თ ე რ ი — (ხმა დაბლა) სირცხვილია, დედაე, ეგ როგორ ვუთხრა?

(ცაბული ზარის ხმა).

ღ ა რ ე ჯ ა ნ ი — (ქირვეულად) ქირმა წაილოს... მაშინ... მე არა ვარ შინ!

(სწრაფად გადის გვერდის კარში).

ე თ ე რ ი — (კარი გააღო) მობრძანდით, ძია იასე, მობრძანდით... მამას როგორ გაუხარდება!

ი ა ს ე — (უზარმაზარი, გატენილი ხურჯინით მხარზე, კარებში ძლივს შემოეტია. ხურჯინის თითო თვალში თითო ბატკანი მოსჩანს. იასეს ჩვეულებრივად, მწყემსურად აცვია: საცვეთები, გრძელი ჩოხა-ახალოხი. თავზე დიდი, გრძელბეწვიანი ბოხოხი ჰხურავს) აქა მშვიდობა! ეგრე პურ-ღვინით სავსე ყოფილიყოს ნათლიაჩემის ოჯახში! (ეთერის) გოგო, აქი ისეც ნინოსთან ერთად დაებრუნდებითო, ჰა? ქალაქში მახე ხო არავინ დაგიგო?

ე თ ე რ ი — რასა ბრძანებთ, ძია იასე!

ღ ა რ ე ჯ ა ნ ი — (კარი ფრთხილად შემოაღო, სავსე ხურჯინს თვალი მოჰკრა და მოღრუბლული სახე ერთბაშად გაუბრწყინდა. იასეს ქარბი თავაზიანობით მიეგება, ხურჯინის ჩამოღებაში ხელი შეაშველა) მობრძანდით,



ჩემო იასე... ამდენ ხანს სადა ხარ, რომ ეგრე მოგვანატრე თავი! (მოახლე ქალს ვასძახა) ტასიკო, ტასიკო, სად დაიკარგე?
(მოახლე ქალი შემოვიდა. ეთერიკა და მას ძლივს შიქვით ხეუღენით.)

იასე — (დარეჯანს ხელი ჩამოართვა) სხვა? როგორა ხართ ნათლიჯალაბო? ნათლიაჩემი ხო კარგა არის?

დარეჯანი — რა გვიჭირს... დაგეჭი იასე! (სკამი დაუდგა) შენ თვითონ როგორა ხარ? მიკვირს გაგიბედნია ქალაქში ჩამოსვლა!

იასე — (სკამზე ჩამოჯდა) ნინომ ამბავი ჩამომიტანა, კვირას ნათლიაჩემის დღეობა არიო და გულმა აღარ დამაყენა. თანაც ჩვენი ნიციფორე ბუღალტერი მოდიოდა და იმას გამოვყე... აქამდე სიღარიბემ არ შემამძლებინა, ეხლა მაინც ჩვენებურად, გლეხურად ცოტა პატივსა ვცემ მეთქი... ის მეორე ბატყანი კიდევ ჩვენმა დირექტომა — გიგაურმა გამოგვზავნათ, — იმ დღეს ნათლიაშენს ერთი სიტყვა ვაწყენინე და მართლა მტრობაში არ ჩამომართვასო... ცოტა უჯიათი კაცია, მაგრამ ძაან ალალი გულის პატრონია...

დარეჯანი — (ერთბაშად აენთო) რაო, გიგაურმა?! იმ უსინდისომ ეს როგორ გაბედა? ჯერ საქვეყნოდ გალანძლა და ახლა საჩუქარს უგზავნის?! ალბათ ცუდად წაუვიდა საქმე, თორემ ის ჩვენთან არაფერს გამოგზავნიდა... არა გენაცვალე, ქარის შემოტანილი არაფერი გვინდა, წაიყვანე და უკანვე მიუტდე, ასე უთხარი, — საქელეხედ დაგჭირდება-თქო.

იასე — (შეწუხებული) ნათლიჯალაბო, მაგას ნუ იტყვი, შენი ჭირიმე! თქვენი სიკეთით ყელამდე საესე ვარ, მაგრამ ავი სიტყვის მოციქულად ვერ გამოგადგებით... თუ არა და, შე დალოცვილო, ურჯულოები ხომ არა ვართ, სისხლზე ვიართო! სიტყვით რო დავეოდავთ, გულით უნდა ვუწამლოთ ერთმანეთსა.

დარეჯანი — ავი პირში მთქმელი კაცი არისო, უყურე რა გაიმჯერა ყოფილა!

იასე — ნათლიჯალაბო, ჩემი რა გესწავლება, მთელი ზაგრანიცა ფეხითა გაქვს მოვლილი, მაგრამა ნათქვამია, — ენამ მოკამა ქვეყანა, განა ხმალმაო! ნუ კი გეწყინება და, დედაკაცმა თუ ვაჟკაცის გული შეაღონა, ადვილად ამოადგებს ბუდიდან, მართალ გზას ააცდენს... ამიტომ შენი ჭირიმე, ნათლიაჩემს ცეცხლს ნუღარ შეუტეთებ, ამოდენა ქვეყანაზე მაგისი ცალი სწავლული კაცი არ დადის, შენ დააცალე და თავის სიმართლეს თვითონვე იპოვნის.

დარეჯანი — იმასვე იპოვნის, რაც დღემდე იპოვნა... ის თავისი ნამოწაფარი მალე სახელსაც წაართმევს, საქმესაც წაართმევს, — აი, გერჯერობით რა იპოვნა!

იასე — ღმერთი, რჯული, იმ კაცისაგან ნათლიაჩემზე ცუდი არაფერი გამოგონია!

დარეჯანი — იმაზე ცუდი რაღა იქნება, რაც პირში უთხრა, საჯაროდ, საქვეყნოდ მიწასთან გაასწორა!..

იასე — კაცო, იმ მგლის შესაქმელმა ერთმა ცხვარმა ეს ორი პატიოსანი კაცი ეგრე როგორ უნდა გადაჰკიდოს ერთმანეთსა? ბიჭო, რა მოხდა, იმ სატილოს თუ გინდა ოქროს მატყლი ჰქონდეს, მაინც ცხვარია, აეროპლანი ხო არ არი?

(შემოდის ეთერიკი.)

ეთერიკი — ძია იასე, ნამგზავრი ხარ, მოგშვიდებოდა.

ი ა ს ე — შენ კი გაიხარე, გულთმისანი ჰყოფილხარ, შვილო, დილას აქეთ არაფერი მიჭამია. (წამოღდა).

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — (ეთერის) რატომ კაბას არ გამოიცვლი, ეგრე უნდა შეხვდეს სტუმრებს? (მოახლე ქალს) ტასიკო, ცოტა ჩქარა! (ეთერის) მიხედვით, თორემ ხომ ზედავ, როგორ დაიზღაზნება! (იასე მიჰყავს გვერდის კარებისკენ) ისე გაამწარა ნათლიაშენი იმ უსინდისომ, რაც ის ცხვარი გაჩნდა, ლამის გადავსახლდეთ აქედან!

(გაღიან, ეთერი აივანზე სუფრის გაწყობაში ტასიკოს ეშველება).

ტ ა ს ი კ ო — მინისტრის მეუღლეს სუფრის გაშლა როგორ ეკადრება?

ე თ ე რ ი — (გაოცებული მიაჩერდა) რომელი მინისტრის მეუღლეს, სიზმარში ხომ არ ხარ?

ტ ა ს ი კ ო — რას მიმაღავ? ნუ გეშინიან, საქმროს არ წაგართმევენ.

ე თ ე რ ი — შენ ამ სუფრის გაშლაში ღვინო ხომ არ გადაგიკრავს?

ტ ა ს ი კ ო — ვითომ არ იცი... რას იბრანქები? შენ თუ მინისტრის ცოლი იქნები, მე იმისი შოფერი მაინც არ შემირთავს? რა კარგი იქნება... ოთხნი ჩავსხდებით მანქანაში და პერი მცხეთისაკენ!

ე თ ე რ ი — შენ, მგონი, მართლა სიზმარში ხარ!

ტ ა ს ი კ ო — ნუ გეშინიან, შენს მინისტრს თუ რამე დაემართა, შოფერსაც ხომ თან არ მიაყოლებენ! როდესაც დაგპირდება, ერთი კი მითხარი და, — ვასიკო მაშინვე იქ გაჩნდება.

ე თ ე რ ი — რა საქმე გააკირე, ეს ვასიკო ვინდა ოხერია?

ტ ა ს ი კ ო — ვაშაძის შოფერი, აღარ გახსოვს იმ დღეს რომ კოჯრიდან წამოგიყვანა?

ე თ ე რ ი — მართლა სულელო!

ტ ა ს ი კ ო — შენ რამდენიც გინდა დამალე, — თვითონ ვაშაძეს უთქვამს ინსტიტუტის დირექტორისათვის, ვასიკოს თავისი ყურით გაუგონია...

ე თ ე რ ი — (ნაწყენი) ტასიკო, თუ ჩემი და ხარ, ეგ სისულელე მეორედ აღარ გამაგონო!

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — (შემოდის დარეჯანი. მას გრძელი ახალმოდური, ფერადებით ნაკერი კაბა აცვია. ეთერის) ქალო, რამდენჯერ უნდა გითხრა? ან ეგ კაბა რას ჰგავს, ან ეგ თმა როგორ გაქვს გაწეწილი? ხომ იცი, დღეს ჩვენთან ვაშაძე იქნება სტუმრად!

ე თ ე რ ი — (მიდის) დიდი ამბავი მომხდარა!

(შემოდის სოლომონი).

ს ო ლ ო მ ო ნ ი — დარეჯან, ვაშაძეს ხომ არ დაურეკია?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — (უკმაყოფილო) ისევე დარეჯანი.. სტუმრებთანაც წამოგდებდა და თავი უნდა მომეჭრას!

ს ო ლ ო მ ო ნ ი — მერე და, დარეჯანი რა თავის მოჭრაა, ქალო?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — (პირვეულად) არ მინდა შეთქი, არა და არა!

ს ო ლ ო მ ო ნ ი — კარგი ბატონო, ნესტან დარეჯანი... ნესტან დარეჯანი! ეს ოხერი, ამ სიგრძე ყოველ წუთს როგორ ვიმეორებ?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — შენ ყველაფერი გეზარება, რასაც მე გეუბნები. გიგაურზედაც არ დამოჯერე და ნახავ, მალე შენზე ნაკლები პროფესორი არ იქნება... დიახ, დიახ ყმაწვილო, იქნებ შენზე უკეთესიც იყოს!

ს ო ლ ო მ ო ნ ი — (შელონებული) იყოს ბატონო, მერე რა უყოთ, ამოდენა ქვეყანაზე ორი კაცი როგორ ვერ დავეტყვი?

დარეჯანი — ჰოდა, სწორედ მაგას მოგახსენებ... მე ისეთი ქმარი უნდა მყავდეს, მთელს თბილისში მეორე არ იყოს! ვარიის კვერცხები და დღეს ული ოქროცვარიძის ქალი აკადემიკოსის ცოლი გახდა, საკუთარი „პაპელით“ დაბრძანდება, — ახლა კიდევ ამბობენ ლაურეატობასაც აძლევენო, მე კი... იცოდე, მეორე დღესვე დაგშორდები...

სოლომონი — კმარა, შენ გენაცვალე, დარეჯანი!..

დარეჯანი — (არ აცდის ხმის ამოლებას) გააქივრე საჭმე იმ შენი გენებით!.. ჯერ ასე ეუბნებოდი გიგაურს, სულ არაფერი გამოგივიაო, ახლა ეუბნები — ეგ ერთადერთი ცხვარი შეგჩნებაო. ერთი ვნახთ მეორეც გაჩნდა, მესამეც, მეათეც... მერე? რაღა ფასი გექნება ქვეყნის თვალში, მთავრობის თვალში?

სოლომონი — (მუდარით) კმარა ქალო, ამ ჩემი დაბადების დღეს ჩემი სიკვდილის დღედ ნუ გადამიქცევ!

დარეჯანი — (ეხლა გაახსენდა) მართლა, ყმაწვილო! გიგაურმა დაბადების დღე მოგილოცა, ძღვენი გამოგიგზავნა!

სოლომონი — (პგონია რომ ეხუმრება) აღამიანო, სიცოცხლე ნუ გამიმწარე!

დარეჯანი — შენ ხომ ჩემი არაფერი გჯერა? წამობრძანდი...

სოლომონი — სად წამოვიდე?

დარეჯანი — (მიდის დაბუჯითებით) წამობრძანდი, წამობრძანდი და ყველაფერს იქ შეიტყობ... (სოლომონს ვერაფერი გაუგია, უგუხებოდ მისდევს, გადიან).

(ქუჩაში მანქანის სირენის ძახილი).

ტასიკო — (ფანჯარას მივარდა) ვასიკო!.. (მაგიდაზე თაიგულს დიდი ვარდი ამოაცალა და ფანჯრიდან ესროლა) ვასიკო, სულიკო! (ფანჯარას მოსწყდა, მეორე ოთახში გარბის) ეთერი, ეთერი... ვასიკო მოვიდა!

(შემოდან სოლომონი და დარეჯანი).

დარეჯანი — ნურც ახლა დაიჯერებ!

სოლომონი — (მუდარით) კმარა, დარეჯან, მოდიან... სტუმრებთან მაინც გაჩერდი!

დარეჯანი — (აღშფოთებული) ისევ დარეჯანი წელან რა გითხარი?!

(ზარის ხმა).

სოლომონი — ნესტან-დარეჯან, ბატონო... შენ რომ კაცმა გაგიძლოს, მართლა ტარიელი უნდა იყოს!..

(შემოდან: თინათინ, ვაშაძე და სამსონი, ჯერ დარეჯანს მიესალმებიან, შემდეგ სოლომონს).

თინათინ — გულით გლოცავთ, ბატონო სოლომონ!

ვაშაძე — მრავალი ბედნიერი დღეს!

სამსონი — მრავალი, მრავალი...

სოლომონი — უღრმესი მადლობა! მობრძანდით, დაბრძანდით...

(ყველანი სხდებიან, თინათინი და დარეჯანი ერთად).

დარეჯანი — (ვიდრე იტყოდეს, ვერ მოუსვენია) სოლომონ, რატომ ჩვენ სტუმრებს არ ეტყვი, ვაებატონმა გიგაურმა სადღეობოდ რომ ძღვენი გამოგიგზავნა? (სტუმრებს) მერე რა ძღვენი! ერთი კვერი ყველი, ერთი ინლაური და ერთიც ბატჯანი!..

- ვაშაძე — (ქარბი ღირსებით მალლა იცქირება) ხუმრობთ თუ მართალს ამ ბოთზე?
- დარეჯანი — ნამდვილად, ბატონო ანდრო! ეს კი იყო, მისი გამოგზავნილი მწყემსი ჩამოვიდა...
- სამსონი — პირდაპირ დაუჯერებელი ამბავია!
- თინათინ — ჯერ შეურაცხყოფა, მერე ძღვენი... ხეპრე, ნამდვილი ხეპრე!
- სოლომონი — სწორე მოგახსენოთ, ამას ვერ ვიფიქრებდი...
- ვაშაძე — (მრავალმნიშვნელოვნად. ძალიან ნელა ლაპარაკობს, თითქოს ყოველ სიტყვას ეძებს). იცოდეთ, მაგ ძღვენს საეკვო სუნი უდის!
- სამსონი — ბრძოლით რომ ვერაფერი გაიტანა, ამ გზით გადასწყვიტა საქმის მოჭახრაკება...
- ვაშაძე — ესე იგი ქრთამით!
- თინათინ — (ერთთავად ვაშაძეს შესცქერის, ეტყობა მისი გულის მოგებას ცდილობს) დიახ, ქრთამით!
- ვაშაძე — საბჭოთა მუშაკისათვის, მით უმეტეს პარტიის წევრისათვის, ყოველად დაუშვებელი, უღირსი საქციელი! ბატონო სოლომონ, ყოველგვარ უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად, მე გთხოვთ, უკანვე გაუგზავნოთ.
- დარეჯანი — კიდევ კარგი, თქვენც ამ აზრისა ბრძანდებით, თორემ სოლომონს კინალამ გული აუჩუყდა!
- სამსონი — რა თქმა უნდა, უკანვე უნდა გაუგზავნოთ, ეს აშკარა ქრთამია!
- ვაშაძე — ასე ანიავებენ სახელმწიფო ქონებას!..
- თინათინ — დიახ, დიახ!
- სამსონი — მორალს რომ თავი დავანებოთ, ნამდვილი დანაშაულია!
- ვაშაძე — (სამსონს) და შენ, როგორც უშუალო უფროსმა, სათანადო ზომები უნდა მიიღო... საერთოდ, ეს რომ ჩვენზე ადრე ვინმემ შეიტყოს, რას გვეტყვიან?
- სოლომონი — როგორ გეკადრებათ, ყმაწვილებო, ჩემი ოჯახის ამბავი რა საქვეყნოდ გამოსატანია? თუ არა და, ადამიანები ვართ, ეტყობა კაცი მიხვდა თავის შეცდომას და ამით უნდა გამოასწოროს!
- დარეჯანი — (უცმაყოფილოდ) ხომ ხედავთ, ბატონებო! იმან ჩვენ სიცოცხლე გაგვიშწარა და ეს კი ლამის ატირდეს...
- ვაშაძე — არა, ბატონო სოლომონ, მე თქვენ ვერ დავეთანხმებით... ეს მხოლოდ თქვენი პირადი საკითხი როდი არის! მე ვალდებული ვარ ამ საკითხს უფრო ღრმად შევხედო, — სახელმწიფო ინტერესების თვალსაზრისით.
- თინათინ — რა თქმა უნდა, რასაკვირველია!

(ზარის ხმა ზედიზედ, დარეჯანმა კარი გაღო. დერეფნიდან ნიკიფორემ შემოყა თავი, მას ხელში დიდი თაიგული უპირავს, ეტობა დარეჯანის ნიკიფორეს პირველად მხედავს, აღშაყვრად უცქერის).

ნიკიფორე — დიდი ბოდიში, უთვალავი ბოდიში, კიდევ და კიდევ ბოდიში, ბატონო... მაგრამ საქმემ მაიძულა!

სოლომონი — (მიეგება) მობრძანდი, მობრძანდი, ნიკიფორე... სასიამოვნო სტუმარი ხარ!

(ნიკიფორე შემოდის. მას მოძველებული, ოფიცრული ჩექმა-შარვალი და ფრენჩა აცვია, მხარილივე ქალაღებთ გატენილი სავლე ჩანთა ჰკიდია, გახუნებული სამხედრო ქული ჰხურავს და ვევა ცხვირზე პატარა პენსე აქვს ულახათოდ შემოდებული).



ნიკიფორე — (სოლომონს თავივლი გაუწოდა) თქვენი ანგელოზის დღე ყოფილა, ვენაცვალე იმ ანგელოზს... მრავალ ქამიერ თქვენს სიკაცობაზე, სოლომონ სტეპანიჩ!

სოლომონი — (თავივლი ჩამოართვა) გმადლობ, ნიკიფორე, რაზე სწუხდები ბოდი? (დარეჯანი გააცნო) ჩემი მეუღლე გახლავთ.

ნიკიფორე — (ხელზე ჰკოცნის) დიდი ბოდიში, ჩემო ბატონო... (ყველას მიესალმა) კიდევ და კიდევ ბოდიში! (სამსონს) თქვენთან გახლდით, სამსონ ივანიჩ... აქ როგორ მოგებდავდი, მაგრამ ბულალტერის საქმე ზომ მოგხსენებათ, — მწყემსებს რომ ჯამაგირი დაუეგვიანო, გიგაური ნაქრუხალ დედალივით გამპუტავს... (ჩანთიდან დიდი ქალაღი ამოიღო, სამსონს გაუწოდა) აი, აქ უნდა მოაწეროთ...

(სამსონი ავტოკალმისტრით ხელს აწერს).

სოლომონი — დაბრძანდი, რა გეჩქარებათ, ნიკიფორე!

დარეჯანი — (სოლომონს უკმაყოფილოდ ხელი გაჰკრა) რას ეპატიეები!

ვაშაძე — ძალიან შეუშინებხართ გიგაურს!

ნიკიფორე — შიში რავე გეკადრებათ, ბატონო! შესნაცატი გოდაში გენერალ ლიხოვის ჯარს პირველი მე შეეუძეხი ტრაპიზონში...

ვაშაძე — ძველი ოფიცერი ყოფილხართ!

ნიკიფორე — არა ბატონო, კაპელმეისტერი! მთელი რუსის იჯარი ჩემს დუხოვოი მუზიკას მოსჩერებოდა, ახლა კი, თვითონ ვცეკვავ გიგაურის დუდუჯზე!..

დარეჯანი — (გიგაური რომ უკადრისად ახსენა, მოეწონა. მაშინვე სკამი შესთავაზა) დაბრძანდით, ბატონო ნიკიფორე!

ნიკიფორე — (სამსონს ქალაღი ჩამოართვა, ჩანთაში ჩასდო) გმადლობთ, მეჩქარება, ქალბატონო!

დარეჯანი — რას ბრძანებთ?! სოლომონსაც, მეც, ძალიან გვეწყინება, ჩვენთან ერთად რომ არ ისადილოთ.

ვაშაძე — (თითქმის ბრძანებით) როდესაც გთხოვენ...

თინათინ — თვითონ მინისტრის მოადგილე გაძღვეთ ნებას...

ნიკიფორე — (აქამდის არ იცოდა ვაშაძის ვინაობა, წელში გასწორდა) არ ვიცოდი, ბატონო, უთვალავი ბოდიში... კიდევ და კიდევ ბოდიში! (უპატავებს) ციხიანის საბჭოთა მეურნეობის მთავარი ბულალტერი ნიკიფორე უკლება, ბატონო!

ვაშაძე — (ნიკიფორეს თავაზიანობა მოეწონა) დაჯექი, როგორ არის თქვენი მეურნეობის საქმეები?

ნიკიფორე — (სწრაფად) ასი პროცენტით, ბატონო!

ვაშაძე — რა არის ასი პროცენტით?

ნიკიფორე — ყველაფერი, ბატონო!

ვაშაძე — მაშ, რატომ ემდური შენს ღირექტორს?

ნიკიფორე — (შეყოყმანდა) ვინ თქვა რომ ვემდური, ბატონო? ყველაფრად ოქრო კაცია, მარაა... (სამსონს გადახედა) ჩემი ცოლ-შვილი მეცოდება, ბატონო!

ვაშაძე — შენი ცოლ-შვილი რა შუაშია?!

ნიკიფორე — მეც იმას მოგახსენებთ, რომ არაფერ შუაშია და ხუთი სული ანგელოზივით ადამიანი იმ ერთ ცხეარს რავე უნდა ვანაცვალო?..

ვ ა შ ა ძ ე — არაფერი შესმის!

ნ ი კ ი ფ ო რ ე — როდესაც საწყალ ნიკიფორეს 'ციხეში ჩააჯიშენ, მაშინ ყველაფერს შეიტყობთ, მარა გვიანლა იქნება! (სამსონს) ამიტომ გეხვეწებით, სამსონ ივანიჩ, მე იმ კაცთან მუშაობა არ შემიძლია და თქვენ თუ არ გეწყინებათ, პატივცემულ მინისტრის მოადგილეს უნდა ვთხოვო, დამეხმაროს ამ საქმეში...

ვ ა შ ა ძ ე — ამხანაგო სამსონ, თქვენ მაინც გამაგებინეთ!

ნ ი კ ი ფ ო რ ე — მე თვითონ, ბატონო! რა ეშმაკმა დამიბა ეს ოხერი ენა? ალბათ იმიტომ, რომ დიდ ხალხთან ლაპარაკს არაა დაჩვეული... იმას მოგახსენებდით. — ჯერ იყო და მერიჩოსსა და თუშურ ცხვარს... (თქმა უკირს) იმასქნა... ქალებთან ბოდში უნდა მოვიხადო, ერთმანეთი დაამაკებინა...

ვ ა შ ა ძ ე — ეგ ამბავი ვიცით, ვიცით, ნიკიფორე...

ნ ი კ ი ფ ო რ ე — ჩემსავით არ იცით, ბატონო! კაცმა თუშური ცხვარი, მერიჩოსი, რამბულიე, პრეკოსი და კიდეც რაცხა ეშმაკი, აჯახსანდალივით არია ერთმანეთში... ყველაფერი რომ ეირია, ქალებთან ისევე ბოდში, ჩვენებურ ცხვარს ერთბაშად დუმა კუდად გადაექცა, აბა?! ახლა, შენ ხარ ჩემი ბატონი, გიგაურს ეს კული არ მოეწონა, იარა, ეძება და ერთ მშვენიერ დღეს მთელ ფარაში გოკებივით ტიტველ-ტიტველი ბატკნები დეიბადნენ... თებერვლის გაგანია ქარბუქში შიშველი კაცი რომ ქუჩაში გააგდო, მოკვდება, აბა რა ჯანდაბა დაემართება? რა თქმა უნდა, ის ბატკნებიც სულ დეიხოცნენ... ბოლოს, რაეარც იყო, ის სამგლე თეთრი ვარსკვლავი დეიბადა და ნეტავი თქვენი სიცოცხლით სულ არ დაბადებულყო! (ველანი ნიკიფორეს მისჩერებამ).

ვ ა შ ა ძ ე — რატომ, ნიკიფორე, ამისთანა რა დავიშავა?

ნ ი კ ი ფ ო რ ე — მას შემდეგ ორი წელიწადია, ბატონო, და ტკბილად აღარ მძინებია!.. ჯერ ეილო, შენ ხარ ჩემი ბატონი და, ცალკე ოთახი ოუშენა, — არც ბიუჯეტი იკითხა, არც კრედიტი, არც ნებართვა... მიქელ გაბრიელივით ერთბაშად გოსკანტროლი რომ დამადგეს, რა ვუთხრა მეოჰი? შენ ნუ გეშინია, პასუხს მე ვაგებო... კიდეც კაი, რევიზორებს ტალახში სიარული არ უყვართ და არაფერ მოგვაკითხა, თვარა ვინ იცის, თქვენი ნიკიფორე ეხლა სად იქნებოდა...

ვ ა შ ა ძ ე — კი მაგრამ, ცალკე ოთახი რა საჭირო იყო?

ნ ი კ ი ფ ო რ ე — რა ვიცი, ბატონო, ამ ცხვარმა ჩვენს ცხოვრებაში ჩამდელი გადატრიალება უნდა მოახდინოსო!.. ახლა თქვენ მიზრძანეთ, ცხვარმა რაფერ უნდა გადაატრიალოს ეს ცხოვრება? მერე, შენ ხარ ჩემი ბატონი, არც ხელფასის ფონდი იკითხა, არც შტატნი ედინიცა და იმ ცხვარს ცალკე მომვლელი ქალი მიუჩინა...

ვ ა შ ა ძ ე — ერთ ცხვარს — ერთი მომვლელი?!

ნ ი კ ი ფ ო რ ე — წარმეიდგინეთ, ის ერთი ქალიც არ ჰყოფნის! ეს დაბანე-დავარცხნაო, ეს შაქარ-წყალიო, ეს გოგლი-მოგლიო და ვინ იცის, კიდეც რამდენი!

ს ა მ ს ო ნ ი — ნამდვილი სიგიყე!

ნ ი კ ი ფ ო რ ე — მეც მაგას მოგახსენებთ... (სოლომონს) სოლომონ სტეპანიჩ, მაგალითად, ახლა მე ბუღალტერი ვარ და ვთქვათ, სულ ნამცხვარი

და გოგლი-მოგლი მაქამეს, დევიჯერო — თქვენსავით პროფესორი გავ-
ლები?!

ს. რ. მ. მ. მ.
ბ. ი. მ. მ. მ.

(საერთო სიცილი).

სოლომონი — აჰამოს, შენ რა გენადლელებ!

ნიკიფორე — აჰამოს ბატონო, მაგრამ ის დასაწვავი ბიუჯეტი არ მაძლევს
ნებას... მარტო ამ წელიწადში ოთხასამდე კვერცხი და ოცდამდე კილო
შაქარი აქვს შექმნილი... აბა?! ახლა თქვენ მიბრძანეთ, რომელი ჰყოთა-
მყოფელი გოსკანტროლი დაიჯერებს, რომ ცხვარს შაქარსა და მურა-
ბას ვაქმევდით!.. აი, ამაშია, ბატონო საქმე...

ვაშაძე — (სამსონს, უკმაყოფილოდ) რასა გავს ეს? სხვა არა იყოს რა, ვინ-
მემ რომ შეამოწმოს, ჩვენ რას გვეტყვიან, ჩვენ?..

ნიკიფორე — ეს კიდეც არაფერია! მაშინვე მიშვარდი ისე წევიდა ამ ქვეყ-
ნიდან, მისი ერთი სურათი არ დაგვრჩენია... რა გახდა ეს ერთი ცხვარი,
რომელი მღზრან დადიანის შვილია, რომ დეიბადა თუ არა, მაშინვე სუ-
რათი გადოულეს! მას შემდეგ, ბატონო, სამი თვის შესრულდა — კიდეც
სურათი, ერთი წლისთავზე — კიდეც სურათი... პარსავენ — სურათს უღე-
ბენ, სწონავენ — სურათს უღებენ, რაცხა ალბომი უნდა გავაკეთოთო...
ამას წინადაც ცოტა უგუნებოდ შეიქნა, ალბათ გული ოუსუყდა, ჰამაზე
უარი გახატა, — მაშინვე ფოტოგრაფი მეიყვანეს და თითქოს ერთი
ვინმე გამოჩენილი პოეტი იყოს, სურათი გადოულეს!

სოლომონი — რატომ? შრომის დასაწერად ეს შესაძლებელია დასჭირდეს.

ნიკიფორე — რას ბრძანებთ, სოლომონ სტეპანიჩ, კაი შრომა ყოფილა თუ
მე გადამიყოლია!.. ამ ორ წელიწადში მარტო ამ საქმეზე სამი ათასი მა-
ნეთი მაქვს ნაღდად გაცემული... აბა?!

ვაშაძე — (აღშფოთებული) ეს ყოვლად დაუშვებელია!.. როგორც სჩანს,
მას ფინანსური დისციპლინა არაფრად მიაჩნია... (სამსონს) ვთქვათ,
ხვალ სახკონტროლი მართლაც მივიდა, რას გვეტყვიან ჩვენ, ხელმძღვანე-
ლებს? გიგაურის გულისათვის მე რატომ უნდა მივიღო საყვედური ამხა-
ნაგო სამსონ, ხვალეც, გადაუდებლად ხვალეც უნდა გაგზავნოთ რევიზია!..

დარეჯანი — ერთი მის გამწარებას შევესწრებოდე!.. (წამოდგა) მობრძან-
დით, ბატონებო, ბოდიში, გიგაურმა ყველაფერი დამავიწყა...

ნიკიფორე — (ვაშაძეს შეწუხებული) უთვალავი ბოდიში, ბატონო... კიდეც
და კიდეც ბოდიში, მარა ჩემი ცოლ-შვილი რა შუაშია? ვიცი, მაგ რევიზიას
ჩემს მეტი არავინ გადაყვება და თუ შეიძლება, ნუ იზამთ მაგას... (მუღა-
რით) რევიზია რა საჭიროა, ბატონო, მე თვითონ დაგიწერთ ყველაფერს,
თავიდან ბოლომდე დაგიწერთ...

ვაშაძე — (სასადილოსკენ მიდიან) ნუ გეშინიათ, ნიკიფორე, ყველაფერი
რიგზე იქნება.

ნიკიფორე — (სარკესთან შესდგა, გაჩეჩილი თმა გადაივარცხნა, თავის
სახეს მიაჩერდა) ვაი შენს პატრონს, გამოჩერჩეტებულო ნიკიფორე,
შენი დასაკლავი დანა შენვე გამოიხაზე?!

ფარდა



მოქმედება მეორე



მესამე სურათი

საზაფხულო საძოვრები: სიღრმეში — შეწანით შემოსილი მაღალი მთები, რძისფერი ჩანჩქერებით აქა-იქ დასერილი, ფერდობზე თეთრად შეფენილი ცხერის ფარებით. წინ, მარჯვნივ ერთ-მაშად ამალღებული ბორცვი, ოთახის მსგავსი დიდი კარავით, რომელშიც მოსჩანს ფაქიზად ლოგინგასწორებული ორი რკინის საწოლი და მათ შუა უბრალო სამუშაო მაგიდა საექიმო ზღვსაწყობით, აფთიაქის ბოთლებითა და კოლოფებით. კარავს უკან ორი სხვა კარავი და მას იქით ქვის ორსართულიანი შენობა. ბორცვის მარცხენა მხარე ტოტეგანიერ არყის ზეს დაურდილავს. მის ქვეშ რამდენიმე დამორილი კუნძი გლია.

(საღამოვდება, შორეულ მთებზე გაწოლილი ღრუბლები ჩამავალ შუვს აუნთია. ფარდის ახლისას, ხის ქვეშ კუნძზე ჩამოშვდარი იასე ქალამანს ასხამს. კარავში ნინო სამუშაო მაგიდას უბის).

იასე — რა ვქნა, შეილო, ნათლია შენი ხო მიყვარს და მიყვარს, მაგრამ გიორგიც გულზე მეჭიდება, ალაღმართალი კაცია... მარტო ის არ მომწონს, ეგრე უბრალო საქმეზე რო გადაეკიდნენ ერთმანეთსა.

ნინო — არაფერია, მამავ, ნასწაველი ხალხის დავას წამალი ადვილად მოენახება, თვითონვე მორიგდებიან.

იასე — მავას ნუ იტყვი, კაცი თუ ღმერთს გაუჩენია, ძუძუ კიდეც მგელს უწოვებია. იცოდე, მაგათ დავას ისეთი პირი უჩანს, სასიკეთოდ არ გათავდება. გოგო, ამდენ ხალხში ერთი კაცი ვერა ვნახე — ორივეზე გული სტკიოდეს... არსად კი წამოგვდეს, იმ დღეს ქალაქში ნათლიაშენს ორი ბატკანი ჩავუყვანე, ვიცრუე — ერთი გიორგიმ გამომატანა მეთქი!

ნინო — (წამოდგა) რას ამბობ, მამავ! ეს რომ გიორგიმ შეიტყოს... ხომ იცი, როგორი კაცია?

იასე — დღეს, ხვალ, რას გაიგებს? მერე ორივეს გული მოუღებება და ერთიც მადლიერი დამრჩება, მეორეცა.

ნინო — იცოდე მამავ, გიორგის ეწყინება, ძალიან ეწყინება...

იასე — რად უნდა ეწყინოს, სიკეთის მეტი რა მიქნია? მაშ, ეგრე თავი მივანებო, — მტერი ხო არა ვარ მაგათი? აი თითონ შენა, ქალბატონო! სიმონს რატო არაფერს ეტყვი? ხო იცი, გიორგი იმის მეტს არავის არაფერს უჯერებს! სიმონი კიდეც შენი მეგობარია... (ნინო ცივად გაბრუნდა, სამუშაო მაგიდას მიუჯდა, იასე თვალს არ აშორებს). პა, რას გაინაბე? ამ ბოლო ღროს შენ და ის ბიჭი ძან ელამუნებით ერთმანეთსა!..

ნინო — (იუკადრისა) აბა რას ამბობ, სხვამ რომ გაიგონოს, მართალი ეგონება.

იასე — გაიგონოს და, რა საძრახისია? ჭიყვარული ყვავილობაა გულისა, შეილო!.. ვისაც ეს მაღლი დაჰკლებია, უნაყოფო ხესავით დარჩებილა ქვეყანაზე... ეგაც არ იყოს, დედა შენ აღარა გყავს, მეც დღესა ვარ და ხვალე, ვინ იცის... ისე არ მინდა წავიდე ამ სოფლიდან, შენი ბედნიერება არ ვნახო!

ნინო — (უცმაყოფილო) მამავ, რამდენჯერ უნდა გითხრა...

(შეზღვის ვია, ნინოსაკენ მიემუჩება).



გ ი ა — იასე ძიას გაუმარჯოს! (ნინოს ქაღალდი გაუწოდა) გიორგიმ გამოშტაბანა.

ი ა ს ე — ჩემი სწორი მოგყაროს!

ნ ი ნ ო — (კითხულობს) გამოწერით კი გამოვეწერ, მაგრამ ნიკიფორე რომ აქ არ არის? საცდელ ფარაში წავიდა, რაღაც აქტის შესადგენად.

გ ი ა — ბიჭოს, რას გადაეკიდა ამ საცდელ ფარას? გუშინწინაც იქ იყო, გუშინაც, დღესაც...

ნ ი ნ ო — რა ვიცი რევიზია მოდისო.

გ ი ა — რა ყოფილა ე რევიზია, რა ცეცხლი შეუტყუა ამ ჩვენ ნიკიფორეს! განსოვთ, იმ დღეს ავტომობილით რო სამი არტისტი ჩამოვიდა? ვილატას განგებ ხმა გაუგდია — რევიზორები არიანო, ჩვენს ნიკიფორეს ეს ხალხი მაშინვე შინ წაუყვანია, ერთი კარგი ჰედლილასავით ბატი ჰყავდა, ეს ბატიც დაუკლავს, კაი პური და კაი ღვინოც მიუტანია... არტისტებმა რევიზიის ამბავი რო შეიტყუეს თურმე, „ვა შენ ჩემო თეთრო ბატო“ შემოსძახეს. ამ ჩვენ ნიკიფორეს მაშინლა შეუტყუია, მისი სტუმრები ვინც იყვნენ... (იციინის) ეხლა კიდევ ერთი კაი ინდურს ასუქებს თურმე!..

ი ა ს ე — რა ქნას, შვილო, ვისაც როგორ უჭირს, ისე აკეთებს თავის საქმეს.

გ ი ა — რას ამბობ, ძია იასე? კაცი რო ერთთავად ტირის და წუწუნებს, იმისი გაკეთებული საქმე რა უნდა იყოს? აბა ერთი გიორგისაც შეხედდე! ასე გონია გულზე ფრთები ასხიას... ამიტომ გაიმარჯვა კიდევც, — კაცმა გაუკეთებელი საქმე გააკეთა!

ი ა ს ე — მაგას კი ნუ მეტყუია... დაილოცოს იმისი მადლი, ეს ქვეყანა ღმერთს იმ თავითვე როგორც დაუწერია, იმას რა შესცვლის? ბიჭო, კაცს რო ახალი ცხვრისა და სულდგმულის გაჩენა შეეძლოს, მაშინ ხო კაცი კი არა, ღმერთი იქნებოდა, ამ ქვეყანაზე მიულწეველი არაფერი დარჩებოდა!

გ ი ა — ჰოდა, ჩვენც არაფერი დავგვრჩება მიულწეველი... შენ ეს მითხარი, სტალინიც ხო კაცია და რაცა სთქვა, ამ ცის ქვეშ გაუკეთებელი რა დარჩა?

ი ა ს ე — ვენაცვალე იმის სახელს, სტალინი, შვილო, ერთია ქვეყანაზე, ის მართლა ღმერთითვე კაცია, ჩვენ იმასთან ხელს ვერ გავიწვდით.

გ ი ა — ჰოდა, გიორგი ასე ამბობს, ჩვენც ჩვენს საქმეში სტალინივით უნდა ვიყენეთო, იმასავით დაუსვენარი გული და ხელი უნდა გვქონდესო!

ი ა ს ე — გიორგი კარგი კაცია, მაგრამ სწორედ ეს არ მომწონს იმისი, — მეტისმეტად დიდი იმედი აქვს თავის თავისა, ასე ჰგონია — აგე იმ მთებს ზურგზე წამოვიკიდებო!..

გ ი ა — წამოიკიდა და ასწია კიდევაც... ნურც მაშინ დაიჯერებთ, ახალი ჯიშის მთელი ფარა რო ერთად დაიბდავლებს! ძია იასე, შენც მგონი ნიკიფორე ბულალტერმა აგიყოლია...

(მემოდის ნიკიფორე, მან უერი მოკრა გიამ რომ ახსენა).

ნ ი კ ი ფ. — (ამრეზილი) დიახ, დიახ, ნიკიფორე... (გიას დაცინვით ქუდი მოუხადა) ბატონ დირექტორის მოადგილეს ვახლავარ!.. ვიცი, უსაქმოდ არ მობრძანდებოდი, — კვერცხი და შაქარი აღარ მიხსენო, თვარა, მამაჩემის ქიშვარდის სული ნუ წამიწყდება, მეტი აღარ ჩადის ამ ყელში!

გ ი ა — მე რა შუაში ვარ, გიორგიმ გამომატანა...

(ქაღალდი გაუწოდა).

ნიკიფ. — (გულმოსული — ნინოს) ბოდიში, ქალბატონო ნინო, კიდევ ბოდიში, მარა შე ქალო, იმ ცხვარს მიტომ აკმვევთ დღევნისა ტომ შე ჩიხოტკა გამიჩინოთ?!

ნინო — რა ექნა, ბატონო ნიკიფორე, მე ვალდებული ვარ დირექტორის ბრძანება შევასრულო.

ნიკიფ. — ძართალია საქონლის ექიმი ხარ, მარა — შე ქალო, ერთხელ მეც შემომხედდე!.. თუმცაღა ამ ოხერ მუცელზე არაფერი მეტყობა, მარა ხომ შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს, ამ მუცლიანად საგიყეთში ამოვყო თავი?!

გია — განა რა არი? (ქალალდი გაუწოდა) სუ ხუთი კილო ქერის ფქვილია და ორი კილოც შაქარი!

ნიკიფ. — (გაცეცხლებულმა ქალალდი გამოსტაცა) აბაბაბა, არავითარი ფქვილი და შაქარი, არც ერთი ნამცეცი, არც ერთი მისხალი... გამეცალე აქიდან!

იასე — შენც რას ასტეხილხარ, ბიჭო? იქნება მართლა არ შეუძლიან ამ კაცსა!

გია — (განზე ვაღდა) რას დამყვირის, რო დამყვირის, განა ისეც ბარბანჩიყების უფროსია? მითხრას არ ვიძლევიო და მეც წავალ...

იასე — (გიას ხელი წაავლო) წამოდი, წამოდი... შავმა კირმა წაილოს, იმ ერთი ცხვარის გულისთვინ ამდენი ხალხი რომ გადაგვიდათ ერთმანეთსა?

გია — (მიდის, ნიკიფორეს დაცინვით გახედა, სიმღერა შემოსძახა) „ეაი შენ ჩემო თეთრო ბატო, ვოლილა“...

(მიეფარნენ).

ნიკიფ. — (გაბრაზებული) ხომ გეიგონეთ, — თეთრო ბატოვო, მოდი და ახლანუ გალახავ ამ ვირთხას რაეა გამიბედა?!

ნინო — რას ბრძანებთ, ბატონო ნიკიფორე. ეს ხომ თქვენ არ შეგეხებოდათ!

ნიკიფორე — (თქმა უნდა, მაგრამ ეუხერხულდება) მართალია, მე არ შემეხება, მარა... ისთე გამოდის, რომ ქვეც შემეხება... (ქალალდს ხელში ატრიალებს) ამ ოხერს მისცემ — ხათაბალაა, არ მისცემ და კიდევ უარესი!.. ავაფუროთხე — ულვაშს მოხედა, დავაფუროთხე — წვერსო... აქით — დირექტორი, იქით — რევიზია! რა ქნას ამ უბედურმა, ერთმა უპარტიო კაცმა ნიკიფორემ?

ნინო — მერე და, რატომ თქვენც არ შეხვალთ პარტიაში?

ნიკიფ. — განა არ მინდა, შე ქალო? კვენხანში არ ჩამომართვა და ჩემისთანა იდეური კაცი პარტიას თუ არაფერს არგებდა, წახდენით მაინც არაფერს წოუხდენდა...

ნინო — მერე და, რატომ არ დასწერთ განცხადებას?

ნიკიფორე — დაეწერე, ბატონო, რაეა არ დაეწერე! ანკეტაც შემავსებოეს, დახურულ სხლომანეც გამომიძახეს... უცებ პარტორგანიზაციის მდივანი მეკითხება, — შენ იდეალისტი ხარ თუ მატერიალისტიო? რადგან ბუღალტერი კაცი ვარ, ასე ვიფიქრე — ჩემს პატიოსნებაში ეჭვი ეპარებოდათ და მაშინვე ვუპასუხე, რასაკვირველია იდეალისტი თქვა... (ნინოს ეცინება, თავს იკავებს) რა ვიცოდი? ახლაც რო შკითხო, იდეალისტი კაცი ყველაზე პატიოსან კაცად მიმაჩნია ამ ქვეყანაზე... აბა ამ ჩემს ჩექმა-შალვარს შემოხედე! თუ ქალი ხარ, რაში მეტყობა რომ მატერიალისტი ვარ?

ნ ი ნ ო — მერე, უარი გითხრეს?

ნ ი კ ი ფ ო რ ე — (ეთაყვლება) უარი რაღა მითხრეს, მარა მიღებდაც არ უნდა მიღეს... წიგნები და გაზეთები იკითხე და მერე ენახოთო... ისეთ გამეყვანეს, რომ ვითომ მე, ნიკიფორე უკლებას, პოლიტიკური მომზადება მაკლია!

(შემოდის ს ი მ ო ნ ი, მას ხელში დახვეული კანძი უჭირავს).

ს ი მ ო ნ ი — ნიკიფორე, ამხანაგი გიორგი გეძახის.

ნ ი კ ი ფ ო რ ე — (შეწუხებული) მივიდა ახლა ის ციგანი ბიჭი და ვინ იცის რა არ უთხრა!.. (ნინოს) წადი ახლა შენ და ამათ ხელში წიგნები და გაზეთები იკითხე... ბულალტერი კი არა, შამფური ვარ, შამფური, სულ ასე ცეცხლზე უნდა ვიტრიალო...

(საჩქაროდ გადის).

ს ი მ ო ნ ი — (აღტაცებული) აქ მოდი, ნინო რა გაჩვენო! (კანძი გაუწოდა) დახედე ამას, ამოდენა კანძი თუ გინახავს ოდესმე? ხუთი კილო და ორასი გრამია, ორჯერ მეტი, ვიდრე ჩვენებური თუშური ცხვრისა. ნურც ახლა დაიჯერებთ, რა დიდი საქმე გააკეთა გიორგიმ... მოვიდეს და ნახოს შენმა ნათლიამ, პროფესორმა სოლომონ ზანდუკელმა ნახოს, რომ მისი თვალით უხილავი გენები თავიდან ბოლომდე სისულელე ყოფილა!

ნ ი ნ ო — სიმონ, რამდენჯერ გთხოვე, ჩემს ნათლიაზე ასე ნუ ლაპარაკობ...

ს ი მ ო ნ ი — ის ჩვენს მუშაობაში მხოლოდ შეცდომებს ხედავს, და იმის დანახვა არ უნდა, რასაც მივალწიეთ...

ნ ი ნ ო — ის ამას როდი უარყოფს, მაგრამ...

ს ი მ ო ნ ი — (შეაწყვეტინა) შენ არ იცი, ნინო! ვიდრე ხელთ არაფერი გექონდა და ჩვენი ცდები უშედეგო იყო, მაშინ დაგეცინოდნენ, თუმცა მაინც თავდაპირველად იქცეოდნენ. იმ დღიდან კი, რაც თეთრი ვარსკვლავი გაჩნდა, გიორგის ისე ექცევიან, თითქოს დანაშაული ჩაედინოს...

ნ ი ნ ო — ესე იგი?

ს ი მ ო ნ ი — ესე იგი, როდესაც აშკარად დაინახეს თავისი ცრუმეცნიერების გაბრიყვება, ერთბაშად შეშფოთდნენ. მათ კარგად იციან, რომ შეიძლება იმ ერთს უნო ცხოველს თან გადაჰყვებს მთელი მათი გაბერილი ავტორიტეტი და, რაც მთავარია, მდგომარეობაც. ამიტომ ნუ გაგიკვირდება, ნინო, რომ ერთ დღეს გიორგი სრულიად მოაშორონ აქაურობას და მეც მას მიმავლონ...

ნ ი ნ ო — (შეშინებული) რას ამბობ, სიმონ?.. მერე მე, უშენოდ... აქ, მარტო...

ს ი მ ო ნ ი — მარტო რატომ? მამაშენისთანა მწყემსი მთელს მეურნეობაში არ არის, თვითონ იასემაც რომ მოინდომოს აქედან წასვლა, არავინ გაუშვებს.

ნ ი ნ ო — (ნაწყენი) მადლობელი ვარ, ყმაწვილო... რა შუაშია მამაჩემი? (ცოტა ხანს დუმილი) თუმცა, რატომ? ყველაფერი შეიძლება... მაშინ იმ მთებზე თოვლი იყო, ეხლა ის თოვლი გადნა, აღარსად სჩანს... თურმე ყველაფერი შეიძლება...

ს ი მ ო ნ ი — როგორ არა გრცხვენიან? მე ჩემს ბოღმას გიზიარებ, შენ კი შარშანდელ თოვლზე მელაპარაკები!

ნინო — (უცმაყოფილო) დიახ, შენცა და გიორგისაც ამ ერთი ცხვრეს მგები სხვა აღარაფერი გახსოვთ...

სიმონი — მე ისა მწყინს, რომ ჩვენი თეთრი ვარსკვლავი შენც მხოლოდ ერთი უბრალო ცხვარი გგონია და მეტი არაფერი... მალე, ძალიან მალე ეს პაწაწინა წყარო მდინარესავით აღიღდება და ამ თვალუწვდენელ მიწას ერთიანად დაჰფარავს... იცი, რა გითხრა? შენი საქორწილო კაბა მისი მატყლის პირველი ქსოვილისაგან უნდა შეეაკერინო!

ნინო — (გაბუტული) მადლობელი გახლავართ ასეთი ძვირფასი საჩუქრისათვის! ჯერ ეს პაწაწინა წყარო მდინარესავით აღიღდება, მერე ჩვენი ქარხნები მისი მატყლის ქსოვილს დაამზადებენ, ახლა საწყობების, მაღაზიების აშენება, და ვინ იცის, კიდევ რა! ესე იგი, ბებიაჩემის ხნისა რომ გავხდები, მაშინ აპირებ ჯვარისწერას?!

სიმონი — (აღერსით) რატომ, ნინო?

ნინო — (გაბუტული განზე გადავს) ვთქვით, ის თქვენი ვარსკვლავი მგელმა შექამა, ან კლდეზე გადავარდა, მერე?..

(უნძულე დაეშვა, თავი მკლავებში ჩარგო).

სიმონი — რა უცნაური აზრები გებადება! ნუ გეშინიან, მგელი სიყვარულსაც ხომ არ შესქამს?..

ნინო — მგელი არა, მაგრამ თქვენ, მამაკაცები... დიახ, დიახ!

(შემოდის გიორგი).

გიორგი — (ნინოს დააქერდა) რა მოხდა, ნინო, სიმონმა ხომ არ გაგაჯავრა?

ნინო — (შემკრთალი წამოდგა) არა, ამხანაგო გიორგი.

სიმონი — (ღიმილით) დაგასმინო?.. ვუთხრა გიორგის?

ნინო — (ეუხერხულდება) რა უცნაური ხარ, რა უნდა უთხრა?

სიმონი — ამხანაგო გიორგი, ნინოსაც არა სჯერა, რომ მოკლე ხანში, ახალი ჯიშის მთელი ფარა გვეყოლება!

ნინო — (დარცხვენილი) არ დაიჯეროთ, ამხანაგო გიორგი, ჩვენ მხოლოდ ახალი მატყლის ქსოვილზე ვლაპარაკობდით...

სიმონი — თავისი საქორწილო კაბა ეჩქარება...

ნინო — (უფრო მეტად დარცხვენილი) რა უსინდისო ხარ!

(კარავში შევარდა).

გიორგი — (სიმონს) შენ ხუმრობ და ყველა ადამიანის პირადი ბედნიერება ჩვენს ქვეყანაში, საზოგადო საქმესთან არის დაკავშირებული... ნინომ ეს კარგად იცის და ალბათ მე და შენ, ორივეს გვემდურის, რომ ჩვენი საქმე დავაგვიანეთ. სულ რამდენიმე თვეც, მხოლოდ რამდენიმე თვე და სიტყვას გაძლევე, ნინო, შენცა და სიმონსაც საქორწილოდ იმ ქსოვილში გამოგაწყობთ. ეხლა კი, საყვედური უნდა გითხრა! სად არიან შენი ფერ-შლები, რას აკეთებენ?

ნინო — (კარავიდან გამოვიდა) როგორც ყოველთვის, ბრიგადებში, ამხანაგო გიორგი.

გიორგი — მეც ვიცი, რომ ბრიგადებში არიან, მაგრამ ცუდად მუშაობენ, გული არა სტკივთ საქმეზე, გული!.. პირუტყვი განა ადამიანია, ავად-მყოფობა რომ შეაწუხებს — თვითონ მოვიდეს ექიმთან?.. დღეს დილი-

დან შეიღი ბრიგადა შევამოწმე, ექვსი ათასი ცხვარი სათითაოდ გავსინჯე და იცი რა აღმოჩნდა? მესამე ბრიგადაში ორი ყოჩი თურქულით არის დაავადებული. ესე იგი, შესაძლებელია რამდენიმე დღეში ეს საშინელი სენი, როგორც ღობეს ცეცხლი, მთელი მეურნეობის ფარებს მოეცილოს! ეხლავე უნდა წახვიდე და მესამე ბრიგადა სასტიკ კარანტინში მოაქციო. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციე საცდელ ფარას. რაც შეეხება თეთრ ვარსკვლავს, დღეიდან შენს გარდა, არც ერთი მწყემსი, არც ერთი მომვლელი შორიახლოსაც არ გაეკაროს! ეხლა წადი, ყველაფერი პირადად შეამოწმე, თორემ იცოდე, ჩვენი მეგობრობა ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდება... ხომ გასაგებია?

ნ ი ნ ო — მესმის, ამხანაგო გიორგი.

(კარავში შევიდა, ჩანთაში სასწრაფოდ აწყოხს ბოთლებს, კოლოფებსა და ბინტებს).

გ ი ო რ გ ი — (სიმონი განზე გაიყვანა) შენ ამ მოკლე ხანში ზანდუკელისათვის რაიმე საჩუქარი ხომ არ გავიგზავნი?

ს ი მ ო ნ ი — მე, ზანდუკელს, საჩუქარი?! რას ამბობ, გიორგი!

გ ი ო რ გ ი — საოცარია... ამ ერთი საათის წინათ თბილისიდან ჩამოსულმა შოფერმა ბატკანი ჩამომიყვანა, თანაც აი ეს ბარათი გადმომცა! (კითხულობს) „მივეირს რატომ შეიწუხეთ თავი, თქვენს საჩუქარს უკანვე გიგზავნი. სოლომონ ზანდუკელი“... რის საჩუქარი, რა ბატკანი?! მე გავუგზავნე ზანდუკელს საჩუქარი? ვერაფერი გამიგია!

ს ი მ ო ნ ი — იქნებ ვინმემ იხუმრა... მის ხელს კარგად იცნობ?

გ ი ო რ გ ი — როგორ თუ არ ვიცნობ, ნამდვილად მისია!.. (რაღაცას იგონებს) მოიცა, მოიცა, თუ ძმა ხარ, ეხლა გამახსენდა! — ამ ათი-თორმეტი წლის წინათ საწყალმა მამაჩემმა მართლა გაუგზავნა, შენზე ამაგი აქვსო.

ს ი მ ო ნ ი — არა, გიორგი, აქ რაღაც სხვა ამბავია... მე შემიძლია დღესვე შევიტყო, წუხელ ზანდუკელის ქალიშვილი ჩამოვიდა, ნინოს დავავალე...

გ ი ო რ გ ი — არამც და არამც!.. ნინო ეთერის ჰეითხავს, მერე თავის მამას ეტყვის, — მთელი საბჭოთა მეურნეობა შეიტყობს... წადი და ამდენ ხალხს სათითაოდ უმტიციე, რომ ყველაფერი ეს სისულელეა... მე მაინც მგონია, ზანდუკელი სწორედ მამაჩემის საჩუქარს მიბრუნებს უკან. ის ამით მეუბნება, რომ ჩემსა და მას შორის ყველაფერი გათავებულია დე, ასე იყოს! მას ნებეირიძისა და ვაშაძის იმედი აქვს, ხუმრობა ხომ არ არის? ერთი ინსტიტუტის დირექტორია, მეორე — მინისტრის მოადგილე!

(შემოდის ნიკიფორე).

ნ ი კ ი ფ ო რ ე — დიდი ბოდიში, ამხანაგო გიორგი, რევიზორები ჩამოვიდნენ!

გ ი ო რ გ ი — მალაჩიჩი შენზეა, ნატვრა ავსრულებია, — აბა შენ იცი, როგორც დახვდები!

ნ ი კ ი ფ ო რ ე — მეც მაგას მოგახსენებთ, ხომ იცით, — ნამზგავრი ხალხია... (ენა ებმება) ესეც არ იყოს, ზოგიერთ რევიზორს თუ კანონის ფარგლებში ცოტა პატივი არ ეცი, ყველაფერს უკანონოდ გამოიყვანს...

გ ი ო რ გ ი — (სიტყვა გააწყვეტინა) ბევრი ლაპარაკი ვიყვარს!.. რა საჭიროა ამდენი წინასიტყვაობა? სასტუმრო გვაქვს, სასადილოცა გვაქვს, წაიყვანე და გაუმასპინძლო, როგორც შეგვიძლიან.

ნ ი კ ი ფ ო რ ე — ბოდიში, მარა მომისმინეთ...

გ ი ო რ გ ი — კმარა, შენმა ამდენმა ბოდიშმა სული ამოშხადა! აზნაურო სიმონ, მე ეხლა იმ საძოვრების გამო სამწყაროში მივდგამარ... მღვდელ დაებრუნდები, ნინოს მიეხმარე... როგორც ვუთხარი, თეთრ ვარსკვლავს არავინ გაეკაროს.

(გადის).

ნ ი კ ი ფ ო რ ე — (გიორგის თვალი გააყოლა) გესმის სიმონ? გოსკანტროლი კარს მოგედგომია და ეს მაინც იმ დასაწყევლ თეთრ ვარსკვლავს გაიძახის!.. თუ კაცი ხარ, იქნებ შენ გამაგებინო, — ჩვენი დირექტორია გიყი თუ მე, ნიკიფორე უკლება, აღარა ვარ ჩემს ჭკუაზე?

ფ ა რ დ ა

მ ე ო თ ე ს უ რ ა თ ი

იგივე სანახობა, რაც შესამე სურათში, მხოლოდ სიღრმეში, მთებზე პირველი თოვლის ძვრალი ზოლი მოსჩანს.

ფარდის ახდისას **ნ ი ნ ო** კვლავ საშუშაო მაგიდას უზის, საპრეპარატო შუშის პატარა ფირფიტას მიკროსკოპით ჩასტყურის. იქვე კარვის წინ იასე ყველის გუდას ლურწმის საითოთრითი მზერაგს, თან ბაწარს უპერს საგულდაგულოდ.

ი ა ს ე — აფსუს გიორგი, რა კაცი მოგვაშორეს, რა კაცი! (გულჯავერიანად) ფუ, იმისი გაჩენის დღე დაიქცა, ის თქვენი ნაქები თეთრი ვარსკვლავი, თეთრი კი არა, შავი ვარსკვლავი ყოფილა!.. იმ სატილომ რამდენი ხალხი წაახდინა?..

ნ ი ნ ო — გიორგიმ რომ გაიგონოს, ეგ ლა უნდა?...

ი ა ს ე — (გამწარებული) შენც ერთი გააჭირე საქმე! სამი ფუთი ხორცია, მეტი ხო არაფერი?.. ერთის მაგივრად ორს მივცემ კაცო, ოღონდ ის ცოდვიანი მოაშორონ აქაურობას...

ნ ი ნ ო — შენ ვითომ გიორგისათვის სიკეთე გინდა და იმიტომ ამბობ მაგას, სოლომონს რომ მისი სახელით ბატკანი ჩაუყვანე, მაშინაც სიკეთე გინდოდა, მაგრამ ბოლოს რა გამოვიდა? მაშავ, ეხლაც ვერ მიბატებიან შენთვის, რევიზორებთან მაინც რამ გათქმევინა, — ნამდვილად გიორგიმ გამატანაო?!

ი ა ს ე — რა ექნა, შვილო, ერთხელ რო ვთქვი, კაცი ვარ, მერე ველარ გადავთქვი... აკი როდესაც იმათი ავგულობა შევიტყე, ღმერთი და ხატი ვიფიციე, მაგრამ ვინლა დამიჯერა? შევადეს ქვა და თავი შეუშვირეს: შენ ეხლა იმიტომ ამბობ უარს, დირექტორმა დაგარიგაო... (გულადუღებული) ნეტავი იმ კაცს ერთი სიტყვა მაინც ეთქვას, ადამიანო!

(შეშობის ეთერო. მას უბრალოდ აცვია, ნამჯის ფართო საწრდილებელი ქუდი მხურავს, მხარილოვ პატარა ჩანთა ჰკიდია).

ე თ ე რ ი — ძია იასეს კიდეე გაუმარჯოს!

ი ა ს ე — გაიზარდე, შვილო!

ე თ ე რ ი — (ნინოს) ინსტიტუტის დირექტორი ნებეირიძე ჩამობრძანებულა, დამინახა თუ არა, მაშინვე გიორგის მოხსნის ამბავი მახარა, — მამაშენის



შეურაცხყოფა ზომ არ შევარჩინეთო! თითქოს მართლა მამაჩემის დარდი ჰქონდეს... ნინო, შენ არ შეგიმჩნევია, რომ უნიკო ადამიანები მხოლოდ სწორად ბოროტები არიან?

ნ ი ნ ო — შენ ვინდა სთქვა — შურიანები.

გ თ ე რ ი — ჩვენს დროში ეს მგელკაცობის ნიშანი თუ კიდევ ვინმეს შერჩენია, ის საბჭოთა ადამიანი არ შეიძლება იყოს... აი, თვითონ ვეებატონი ნებეირიძე! მამაჩემს რომ შეხვდება სულ იმას ცდილობს — გიორგი როგორმე აიგდოს და დაამციროს; სამაგიეროდ ვაშაძეს რომ დაინახავს, რაკი მინისტრის მოადგილეა, მეღიასავით თვალეში შესცინის და ლამის ფეხქვეშ გაეგოს. თუმცა თვითონ ვაშაძესაც უყვარს დიდკაცობა, — მუდამ ისე თავაწეული დადის, თითქოს დედამიწაზე აღარავის ამჩნევსო კიდევ კარგი, ასეთი ყოყონა ადამიანები ჩვენში გამონაკლისი შეადგენენ.

ი ა ს ე — ჰაი დედასა, რა დრო დადგა? კაცი მინისტერია და შენ კი თვალში გეცოტავენბა!

გ თ ე რ ი — თანამდებობა, ძია იასე, როგორც ტანსაცმელი — დღეს გაცვია, ხვალ შეიძლება გაგებხდოს... კაცი იმით უნდა გამოირჩეოდეს, რაც სიკვდილამდე გაჰყვება. აბა გიორგის დააქქერდით! თუმცა... იმანაც დღეს გული მატკინა... უსინდისო!..

ნ ი ნ ო — რა იყო, ეთერი?

გ თ ე რ ი — არაფერი, მე თვითონ გავცემ საკადრის პასუხს... იმას ვამბობდი, — როდესაც გიორგის ვუსმენ, ასე მეჩვენება, სრულიად უცხო სამყაროში გადავდივარ, სადაც ადამიანის მოუსვენარი ხელი მთებსა და მდინარეებს, ზღვასა და ხმელეთს თავის ნება-სურვილზე აწყობს და ალაგებს!

ი ა ს ე — ეპეი, ეს ოხერი, რა კარგია ახალგაზრდობა... რა ლამაზი ოცნება იცით!

გ თ ე რ ი — მამაჩემიც გიორგის მეოცნებეს ეძახის, მე კი სწორედ ეს მომწონს იმისი... ვისაც თავისი საქმე არა სწამს, მას ოცნება არ შეუძლია; სადაც ოცნება არ არის, იქ შემოქმედებაც არ არის! თუმცა დღეს მის ოცნებას ფრთები შეაკვეცეს, მე მაინც გული მეუბნება, საბოლოოდ გაიმარჯვებს... ნინო, მამაჩემი ზომ მიყვარს, ან როგორ შეიძლება არ მიყვარდეს, მაგრამ... რატომღაც გიორგის გამარჯვებაც მინდა...

ნ ი ნ ო — ეგ რა სთქვი? შენმა დედინაცვალმა რომ შეიტყოს, აქ ზომ ფეხს აღარ დაგადგმევენებს!

გ თ ე რ ი — მისთვის რომ მეკითხა, მას არც ახლა უნდოდა ჩემი გამოშვება...

(შემოდის გიორგი).

გ ი ო რ გ ი — ნინო, სიმონი ვერსად მიპოვნია, ზომ არ იცი სად არის?

ნ ი ნ ო — ნებეირიძესთან ერთად საცდელ ფარაში უნახავთ.

ი ა ს ე — როგორ პირშავად ვარ შენთან გიორგი, სიკეთე მინდოდა და მტრობა გამომივიდა...

გ ი ო რ გ ი — არაფერია, ჩემო იასე, ბოლოს ყველაფერი გამოირკვევა... ჩვენს ქვეყანაში სიმართლე არ დაიკარგება.

გ თ ე რ ი — (ერთბაშად, მედიდურად წაეიდა გიორგისაკენ) ბოდიში, ამხანაგო გიორგი, მე... შეურაცხყოფილი ვარ... აღშფოთებული ვარ თქვენი დღევანდელი საქციელით!

გ ი ო რ გ ი — (გაოცებული) ეს ლა მაკლია! ნინო, იასე, თქვენ რაღას უყურებთ?.. ბარემ ერთად დაიწყეთ!



ე თ ე რ ი — მე სახუმარო არაფერი მაქვს... ასე ექცევიან მხოლოდ უღირს ადამიანებს!

გ ი ო რ გ ი — გინდა მომკალი, არაფერი მესმის!

(ნიწო და იასე ცნობისმოყვარეობით მისჩერებიან).

ე თ ე რ ი — ძალიან გულმაღვიწყო ყოფილხართ! ვახსოვთ? დიღას თეთრი ვარსკვლავის სანახავად მივდიოდი, თქვენ შორიდან შემნიშნეთ და იმ ახალგაზრდა მწყემსს რა დაუძახეთ?

გ ი ო რ გ ი — არავეინ გაეკაროს მეთქი!

ე თ ე რ ი — ესე იგი, თქვენ გგონიათ, მე ნებიერიძისა და მამაჩემის დავალებით ვიმყოფები აქ, რომ თქვენს ნამუშევარს თვალყური ვადევნო?! მამასადაღამე, მე ვინა ვყოფილვარ? ეს, ეს შეურაცხყოფაა ჩემი!..

გ ი ო რ გ ი — (ელიძემა) დამიჯერეთ, სულაც არ მიფიქრია... მეურნეობაში ავადმყოფობა გაჩნდა, კარანტინი გამოვაცხადეთ და რაც ყველასათვის აკრძალულია, თქვენთვის რატომ უნდა იყოს საწყენი? (ნიწოზე აჩვენებს) აი, თქვენს მეგობარს ჰკითხეთ, ის არის ამ საქმის ხელმძღვანელი.

ნიწო — როგორ გვეკადრება, ეთერი?

(ეთერი თავს უზერხულად გრძნობს, სიტყვა ვერ უპოვია. უკმაყოფილო იასე კარავში შეიღა).

გ ი ო რ გ ი — მე თქვენზე ამას როგორ ვიფიქრებდი? პირიქით, ასე გამიგონია, თქვენ ჩემი საქმისა გჯერათ და ზოგჯერ თურმე მესარჩლებით კიდევ... ან სხვანაირად როგორ შეიძლება? განა საფიქრებელია, რომ ჩვენი დროის მოწინავე ახალგაზრდა, კომუნისმის ეპოქის ახალგაზრდა ნებიერიძისთანა მოკლევფებება ხოქოების დოღში ჩაებას?

ე თ ე რ ი — (თავდახრილი, მორცხვად) როგორ დამნაშავე ვარ... მაპატიეთ...!

გ ი ო რ გ ი — არაფერია, ეთერი, ჩვენს შორის უბრალო გაუგებრობა მოხდა... ნეტავი ჩემსა და მამათქვენს შორისაც მხოლოდ გაუგებრობა ყოფილიყო, მაშინ ადვილად გამოვნახავდით საერთო ენას... მაგრამ, ეჰ, ლაპარაკი აღარა ღირს...

(მიდის).

ე თ ე რ ი — (ნიწოს) რატომ წელანვე არ გკითხე, ეს სისულელე ხომ არ დამემართებოდა! თუმცა იცი? არ შემძლო... მთელ დღეს გულმოკლული დავდიოდი, თითქოს რაღაც დაგვარგე, ესლა კი მოულოდნელად ისევ ვიპოვნე... გაიგონე, რა მითხრა? (სიყვარულით) მე ვიცი ჩემი საქმისა გჯერა, ზოგჯერ თურმე კიდევ მესარჩლებიო... ნეტავი ვინ ეტყოდა?

ნიწო — (უკმაყოფილო) ნებიერიძე და სიმონი აქეთ მოდიან.

ე თ ე რ ი — (გზას გახედა) ვახსოვს, შენ რომ ერთხელ თბილისში მითხარი? — ფერადი ვალსტუკი, ჩეხური შლიაპა და ძველი გაზეთებით გატენილი პორტფელი... ნამდვილი თაიგულია!

(კარავში შედიან. შემოდინ სამსონი და სიმონი).

სამსონი — ჩვენ ვიცით, ამ მუშაობაში თქვენ გიგაურზე ნაკლები შრომა როდი მიგიძღვით!

სიმონი — (მუბლი შეიქრა) მაგას რასა ბრძანებთ?

- ს ა მ ს ო ნ ი — (მოფერებით) თქვენი თავდაბლობა მომწონს... ამის შესახებ მინისტრის მოადგილესთანაც მქონდა ლაპარაკი და ჩვენ გადაწყვეტივით თქვენი დაწინაურება...
- ს ი მ ო ნ ი — (უგულოდ) სრულებით არ ვარ ამდენი ყურადღების ღირსი.
- ს ა მ ს ო ნ ი — რატომაც, რატომაც! თქვენ პარტიის წევრი ხართ, საკმარისი გამოცდილება გაქვთ... ფერმის გამგედ როდემდე უნდა იყოთ? ბოლოს და ბოლოს გიგაურს რითი ჩამორჩებით?
- ს ი მ ო ნ ი — (ნაწყენი) როგორ გეკადრებათ? გიგაური ჩემი ხელმძღვანელი, ჩემი მასწავლებელია!
- ს ა მ ს ო ნ ი — რა ვუყოთ მერე? რამდენი მასწავლებლისათვის უჯობნია თავის მოწაფეს!
- ს ი მ ო ნ ი — ესეც შეიძლება, აი, მაგალითად, თვითონ გიგაურმა აჯობა თავის მასწავლებელს!
- ს ა მ ს ო ნ ი — (დაცინვით) ოჰო, ჰო, ჰო... თუ მხოლოდ ეს გასწავლათ, ძალიან პატივმოყვარე მასწავლებელი გყოლიათ!.. მაგრამ ამას თავი გავანებოთ, ჩვენ გადაწყვეტივით, დირექტორის მოვალეობის აღმასრულებლად თქვენ დაგნიშნოთ...
- ს ი მ ო ნ ი — (მტყიცედ) არავითარ შემთხვევაში!
- ს ა მ ს ო ნ ი — მესმის... თავმოყვარეობა!.. ალბათ პირდაპირ დირექტორად ფიქრობდით... თუ ჩვენს ნდობას გაამართლებთ, რა თქმა უნდა, მაგასაც წინ არაფერი დაუდგება!
- ს ი მ ო ნ ი — (შეურაცხყოფილი) ძალიან ეწუხვარ, ამხანაგო სამსონ, ჩემს აღამიანურ ღირსებაზე ასე მდარე აზრისა ყოფილხართ! თქვენს წინადადებას კი ვერავითარ შემთხვევაში ვერ მივიღებ ჯერ ერთი იმიტომ, რომ ეს ჩემს ცოდნასა და ძალღონეს აღემატება, მეორეც...
- ს ა მ ს ო ნ ი — (აწყვეტინებს, ტყბილად) მოიცათ, მოიცათ, რამ შეგაშინათ?.. ვისაც თქვენ ისურვებთ, მოადგილედ დაგინიშნავთ...
- ს ი მ ო ნ ი — მე აქ მხოლოდ იმიტომ ვიყავი, ეს დიდი საქმე მაინტერესებდა, შიტაცებდა...
- ს ა მ ს ო ნ ი — (თითქოს იპოვნა რაღაც) მერე? ჩვენ ამ საქმეს თავს ხომ არ ვანებებთ? (ფრთხილად, ყოყმანით) მე და თქვენ... ჩვენ ყველანი ერთად განვაგრძობთ... პროფესორი ზანდუკელიც დაგვეხმარება...
- ს ი მ ო ნ ი — (ძიუხვდა) ესე იგი... პროფესორი ზანდუკელი თანახმაა?
- ს ა მ ს ო ნ ი — არ მისაუბრია, მაგრამ ალბათ!..
- ს ი მ ო ნ ი — მაშინ... ვიდრე მას ჰკითხავდეთ, ნება მომეცით... მოვიფიქრებ...
- ს ა მ ს ო ნ ი — (კმაყოფილი) აი ასე! თუ შეთანხმებულად ვიმუშავებთ, დარწმუნებული იყავით, მალე, ძალიან მალე მოიბოვებთ სამეცნიერო ხარისხსაც...
- (ნიკიფორე მგორე კარაიდან გამოჰყო თავი, სამსონს თვალი შეასწრო და მსკენ გამოქანდა).
- ნიკიფორე — ბოდიში, სამსონ ივანიჩ, უთვალავი ბოდიში, მარა ხომ გეუბნებოდით, დევილუპები კაცი, დროზე გამანთავისუფლეთთქვა!.. ახლა სამუშაოდანაც მომხსნეს, სამართალშიც მაძლევენ და რა ქნას ჩემმა ანგელოზივით ცოლშვილმა?
- ს ა მ ს ო ნ ი — დამშვიდდი ნიკიფორე, სასამართლოში ყველაფერი გამოირკვევა...

ნ ი კ ი ფ ო რ ე — ესე იგი, ჩემი სიკვდილი გადაგიწყვეტიათ და მეტი არაფერი ჩვენს მთავრობას ყველაფერში ვენაცვალე, მთელი ქვეყანა ავტონომილზე დასვა, მარა რაც შეეხება ჩვენი რაიონის სასამართლოს, აქ ჯერ ისევ ჩოჩიელა ურმით დეიარებიან... ნამდვილად ვიცი, ერთ ორს წელიწადს გამოძიება გაგრძელდება, ერთი ორი წელიწადი საქმის გარჩევას დასკირდება და თქვენ გგონიათ, ცხონებულმა ქიშვიარდომ ვოლესკოკამსკის ბანკში ტექუში შჩოტი დამიტოვა? მაშასადამე, მეც და ჩემმა ცოლ-შვილმაც ამ ქვეყანაზე დეთის გლაზებივით უნდა ვიაროთ..

ს ა მ ს ო ნ ი — მაშინ, ჩვენ თვითონ გამოვარკვეთ, ნიკიფორე.

ნ ი კ ი ფ ო რ ე — დიდი ბოდიში, სამსონ ივანჩი, კიდეც და კიდეც ბოდიში, მარა თუ შეიძლება, ბულალტერიაში წამობრძანდით და რაც გამოსარკვევია, ეხლავე გამოარკვეთ.

ს ა მ ს ო ნ ი — რევიზია იყო, ახლა რაღა საქირა?

ნ ი კ ი ფ ო რ ე — (ვედრებით) გეხვეწებით, ბატონო, ნამდვილად გეხვეწებით... ორი წუთი, მხოლოდ ორი წუთი მაჩუქეთ!

ს ა მ ს ო ნ ი — არ მომწონს ამდენი ლაპარაკი... (ნიკიფორეს გაუძღვა).

ნ ი კ ი ფ ო რ ე — (საუბრით მისდევს) ბოდიში, ხომ მოგეხსენებათ გამწარებული კაცი, ბატონო...

ს ი მ ო ნ ი — ეს უბედური ჯერ აიყოლიეს და ახლა სამართალში აძლევენ... ვერაფერი გამიგია!

(შემოდის გ ი ო რ გ ი).

გ ი ო რ გ ი — (სიმონს თვალი შეასწრო, მისკენ გაეშურა) ერთი საათია დაგეძებ, კიდეც კარგი, მარტონი ვართ. როგორც შევიტყვე, საქმე არც ისე ცუდად არის. — თურმე შენს დანიშნვას აპირებენ...

ს ი მ ო ნ ი — მერე, შენ ეს კარგი გგონია?

გ ი ო რ გ ი — რა თქმა უნდა?

ს ი მ ო ნ ი — შენ ყოველთვის მართალი ხარ, მაგრამ ახლა სცდები.

გ ი ო რ გ ი — ბიჭო, ჩვენს საქმეს პატრონი ეყოლება... თორემ ვინ იცის, იქნებ შენც გადაგადგებდნენ სადმე და მერე? ჩვენი ვარსკვლავი? ჩვენი საცდელი ფარა?.. ხომ შეიძლება მთელი ჩვენი ამდენი შრომა წყალს გაჟყოლოდა? იქნებ შენზე პატიოსანი კაციც მოსულიყო, შენზე მცოდნეც, მაგრამ ამ საიდუმლოებით მოცული ტყის გზა მხოლოდ მე და შენ გავიარეთ... ბევრჯერ შევცდით, ბევრჯერ დაემარცხდით კიდეც, მაგრამ აი უკვე გამოჩნდა მისი ნათელი ნაპირი... საქმარისი იქნებოდა იმ ახალ კაცს თუნდა ოდნავ შეეცვალა გეზი, ისევ შუა ტყეში მოექცეოდა, შეიძლება სამუდამოდ იქ ჩარჩენილიყო... მერე? ჩვენ განა უფლება გვაქვს სახალხო საქმისადმი ასეთი გულგრილობა გამოვიჩინოთ?

ს ი მ ო ნ ი — გიორგი, შენ არ იცი... ნებიერიძესაც სწორედ ის უნდა შენი დაწყებული საქმე ჩემი ხელით გააყეთოს და შემდეგ მისი მონაწილე, ან საკუთრად ავტორი გახდეს. ეს მან აშკარად მაგრძნობინა და მე ამას ვერ გინამ... როგორ? მე, მასთან ერთად, შენი სახელი მოვიპარო?

გ ი ო რ გ ი — სადაც უნდა ვიყენეთ, რასაც უნდა ვაკეთებდეთ, ჩვენს საქმეს მხოლოდ ერთი სახელი აქვს, სიმონ, ეს სახელია სამშობლო... სტალინი... ჩვენ საკუთარი დიდებისა და ბედნიერებისათვის რომ ვიბრძოდეთ, მაშინ ხომ ნებიერიძეებს დავემსგავსებოდით?



ს ი მ ო ნ ი — მაშ, სწორედ მოექცეულვარ? ასე ვუთხარი — მოვიფიქრებ-
მეთქი!

გ ი ო რ გ ი — რა თქმა უნდა! გარდა ამისა, სიმონ, მე ალბათ, ხვალ აქ აღარ
ვიქნები. მართალია, მე და ნებეირიძემ ინსტიტუტი ერთად დავამთავ-
რეთ, მაგრამ ხომ იცი, ზოგი სწავლობს, ზოგი — მხოლოდ ამთავრებს
სასწავლებელს... მან ამ საქმისა ბევრი არაფერი იცის... (მთებზე აჩვენებს)
ჯერ ისევ ოქტომბრის პირველი რიცხვებია და ხედავ? ხვალ შეიძ-
ლება თოვლი აქაც ჩამოყაროს... ამიტომ ურჩევ მაგ ყმაწვილს, ფარები
რაც შეიძლება მალე დასძრას აქედან, თორემ შესაძლებელია დიდი ზა-
რალი ნახოთ. მერე კიდევ ერთი! გახსოვდეს, საცდელი ფარის ამბავი სა-
ჭიროა ჯერ კიდევ საიდუმლოდ დარჩეს. ვინ იცის, იქნება ჩვენი იმედები
ცოტა ნაადრევი აღმოჩნდეს და მაშინ... ჩვენებური მორგანისტები სა-
ჭვეყნო განგაშს ატეხენ, მიწასთან გამასწორებენ!..

(შემოდის სამსონი, მას ნიკიფორე ახლავს).

ს ა მ ს ო ნ ი — (ღიმილით, ქარბი თავაზიანობით) ამხანაგ გიორგის გაუმარჯოს!

გ ი ო რ გ ი — (მკაცრად) რაზე აფუტვებთ ამ შესანიშნავ ქართულ სიტყვას?
ჩვენში ასე მხოლოდ მაშინ მიმართავენ ადამიანს, როდესაც მისი გა-
მარჯვება მართლა სწადიათ!..

ს ა მ ს ო ნ ი — (ისევ ღიმილით) გეტყობა დღეს მარცხენა ფეხზე ამღვარხარ...
(სიტყვას ბანზე უგდებს) რამდენიმე საათია მეურნეობაში ვარ და ვერ
იქნა, ვერსად დაგიჭირე!

გ ი ო რ გ ი — მიხარია, რომ მცირე რამ მაინც კიდევ შეგარჩენიათ, ყველაფე-
რი არ დაგიკარგავთ... სწორედ ამიტომ ვერ მიპოვნეთ, მაშინ, როდესაც
ჩემი ნახვა სრულიად ადვილი იყო. მე თქვენი ჩამოსვლის პირველივე
წუთიდან ჩემს სამუშაო ოთახში ვარ, მაგრამ იქ შემოსულა რატომღაც
გაგიჩნელდათ, ჩემთან პირისპირ შეხვედრა ვერ გაბედეთ! თქვენ სამუ-
შაოდან მომხსენით, სჩანს — დამნაშავე ვარ და ამიტომ მომხსენით... მაშ,
რატომ პირდაპირ არ მიხველით იმ დამნაშავესთან და არ გამოუცხადეთ
თქვენი განაჩენი?

(გაოცებული ნიკიფორე რიგრიგად უცქერის გიორგისა და სამსონს. იასე,
ეთერი და ნინო კარავიდან გამოვიდნენ).

ს ა მ ს ო ნ ი — (ტბილად) შენ კარგად იცი, შენი მოხსნის საკითხი მე არ შე-
მეძლო გადამეწყვიტა... რევიზიამ მინისტრის მოადგილეს მოახსენა, თვი-
თონ ამხანაგმა ვაშაძემ გამოიმუშავა ღონისძიებები.

გ ი ო რ გ ი — რაც ვაშაძეს შეეხება, აქ უხერხულად მიმანია, მას პირადად
მოეახსენებ... ის კი ვიცი, ერთ ქვეყანაში ორი მამლაცინწა ყოფილა,
თურმე რასაც იშოვდნენ, ძმურად იყოფდნენ, რასაც წაახდენდნენ, —
იმასაც ერთმანეთს აბრალებდნენ... (მღელვარება შეეპარა) ერთი სიტყ-
ვით თქვენ და ვაშაძემ დაადგინეთ, რომ მე საბჭოთა მეურნეობა რამდენ-
იმე ათეული ათასი მანეთით ვაზარალე, უხეშად ვარღვევდი საფინანსო
დისციპლინას, წარმოიდგინეთ — თურქული მეურნეობაში ჩემის დაუდევ-
რობით გაჩენილა და ეს კიდევ არაფერი! პროფესორ ზანდუკელისათვის
ქრობაი გამოგზავნია, რომ ჩემს ცრუმეცნიერულ მუშაობაში მფარველო-
ბა გამიწიოს!!!



- გ თ ე რ ი — სირცხვილი!
- ს ა მ ს ო ნ ი — (ცდილობს დაამშვიდოს) თქვენი განადგურება არავინ უნდა... ჩვენ ვფიქრობთ, თქვენი მეცნიერული მუშაობა თბილისში, კვლევითი ინსტიტუტში განაგრძობთ!
- გ ი ო რ გ ი — ვიცი, ვიცი... თბილისი, კვლევითი ინსტიტუტი... თქვენი მუშაობა! რა მეცნიერებაა პრაქტიკას, ცხოვრებას მოწყვეტილი? იქ, ამ ინსტიტუტში ზოგიერთები სამტრედიული ქათმის ბიბილოსა და ბუმბულზე აწარმოებთ მუშაობას, რომ ნამდვილი მეცნიერების ძნელი გზა მოკლედ მოსჭრათ და საზოგადოებას თვალში ნაცარი შეაყაროთ!..
- ს ა მ ს ო ნ ი — თქვენ მე შეურაცხყოფას მაყენებთ... ამის უფლებას არ მოგცემთ!
- გ ი ო რ გ ი — (კიდევ უფრო მღელვარედ) ან ამ საწყალმა, ყოვლად პატიოსანმა კაცმა (ნიკიფორეზე აჩვენებს) რა დააშავა? წელსაც, შარშანაც, საცდელი მუშაობისათვის თანხებზე პირადად თქვენ უარი მითხარით. მითითება მომეცით, სრულიად შემეჩერებინა ყოველგვარი ცდები, ესე იგი რვა-ცხრა წლის ნამუშევარი წყალში გადაამყარა და ბევრად უფრო მეტი ზარალი მიმეყენებინა სახელმწიფოსათვის. მე ეს შეგნებულად არ გავაკეთე და მინისტრთა საბჭოში დავეყენე საკითხი... თუ ამაში რაიმე დანაშაულია, რა შუაშია ეს კაცი? მე ვარ დამნაშავე!
- ნ ი კ ი ფ ო რ ე — (თვალეზე მომდგარ ცრემლს იწმენდს) შენს ენა-პირს ვენაცვალე, რა კაცი ყოფილა!
- ს ა მ ს ო ნ ი — (ენამწარედ) სასამართლოში რომ გამოგიძახებენ, იქ მოახსენებთ მაგას...
- გ ი ო რ გ ი — დიახ, მივალ სასამართლოში, მაგრამ როგორც არა ბრალდებული, არამედ როგორც თქვენი უსულგულობის, თქვენი უკაცურობის ბრალმდებელი!
- ს ა მ ს ო ნ ი — ამხანაგო გიგაურო, თქვენ ვაფიქსედებთ, რომ პარტიის წევრი ხართ!
- გ ი ო რ გ ი — (დაუნდობლად) ეს რომ დამეიწყებოდა, მაშინ თქვენსავით პატარა კაცი ვიქნებოდი და სხვის შრომას დავუწყებდი თვალთვალს, რომ დრო მეხელთა და ჩემად გამომეცხადებინა!
- ს ა მ ს ო ნ ი — (გამწარებული სიმონს მიუტრიალდა) მე ასე არ მითქვამს... თქვენ უსინდისო, ინტრიგანი ყოფილხართ!
- ს ი მ ო ნ ი — (უბრალოდ) მე ამდენი საქმე მაქვს, აბა მაგისტრის სადა მცალიან?
- გ ი ო რ გ ი — სხვისი თქმა რად მინდა? თქვენს მამალს ისეც ძალიან გრძელი ბოლო უჩანს... მაგრამ იცოდეთ, არაფერი გამოგივათ, ხელცარიელნი დარჩებით!.. დიახ, ხელცარიელნი დარჩებით!..
(ჩქარი ნაბიჯით გადის. ყველანი, ს ა მ ს ო ნ ი ს ვარდა, მის გზას მისწერებინან).

მ ე ხ უ თ ე ს უ რ ა თ ი

მდინარის ვიწრო ხეობა. ირგვლივ მაღალი მთები, აქა-იქ პირველი თოვლით შეთეთრებული. ხილრემში მთის კალთაზე პატარა სოფელი მოჩანს. შუა სცენაზე ამაღლებულ გორაკს მარჯვენა მხრიდან პირჩალესილი უფსკრული მოსდგომია. გორაკზე ძველისძველი ნასაყდრალი ამართულა, რომლის წინა კედელი სრულიად ჩამორღვეულია. მას გვერდით ბებერი, ტოტებსშირი მუხა ებჯინება, თითქოს ეპითადენით დაძაბუნებულს წაქცევას არ ანებებს. ნასაყდრალს ეტეობა უკან შარავნა ჩაუდის.

სალამო, მთებს შავი, საადრო ღრუბლები შემოწეობია. ხანგამოშვებით ელავს და ყრუ ქუჩილი ისმის.

ფარდის ახლისას მხარზე ნაბადმოსხმული ნინო გორაკზე ანთებულ ცეცხლს შეშას უმარჯვებს. სიმონი და გია უფსკრულის თავზე ვაღამდგარან, ძირს ხეობას გასცქერიან.

ს ი მ ო ნ ი — (ხმამაღლა გასძახის) ჰაუ ისეე, მიხააე! რა ღმერთი გაუწყრათ? არაფერი ესმით!

გ ი ა — ცალკე მდინარის ხმაური, ცალკე ამდენი ცხვრის ბღაეილი, რას გაიგონებებს?

ს ი მ ო ნ ი — ხედავ? კლდის პირას რამდენიმე ქედილა მოსხლეტია ფარას, შენს გაზდას დაეშვი, თორემ საცაა დაღამდება და ნადირს ვერ გადაურჩებიან. (გია უფსკრულის გვერდით ბილიცზე დაეშვა, თვალს მიეფარა. სიმონი ნინოსკენ წაივია) ტყუილად შრომობ ნინო, ისეთ დელგმას აპირებს, ამ შენ ცეცხლს თავის ხაცრიანად წაიღებს!

ნ ი ნ ო — განა მამაკაცის გულია, ერთი შებერვით ჩაქრეს? ქალის ხელით ანთებული ცეცხლი ეგრე ადვილად როდი ნელდება! სიმონ, იცი რა? (ალერსით) მოდი ჩავიფიქროთ, თუ ეს ცეცხლი ავდარმა ჩააქრო, ჩვენი სიყვარულიც ადრე თუ გვიან ფერფლად იქცევა...

ს ი მ ო ნ ი — თუ არა და?..

ნ ი ნ ო — (მხარზე მიეყრდნო) თუ არა და შენი ფიცი მართალი ყოფილა... (სიმონმა თვალი მოავლო გორაკს, იქვე — შორიანლოს ქარიშხლისაგან წაქცეული ვეება ხმელი ხე დაინახა, მაშინვე ხელი დაავლო, ძლივს მოათრია და ცეცხლს შეუკეთა. ნინოს გაეღიმა) არა, ასე არა, ყმაწვილო... ბარემ აგერ ის მუხაც შეუკეთე, მე ძალად სიყვარული არ მინდა!

ს ი მ ო ნ ი — ძალად რატომ? თუ შეშას არ მოვაკლებთ, ეს ცეცხლი სულ ასე იგიზგიზებს!.. (შორს გაისმის სალამურის წკრიალა ხმა. სიმონმა ნინოს ხელი მოხვია და სმენადამტკბარმა ღრუბლიან მთებს სიყვარულით გახედა) რა წარმტაცი რამ არის!.. გახსოვს, აკაკის დაუვიწყარი სტრიქონები?..

ჩუ, სალამური, მწევსია სწორედ,
 აი სად არის ბედნიერება!
 სტოგობს თავისთვის ბუნების შვილი
 და გულს უსრულებს, რაც ენატრება!

ნ ი ნ ო — (გატაცებული) და გულს უსრულებს, რაც ენატრება...

ს ი მ ო ნ ი — ხუ გეფიქრება, ჩემო ნინო, მართალია გიორგი მოგვაშორეს, მაგრამ მისი დაწყებული საქმე მაინც გაიმარჯვებს და ჩვენი გულის ნატვრაც მალე, ასრულდება...

(ბილიცზე ამოდიან ნაბადმოსხმული მწევსები, მათ შორის გია, იასე და მგორე აბლაგაზრდა მწევსი, გიას ხელში ჩონგური უჭირავს).



გ ი ა — (ახალგაზრდა მწყემსი) ვითომ რატომ არ იზამენ? სვინდისი დაუშლით თუ რა?! ამ ცხრა-ათი წლის წინათ თითონ ფაშისტებიც ხო მოქალაქეებულად შემოესივნენ ჩვენს ქვეყანას?

(მწყემსები ცეცხლს შემოუსხდნენ. ბინდდება, მალიმალ ელავს, მოახლოვებული წვიმის გაბმული შრიალი ისმის).

ს ი მ ო ნ ი — ისევე პოლიტიკაში გადავარდი, გიავ?

გ ი ა — ბიქოს, ვეუბნები და არა სჯერა! გერმანიაშია გაზდილი თუ ამერიკაში, მგელი-მგელია, რაც გიტლერი იყო, ტრუმენიც ის არი!.. სანამ კაპიტალისტები გარს გვართყიან, თვალი ფხიზლად უნდა გვეჭიროს მეთქი!..

ა ხ ა ლ გ. მ წ ყ ე მ ს ი — შენ სუ გვართყიან და გვართყიანს გაიძახი!.. არ შეიძლება ერთხელ ჩვენ თითონ შემოვერტყათ?

გ ი ა — ჰოდა ეგრე თქვი, შენ პირს შაქარი! რატომაც არ უნდა შემოვერტყათ? აბა დათვალე! (თითებზე ანგარიშობს) პოლონეთი — ერთი, რუმინეთი — ორი, უნგრეთი — სამი, ოთხიც ბულგარეთი, ახლა ალბანეთი მიდი, — ესეც ზუთი, ჩეხოსლოვაკიაც არ დაგავიწყდეს — ექვსი, თითონ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა — შვიდი, იქით კორეია და ჩინეთი — რვა და ცხრა, ახლა კიდევ ჩინეთის ქვემოთ ერთ დიდ ზღვას დაუწყია დუღილი — ესაც შენი ათი!.. ეს თითები ხო გამითავდა, ძალიან მალე ორიოდე თითი შენ უნდა მათხოვო და მაშინ ნახავ, ახლა ისინი ჩაცვივიან თუ არა ჩვენს მუხრუჭში!.. მაშა! ხო სწორედ ვამბობ, სიმონ, არა?..

ს ი მ ო ნ ი — მუხრუჭში კი არა, მშვიდობის მომხრეთა ზღვაში!..

გ ი ა — ჰო და მეც მაგას ვამბობ, ვისაც ახალი ომი უნდა, სწორედ ამ ზღვაში ჩაიხრჩობა!..

ი ა ს ე — შენ ისე მოსთვალე ეს ქვეყნები, ასე გონია, სათითაოდ ფეხით მოუვლიაო!..

გ ი ა — შენ ჰხუმრობ, ძია იასე, და ცოტა დაიცადე, იქნება მალე ორ ზღვას იქიდან იღებდე ჩემს წერილებსა!..

ა ხ ა ლ გ. მ წ ყ ე მ ს ი — ჰარიქა, ცხენი ბიჭებო, ცხენი შეუკაშმეთ, თორემ ფეხით დაიღლება!..

ი ა ს ე — გიავ, ამდენი მგზავრობა გეყოფა, ჩონგური სჯობია, შენს გაზდას!

გ ი ა — უპ, რაც გიორგი წაგვართვეს, ამ სატილო ლარებს ხმა კი აღარა აქეთ და!..

(ჩონგური მოხდენილად შეატრიალა, სიმები მოსინჯა და სიყვარულით დაიძახა):

ვინდოდა ხალხის მარჯვენა
 ბორკილაყროლი გენახა,
 ამირან-გმირის დამხსნელი,
 სტალინ, შენა ხარ!
 შენ ხალხს მიეცი საშობლო,
 მისი გული და რწმენა ხარ,
 რაც გვინატრია ოდესმე,
 სტალინ, შენა ხარ!

(გ ი ა მ რომ სიმღერა დაიწყო, გორაკზე გიორგი გამოჩნდა. იგი შესდგა, მწყემსებს სიყვარულით დააცქერდა. გ ი ა მ სიმღერა დაამთავრა, ისმის მხოლოდ ჩონგურის მინულებული ხმა):

გ ი ო რ გ ი — (გულნატყენი მისჩერებია მწყემსებს) რა შესანიშნავი ხალხია ჩვენი ხალხი!.. აი, ეს უბრალო, კეთილი ადამიანები აშენებენ ახალ ცხოვ-

რებს, სადაც მალე ძირიანად ამოვარდება ღვარძლისა და შურის შხამიანი ფესვები, ჯერ კიდევ ლენცოფასავეით რომ სწამლავენ ჩვენს გულს გონებას... რა სიყვარულით და მოკრძალებით შემოგვეცქერიან ისინი ჩვენ, თავის მახლობელ ხელმძღვანელებს; ცდილობენ მოგვბაძონ, ისწავლონ ყველაფერი, რაც კი ამალაებს კაცის ღირსებას, მაგრამ ხშირად იმედგაცრუებულნი რჩებიან, რადგან ჩვენ თვითონ ვართ ამ ღირსებას მოკლებულნი... ევბ, რამდენჯერ მომწყურდება ამათან ყოფნა და ამ ჩონგურის დამატებობელი ხმა, მაგრამ, დე, ასე იყოს... საბოლოო სიტყვას ჩემი ვარსკვლავი იტყვის... (მწყემსებს მოულოდნელად თავს წამოადგათ). გამარჯვება თქვენი, ბიჭებო!..

ყველანი — (წამოიშალნენ) გიორგი!..

გიორგი — აკი გითხარი, იქნებ გზაში დაგეწიოთ მეთქი, სამსონი სადღა არის?

გია — ღრუბელი რო წამოვიდა, მაშინვე ბერძნების სოფლისკენ დასძრა მანქანა... გალუსტუკიანი კაცი ჩვენს საქმეს რას გამოადგება?

გიორგი — მერე და თქვე კაი კაცებო, ამ ვიწრო ხეობაში რამ დაგაყენებინათ ფარები? (ცას შეხედა) ხომ ხელავთ, როგორ ჩამოშავდა! ერთი ენახოთ, ღვართაფი წამოვიდა, — ამდენი პირუტყვი წყალს უნდა გაატანოთ?

სიმონი — მეც ასე ვუთხარი სამსონს, — ზედ მდინარის პირას, შუა ხეობაში სახიფათოა მეთქი!.. გზა ხან ვიწროა, ხან განიერიო, დაცივით მიპასუხა და მეც დაჩუმდი...

გიორგი — სანამ ამ კლდეების ორღობეში შემოხვიდოდით, ვაშლოვანთან ვერ დაილაშეთ? იასე, შენ ხომ ამ გზაზე დაბერდი, რატომ არაფერი უთხარი?

იასე — რა ვიცი, უფროსია... როგორც მიბრძანა...

გიორგი — (მკაცრად) აპა-პაპა! უფროს-უმცროსი რასა ჰქვიან, როდესაც კაცს გული სტკივა? ის ჯერ გამოუცდელია ამ საქმეში, შენ კი, თრიალეთის გზების მეცნიერი ხარ... სიმონ, თუ ძმა ხარ, ეხლავე აშაღეთ ფარები და ვაშლოვანისკენ შეაბრუნეთ, თორემ აბა იმ მთებს გახედე! არ გინახავს ალგეთის ხეში სამი არაგვი რომ ერთად შემოვარდება ხოლმე? მაშინ რაღას უშველით?..

სიმონი — (მწყემსებს), აბა, ბიჭებო, ალექსი, მიხაე, ჩქარა! (იასეს და გიას გარდა, მწყემსები ბილიჯზე დაეშენენ) იქნებ სამსონს კიდევ ეწყინოს, იმ ჩხუბის შემდეგ ცოტა აღმაცერად მიცქერის...

გიორგი — ვისაც უნდა ეწყინოს, ოღონდ საქმე ნუ წახდება... ეხლა კი, მშვიდობით იყავით, აბა, თქვენ იცით... ყოჩაღად!

(წასვლა დაპირა)

იასე — როგორც სიზმარივით მოხველ, ისე სიზმარივით მიდიხარ... ერთი მწყემსური პური უკანასკნელად კიდევ გაგვეტეხნა ერთად!..

გიორგი — მართალია შენზე გულნატკენი ვარ, მაგრამ უკანასკნელად რათა?.. პურის გატეხვას კიდევ ბევრჯერ მოვესწრებით ერთმანეთთან... (იასეს ხელი ჩამოართვა, შემდეგ ნინოს) შენ კი, ნინო, ნუ გეწყინება, თუ ის პირობა ვერ შეგისრულე... რა ვქნა, ხომ ხელავ, არ დამაცადეს... მაგრამ ეპ... (ხელი ჩაიქნია) მშვიდობით!..

ნინო — გზა მშვიდობისა!

იასე — გამარჯვებით იარე!

(გიორგი მიდის. სიმონი და გია მააცილებენ).

გ ი ა — გიორგი ძიავ, ეს ოხერი სუ მავიწყდება... იმ ქვეყანას რა ჰქვია, შენ რო ერთხელ მასწავლე? აი, ჩინეთს იქით რო ნამგალივით არა მამწვრიალამ!

გ ი ო რ გ ი — (იციანის მხარზე ხელი მოხვია) ჩემო გიავ, შენ ისევე ანეროკასთან აპირებ ანგარიშს?... ვიეტნამი, ბიჭო, ვიეტნამი...

გ ი ა — პო, პო, ვიეტნამი... (უბიდან ქალაღდი და ფანქარი ამოიღო) თუ არ დავიწერე, ე რჯულძაღლი, სუ ერთთავად მავიწყდება!

(გიორგი, სიმონი და გი ა მოფარნენ).

ი ა ს ე — (გამწარებული მკერდზე მკილს იცემს) აგე, ისინი მიაცილებენ, მე კი... ვაი შენ ჩემო თავო!.. გაიგონე? გულნატკენი ვარო... რათა კაცო, რა სირცხვილში ჩამაგდო იმ სატილო თეთრმა ვარსკვლავმა!..

(ცეცხლთან ერთმანეთზე მიურილ ხურჯინებთან პური და ყველი ამოიღო).

ნ ი ნ ო — თეთრმა ვარსკვლავმა რა დაგიშავა? შენს თავს დააბრალებ...

ი ა ს ე — (გამწარებული) როგორ თუ რა დამიშავა?... მთელი ჩვენი ხალხი იმან არია... შენმა ნათლიჯალაბმა დარეჯანმა იცი, მაშინ რა მითხრა? სანამ ის, თეთრი ვარსკვლავი ამ ქვეყანაზე ზოგინობს, სოლომონი ვერ მოისვენებდსო, ლამის აქედან ავიყარნეთო!.. ისინი ზო გაამწარა და გაამწარა, ახლა თვითონ გიორგი დალუბა... მაგის მიზეზით არ მოხსნეს აქედან?... საწყალი ჩვენი ნიკიფორე ბულალტერიც იმან არ გადაიყოლა?... ახლა ჩემი ამბავი თქვი! ამ ქვეყანაზე უმადური კაცი არა მყოლია, შენ თვითონ იცი, გიორგის როგორ ვუყვარდი, ეხლა კი კაცისთვის თვალეებში ვეღარ შემიხედნია... აი, მაგ თქვენმა ვარსკვლავმა რა დააშავა!.. ქვეყანაზე რაც ღმერთის გაჩენილი არ არი, ყველაფერს ეშმაკის სული უდგა... ნახავ მაგ სატილომ თუ კიდევ რამე ცოდვა არ დაატრიალოს! (ლუკმა მოსტეხა) რათა კაცო რათა, ვარდი დასთესო და ეკალი მოვიდეს?... (ხეცს გადახედა) ბიჭოს, ეს რა არის? რამოდენა მდინარე წამოსულა!

(სწრაფად დაეშვა ბილიზე, თვალს მიეფარა).

წივოს, ელე ანათებს, ნინო ცეცხლს შუას უფეთებს, ზოლილ ცას შესცქერის).

ნ ი ნ ო — (ნაბადი თავზე მოიხურა) გააპირა საქმე, ჩააქრობს, მაშ რა ჯანდაბა იქნება!..

(ცეცხლს უბერავს. სიმონი და გი ა შემოდიან).

ს ი მ ო ნ ი — (ნინო დაინახა, გულიანად გადაიხარხარა) შეუბერე, კარგად შეუბერე... აი, ეს კი უკაცრავად, ქალბატონო! საბერველით გაჩაღებული ცეცხლი გულს ვერ გაათბობს...

გ ი ა — (გულუბრყვილოდ) ბიჭოს, საბერველით რა ბედენაა?... ცეცხლი — ცეცხლია, ენთოს კია და!..

ნ ი ნ ო — (წყენით) გმადლობ, ყმაწვილო, შენს გულს მართლა ვერაფერი გაათბობს...

(მეიდან გაბული სტენა და ძახილი მოისმა, გი ა მაშინვე უფსკრულის თავზე გადადგა).

გ ი ა — (გაოცებული იცქირება) პა-პა-პა, რამოდენა წყალი... ყოჩაღ, მე და ჩემმა ღმერთმა, ძია იასე როგორ კალმახებივით ისერის ცხვრებსა! (შეშინებულმა ერთბაშად შესძახა) ჰარიქა, სიმონ, მგონი საცდელი ფარა გაუტაცნია!..

(უკანმოუხედავად გადაეშვა ხეში).

(სიმონი და ნინო უმაღვე უფსკრულის თავზე გაჩნდნენ).



ს ი მ ო ნ ი — (შეშფოთებული) ნამდვილად ჩემი ფარაა.. აგერ, მამაშენი მდი-
ნარეში!.. შენი კირიმე იასე, ყოჩაღი..

ჩემზე დაეშვა, თვალს მიეფარა).

ნ ი ნ ო — (შეშინებული მდინარეს დასცქერის) აგერ ტალღამ წააქცია... არა,
ისევე წამოდგა... თანდათან მატულობს... მეორე ფარაშიც შევარდა!
ღმერთო ჩემო, სიმონი!.. (შეპკივლა) გიავ, რას სჩადიხარ? (თვალეზე ხე-
ლი აიფარა).

(ჩამოღამდა. წვიმა მატულობს. უფსკრულის თავზე მარტოდ დარჩენილ ნინოს მხოლოდ
ელვა ანათებს, ისმის გაბმული სტენა, ძახილი: „ზვედიან მოუარე“... „მანდ მორევი!“
„ოოკი ვადადედეო!“ ბილიკზე ძლივს მოაბიჯებს გაღუმეული ისე ეტყობა გათოშილა.
ცეცხლთან ისე მივიდა, ნინოს არ შეუმჩნევია).

ა ა ს ე — (გაქივებულ ახალბუნს იხდის) ნინო, გოგო, სად ხარ?

ნ ი ნ ო — (უშალ მიირბინა, ხურჯინიდან მშრალი ახალბუნ ამოაძრო) ვინ იცის,
გაიყინე!..

ა ა ს ე — წყალი კი არა, ყინულია... თავით ფეხთამდე გაშიარა... (ახალბუნ
ჩაიცვია, ცეცხლს მიუჯდა) ემანდ ხურჯინში არაყია, ჩქარა შენს გაზრ-
დას, კაცი აღარ ვარ...

(ნინომ ხურჯინში ბოთლი მონახა, პატარა ყანწი ააესო, იასეში გადაქრა, ახალ-
გაზრდა მწვემსმა ბილიკი ამოირბინა, წამით შესდგა, მდინარეს გადახვდა).

ა ბ. მ წ ყ ე მ ს ი — (დაფეთებული ხურჯინებს ეცა) ილუბება, კაცო; ნამდვი-
ლად ილუბება!

ი ა ს ე — რა ილუბება, ბიჭო, ვინ ილუბება?..

ა ბ. მ წ ყ ე მ ს ი — (დიდი საბელი მონახა, გარბის) თეთრი ვარსკვლავი
წყალმა წაიღო, გია გადააყვია და ისიც გაიტაცა... (უფსკრულის პირას
შესდგა) სიმონ.. „ალექსი...! ამა, საბელი! (გასტყორცნა, დაღმართი ჩა-
ირბინა).

ი ა ს ე — (ზარდაცემული წამოვარდა) რაო, გია ილუბება? (უნებლიედ) ვაი
შენ ჩემო თავო, ეს რა ვქენი?

ნ ი ნ ო — (გაოგნებული) ეგ რა სთქვი, მამავ!.. ნუთუ შენ?..

ი ა ს ე — (შეშინებული) ჩუმად, შეილო!.. მეც არ ვიცი რა მოხდა... ორმოცი-
სამოცი ცხვარი ნაპირზე გადმოვადგე... ამ დროს ის ცოდვიანი თეთრი
ვარსკვლავი მომაგდო ტალღამ, დაეკვირე კიდევ... მერე აღარ მახსოვს,
რა მოხდა... (თქმა უპირის) მდინარემ როგორ გამომაცალა ხელიდან...
(თავს ვეღარ იღებს) ვაი შენ ჩემო თავო, ის ბიჭი რო დაილუბოს, ამ
ქვეყანაზე როგორღა ვიარო?..

ნ ი ნ ო — (მიხვდა) მამავ, ეს რა ჩაიდინე?!

(სიმონსა და მწვემსებს მკლავებზე დასვენებული გია მოაქვთ).

ი ა ს ე — (შეშფოთებული წამოიჭრა) კაცებო, ხმა ამოიღეთ, გამაგებინეთ —
შვედარია თუ ცოცხალია?..

ს ი მ ო ნ ი — ჩუმად... ჩუმად...

(ცეცხლის პირას ნაბაზე დაასვენეს, ნინომ საუფლო გაუხსნა, ჩანთიდან პატარა
ბოთლი წამალი ამოიღო, ცხვართან მიუტანა, მერე მიჯა გაუსინჯა).

ნ ი ნ ო — (საერთო ღუმილი. ნელა, ძალიან ნელა სთვლის) ერთი... ორი...

- გ ი ა — (თვალეში გაახილა, ძლივს წარმოსთქვა) ის... თეთრი ვარსკვლავი... რაღა იქნა?..
- ი ა ს ე — (შევებით ამოისუნთქა) შენი ჭირის სანაცვლო იყოს, ბიჭო, რაკი ცოცხალი ხარ!..
- გ ი ა — შაშ, რად გადამარჩინეთ?.. გიორგის რა ვუთხრა?.. პირზე როგორ-ღა შევხედო?.. (პირქვე დაემხო).

ფ ა რ დ ა .

მოკმედება მისამი

მ ე ე ქ ვ ს ე ს უ რ ა თ ი

სვენზე ორი ოთახია: პირველი, მარცხენა — ეშაძის კაბინეთი ფარდაჩამოფარებულ ფანჯრებით და ერთფეროვანი, მაგრამ ძვირფასი ავეჯით. მეორე, მარჯვენა — შირიკ მისაღები ოთახი. კაბინეთში საწერ მაგიდას წითელ სუფრაგადაფარებული სტა მოგობა შეიგია აქვს მიღებული. საწერ მაგიდაზე ჩვეულებრივ მოწყობილობას ვარდა, რამდენიმე სტელეფონო აპარატი მოჩანს. კაბინეთის ერთი კარი მისაღებ ოთახში გადის, საიდანაც მას პირადი მდივნის პატარა საწერი შეიგია აქვს მოღებული. კედლებთან ვენური სკამებია ჩამწკრივებული.

ფარდის ახდისას ეშაძე საწერ მაგიდასთან გაზეთებს ათვალიერებს. მისაღებ ოთახში ცილა თავალებლად წიგნს კითხულობს.

- ც ი ა ლ ა — (ტელეფონის გაბმული ზარი, პასუხის გაცემა ეზარება) უჰ, ვინც ეს ტელეფონი მოიგონა! (მილი უგუნებოდ აიღო) ალო, დიახ... საიდან ხართ? ამხანაგ ეშაძეს არ სცალია, თათბირი აქვს... (მილი დასდო, კითხვა განაგრძო, ალტაცებულმა წამოიძახა) კაკაია პრელესტ... აი, სიყვარული ამას ჰქვიან!.. (ტელეფონის ზარმა ისევ დაიწყიალა, გამწარებულმა წიგნი დაავლო) რამდენ ხანს ვუცდიდი, ძლივს ქალ-ვაჟი მარტონი დარჩნენ ოთახში და სწორედ მაშინ ასტეხეს ზარის რეკა! (მილი აიღო) დიახ... თათბირი აქვს, ბატონო, თათბირი... არ ვიცი, მე არც დაწყებას მეკითხებიან და არც დამთავრებას!..

(ჩანთის სარკეში კოშაობს, ნიკიტორემ ფრთხილად შემოალო კარი).

- ნ ი კ ი ფ ო რ ე — ბოდიში, ბატონო, კიდევ და კიდევ ბოდიში, პატივცემულ მინისტრის მოადგილესთან თუ შეიძლება!
- ც ი ა ლ ა — (ისევ სარკეში იცქირება) არ სცალია, თათბირია...
- ნ ი კ ა ფ ო რ ე — (შელონებული) გუშინწინაც, გუშინაც, დღესაც თათბირი — ამისთანა უსაშველო რა შეიქნა, ბატონო?
- ც ი ა ლ ა — ხომ ვითხარით, თათბირია!
- ნ ი კ ი ფ ო რ ე — ბოდიში, ბარა, მე გავთავდი ამდენი ლოდინით და ეს დასაწევი თვითონ თათბირი არ გათავდა?! (გულმოსული გატრიალდა, კარებში სამსონი შეეფუთა, იგი ეშაძის კაბინეთისაკენ მიექანება) სამსონ ივანიჩ, სამსონ ივანიჩ! (უკან გაეყოლა).
- ს ა მ ს ო ნ ი — (არც კი მიხედა) არ შემძლიან, ახლა შენთვის არ მცალიან! (ნიკიტორეს ცხვირწინ მოუხურა კარი).



- ნ ი კ ი ფ რ ე — (გაწვილებული) როცა ვკირდებოდი, ზანდუკელს ქვედაში ძალათ მიმიყვანა, სუფრაზე უშველებელი ტოსტი მითხრა, ვაზლად ჩუფთყუნ არ შემომხედდა... აგია კაცობა?! თუმცა ახია შენზე, ნიკიფორე, კიი სამსახური და კიი უფროსი ხომ არ გინდოდა? ჰოდა, იარე ახლა შაბათის გლახასავით! (გაწწარებული გავიდა).
- ს ა მ ს ო ნ ი — (საუბარს განაგრძობენ) ჩვენ რომ ზომები არ მიგველო, გიგაურსაც სწორედ ეს უნდოდა, — გამოღმა გამოგვედავებოდა, ალგეთის უბედურებას ჩვენ დაგვაბრალებდა.
- ვ ა შ ა ძ ე — პრაქტორი რას ამბობს?
- ს ა მ ს ო ნ ი — მასაც ექვი ეპარება, რომ ეს მხოლოდ უბედური შემთხვევაა და მეტი არაფერი... ან ეს როგორ შეიძლება უბრალო შემთხვევა იყოს?... განა ერთი და ორი ფაქტი ადასტურებს, რომ ყველაფერი ეს, შესაძლებელია, წინასწარ განზრახვით არის მოწყობილი?
- ვ ა შ ა ძ ე — ხომ იცი, გიგაური ადვილად ასაღები ციხე არ არის... რის დამტკიცებასაც ვერ შევძლებთ, სჯობია თავიდანვე არც ვახსენოთ.
- ს ა მ ს ო ნ ი — რა თქმა უნდა? მე გთხოვთ გულდასმით დააკვირდეთ! მართალია, მთაში სწრაფად შეიცივალა ამინდი, მაგრამ რატომ მაინც და მაინც სიმონ მენაბდემ გადაიკლა თავი, ფარები დაუყოვნებლივ დაგვეძრა ზამთრის საძოვრებისაკენ? ბოლოს და ბოლოს ის მხოლოდ ფერმის გამგეა და მეურნეობას რომ ეზარალნა კიდეც, მას ვინ მოსთხოვდა პასუხს? შემდეგ ამისა, თვითონ ვაჟბატონი გიგაური იმ ღამით რამ მიიყვანა ალგეთის პირას? რომელი მოხსნილი დირექტორი იწუნებს თავს იმ საქმეზე, რასაც ოდესღაც განაგებდა? თუ პირიქით უზარაან კიდეც, როდესაც მისი წასვლის შემდეგ ეს საქმე ზიანდება! მხედველობაში იჭონიეთ ის გარემოება, რომ ამ საეკვო სტუმრობის შემდეგ, მენაბდემ მწყემსები ვითომ საქმეზე გაგზავნა და გიგაური მანქანასთან მარტომ მიაცილა, მათი საუბრის შინაარსი რომ არავის შეეცყო...
- ვ ა შ ა ძ ე — საუბარი არ ვიცი, მაგრამ გიგაურის იმღამინდელი სტუმრობა კი, ნამდვილად დამაფიქრებელია.
- ს ა მ ს ო ნ ი — (დაბეჯითებით) როგორ?... ისიც შემთხვევითია, რომ სიმონ მენაბდე უბედურების ადგილას მხოლოდ მაშინ გამოცხადდა, როდესაც მისი ფარა უკვე მდინარეს მიჰქონდა?! ან კიდე იქნებ ის არის შემთხვევითი, რომ ნიაღვარმა პირველად სწორედ საცდელი ფარა გაიტაცა და მთელი იმ ფარიდან მხოლოდ ის, ერთადერთი თეთრი ვარსკვლავი დალუპა?!
- ვ ა შ ა ძ ე — კი, მაგრამ, მისი დალუპვა რატომ უნდა ნდომებოდათ? ეს რაღაც საეჭვოა...
- ს ა მ ს ო ნ ი — რატომ და თვითონაც საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ თეთრი ვარსკვლავის შთამომავლობა საესებით დაადასტურებდა პროფესორ ზანდუკელის დებულებას, მაშასადამე, ამ ცდებზე გაწეული ხარჯები წყალში გადაყრილი აღმოჩნდებოდა და, ცხადია, ჩვენ მარტო მისი სატუშაოდან მოხსნით არ დავემყოფილდებოდით!.. ახლა კი, მას შეუძლიან თავი დაიძვრინოს.
- ვ ა შ ა ძ ე — მერე? დანარჩენი ფარებში სრულიად არ იყო ზარალი?
- ს ა მ ს ო ნ ი — ძალიან ცოტა, სულ რაღაც ორმოცდათორმეტამდე... ისაც ხომ შემთხვევითი არ არის, გიგაურმა რომ ჩემთან ჩხუბის დროს უნებლიეთ

წინასწარ ვასცა თავისი თავი, — გახსოვდეთ, ხელცარიელნი დარჩებითო!..

გინგლინიონეჟა

- ვ ა შ ა ძ ე — მოიცა, მოიცა... როგორ თუ ხელცარიელნი დარჩებითო?..
- ს ა მ ს ო ნ ი — ჩანს სიმონ მენაბდემ პროვოკაციულად ჩააწვეთა — ვითომ მე და თქვენ მისი შრომის მითვისებას ვაპირებდით... სახალზოდ ვაპლანძღა, თვითონ სოლომონ ზანდუყელის ქალიშვილი უსმენდა, — ვიცი თქვენ რაც გინდათ, მაგრამ ხელცარიელნი დარჩებითო!..
- ვ ა შ ა ძ ე — ჩემზედაც სთქვა?
- ს ა მ ს ო ნ ი — თქვენზეც, ჩემზეც, — ორივეზე ერთად...
- ვ ა შ ა ძ ე — (გულმოსული) არამზადა! მაშ ასე ბრძანა, ხელცარიელნი დარჩებითო? აი, ეს კი, ნამდვილად საბუთია! (საუბარს განაგრძობენ).
- (მემოდის ირავლა მეგვაბიშვილი, ცილა ისევ წიგნს კითხულობს).
- ი რ ა კ ლ ი — ამხანაგ ვაშაძეს მოახსენეთ — მექვაბიშვილი არისთქო.
- ც ი ა ლ ა — არ სცალია, თათბირია...
- ი რ ა კ ლ ი — ტელეფონით ველაპარაკე, ორი საათისთვის დამიბარა, აი, სწორედ ორი შესრულდა.
- ც ი ა ლ ა — (წიგნი უკმაყოფილოდ დახურა, ჩანთის სარკეში თმა და წარბები შეისწორა, ტუჩებზე საღებავი წაიციხა და ასე გონია ვინმეს ეწონებო, კაბინეტის კარი შეაღო) მექვაბიშვილი გაზღავთ, ორი საათისათვის დამიბარებიათ.
- ვ ა შ ა ძ ე — გამოუშვით... (ცილამ კარებშივე გზა მისცა ირაკლის) კარგდროს მოხვედით, თქვენი აზრი საინტერესოა...
- ი რ ა კ ლ ი — (ორივეს ხელი ჩამოართვა, დაჯდა) ამხანაგი მენაბდე დაუპატიმრებიათ, მე ეს გაუგებრობად მიმანჩია.
- ვ ა შ ა ძ ე — დაპატიმრება არ ვიცი, საერთოდ კი, მგონია, ჩვენს ღონისძიებებს კმაყოფილებით შეხვდებით... ალგეთის ამბავს, თავის თავად ცხადია, ხელმძღვანელი ორგანოები შეიტყობენ, ეხლავე რომ არ მივიღოთ საჭირო ზომები, ბოლოს ჩვენ თვითონ მოგეთხოვენ პასუხს...
- ი რ ა კ ლ ი — ზომები კარგია, მაგრამ გამოძიება თავიდანვე ცალმხრივად იწყება, ეს კი — საქმისათვის საზიანოდ მიმანჩია... მაგალითად, ჩემთვის გაუგებარია რა დააშავა ამხანაგმა მენაბდემ?..
- ვ ა შ ა ძ ე — ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უბედურების დროს თავის პოსტზე არ აღმოჩნდა.
- ი რ ა კ ლ ი — კი, მაგრამ მაინც დროზე მივიდა, მისი ფერმიდან მხოლოდ ერთადერთი თეთრი ვარსკვლავი დაიღუპა, ერთადერთი!
- ვ ა შ ა ძ ე — საქმეც იმაშია, ის ერთადერთი სწორედ თეთრი ვარსკვლავი აღმოჩნდა!
- ი რ ა კ ლ ი — თქვენ ჰფიქრობთ... წინასწარი განზრახვაა?..
- ვ ა შ ა ძ ე — (ღირსებით) ჩვენ მოვლენებს უფრო ღრმად უნდა შევხედოთ... რა არის შეუძლებელი?
- ი რ ა კ ლ ი — მაშინ, მით უმეტეს, რა შუაშია მენაბდემ?.. მე არა მგონია, მაგრამ ამ შემთხვევაში ბოროტების ფესვები იქ უნდა ეძებოთ, სადაც ამ საქმეს უგულობა, წინააღმდეგობა ხედებოდა!
- ს ა მ ს ო ნ ი — (წამოვარდა) თქვენ შეურაცხყოფას აყენებთ პროფესორ ზანდუყელს... ან იქნება მე მამბრალეებო?.. სირცხვილი!



- ი რ ა კ ლ ი — დამშვიდდით, ამხანაგო სამსონ, და იმას ნუ მომაწერეთ რაც ახრადაც არ მომსულია, — ავი თავიდანვე განაცხადე, არა ვგუფობ მკითხველს.. სამაგიეროდ პირდაპირ უნდა გითხრათ, რასაც თქვენ გაბრალებთ, — არ ვიცი რატომ, მაგრამ თქვენ მეტისმეტად გეჩქარებოდით გოგურას სამუშაოდან მოხსნა... ვთქვათ, მან ეს დაიმსახურა კიდევ, მაგრამ ვერ სამაგიერო კაცი უნდა მოგენახათ!
- ს ა მ ს ო ნ ი — თქვენ იცით, — ჩვენ კანდიდატი გვყავდა...
- ი რ ა კ ლ ი — (ირონიით) კიდევ კარგი, მან თვითონ განაცხადა უარი, თორემ დღეს დანიშნავდით, ხვალ — დასაპატიმრებელი გაგიხდებოდით! და ბოლოს რა მოხდა? გიგაური მოხსენით, მისი მოადგილე იქ არ იყო და თვითონ მოვიხდათ იმ საქმის გაძლოლა რომელსაც თავი ვერ გაართვით, ვთქვათ ერთი ფეხით ადრე არ ჩამოივლიდა გიგაური? მაშინ ხომ ნამდვილი უბედურება დატრიალდებოდა...
- ს ა მ ს ო ნ ი — (ვაშაძეს) ავი გითხარი! ხედავთ, გამოღმა გვედავებიანი?
- ი რ ა კ ლ ი — (მტკიცედ) თუ სიმონ მენაბდემ იმ ღამეს მხოლოდ რამდენიმე წუთით დაიგვიანა და ამას დანაშაულად უთვლით, მაშინ თქვენ გაცილებით მეტი დანაშაული ჩაიდინეთ, — ალგეთზე მხოლოდ მეორე დღეს მიხვედით!
- ს ი მ ო ნ ი — (აღელვებული) თქვენ შეურაცხყოფას მაყენებთ... ეს გიგაურის ინტრიგებია!..
- ვ ა შ ა ძ ე — (წამოდგა) რასა ჰგავს ეს? (ორივეს მკაცრად) სადა გგონიათ თავი? ესლა ჩემთვის ნათელია, — თქვენს ინსტიტუტში ყველაფერი რიგზე არ არის... (სამსონს) ცუდად მუშაობთ ამხანაგო ნებიერიძე, ცუდად!.. (სამსონი გაოცებული მისჩერებია) რაც შეგეხებათ თქვენ, ამხანაგო მეტყვებიშვილო, იმის მაგიერ, რომ დაწესებულების ხელმძღვანელს ეხმარებოდეთ, ინტრიგებს აწყობთ მის წინააღმდეგ... დიას!
- ი რ ა კ ლ ი — მე მხოლოდ მინდა სიმართლე გამოიჩვენოს...
- ვ ა შ ა ძ ე — ნუ სწუხდებით, ჩვენ თვითონ გამოვარკვევთ.. ამხანაგო ნებიერიძე, თქვენ აქ მოიცადეთ და თან წაიღებთ ბრძანებას საყვედურის შესახებ, რომელსაც ალგეთის გამო გიცხადებთ პირადად თქვენ... (მეტყვებიშვილს) თავისუფალი ხართ.
- ი რ ა კ ლ ი — ამხანაგ მენაბდის შესახებ არაფერს მეტყვით?
- ვ ა შ ა ძ ე — (მკაცრად) სჯობია ვექილობას თავი გაანებოთ და თქვენი საქმე აკეთოთ... თავისუფალი ხართ.
- ი რ ა კ ლ ი — არ მეგონა თუ ამ შესანიშნავ დაწესებულებაში ბიუროკრატი იქნებოდა მოკალათებული... მე წავალ, მაგრამ ბოლოს ინანებთ!.. (გაბრუნდა, კარი მაგრა გაიხურა).
- ვ ა შ ა ძ ე — (სახტად დარჩა) ხომ გაიგონე?.. მე მაგას ვაჩვენებ სეირს!.. (გაბრაზებულმა ოთახში ბოლთა დაჰკრა, შეშინებული სამსონი მას თვალენში შესცქერის) რამ შეგაშინა?
- ს ა მ ს ო ნ ი — გიგაური რომ შეიტყობს, ქორწილს გადაიხდის...
- ვ ა შ ა ძ ე — (სამსონს მეგობრულად ხელი მოხვია) სწორედ იმიტომ გავაყეთე, რომ გიგაურმა შეიტყოს...
- ს ა მ ს ო ნ ი — (გახარებული) მაშ, ბრძანებას აღარ დასწერთ?
- ვ ა შ ა ძ ე — როგორ არ დაუწერ? ხომ გაიგონე მეტყვებიშვილმა რა ბრალდება წამოგიყენა? შენთვისაც, ჩემთვისაც უკეთესია, თორემ სხვანაირად, ვინ

იცის, რას არ იფიქრებენ!.. ბრძანების გაუქმება კი თუ საქმემ მოითხოვა, შეძლევ ისევე ადვილია, როგორც მისი დაწერა... (საუბარს განაგრძობენ).
(მისაღები ოთახის კარი დარეჯანმა და თინათინმა შემოაღეს, ციალამ თვალი შეასწრო წივი დაადგო და ღიმილით შეეგება).

დ ა რ ე ჯ ა ხ ი — (მიუაღერსა) ჩემო ცილა... როგორ ყოველდღე ლამაზდები!.. (ვაშაძის კაბინეთზე აჩვენებს) შეიძლება?

ცი ა ლ ა — თქვენთვის ყოველთვის შეიძლება. (დარეჯან და თინათინი ვაშაძესთან შევიდნენ).

ვ ა შ ა ძ ე — (მაძინვე წამოდგა, კარებში მიეგება) მობრძანდით, მობრძანდით...

დ ა რ ე ჯ ა ხ ი — თქვენს დაუკითხავად შემოველით!..

ვ ა შ ა ძ ე — როგორ გეკადრებათ! (სკამები შესთავაზა, გრძელ მაგიდას მოუსხდნენ).

თ ი ნ ა თ ი ნ ი — ეინ იცის, რამდენი საქმე გაქვთ... ჩვენ მხოლოდ ერთი საათით, — მეტი არა!

ვ ა შ ა ძ ე — რას ბრძანებთ?.. რამდენ ხანსაც გნებავთ!

დ ა რ ე ჯ ა ხ ი — (ვიდრე იტყოდეს, ვერ მოუსვენია) წარმოიდგინეთ, ბატონო ანდრო, ვაებატონი გიგაური ალგეთის ამბავს თურმე სოლომონსა და თქვენ ორივეს გაბრალებთ!..

თ ი ნ ა თ ი ნ ი — უსინდისო! (საუბარს განაგრძობენ. დარეჯანი ხელებით უფრო მეტს ლაპარაკობს, ვიდრე ენით).

(მისაღებ ოთახში გ ი ო რ გ ი შემოვიდა).

გ ი ო რ გ ი — ამხანაგი ვაშაძე, თუ შეიძლება ვნახო?

ცი ა ლ ა — არ სცალია, თათბირია...

გ ი ო რ გ ი — გუშინ დაგირეკეთ, — თათბირი ჰქონდა, დილას დაგრეკე, — ისევე თათბირი იყო... თუ შეიძლება, მეტად საჩქარო საქმე მაქვს!..

(კარებისკენ მიდის).

ცი ა ლ ა — ხომ მოგახსენეთ, თათბირია...

გ ი ო რ გ ი — ალბათ ის თათბირიც ჩემს საქმეს შეეხება, რომ არ დავესწრო, შეუძლებელია!

ცი ა ლ ა — არ შეიძლება მეტი, ასჯერ ხომ არ გეტყვი, თათბირია!

გ ი ო რ გ ი — (მოთმინებადაკარგული) თქვენც გააჰიჩრეთ საქმე... თათბირია და მეც იმ თათბირზე შევალ! (უცებ შეალო კაბინეთის კარი და იქვე გაჩერდა, მწარე, გამანადგურებელი დაცინვით) ბოლოში, არ შეგონა... მართლა თათბირი გქონიათ! (კარი სწრაფად გაიხურა).

ფ ა რ დ ა

შ ე შ ვ ი დ ე ს უ რ ა თ ი

გიორგის ბინაზე უბრალოდ მოწყობილი ოთახი. მარჯვენა კედელთან ფარდაგადაფარებულ ტახტი, მუთაქებითა და პატარა ბალიშებით. მარცხენა კედელთან საწერი მაგიდა, სანახევროდ წიგნებით სავსე, რომელსაც გვერდით აგრეთვე წიგნებით სავსე კარდა აქვს მიდგმული. შუა ოთახში — მრგვალი მაგიდა წყლის გრაფინითა და კიჭით.

ფარდის ახდისას ღრმა ფიქრში წასული გ ი ო რ გ ი ფანჯარაში ელექტრო-სანათურებით გაჩრდილებულ თბილისს უცქერის.

გ ი ო რ გ ი — (ფანჯარას მოსწყდა, საწერი მაგიდასთან გულდასმით ჩაათვალიერა დაწერილი ფურცელი, ფაქიზად დაკეცა და კონვერტში ჩასდო. წამით შესდგა, დაფიქრდა) არის კი საჭირო? ვთქვათ, არავის მიეწერე,



დავიჯერო — სასამართლომდე მიმიყვანენ?.. (მტკიცე გადაწყვეტილებით) დაე, მიმიყვანონ... იქნებ უკეთესი იყოს! (წერილი ნელა გახსნა, თითქოს დასახვეად არ ემეტებოდა, ნახევები ერთმანეთზე დააწყო, ფანჯარა გამოაღო და ქუჩაში გადაჰყარა). წერილს რაღა ფასი აქვს, — ჩემი ვარსკვლავი აღარ არის... (გულნატკენი) ჯეირანივით ყელმოღერებული რომ დამინახავდა შორიდან და ჩემსკენ გამოქანდებოდა... თავის ენაზე მესაუბრებოდა, მიაღერებდა და სამაგიერო აღერსის მოლოდინში ბავშვივით შემომცქეროდა თვალებში... ყოჩანივით დამჩხავლა ზანდუკელმა, — როგორც მოულოდნელად ამოვიდა, ისე მოულოდნელად ჩაჰქრებო... და აი, ჩაჰქრა კიდევც!.. (დაჯდა, ფანჯარის პირს იდაყვით დაეყრდნო). საცდელმა ფარამ მაინც არ მიღალატოს... როგორ დავიჯერო — ერთი ხუთიოდე, სამი, ორი მაინც არ გამიმართლებს? თუ არა და, მაშინ უყურეთ ზანდუკელს, მისი თვალით უხილავი გენები ცრუმეცნიერების სანაგვეზე როგორ ერთბაშად ჭია-ლუასავით დაიწყებენ ფუფუნს, რომ აღამიანს მცირე ხნით მაინც კიდევ შეუკრან ხელები ბუნებასთან გამართულ კიდილში... საცოდაუები!

(შემოდის ირაკლი, ფანჯარაზე თავდახრილ გიორგის იგი არ შეუმჩნევია).

ირაკლი — (კარებში შესდგა, გიორგის გულის ტკივილით დააცქერდა და მისთვის მყუდროება რომ არ დაერღვია, თითქმის ჩურჩულით მიესალმა) გამარჯვება გიორგი!

გიორგი — (გახარებული უმაღლესად) სწორედ შენზე ვფიქრობდი!..

(მევიგება, ხელი ჩამოართვა).

ირაკლი — აღბათ შემდგური, მაგრამ ვერ მოვიცალე... შენ თვითონაც გარეთ აღარ გამოდიხარ... ბოლოს და ბოლოს რა მოხდა? ზოგს შეილი უკვდება და ურიგდება, ის ხომ — რაც უნდა იყოს, მაინც ცხვარი იყო!

(შეა მაგიდას მოუსხდნენ).

გიორგი — მაგიტომ არა, ირაკლი...

ირაკლი — მაშ, სამუშაოდან რომ მოგხსნეს?

გიორგი — ძალიან სულმოკლე გგონებივარ, ჩვენს ქვეყანაში კაცი სამუშაოზე დაღონდება? მე სიმონის საქმე მაწუხებს, ირაკლი... ღმერთი არ არის? მთელი მეურნეობის საუკეთესო მუშაკს საქმისადმი გულგრილობას, დაუდევრობას აბრალებენ და წარმოიდგინე, აბატიმრებენ კიდევ! ხომ გახსოვს ვიღრე თეთრი ვარსკვლავი დაიღუპებოდა, სრულიად არაფრად მიიჩნდათ, ესლა კი — განჯაში ასტეხეს, — მას ჩვენი მუშაობისათვის მომავალში მეტად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა... ამით უნდათ სიმონის დანაშაული როგორმე გააზვიადონ, რადგანაც ნებიერიძეს თვითონ ემინოდა მისი სამარცხვინო ბრალდებისა! (მოულოდნელად ნატომ შეაღო კარი, ყველაფერზე ეტყობა უბრალო სოფლელი ქალია) დეიდა ნატო!.. (მევიგება).

ნატო — (კარებშივე შესდგა, ირაკლი რომ დაინახა შეყოყმანდა, მაგრამ მღელვარებამ სძლია და ცრემლომორეული თვალები მკაცრად მიანათა გიორგის) დეიდას ნულარ მეძახი, ჩემი სიმონის დამღუპველი შენა ჰყოფილხარ!

გიორგი — (სახტად დარჩა) რასა ბრძანებ, დეიდა ნატო?!

ნ ა ტ ო — (მღელვარებისაგან ძლივს ლაპარაკობს) ერთადერთი შეცვლილი ძლივს გავზარდე, მიხაროდა, ბედნიერი დედა ვარ-მეთქი... ამ უმღელვარეს ვარ ვიცი ისე რად უყვარდი, შენი გულისათვის ცეცხლში ჩაღებოდა და აი, თვალი დაუდგეს, აჟი ჩააგდე კიდევ ცეცხლში!..

(ირაკლი გაოცებული მისწერებია ნ ა ტ ო ს).

გ ი ო რ გ ი — (გაშტერებული) რა ვქნა, ვერაფერი გამოვიდა...

ნ ა ტ ო — (გამწარებულმა ირაკლის გახედა) მე არ ვიცი ეს კაცი ვინ არის, მაგრამ ვინც უნდა იყოს აღარავისი მერიდება... ლამის გავგიჟე დედა-კაცი... თუ იმ შენი ვარსკვლავის დაღუპვა გინდოდა, რატომ თვითონვე არ მოუღე ბოლო?... ჩემი შვილი რად შეაცდინე?

გ ი ო რ გ ი — (მიხვდა) მაგას რას ამბობ, დეიდა ნატო?! (გულნატენი) გესმის, ამხანაგო ირაკლი?!

ნ ა ტ ო — ვიცი, ყველაფერი ვიცი... თვითონ ნებიერიძესთან ვიყავი, ვინც ჩააგონა, სთქვას და ხელზე გაანათვისუფლებენო... შენ იმედი გაქვს — ჩემი შვილი არ გაგცემს და არხეინად ბრძანდება, მაგრამ დედა ვარ და გული მტკივა... თუ თვითონ არ იტყვით ყველაფერს, იცოდე — ქვეყანას შევყრი... მთავრობას მიეწერ რა კაციცა ჰყოფილხარ, შენი გულისთვის ჩემი შვილი რად უნდა დაიღუპოს!..

(სწრაფად გატრიალდა).

გ ი ო რ გ ი — დეიდა ნატო... (ნატომ კარი მაგრა გაიხურა, გიორგი ერთხანს უძრავად დარჩა) შვილივით უყვარდი... რამდენი საწამლავი უნდა დაეხარჯათ, ამ ანგელოზივით დედაკაცს რომ ასე შეეძულებოდი?..

(შუა მაგიდასთან სკამზე დაეშვა).

ი რ ა კ ლ ი — (მხარზე ხელი მოხვია) დამშვიდდი, გიორგი... ხომ ჰხედავ, საწყალი ქალი როგორ გამწარებულაია!..

გ ი ო რ გ ი — რათა, რათა, ამხანაგო ირაკლი?... ჩვენმა პარტიამ საბჭოთა ქვეყანაში ძველი ცხოვრება სამუდამოდ მოშალა და ნუთუ ასე გამწვანდა მისი დამპალი ფესვების ძირიანად ამოთხრა, რომ იმ საძირებზე ნებიერიძის მსგავსი სარეველა ბალახი აღარასოდეს ამოვიდეს?!

ი რ ა კ ლ ი — განა არ იცი? ხის მოჭრა გაცილებით ადვილია, ვიდრე მისი ფესვების ამოღება...

გ ი ო რ გ ი — (მწარედ) აი თურმე რას მამბრალებენ... ესე იგი, — რასაც ჩემი გული და გონება შეეწირე, მევე მოვკალი?! (აღშფოთებული წამოდგა) არა, ეს უკვე მეტის მეტია!.. იქნებ შენც ეპვი გეპარება, ამხანაგო ირაკლი, და ამიტომ იქცევი ასე გაუბედავად?

ი რ ა კ ლ ი — (შეგობრულად) შენ რომ ჩემს მაგიერ ყოფილიყავი, რას იზამდი?

გ ი ო რ გ ი — რას ვიზამდი და, ბოლოს და ბოლოს მართლა ნებიერიძეს ხომ არ აბარია ჩემი სიცოცხლე, ჩემი ბედობალი?..

ი რ ა კ ლ ი — დამშვიდდი გიორგი, ვისაც ჩვენი ბედობალი აბარია, მან უკვე იცის ყველაფერი...

მერვე სურათი

ნინოს საცხოვრებელი ოთახი საბჭოთა მეურნეობაში. მარცხენა კედელთან — რკინის უბრალო საწოლზე ფაქიზად გასწორებული ლოგინი. მარჯვენა კედელთან — ასეთივე საწოლი. მის გვერდით სამუშაო მაგიდა, რომელზედაც წიგნები, სააღმთაიჭო ბოთლები და კეტექიმას ხელსაწყოებია ჩამწკრივებული. მის პირდაპირ ანთებული ბუხარი და ბუხრის თავზე პატარა რადიომიმღები. შუა ოთახში სასაძილო მაგიდა.

ლაშა. ფარდის ახდისას, ნინოს ბუხრის წინ მკლავებში უმწუვოდ ჩაურგავს თავი. მას გვერდით დაღონებული იასე უხის.

ი ა ს ე — მართალი ხარ, შეილო, შენთანაც დამნაშავე ვარ, გიორგისთანაც და ყველაზე მეტად სიმონთან... დამნაშავე ვარ და რა ექნა?.. აქი გეუბნები წავალ მეტეი ქალაქში, მივალ ნათლიაშენთანაც, ნებიერიძესთანაც და პირდაპირ ვეტყვი რაც მომიხდა, როგორც მომიხდა...

ნ ი ნ ო — რას ამბობ მამე, რას? იმას რა გათქმევინებს, რაც ჩაიღინე?!

ი ა ს ე — ღმერთი, რჯული, წინასწარ არ მიფიქრია, გოგო... იქნება გიორგის საყვედურმა გამამწარა... იქნება, ღმერთმა დასწყევლოს ის დედაკაცი, — შენი ნათლიჯალაბის შწარე სიტყვამ ამირია გონება... ან კიდევ — ის არ გასაჩენი რო დავიჭირე, იქნებ თითონ ეშმაკმა გამაშვევინა ხელოდან... არ მახსოვს მეტეი და რა ექნა? მტრობა რომ მქონოდა გულში, განა იმ გავიყვებულ მდინარეში შევარდებოდი?.. ვთქვით ის ერთი მართლაც დავლუპე, ერთ-ში ათს მივცემ, შეილო... მეტი რაღა უნდათ?!

ნ ი ნ ო — ეხლა რაც გინდა ისა ჰქენი... ამ ჩემ ცეცხლს კი, აღარაფერი ეშველებმა!..

ი ა ს ე — (შელონებული, წამოდგა) გეყოფა-მეთეი, გოგო... ხომ ჰხედავ, კაცი აღარა ვარ... თუ არა და, ქვევრივით პირდახურულმა როდემდე ვიარო?.. სულ ერთია, ჯგავრი დამახრჩობს — სანამ ჩემს სათქმელს ვიტყვოდე...

ნ ი ნ ო — რა სიტყვი, მამე? სირცხვილით როგორღა გავიღეთ ხალხში? გიორგი რას იტყვის, ან სიმონს როგორ უნდა შეხედო?.. სირცხვილს რომ გავუძლო კიდევ, ახლა შენი ციხის კარზე ვიარო?!

ი ა ს ე — მამ რა ექნა, შეილო... ქვის კაცი ხო არა ვარ?.. უღანაშაულო ადამიანი ჩემი გულისთვის ისჯებოდეს და ეგრე უსინდისოდ წყალი დავიგუბო პირში?!. არ შემიძლიან მეტეი, არა და არა!

ნ ი ნ ო — (ჰარბი აღერსით) კარგი, გენაცვალე მაგილო... ამ ორ დღეში თბილისში მივდივარ, მე თვითონ ვეტყვი გიორგის... სიმონს კიდევ, აქი გითხარი, დღეს-ხვალ გაანთავისუფლებენ-მეთეი...

(ხელა მოხვია, ბუხრის წინ სკამზე დასვა).

ი ა ს ე — (გამწარებული) რას ეფიქრებდი, კაცი სამსახურიდან მოხსნეს და გული მაინც იმ თეთრ ვარსკვლავთან დარჩებოდა თორემ თუნდა ზღვა მოვარდნილიყო, როგორ გავატანდი?.. მაგრამ, აქი ვამბობდი ცოდვიანია მეტეი... მამ იმ ერთმა უენო ცხოველმა ამდენ ადამიანის შეილა როგორ უნდა გაამწაროს?!

(შემოდის გა).

გ ი ა — (ხელში კონკრეტი შეატრიალა, ნინოსკენ გაქანდა) გიორგის წერილი! (გაუწოდა) შენი ჰირიშე, ერთი რას იწერება? (ნინო წერილს კიანხლობს) რა მოგივიდა, ქალო, ხმა ამოიღე.



- ნ ი ნ ო — (კითხვას განაგრძობს) დამაცადე, ბიჭო, არ წაეციოთხო?
- გ ი ა — ჰოდა წაეციოთხე.. (მოუთმენლად) რაო, როგორა ვარო?
- ნ ი ნ ო — გიას შეეხებეწე, თუ ჩემი სიკეთე უნდა იმ ფარას მიხედოს, დოლის წინ თოვლში არამც და არამც არ გაუშვას, სითბო და შერია არ მოაკლოსო...
- გ ი ა — ეჭვი, რა კაცია! მოვაცლებ კი არა, დღეს ორი ტომარა დაეუყარე!..
- ი ა ს ე — (გულნატყენი) რაღა ბაღს ავალებს?.. მამ მე ცოცხალი აღარა ვყოფილვარ! ვაი შენ ჩემო თავო...
- გ ი ა — სიმონზე კი არაფერს იწერება?
- ნ ი ნ ო — ეჭ, რა ვიცი... ვერაფერს დაუმტყიცებენო, მე ჩავჯდები და მას კი გავანთავისუფლებო...
- გ ი ა — შენი ჭირიმე, გიორგი!.. კაცო, იმ უღმერთოებს რამ აფიქრებინათ, რომ თეთრი ვარსკვლავი ძალად გავატანეთ მდინარეს?.. იასე ძია, შენ ხო იქ იყავი, სანამ სიმონი მოვიდოდა, მანამდე არ გაიტაცა ფარა?
- ი ა ს ე — (აბნეული) რა გითხრა, შვილო... კაცი ჩემს ჰკვავზე აღარა ვარ...
- გ ი ა — რა ვიცი, მე არა მგონია, მაგრამ თუ ეს ჩვენში ვინმემ ჩაიღინა, კაცი კი არა, — ძაღლი ყოფილა!..
- ი ა ს ე — (ათბქოს თავში ქვა დაჰკრესო, მხრები შეუთრთოლდა, წელში მოიხარა, ძლივსღა ჩაილაპარაკა) ძაღლზე უარესიც... უარესიც..
- (ნი ნ ო მ მამს გულის ტყვილით ვაძხედა, წერილი მაგიდაზე დაადო. შემოდის ეთერი, მას თავზე ჩაბალახი ჰჭრავს, თბილი პალტო და ჩემქმები აცვია, ხელში ბატარა ჩემოდანი უჭირავს.)
- ე თ ე რ ი — სტუმარი არ გინდათ?
- ნ ი ნ ო — (გახარებული მიეგება) ეთერი!
- (გადაკონა).
- ე თ ე რ ი — იასე ძიას გაუმარჯოს... გიავ, როგორა ხარ?
- (ორივეს ხელი ჩამოართვა).
- გ ი ა — (ცივად) არც ისე, როგორც მე მინდა, მეგრამ არც ისე, როგორც ჩვენი მტერს უნდა!..
- ე თ ე რ ი — კი მაგრამ, ჩვენი მტერი ვინ არი?
- გ ი ა — ვინა და, ვინც გიორგის მტერია, ის ჩვენი საქმის მტერია... ხედავთ, როგორ დომხალივით არიეს აქაურობა?
- ე თ ე რ ი — (ეწყინა) ეგ უკვე მეტის მეტია, გიავ!
- გ ი ა — განა არ ვიცი რისთვისაცა გწყინს, მაგრამ... თუ ღმერთი გწამს, ნუ მალაპარაკებ... ჯერჯერობით კი ეგრე გამოდის და!..
- (სარი სწრაფად გაიხურა. იასემ ნახდი მოისხა, წ სკლა დააპირა).
- ე თ ე რ ი — ძია იასე, თქვენც ხომ არ გეწყინათ ჩემი სტუმრობა?
- ი ა ს ე — რას ამბობ, შვილო, ფერმაში მიგვიანდება, ხო იცი, — დოლის დრო მოახლოვდა.
- ე თ ე რ ი — ამ შუალამისას?
- ი ა ს ე — მწყემსმა თუ ღამით არ იფხიზლა, დღისით მოსაველედი არაფერი ეყოლება...
- (გაღის).
- ე თ ე რ ი — გაიგონე. უკამ რა მითხრა?



- ნ ი ნ ო — რა ქნას, საწყალი ბიჭი გამწარებულია, ერთთავად გიორგიზე და სიმონზე ბოდავს.
- (პალტო და ჩაბალახი ჩამოართვა).
- ე თ ე რ ი — შენ ბოლდა დაუძახე და ვერ მიხვდი? პირდაპირ გულში მომახვევდრა...
- ნ ი ნ ო — მაგას თავი გაანებე... რომ იცოდე, როგორ გამახარე, სრულებით არ გელოდი!..
- ე თ ე რ ი — რამდენჯერ დავაპირე, მაგრამ მგზავრი არაფერ იყო, დღეს კი რახან გავიგე, შექვამიშვილი მოდიოდა, რაღა გამაჩერებდა?..
- ნ ი ნ ო — (გახარებული) ირაკლი ჩამოვიდა?
- ე თ ე რ ი — პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელთან ერთად, რაღაც საქმეზე. (ბუხარს მიუსხდნენ).
- ნ ი ნ ო — ალბათ ისევე იმ ამბავს იკვლევენ, თუმცა ეხლა რამდენიც უნდა იკვლიონ, გული აღარა მაქვს, სიცოცხლის ხალისი დამეკარგა...
- ე თ ე რ ი — რა მოხდა, ქალო?.. ბოლოს ხომ მაინც გამოირკვევა, რომ სიმონი არაფერ შუაშია!..
- ნ ი ნ ო — რაც უნდა გამოირკვეს, ჩემს ტანჯვას დასასრული არ უჩანს... შენ არ იცი ეთერი, ორ ცეცხლში ვარ ჩავარდნილი!..
- ე თ ე რ ი — როგორ თუ ორ ცეცხლში? ვერაფერი გამოვიდა...
- ნ ი ნ ო — მას შემდეგ, რაც ის ამბავი მოხდა, დამუნჯებული დავდივარ და ბოლოსაგან ლამის გული გამისქდეს... ერთადერთი ადამიანი შენა ხარ ქვეყანაზე, ვისაც შემძლიან გაეანდო ჩემი უბედურება და შენიც მერიდება, მერიდება კი არა, შეშინიან, — ვაი თუ სადმე წამოგცდეს... მაგრამ როდემდე ვიყო ასე ქვასავით?.. მეტის ატანა აღარ შემძლიან...
- ე თ ე რ ი — (თანაგრძნობით) შითხარი ნინო, მამას გეფიცები, ქვეყანაზე ვერაფერ შეიტყობს... ხომ იცი, ეს სახელი ჩემთვის ყველაზე ძვირფასია!..
- ნ ი ნ ო — (თვალეში მიაჩერდა) ეთერი გულახდილად მიპასუხე, მე რომ შემეძლოს სიმონი დღესვე ვიხსნა იმ უსამართლო ბრალდებისაგან და ამას არ ვაკეთებდე, რას მეტყობი?..
- ე თ ე რ ი — ხმას როგორ გაგცემდი?.. ზიზღის ღირსი იქნებოდი!..
- ნ ი ნ ო — (უმწეოდ) ჰოდა სწორედ ესა მტანჯავს... შენი და სიმონის, მთელი ხალხის ზიზღის ღირსი ვარ, თქვენ კი ყველას ადამიანად მივაჩნევით...
- ე თ ე რ ი — (შეშფოთებული) რა მოხდა, ქალო, რატომ არ ბუტყვი?
- ნ ი ნ ო — (გულამომჯდარი) აკი გეუბნები, სიმონი უდანაშაულოდ ისჯება... მე შემძლია მას ეხლავე, თუნდაც ამ წუთში მოვხსნა ის სამარცხვინო ბრალდება, მაგრამ... იქ, მის მაგიერ, მამაჩემი უნდა მიფიცვანო... გესმის ეთერი?
- ე თ ე რ ი — (გაოცებული) როგორ თუ მამაშენი?
- ნ ი ნ ო — არ ვიცი მაშინ თქვენს ოჯახში რა ნახა ვინ რა უთხრა... მაგრამ როდესაც იქიდან დაბრუნდა, თეთრი ვარსკვლავის დანახვა აღარ შეეძლო... რას ვიფიქრებდი, — ამას ჩაიდენდა?!
- (თვალეზე ხელი მიიფარა).
- ე თ ე რ ი — რას ამბობ, ნინო?..

5 ი ნ ო — (ერემლორეული) ეხლა თვითონაც იტანჯება... ველარ გამიწერე-
ბია, — წავალ, საქვეყნოდ გამოვაცხადებო, მაგრამ არ ვანებებ... უფხვე-
წები, ვატყუებ, სიმონს ისეც მალე გაანთავისუფლებენ... შეიქმნა მსგავსად
როდემდე, ეთერი?... როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს ორი ცეცხლი?...
ერთი რომ ჩაეპრო, — მეორე მომეკიდება გულზე... ორივეს ჩაქრობა კი,
მე არ შემიძლიან... ვაიმე, რა ექნა..

(ეთერის მუხლებზე დაეშო, აქვითინდა).

ფ ა რ დ ა

მოკმედება მიოთხე

მ ე ც ხ რ ე ს უ რ ა თ ი

ზ ა ნ დ უ კ ე ლ ი ს ბ ი ა. სანახაობა იგივე, რაც პირველი მოქმედების მეორე სურათში.
ფარდის ახლისას, მაგიდასთან საეპრობებში მუსაიფში გართული თინათინ და დ ა რ ე ჯ ა ნ ი.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — შემდეგ ლენინგრადიდან პირდაპირ რიგაში... რაც უნდა იყოს
თითქმის ევროპაა! ოპ, ევროპა, იქაური ტანსაცმელი ავეჯი, განსაკუთრე-
ბით ანტიკვარული ნივთები!.. ვერ წარმოიდგენ, ქალბატონო თინათინ,
როგორ შემძულდა ეს ჩვენებური ცულით გათლილი კილოზნები, ეს რუ-
სული რკინის საწოლები, — მინდა ყველაფერი გამოვცვალო... შენ კიდევ
ახალ კაბინეთს უყიდი სამსონს. სადოქტორო წოდების მიღების შემდეგ
უკეთესი საჩუქარი რა იქნება მისთვის?

თ ი ნ ა თ ი ნ ი — რა ვიცი, სადისერტაციო შრომა უკვე დაამთავრა... ეხლა ყვე-
ლაფერი თქვენზეა დამოკიდებული, ქალბატონო ნესტან-დარეჯან.

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — (თავმოშწონედ) ხომ გეუბნები, რასაც ვეტყვი სოლომონს,
იმას გააკეთებს!..

თ ი ნ ა თ ი ნ ი — როგორ მადლობელი ვარ თქვენი... მერე კიდევ მოუჯდეს
გვერდით ვაებატონი გიგაური!..

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — (ზიზლით) ფუ, გიგაური!.. არის კიდევ სადმე ამ ქვეყანაზე?
ვერ წარმოიდგენ, როგორ მოვისვენე, რაც ის წყეული, მისი ვარსკვლავი
დაილუბა!

თ ი ნ ა თ ი ნ ი — მეც, მეც, ქალბატონო ნესტან-დარეჯან... მართლა, რა უნდა
გახართო! ჩვენს ანდროს თურმე მინისტრად ნიშნავენ...

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — (აღტაცებული) რას ამბობ?...

თ ი ნ ა თ ი ნ ი — ეთერი ახლაც იტყვის უარს?..

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — ეთერი იმას და იმის თავს!.. სისხლი გამოშრო, ქალო... გაგო-
ნებაც არ უნდა!.. (საუბარს განაგრძობენ. ზარის ხმა, კარი სამსონმა
შეშალა).

ს ა მ ს ო ნ ი — (ხელში ფაქიზად შეკრული ქაღალდების პაკეა უჭირავს), შუა-
დღე მშვიდობისა, ქალბატონო ნესტან-დარეჯან! (თინათინს) შენ სულ აქ
უნდა იყო, ქალო?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — დაბრძანდით, ბატონო სამსონ, რატომ შეწუხებულხართ!..
ცეკას კომისიამ კული ხომ არაფერი გამოარკვია?

ს ა მ ს ო ნ ი — ჯერჯერობით ყველაფერი რიგზეა, გიგაურს მგონი წირვა გა-
მოუვიდა... ეთერი შინ არის?

ღ ა რ ე ჯ ა ნ ი — დიახ, დავუძახო?

ს ა მ ს ო ნ ი — არა, მასთან არ მინდა ვითხრაო... (ხმადაბლა) საოცრებაა, ქალ-
ბატონო ნესტან-დარეჯან, პირდაპირ საოცრება! მისი სადიპლომო შრომა
რომ წაიკითხოთ, ალბათ ძალიან გაუწყრებით.

ღ ა რ ე ჯ ა ნ ი — სოლომონმა რამდენჯერ უთხრა და არ წააქითხა... ძალიან
ცუდად აქვს დაწერილი?

ს ა მ ს ო ნ ი — სამწუხაროდ — შესანიშნავად, მაგრამ თითქოს მისი დარიგე-
ბული იყოს, თავიდან ბოლომდე გიგაურის უბადრუკი ცდების ქება-დი-
დებაა და მეტი არაფერი..

ღ ა რ ე ჯ ა ნ ი — გიგაურის ქება-დიდება?!

ს ა მ ს ო ნ ი — დიახ... (პაპკა გაუწოდა) აი, თქვენ თვითონ ნახეთ... პირდაპირ
საოცრებაა! ცხადია, ამ ბავშვურ ვარჯიშობას ჩვენთვის არავითარი
მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ მთელი ინსტიტუტი უკვე ამაზე ლაპარა-
კობს... სხვა რომ არ იყოს რა, სოლომონისთვის მეტისმეტად უხერ-
ხულია..

ღ ა რ ე ჯ ა ნ ი — (თინათინს) აკი ვითხარი, პირდაპირ ვადაიროია!.. (თავს ძლიერ
იკავებს) ვიცი ამ საქმეში ვინც ურევია, — ერთი ცხვირმოუხოცელი გო-
გო, საქონლის ექიმი რომ გავხადეთ!.. წადი და ამის შემდეგ, ვილაც სოფ-
ლელი გომბიო ოჯახში შემოუშვი!.. ვის რა ეუთხრა, როდესაც ყველაფე-
რი სოლომონის ბრალია!..

ს ა მ ს ო ნ ი — ხალხი რას იტყვის? მერე ისაც ახლა, როდესაც პარტიის ცეკა
მთელს ჩვენს მუშაობას იკვლევს... ცხადია, ყველა ასე იფიქრებს, — პრო-
ფესორ ზანდუკელს თვითონ თავის ოჯახში არავითარი ავტორიტეტი არ
ჰქონიაო! მე მხოლოდ სოლომონის სახელს ვუფრთხილდები..

თ ი ნ ა თ ი ნ ი — რა თქმა უნდა!

ღ ა რ ე ჯ ა ნ ი — დიდად გმადლობთ, ბატონო სამსონ... (პაპკაზე აჩვენებს) ეს
ხომ შეიძლება დამიტოვოთ?

ს ა მ ს ო ნ ი — სიამოვნებით, ოღონდ ხვალ ინსტიტუტს უნდა დავუბრუნო...
(თინათინს) შენ არ მოდიხარ?

ღ ა რ ე ჯ ა ნ ი — რა გეჩქარებათ, ბატონო სამსონ?

ს ა მ ს ო ნ ი — ხომ იცით, რამდენი საქმე გვაქვს!..

(ზელზე ჰკოცნის).

თ ი ნ ა თ ი ნ ი — ნახვამდის, ქალბატონო ნესტან-დარეჯან. მაშ იმედი
მეჭნება.

ღ ა რ ე ჯ ა ნ ი — ამდენი თხოვნა რა საჭიროა?! სხვას რომ თავი დავანებოთ,
ბატონი სამსონი ჩვენი ოჯახის მეგობარია...

ს ა მ ს ო ნ ი — ეთერის ჩემს შესახებ ნუ ეტყვიო... ეწყინება... ნახვამდის!

(მაგრა ჩამოართვა ზელი, ვადაიან).

ღ ა რ ე ჯ ა ნ ი — (პაპკა ვახსნა, ხელნაწერს დაუწყო აქა-იქ კითხვა, ბოლო ფურ-
ცელს დააჩერდა) „მე მაინც მჯერა, ბოლოს გიგაური გაიმარჯვებს“...
(გაკაპანებული) რატომ არ მოგვიცდებო? (ეძახის) ეთერი, ეთერი!.. (ეთე-
რი კარებში გამოჩნდა) ქალბატონო, ამიტომ დაბრძანდებოდი ციხიანის
მეურნეობაში?)

ე თ ე რ ი — რა იყო, დედა?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — ყოჩაღ ქალო, ისეთი სადიბლომო შრომა დაგატყავს, შენც კალაქი თურმე შენზე ლაპარაკობს!..

ე თ ე რ ი — ისეთი რა მოხდა? მე მხოლოდ ის დაეწერე, რაც ვნახე, რასაც მე-ურნეობის კოლექტივმა მიაღწია...

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — (გააკეზული) მაგ დასაესები თვალებით რაღა ის დაინახე, რაც მე და მამაშენს გულს მოგვიკლავდა?.. ორივენი თავს იმიტომ გვევლებოდით, რომ ჩვენი ოჯახისთვის თავი მოგვეჭრა და გიგაურს საქვეყნოდ ელაპარაკა, თვითონ ზანდუკელის ქალს არაფრად მიაჩნია თავისი მამაო?

ე თ ე რ ი — მე მამაჩემის შეურაცხყოფელი ერთი სიტყვაც არ დამიწერია, და თუ ის აზრი გამოეთქვი, რომ ადამიანი ბოლოს მაინც გაიმარჯვებს ბუნებაზე, ეს მამაჩემის საწყენი რატომ უნდა იყოს?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — (ხელები უკანკალებს, ხელნაწერი ცხვირთან მიუტანა) წამიკითხე, წამიკითხე ეს რა სწერია?

ე თ ე რ ი — (დინჯად) მე მაინც მჯერა, ბოლოს გიგაური გაიმარჯვებს მეთქი... შერე რა მოხდა?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — როგორ თუ რა მოხდა? ესე იგი მამაშენზე გაიმარჯვებს, შენ ეს გჯერა და გიხარია კიდევ?!

ე თ ე რ ი — მამაჩემზე რატომ? — ბუნებაზე, და ეს ჩვენი საერთო გამარჯვება იქნება..

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — (ისტერიულად) უსინდისო!.. შენ ჩვენი შვილი არა ჰყოფილხარ. არა მეთქი, არა!.. (ხელნაწერი ნახევრად აქცია, იატაკზე დაჰყარა და ფეხით დაუწყო თელვა) გაიმარჯვოს... აი, როგორ გაიმარჯვებს!.. მიბრძანდი, ქალბატონო, ჩემი ოჯახიდან, მიბრძანდი... ვაშაძეს ალბათ მიტომ გვიწუნებდი, იმ ვაჟბატონის მოხიბლული ყოფილხარ!

(გულშემოფრთხილი სავარძელში ჩაეშვა).

ე თ ე რ ი — (შეწუხებული) დედა!..

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — გამეცალე, გამეცალე... მე შენი დედა აღარა ვარ!..

ე თ ე რ ი — (თავისთვის) ეს სულ ნებეირიძის ოინებია...

(თავდახრილი ვადის).

დ ე რ ე ჯ ა ნ ი — შერე რა ვუყოთ, — შევიდეს კომკავშირშიო!.. ოო, სოლომონ, სოლომონ, ჩემი ოჯახი შენგან არის არეული!..

(ნიკიფორემ შემოაღო კარი).

ნ ი კ ი ფ. — ბოდიში, ქალბატონო ნესტან-დარეჯან, დიდი ბოდიში...

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — (კვიად) რა გნებაეთ?

ნ ი კ ი ფ. — სოლომონ სტეფანიძმა ნებეირიძეს სული რომ თხოვოს, არ დოუქერს... დევილად კაცი ამდენი სიარულით და თუ შეიძლება, ერთი სიტყვა გვიმეტოს!..

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — (გაკეცხლებული წამოდგა) ტასიკო, ტასიკო, სად დაიკარგე? (ტასიკო უმაღ შემოვიდა) პროფესორ სოლომონ ზანდუკელის სახლი ბაკი ხომ არ არის, რამდენი გზააბნეული თხაც მოადგება, ყველას კარი გაუღო?..

(უკანმოხუცდავად გავიდა).

ნ ი კ ი ფ. — (სახტად დარჩა. ტასიკოს) ბოდიში, ქალბატონო, მაშინ ხომ გახ-

სოფთ, ჩემთან მასურკა იცეკვა? ახლა რას ვიფიქრებდი?.. დიდი ბოდიში,
კიდევ და კიდევ ბოდიში...

(ცივად გაიხურა კარი).

ტ ა ს ი კ ო — ქალბატონოვო!.. (სარკის წინ კოპწიად შემოტრიალდა) ჩემს
ვასიკოს ჰკითხონ — თუ ქალბატონს არა ვგეგვარ!

(იატაჯზე ვახნულ ქალღღებს დაუწყო ჯრუფა. დ ა რ ე ჯ ა ნ ი შემოვიდა).

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — ხელი არ ახლო... დღესაც, ხვალაც, ზეგაც ასე უნდა ეყა-
როს!.. (ქალღღებები იატაჯზე დაჰყარა. გადის) უხაროდეს გიგაურს, მგონი
მთელ ქვეყანას მოსდო ჩვენი ოჯახის ამბავი!

(შემოდის სოლომონი).

სოლომონი — (ეტყობა დაღლილია, პორტფელი უგუნებოდ დააგდო მაგი-
დაზე) არ იქნა და არ მოელო ბოლო ამ დავას...

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — (ამრეზილი) ცეკაში რისთვის გეძახოდნენ?

სოლომონი — წერილობითი დასკვნა მომთხოვეს გიგაურის ცდებზე...

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — (უქმყოფილო) გააქირეს საქმე! მეცნიერება რა პარტიული
საკითხია?..

სოლომონი — რამდენჯერ მითქვამს, ასეთი ლაპარაკი ნუ იცი-მეთქი!

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — აი ამას დახედე! დიდი ბრძენი რომ მუცეხარ, რატომ გაქვს
ასე დალაგებული ოჯახი!

(გაფანტულ ქალღღებზე აჩვენა).

სოლომონი — ეს რა ქალღღებია?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — შენს საყვარელ ქალიშვილს ჰკითხე!

სოლომონი — მაინც?..

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — (ჭირვეულად) მეტი აღარ შემიძლია, სოლომონ... ან მე მო-
მასორე აქაურობას, ან ეს ჩვენი განათლებული ქალბატონი!

სოლომონი — რა იყო, რა მოხდა?

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — მთელი ქალაქი თურმე შენზე ლაპარაკობს... შე უბედურო,
ქვეყანა დაგვცინის, თვითონ სოლომონ ზანდუკელის ქალიშვილს არაფ-
რად მიაჩნდა თავისი მამაო!..

სოლომონი — (გაოცებული) რას ამბობ, დარეჯან? ვერაფერი გამიგია!..

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — (გახნული ქალღღებები მოკრიფა, სოლომონს გაუწოდა)
ნახე, წაიკითხე, — თავის სადიპლომო შრომაში როგორ აღიღებს გიგა-
ურს, — დარწმუნებული ვარ ის მაინც გაიმარჯვებსო!.. (სოლომონი სწრა-
ფად ათვალეირებს ფურცლებს) მთელი ინსტიტუტი და პროფესორები
თურმე ჩვენს ოჯახზე ლაპარაკობენ... (სავარძელზე დაეშვა) გარეთ აღარ
გაგვესვლება, საქვეყნოდ თავი მოგვეჭრა... ვაი სირცხვილო!..

სოლომონი — (აღელვებულმა ხელნაწერი მუჭაში ჩაბლუჯა) ამაშაკი მარ-
თალი ხარ, დარეჯან... ეს, ეს... ნამდვილად სამარცხვინოა!.. გიგაურს
უკეთეს სამსახურს ვერავინ გაუწევდა?... (ეძახის) ეთერი, ეთერი!.. (შემო-
დის ეთერი) ეს როგორ ჩაიდინე? (გულის ტკივილით) სხვა რომ არ იყო
რა, მამა ვარ... ჩემს ამაგს, ჩემს სიყვარულს ამით უპასუხე?..

ეთერი — (შეწუხებული) თავიდან ბოლომდე წაიკითხე, მამავ...

სოლომონი — (აღშფოთებული) შენი სისულელე თავიდან მოლომდე ვიცი კითხო, რომ გული გაეხეთქო?..

მელნაწერი კიდევ რამდენჯერმე გახია, იატაკზე გადაყარა.

ეთერი — (გამწარებული) მამავ, შენგან მაინც არ ველოდი ამას... (ერთბაზად აღელვებული) თქვენ უსულგულონი ხართ!.. როგორც ეს ჩემი უმნიშვნელო ხელნაწერი, გიგაურის ათი წლის გათენებული ლამეებიც ასე დაუნდობლად გაატანეთ ალგეთის მღვრიე ტალღებს!

სოლომონი — (თრთოლვამ აიტანა) რას ბედავ? ხომ არ გაგივებულხარ?

ეთერი — (უფრო მღელვარე) დიახ... დიახ... თქვენ ის შეუგნებელი მოხუცო დაძღუბეთ, სახელმწიფო დანაშაული ჩაადენინეთ და ესეც არ იკმარეთ, სულ სხვა, უდანაშაულო, პატიოსანი მუშაკი — სიმონ მენაბდე ციხის კარამდე მიიყვანეთ!..

სოლომონი — (გაოცებული) ვინ მოხუცი დაეღუბეთ?.. რა დანაშაული ჩავიდინეთ?!

ეთერი — ვინა და, შენი ნათლიმამა იასე უსტიაშვილი... ვიდრე აქ, ჩვენს ოჯახში მოვიდოდა, როგორც თვითონ გიგაური, თეთრ ვარსკვლავს შეილივით შეჰხაროდა, შემდეგ კი, — თქვენგან გონებაარეულმა, თავისი ხელით გაატანა მდინარეს!.. ეხლა ცალკე იმ საწყალმა კაცმა აღარ იცის რა ჰქნას, ცალკე — უბედური ნინო იტანჯება... მას არ შეუძლიან საყვარელი ადამიანი დაიხსნას, რადგან შეილია და მამა ეცოდება... აი, რა უბედურება დაატრიალეთ!..

სოლომონი — (არეული) ეს, ეს... გაუგებრობაა! დარეჯან, შენ ხომ არაფერი გითქვამს იმ კაცისათვის?

დარეჯანი — ეგლა მაკლია, ამ საქმეში გამართო!..

ეთერი — (დარეჯანს) დიახ, სწორედ შენ გითქვამს, — ვიდრე მისი ვარსკვლავი ქვეყანაზე ბოგინობს, სოლომონი ვერ მოისვენებსო... იმ უბედურმაც თქვენი გულის საამებლად დაიღუპა თავი!..

სოლომონი — (ჯავრმორეული) ეხ, დარეჯან... რამდენჯერ ვითხარ, ჩემს საქმეში ნუ ერევი მეთქი!

ეთერი — არა, მარტო დედა აქ არაფერ შუაშია!..

სოლომონი — რა თქმა უნდა, თუ ასე მოხდა, ეს მხოლოდ იმ კაცის სიბრმავის, შეუგნებლობის შედეგია...

ეთერი — (მკაცრად) არამც და არამც!.. მე პირდაპირ გეკითხები და შენც პირდაპირ მიპასუხე, მამავ, იასე ამ დანაშაულს ჩაიდენდა, რომ შენ გიგაურის მიმართ, მისი საქმის მიმართ, ასე უდიერო არა ჰყოფილიყავი?..

დარეჯანი — (გაცეცხლებული) რაღას უყურებ ქალბატონო? წადი და შენს კომკავშირში გამოაცხადე, ის ცხვარი მამაჩემმა დააღუპუნაო!

ეთერი — ამას ვერ ვიზამ... მაგრამ ვიდრე მამაჩემი ამ სამარცხვინო ლაქას არ მოიშორებს, მე ამ ოჯახში ყოფნა აღარ შემიძლიან!.. მე... უბედური ვყოფილვარ!..

(აქვითინდა, თაბიდან გაეარდა. სოლომონს თითქოს აუწვევლი ტვირთი დაწვა მხრებზე, მძიმედ ჩაეშვა სავარძელში).

დარეჯანი — გიხაროდეს, ყმაწვილო, ნატრობდი და აპა, შენი კომკავშირელი ქალი!

სოლომონი — კმარა, დარეჯან, შენ მაინც ნულარ მიწამლაე სიცოცხლეს.



დ ა რ ე ჯ ა ნ ი — ოჯახი აღარა მაქვს, ოჯახი... ქმრისათვის ვერაფერი გამიგონებია, ეს ჩვენი ქალბატონიც ერთიანად გადაიარა, ნამდვილად გადავიარია..

ს ო ლ ო მ ო ნ ი — (მუდარით) გეხვეწები, ცოტახანს დამასვენე, ქალო, აზრის მოკრეფა დამაცალე...

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — (გულაწლილი) მე თქვენთან ყოფნა არ შემიძლიან, არა და არა... დღესვე, ამ საღამოს რიგაში მივდივარ!

ს ო ლ ო მ ო ნ ი — (დაღლილი) წადი, წადი... სადაც გინდა, წადი, ოღონდ ერთის წამით თავისუფლად ამოვისუნთქო...

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — (გაცხარებული) წავიდე?.. სად წავიდე?! ეს ოჯახი, ეს სახლი მამაჩემის მონაგარია, განა სტეფანე ზანდუქელმა ააშენა? შენცა და შენს ქალიშვილსაც ძალიან გინდათ, აქედან წავიდე, მაგრამ უკაცრავად თქვენთან, არსადაც არ მივდივარ... გაიგონე? — არსადაც არ მივდივარ!..

(სწრაფად ვაღის).

ს ო ლ ო მ ო ნ ი — ოხ, ღმერთო ჩემო!.. (წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა. ეტყობა ვერ მოუსვენია, ისევ სავარძელში ჩაეშვა). ეს რა მოულოდნელ დარდი გამიჩნდა! როგორც იმ გულკეთილმა დათვმა ბუზის გულისათვის, მეც ისეთი სამსახური გამიწია ჩემმა მეგობარმა... (დაღეჭრდა) შენ რომ გიგაურს ესე უდიერად არ მოქცეოდი, ისე ამ დანაშაულს ჩაიდენდარ?... ეთერი მართალია, რა თქმა უნდა, არ ჩაიდენდა... მაშასადამე, ჩემი მიზეზით, უდანაშაულოდ ისჯება მენაბდე... ვინ იცის, ჩემი სახელის გაგონება ეზურება ნინოს, თვითონ იასესაც!.. მაგრამ ეს რომ გასვაცხადო, რას იტყვის ქვეყანა? რადგანაც სინდისმა არ მოასვენა, სჩანს დანაშავეც არისო!.. თუმცა ვინ უნდა იფიქროს ასე? მე მეცნიერი ვარ და წინააღმდეგი ვიყავი, რადგანაც არა მჯეროდა... ნუ თუ ეს დანაშაულია?

(შემოდის დ ა რ ე ჯ ა ნ ი).

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — (კარბში შესდგა, სოლომონს გულის ტკივილით დააცქერდა, მიუახლოვდა) ჩემო სოლომონ, შენ შენი დარდი გაწუხებს და მეც ასე გული მატკინე, მაგრამ ხომ იცი, ჩემი უბედური ხასიათი?.. (სოლომონი აღგა, პორტფელი აიღო) სად მიდიხარ?

ს ო ლ ო მ ო ნ ი — მეც არ ვიცი... ისე, ნინო, მენაბდე, იმ დღეში არიან... ეს პირდაპირ წამებაა!..

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — შენზე ვინა ფიქრობს — შენ მათთვის თავი შეიწუხო?..

ს ო ლ ო მ ო ნ ი — (უმწეოდ) ბოლოს ყველაფერი გამოირკვევა... თავი მომეჭრება...

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — საიდან, როგორ გამოირკვევა?.. ეთერი ამას ვერ გაბედავს, თვითონ ისე არ იტყვის, ნინო კიდეც ხომ თავის მამას არ გასცემს?

ს ო ლ ო მ ო ნ ი — კი, მაგრამ, როგორ უნდა მოვისვენო, დარეჯან?..

დ ა რ ე ჯ ა ნ ი — (ერთბაშად აპილბილდა) ეაეკაცს დამიხედეთ!.. ბარემ ატირდი ან წადი და გიგაურს შეეხეწე — დანაშაული მაპატიეთქო!..

(პორტფელი ხელიდან გამოსტაცა, მაგილაზე დაავდო).

ს ო ლ ო მ ო ნ ი — (სკამზე დაეშვა) ეს რა მოულოდნელი უბედურება დამატყდა?

მ ე ა თ ე ს უ რ ა თ ი

თარგმანი
ნიკოლოზ მუსხელიძის

ინსტიტუტის სხდომათა დარბაზი, — იგივე სანახაობა, რაც პირველ სურათში. ფარდის ახლისაჲ; საშსონ ნებეი რიძე საწერ მაგიდასთან ტელეფონით ლაპარაკობს.

ს ა მ ს ო ნ ი — არა, ამხანაგო ანდრო... იმ ბრალდებას ისეთ დროს წავეუყენებ, თვითონ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელმაც უხერხულად ჩასთვალოს მათი გამოსარჩლება. დიახ, რა თქმა უნდა, ამხანაგო ანდრო, უკან დახევა დღეს, — ხვალ ჩემს განადგურებას ნიშნავს... ამას რომ თავი დაეანებოთ, გიგაურის გამართლება პირადად თქვენი ავტორიტეტის შელახვაც იქნება!.. მაშ ასე, გელთ... (ყურმილი დასდო. წამოდგა, დარბაზში ბოლთა დაკრა) გიგაურის ვეჭილობა მექვაბიშვილს ძვირად უნდა დაუღსვია!.. (შეჰოდის სოლომონი. საშსონი მას გულთბილად მიეგება) სალაში. სალაში!.. კიდევ კარგი, ადრე მობრძანდით, სხდომის წინ საჭირო იყო ჩვენი მოლაპარაკება...

ს ო ლ ო მ ო ნ ი — მეტად სამწუხარო ამბავია! — რასაც თქვენ ჰფიქრობდით, სრულიად მისი საწინააღმდეგო აღმოჩნდა!..

ს ა მ ს ო ნ ი — (შეფიქრიანებული) ესე იგი?..

ს ო ლ ო მ ო ნ ი — გიგაურის ვარსკვლავი თქვენივე შეურწმობის მწყემსს — ისე უსტიაშვილს დაუღუპნია!..

ს ა მ ს ო ნ ი — შესანიშნავია! მეც სწორედ ასე ვფიქრობდი, რომ რომელიღაც მწყემსს დააღუპინეს... აქი ვამბობდი, — არ შეიძლება ეს შემთხვევითი ამბავი იყოს მეთქი!..

ს ო ლ ო მ ო ნ ი — არა, ბატონო, საშსონ, სამწუხაროდ ის ცხაარი ჩვენი მიზეზით არის დაღუპული... დაწერილებით შევიტყე, როგორც მომხდარა...

ს ა მ ს ო ნ ი — (შემკრთალი) როგორ თუ ჩვენის მიზეზით? მე, მე... რა შუაში ვარ?..

ს ო ლ ო მ ო ნ ი — თქვენ შეიძლება იმდენად არა, მე კი — ნამდვილად... გახსოვთ? ის მწყემსი ჩემს ოჯახში, ჩვენი ლაპარაკი... რას ეფიქრებდი, ასეთ ნაბიჯს გადასდგამდა?

ს ა მ ს ო ნ ი — (თავგზაბანული) ეს, ეს... პირდაპირ მოულოდნელია... იქნებ გიგაურმა გამოიგონა? საიდან შეიტყეთ?

ს ო ლ ო მ ო ნ ი — თვითონ მოხუცის ქალიშვილმა გაანდო ეთერის, ნამდვილად ასეა...

ს ა მ ს ო ნ ი — (შეშინებული) მათს გარდა კიდევ ვინმემ იცის?

ს ო ლ ო მ ო ნ ი — არავენ, მაგრამ...

ს ა მ ს ო ნ ი — (შეაწყვეტინა) მაღლობა დმერთს. ბატონო სოლომონ!.. თვითონ ისინი იმის შესახებ არაფერს იტყვიან, მაშინადამე, ვერავენ შეიტყობს!..

ს ო ლ ო მ ო ნ ი — როგორ გეკადრებათ, საშსონ? ცალკე მენაბდეა სამაოთხალში მიცემული, ცალკე — ის მოხუცი და მისი ქალიშვილი იტანჯებიან!..

ს ა მ ს ო ნ ი — როგორ? მაშ თქვენ აპირებთ ეს ამბავი განაცხადოთ?!

ს ო ლ ო მ ო ნ ი — ორი ღამეა თვალი არ მომიხუტუაქვს!.. ეს რომ დავფარო, მაშინ ჩემს უნებურ დანაშაულს ხომ შეგნებული, წინასწარ განზრახული დანაშაული მიემატება?.. ამიტომ, ვიდრე სხდომა დაიწყებოდეს, მინდა მექვაბიშვილს ყველაფერი ვუთხრა... მე ხომ ბტრობით არ ჩამიდენია?..

სამაგიეროდ მოვიცენებ... თორემ ასე რომ დიდხანს გაგრძელდეს ალბათ... არა, ეს პირდაპირ აუტანელია..

ს ა მ ს ო ნ ი — მაგას რას ამბობთ, ბატონო სოლომონ?.. თქვენ გადაგრწყვეტიანთ — თავი დაიღუპათ!.. მართალია, ის ცხვარი მხოლოდ თავის წონა ხორცს წარმოადგენდა, მეტს არაფერს, მაგრამ გიგაურის მასალების მიხედვით პარტიას შეუძლიან ის საბჭოთა ბიოლოგიის ნამდვილ მიღწევად ჩასთვალოს, მაშინ ამ დანაშაულს პოლიტიკურ ხასიათს მისცემენ. და თქვენთვის ნათელი უნდა იყოს, რა სასჯელიც მოგელით! და განა მართო თქვენ? თქვენთან ერთად მეც, შესაძლებელია ამხანაგ ვაშაძესაც... ესე იგი თქვენ ვინდათ გიგაურს ხელში ჩვენი დასახრჩობი თოკი მისცეთ!..

ს ო ლ ო მ ო ნ ი — (შეწუხებული, უღონოდ დაეშვა სკამზე) არ ვიცი... შესაძლებელია ასე იყოს...

ს ა მ ს ო ნ ი — (დაბეჯითებით) ისეც ვაითვალისწინეთ—ვიდრე ამ ცხვარს გამოიყვანდა, გიგაურს ამ საქმეზე რამდენი თანხა აქვს დახარჯული... მაშასადამე, ისე გამოვა, ეს მნიშვნელოვანი სახელმწიფო სახსრები ჩვენის მიზეზით გადაიყარა წყალში... და ეს კიდევ არაფერი!.. თვითონ ის მოხუცი?.. მას ხომ დიდი სასჯელი მოელის?! ამ საცოდავს თქვენთვის სიკეთე უნდოდა, თქვენ კი — ამის სამაგიეროდ ციხეში უნდა გაგზავნოთ? თავისთავად ცხადია, მის ქალიშვილსაც ესე იგი — თქვენს ნათულსაც სამუშაოდან მოხსნიან... და ბოლოს, როდესაც თქვენ ყველაფერს დაჰკარგავთ, ძნელი წარმოსადგენი არ არის, თუ რა დაემართება თვითონ თქვენს ერთადერთ ქალიშვილს — ეთერის!

ს ო ლ ო მ ო ნ ი — (შეშფოთებული) გმადლობთ, დიდად გმადლობთ, ჩემო სამსონ... კიდევ კარგი, პირდაპირ მეჭვადიშვილთან არ შეველი... თურმე თავს ვილუპავდი!.. თუმცა... იქნებ სჯობდეს, — ანდროსაც ვკითხოთ...

ს ა მ ს ო ნ ი — არამც და არამც!.. ეს ისეთი ამბავია, არავინ უნდა იცოდეს...

(საუბარს განაგრძობენ. საუბრით შემოდიან ანდრო ვაშაძე და ირაკლი შიქველი. მათთან ერთად შემოდიან სამეცნიერო საბჭოს წევრები და ინსტრუქტორ თანამშრომლები. ზოგნი საუბრობენ, ზოგნი — გრძელ მაგიდას შემოუსხდებიან).

ი რ ა კ ლ ი — მე მხოლოდ იმის შემდეგ მიემართე ცენტრალურ კომიტეტს, როდესაც თქვენ არ მომისმინეთ... ამიტომ, არ უნდა გწყენოდათ, ამხანაგო ანდრო.

ვ ა შ ა ძ ე — მე ის მწყინს, რომ საქმე ცალმხრივად გაგიშუქებიათ... თქვენ განა იქ არ იყავით, როდესაც ბრძანებით საყვედური გამოუცხადებ ნებიერიძეს?..

ი რ ა კ ლ ი — საყვედური ერთია, სწორი ღონისძიებების დასახვა — მეორე... თქვენ საკითხი არ შეისწავლეთ და მხოლოდ ნებიერიძის ინფორმაციით მოხსენით ამხანაგი გიგაური...

(საუბარს განაგრძობენ. შემოდიან ნინო და ეთერი, ისინი დარბაზის მარცხენა მხარეს, ერთან ახლოს სხდებიან).

ნ ი ნ ო — გუშინ სხდომაზე ხომ გაიგონე? მენაბდის საქმეს მხოლოდ გამოძიების დამთავრების შემდეგ განვიხილავთ...

ე თ ე რ ი — მერე რა ვუყოთ?.. რადგან პარტია ჩაერია, აღარაფერი გაქვს სამწუხარო. თუ არა და, დავიჯერო, მამაჩემი არაფერს იტყვის?..

(საუბარს განაგრძობენ. შემოდის გიორგი, მას გვერდით ნიკიფორე მისდევს).

- გ ი ო რ გ ი — ერთი დღეც, ორი დღეც მოითმინე ჩემო ნიკიფორე...
- ნ ი კ ი ფ ო რ ე — მე კი მოვითმენ, მარა ჩემმა ცოლ-შვილმა რა ჰქნას ამხანაგო გიორგი? (გიორგი ვაშაძის მახლობლად დაჯდა. ნიკიფორემ დარბაზი შოათვალიერა, მორიდებით მოუახლოვდა სამსონს) დიდი ბოდიში, სამსონ ივანი, თუ შეიძლება...
- ს ა მ ს ო ნ ი — (შეაწყვეტინა) ეხლა შენთვის არა მცალიან!..
- ნ ი კ ი ფ ო რ ე — ბოდიში, კიდევ და კიდევ ბოდიში, ბატონო...
(ცოვად გაბრუნდა, დარბაზის კუთხეში განმარტოვებით დაჯდა).
- ს ა მ ს ო ნ ი — (სოლომონს) ამ ნიკიფორე ბულალტერმა პირდაპირ სული ამომართვია!..
(შემოდის ვარლამ ხელიძე, ყველა ფეხზე წამოდგა).
- ვ ა რ ლ ა მ ი — (თავაზიანად) დაბრძანდით, დაბრძანდით ამხანაგებო... (მაჯის საათს დახედა) ბოდიში, ცოტა შემაგვიანდა... (საწერ მაგიასთან დაჯდა) მაშ, შევუდგეთ საქმეს! საწინააღმდეგო ხომ არაფერი გექნებათ, ისევ გუშინდელ თავმჯდომარეს ეთხოვოთ სხდომის გაძღოლა?..
- ხ მ ე ბ ი — არაფერი... არაფერი!
- ი რ ა კ ლ ი — (თავმჯდომარის ადგილი დაიკავა, ზარი ოდნავ შეაწყრიალა) ინსტიტუტის პარტორგანიზაციის ღია სხდომა გრძელდება. სიტყვა ეძლევა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელს ამხანაგ ვარლამ ხელიძეს.
- ვ ა რ ლ ა მ ი — (ხელში ბლოკნოტი უჭირავს) ამხანაგებო, ცენტრალური კომიტეტის კომისია ორი კვირის მანძილზე გულდასმით იკვლევდა ინსტიტუტის მუშაობას. როგორც კომისიის მუშაობის შედეგები, ისე ჩვენი გუშინდელი სხდომის დაწერილებითი ანგარიში ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელს მოვახსენეთ, რომელზედაც პირდაპირ უნდა გითხრათ, ინსტიტუტის მუშაობამ მეტად ცუდი შთაბეჭდილება დასტოვა. მისი აზრით, იმის მაგიერ, რომ ინსტიტუტის ხელმძღვანელ მუშაებს ჩვენთვის დახმარება გაეწიათ მესაქონლეობის მნიშვნელოვანი საკითხების დაყენებასა და გადაჭრაში, ისინი სახელმწიფოს ატყუებდნენ...
- ს ა მ ს ო ნ ი — (ადგილიდან) ნება მომეცით, ჩვენი მუშაობის ასეთ შეფასებაში არ დაგეთანხმოთ...
- ვ ა რ ლ ა მ ი — (ირონიით) თქვენს თანხმობაზე შემდეგ... აი თუნდაც პირადად თქვენ, ამხანაგო ნებეირიძე!.. ნაცკლად იმისა, რომ შეგესწავლათ და დამემუშავებინათ მეცხოველეობის ძირითადი საკითხები, ინსტიტუტის ფანჯრებს იქით ვერაფერს ჰხედავდით და სადოქტორო ხარისხის მოსაპოვებლად, ყოვლად უსარგებლო, ფორმალისტურ თემას ამუშაებდით...
- ს ა მ ს ო ნ ი — ეს გიგაურის ყალბი ინფორმაციაა!..
- ვ ა რ ლ ა მ ი — მე აქ მოვიყვან ამონაწერს თქვენი შრომიდან, მაშასადამე, გიგაური არაფერ შუაშია. აი, ოთხასცხრამეტი ქათმისა და სამოცდაცხრამეტი მამლის შესწავლის საფუძველზე რა აღმოგიჩენიათ! — ეკითხულობ თქვენს სტრიქონებს: სამტრედიელი ქათმის ბუმბულიანობა მკვიდრო არ არის; ბუმბულიან ფეხებიანი ქათმების რაოდენობა შეიძლება და შეიძლება პროცენტს შეადგენს, დიდი ან საშუალო ზომის ბიბილო აქვს ქათმების შხოლოდ ორსა და ორ-მეათედ პროცენტს, პატარა ბიბილო — ქათმების რვათხუთედ პროცენტს, წვერები აღმოაჩნდა ქათმების

სამსა და ოთხ — მეათედ პროცენტს და ნისკარტ ქვეშ ლაბაბი — ერთსა და რვა მეათედ პროცენტს... თქვენ ალბათ შემთხვევით გამოგზიქნით, — რამდენ პროცენტს შეადგენენ ულვაშიანი ქათმები!.. (ღარბაზში საერთო სიცილი) აი თქვენი სამეცნიერო კვლევის საგანი!..

ს ა მ ს ო ნ ი — (უხერხულად) ეს ყველა იმ ქათმის ბიოლოგიური ნიშანია!..

ვ ა რ ლ ა მ ი — (მკაცრად) ეს მხოლოდ თქვენი უსაქმურობის ნიშანია, ამხანაგო ნებიერიძე: ჩვენი ხელმძღვანელების აზრით, ერთად ერთი სერიოზული საქმე, რაც ინსტიტუტის სახელით კეთდებოდა, ეს არის ცხერის ახალი ჯიშის გამოყვანა, რაზედაც ჩვენი ახალგაზრდა მეცნიერი ამხანაგი გიორგი გიგაური მუშაობს... საკითხის საფუძვლიანი შესწავლის შემდეგ და ამ მასალების მიხედვით, რაც ჩვენთან წარმოდგენილია, მან თითქმის უკვე გადასჭრა ეს რთული და მეტად მნიშვნელოვანი ამოცანა...

ს ა მ ს ო ნ ი — ჩვენ ეს მასალები არ გვინახავს!..

ვ ა რ ლ ა მ ი — თქვენ ეს მასალები ხელთა გქონდათ, მაგრამ ვერაფერი დაინახეთ!.. მართალია, თეთრი ვარსკვლავი დაიღუპა, მაგრამ სამაგიეროდ დავგერჩა მისი განაყოფიერებული მთელი ფარა, რამაც მალე, ძალიან მალე არ შეიძლება ჩვენი იმედები არ გაამართლოს!..

ს ო ლ ო მ ო ნ ი — (სამსონს) ეს მე არ ვიცოდი, რატომ არაფერი მითხარით?

ს ა მ ს ო ნ ი — მე თვითონ არ ვიცოდი!..

ვ ა რ ლ ა მ ი — და თქვენ იმის მაგიერ, რომ გიგაურისთვის ხელი შეგეწყობთ, დახმარებოდით, მას ყოველნაირად ხელს უშლიდით... ეს კიდევ არაფერი, — თქვენ ის სამუშაოდან მოხსენით!..

ვ ა შ ა ძ ე — ამხანაგო ვარლამ, თქვენ იქნებ არ იცით, რა აღმოჩნდა, საფინანსო დისციპლინის მოშლა, თანხების უთავბოლო ხარჯვა, შაქრისა და სხვა პროდუქტების სავსეო დანიშნულებით გაცემა და ვინ იცის, კიდევ რამდენი... ჩვენ სხვანაირად არ შეგვეძლო!..

ვ ა რ ლ ა მ ი — ვიცით, ყვლაფერი ვიცით, ამხანაგო ვაშაძე!.. დანაშაული მაშინ იქნებოდა ჩადენილი, ამხანაგ გიგაურს რომ ეს საკითხი მთავრობის წინაშე არ დაეყენებინა, — მაგრამ თქვენ მის გადაჭრას არ მოუცადეთ... გარდა ამისა არ შეისწავლეთ საკითხი, — მეურნეობას ამ თანხებზე თავიდანვე რატომ ეთქვა უარი... იქნებ მაშინ დამნაშავე სულ სხვაგან აღმოჩნდებოდა!.. არ შემიძლიან უყურადღებოდ დაეტოვო აგრეთვე, პროფესორ სოლომონ ზანდუკელის გუშინდელი გამოსვლა და საერთოდ მისი დამოკიდებულება ინსტიტუტში მომხდარი ამბებისადმი. იმ გზას, რომელსაც თქვენ ადგებათ ბიოლოგიაში, პატივცემულო პროფესორო, საბჭოთა მეცნიერება ვერ გაჰყვება. მისი მიმდევარი თავის თავს სტალინის ეპოქის მოწინავე მეცნიერების გარეშე აყენებს. ჩვენს წინსვლას ხელს უშლის, კომუნისმის გმირ მშენებლებს გზას უღობავს. ამიტომ ნუ გეწყინებათ, პატივცემულო პროფესორო, მომავალში თქვენთან მუშაობა რომ ვაგვიძინებდეს!..

ს ო ლ ო მ ო ნ ი — (წამოდგა) მამატივით, მაგრამ მე პარტიის, მთავრობის ხელის შეშლა არასოდეს მიფიქრია... ყოველთვის პატიოსნად ვმუშაობდი და ჩემი ყოფილი სტუდენტის გიგაურის ცდები, როგორც მეცნიერმა თუ კრიტიკულად შევაფასე, ნუთუ ეს დანაშაულია?..

ვ ა რ ლ ა მ ი — ერთის შეხედვით ეს ბრძოლა თითქოს პრინციპული იყო, მაგრამ ახლოს მოველით თუ არა, მაშინვე, ჩვენს ცხოვრებაში აქა-იქ ჩარჩე-

ნილი ქაობის სუნი გვეცა... ზოგან შურისაგან ამღერეულმა თვალებმა გამოანათეს, ზოგან პაწაწინა მგელკაცის გაღესილმა კბილმა სწრაფი თავი, ზოგან კიდევ — მეშინაურ ნებიერობაში გათამამებული ქალების გრძელი ენა გამოჩნდა!..

გ ი ო რ გ ი — (წამოიჭრა) ქაობის ყვაეილები ნამდვილი თაიგული!..

ვ ა რ ლ ა მ ი — ესე იგი, მიჩურინული — ბიოლოგიის კანონებმა თვით ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ჰპოვეს დასაბუთება... საკმარისი იყო ხელსაყრელი პირობების შექმნა და ძველი ცხოვრების მკვდარმა ბაცილებმა ისევ გაიღვიძეს თქვენში!..

გ ი ო რ გ ი — ღეზინფექციაა საჭირო!..

ვ ა რ ლ ა მ ი — დიახ, ჩვენ მოგვიხდება ამ შესანიშნავ საბჭოთა დაწესებულებაში ჰაერი გაეწმინდოთ... რადგან ამხანაგ ნებიერიძეს მექათმეობა ასე აინტერესებს და სოფლის მეურნეობის ეს დარგი ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია, პარტიულ სასჯელს გარდა, რომელიც უსათუოდ მოელის, ჩვენ მას სამუშაოდ მეფრინველეობის რომელიმე ფერმაში გავგზავნიოთ... ამხანაგი ნებიერიძე იქ ალბათ ქათმების ბიბლოზე და ბუმბულზე უფრო საინტერესო საკითხებს მონახავს!..

ხ მ ა დ ა რ ბ ა ზ ი დ ა ნ — შესანიშნავია:

ი რ ა კ ლ ი — სიჩუმე, ამხანაგებო!

ვ ა რ ლ ა მ ი — ამასთან ერთად, ალბათ, აგრეთვე განხილულ იქნება საკითხი ამხანაგ ვაშაძის სამინისტროში შემდგომი მუშაობისა...

ვ ა შ ა ძ ე — ამხანაგო ვარლამ, ნებიერიძეს ცუდი მუშაობისათვის მე საყვედური გამოვუცხადე ბრძანებით...

ვ ა რ ლ ა მ ი — ვიცი, ვიცი, თქვენი თავდასაცავი ბრძანებები... თქვენი პირადი მდივნის ხელით ჩაკეტილი კარებიც ვიცი... ჩვენ მას გვაღებთ, რომ იმ კარებს იქით საათობით გამართული ოჯახური მუსაიფი საქმიან თათბირებად ვეღარ გამოაცხადოთ!.. რაც შეეხება თქვენს შუამდგომლობას, ამხანაგო გიორგი, ნიკიფორე უკლებას აღდგენის შესახებ, თანახმა ვართ დღესვე, თქვენთან ერთად წაიყვანოთ მეურნეობაში...

ნ ი კ ი ფ ო რ ე — (ერემლოზარეულ თვალებს ხელის გულით იმშრალეებს) გმადლობთ, გმადლობთ, ჩემო ბატონო... პარტიას ვენაცვალე, რომ ყველაფერში მართალია!

ვ ა რ ლ ა მ ი — სიმონ მენაბდის შესახებ კი, ვიდრე გამოძიება არ დამთავრებულა, თავი უნდა შევიკავოთ...

ნ ი ნ ო — გესმის, ეთერი?

(მის მხარს უღონოდ მიეყრდნო).

გ ი ო რ გ ი — ამხანაგო მენაბდე ჩემი მარჯვენა ხელი იყო, თუ ის დამნაშავე აღმოჩნდება, მე ვაგებ პასუხს!..

ვ ა რ ლ ა მ ი — მართალია, მაგრამ ალგეთის ამბავი ისეთ პირობებში მოხდა, ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია — თეთრი ვარსკვლავის დაღუპვა შემთხვევითი იყოს... მენაბდე ფერმის გამგე იყო და უშუალო პასუხისმგებლობა მას ეკისრება!..

ს ა მ ს ო ნ ი — (გამხნეებული) მეც მაგას მოგახსენებთ, — არ შეიძლება შემთხვევითი იყოს!

(ს ი ლ ო შ ო ნ ს მოუსვენრობა დაეტყო, წამოდგა, რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა, ე თ ე რ ი მას მიაჩერდა, გულამოგდარი ერთბაშად აქვითინდა, გარეთ გაეპარდა. დარბაზში მყოფნი წამოიშალნენ).

ვარლამი — რა მოხდა?... ვინ არის?

სოლომონი — (არეული) არაფერი... ჩემი ქალიშვილია...
 ეტყინა ჩემს გამო...

ირაკლი — დაბრძანდით, ამხანაგებო!

სოლომონი — (წელში გაიმართა, წინ ნაბიჯი გადასდგა, ლელავს, ყველა მას მისჩერებია) ამხანაგო ვარლამ, ირაკლი... თუ შეიძლება ერთი სიტყვა...

ვარლამი — დაშვიდდით... ბრძანეთ, ამხანაგო სოლომონ!

სოლომონი — (თქმა უჭირს) ამხანაგო ვარლამ, წელან არ მივიღე თქვენი ბრალდება, რადგან ის მეტად მკაცრად მომეჩვენა. კიდევ კარგი, მეურნეობაში იმ ცხვრის განაყოფიერებული მთელი ფარა დარჩენილა და თქვენ ყველანი მალე დარწმუნდებით გიორგი გიგაურის ცდების უნაყოფობაში, მაგრამ შე მაინც თავი დამნაშავედ მიმაჩნია...

სამსონი — (შემკრთალი, ხმადაბლა) ბატონო სოლომონ!

სოლომონი — რაც უნდა ძნელი იყოს ჩემთვის... რაც უნდა მომელოდეს, — პირდაპირ ვაცხადებ, რომ დამნაშავე ვარ, რადგან თეთრი ვარსკვლავი ჩემის მიზეზით დაიღუპა... (ყველა სოლომონს მისჩერებია, ეთერი კარებში გამოჩნდა) ამ უბედურებაში სიმონ შენაბდეს არავითარი ბრალი არ მიუძღვის და სრულიად უდანაშაულოდ ისჯება... ის ცხვარი ჩემმა მეგობარმა მწყემსმა — იასე უსტიაშვილმა გაატანა მდინარეს...

გიორგი — (გაოცებული) იასე უსტიაშვილმა?

ვარლამი — ეს ის მწყემსი არ არის, თითქმის მთელი ფარა რომ დაღუპვას გადაარჩინა?

გიორგი — დაიხ... მტერი და მეგობარი, ორივე ერთად!..

სოლომონი — ეს შეუგნებელი, მაგრამ პატიოსანი კაცი, პირველად იმის ცდაში იყო ჩვენს შორის კეთილი ურთიერთობა აღედგინა. მან ეს ვერ მოახერხა და იმ დღეაში ჩემს მხარეზე დადგა, რადგან თვითონაც არაფერი სჯეროდა მეურნეობაში წარმოებული ცდებისა... (თქმა უმძიმს) ჩემს ოჯახში... ჩემთან საუბრის დროს, — მას ეტყობა ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, გიგაური ამ საქმეში თუ გაიმარჯვებდა, შე სრული განადგურება მომელოდა... მან ჩვენი ბრძოლა ისე გაიგო, რომ მე როგორც მეცნიერი კი არ ვედავებოდი გიგაურს, არამედ როგორც მისი პირადი მტერი... დამნაშავედ ამიტომ მიმაჩნია თავი და თუ ვინმეა ღირსი სასჯელისა, მხოლოდ შე, — სხვა არავინ!..

ვარლამი — მერე? თქვენ ეს ამდენს ხანს იცოდით და არაფერი სთქვით?

სოლომონი — ეს ჩემი მოულოდნელი უბედურება მხოლოდ გუშინ, გუშინ-წინ შევიტყე და მაშინვე გადაეწყვიტე ამხანაგ მექვამიშვილთან მისვლა, მაგრამ... (მლელვარებით) მაგრამ თქვენ მიხვდებით... ადვილი არა ყოფილა საკუთარი თავისადმი განაჩენის გამოტანა...

ვარლამი — ეს მეტად საინტერესო გარემოება აღმოჩნდა... აი, თურმე როგორ ადვილია ერთის შეცდომა მეორის დანაშაულად გადაიქცეს!.. (ირაკლის) გამომძიებელს ეხლავე უნდა აცნობოთ, ამხანაგი მენაბდე გაანთავისუფლონ... სამაგიეროდ ის მწყემსი უნდა დაისაჯოს!

ნიკო — (გულამომჯდარი) ერთი ჩაპქრა, მეორე — უარესი აენტო...

სოლომონის მხარს უწევდა მიყვარდნო. დერეფანში ხმაური და ყვირილი ასტყდა. ისმის ხმები: „გამიშვი, გამიშვი!“ „არ შეიძლება, სხდომა!“ „საჩქარო საქმეა!“ „შენ ვინ ხარ?“, „გამიშვი, თორემ თავს გაგიტყავს...“ დარბაზში მსხდომნი წამოიშალნენ, კარებში ყვირილით შემოიჭრა ნაბადოსხმული გოგონა, მას იასე შემოყვდა.

- გ ი ა — ბიჭოს, მაშინდელი არ იყოს, ეს ვილაც უსწავლელი კაცი რას გადამეკიდა?! (მას კარისკაცი ექიძება) საცა ამდენი პატიოსანი ხალხია, მე რატომ არ შეიძლება შემოვიდე?.. (ხელი გაინთავისუფლა, გიორგისკენ გაქანდა) გიორგი ძიავ, შენი კირიმე!.. ერთი მაჩვენე ის ზანდუკელი, რომელია?.. აკი არ იქნებაო? ასოცი თეთრი ვარსკვლავი ერთად დაიბადა! (მოეხვია).
- ი ა ს ე — (წინ წამოდგა) გიორგი, შეილო, შენმა სიმართლემ ამიხილა ნათელ-მირონით დაბრმავებული თვალები... შენთანაც დამნაშავე ვარ, სიმონთანაც, ხალხთანაც... და რა სასჯელსაც დამადებთ, მზათა ვარ ამ ბებერი მხრებით ვზიდო სიკვდილამდე...
(ჭული მოიხადა, თავი ძირს დახარა).
- გ ი ა — რის დანაშაული და სასჯელი, რა დროს ეგ არი, ძია იასე?!..
- ი რ ა კ ლ ი — (ზარს აწკრიალებს) დაგვაცადე, ამხანაგო გიავ!
- გ ი ა — რას ამბობ? რა უნდა დაგვაცადო? პირდაპირ მეურნეობიდან მოვდივართ... განა უბრალო საქმეა? ხალხო, ასოცი ვარსკვლავი დაიბადა... ასოცი!..
- გ ი ო რ გ ი — ამხანაგო ვარლამ, ეს ის მოხუცია, ეს ახალგაზრდაც ჩვენი საცდელი ფარის მწყემსია, ჩანს დოლი დაწყებულა...
- გ ი ა — დოლი კი არა, — ვარსკვლავების რთველია, ნამდვილი რთველია! ეს პირველი მერცხლები არიან... სანამ ჩვენ ჩავალთ, ხუთას-ექვსასი ბატკანი გახდება!..
- ვ ა რ ლ ა მ ი — (ღიმილით) აქ მოდი მეგობარო... (გია მასთან მივიდა) მატყლით, მოყვანილობით, ნამდვილად თეთრ ვარსკვლავს ჰგვანან?
- გ ი ა — შე დალოცვილო, შეილი მამას თუ არა ჰგავს, მაშ ვის დაემგვანება?.. ჰგვანან კი არა, მისი ასლები არიან, — ჩვენმა ზოოტექნიკოსებმა სათითაოდ გასინჯეს! მე განა არ ვიცოდი, რო არ დამიჯერებდით! ათი ბატკანი თან ჩამოვიყვანე მანქანით... ადექით, ეზოში ჩამოსვლა გეზარებათ, ხალხო?..
- ვ ა რ ლ ა მ ი — ხედავთ, ამხანაგო სოლომონ? რასაც ებრძოდით, თქვენცა და ეს მოხუციც იმანვე გადაგარჩინათ... რადგანაც უკვე ამდენი ვარსკვლავი გვყავს, ესლა ის თეთრი ვარსკვლავი მხოლოდ ჩვეულებრივი, უბრალო ცხვარი გახდა, ამიტომ თქვენი დიდი დანაშაულიც შემცირდა, მას თითქმის ფასი დაეკარგა... ამგვარად, თქვენს გადარჩენას, ამხანაგო პროფესორო, მხოლოდ გიგაურის გამარჯვებას უნდა უმადლოდეთ... თქვენ არ დაინდეთ, მაგრამ მისი ვარსკვლავი — კეთილი ვარსკვლავი ყოფილა! ესლარაღას რტყვით, პატივცემულო პროფესორო?..
- ნ ი ნ ო — (გაბარებული ეთერის მოეხვია) ეთერი, მგონი ჩემი ორივე ცეცხლე გათავდა!..
- ს ო ლ ო მ ო ნ ი — (გიორგის, ყოყმანით) თუ ასეა... მომილოცავს, ამხანაგო გიორგი... თურმე ზოგჯერ მასწავლებელმაც უნდა ისწავლოს თავისი მოწაფისაგან...
- გ ი ო რ გ ი — (ხელი ჩამოართვა) პატივცემულო პროფესორო, ჩვენ ყველას მხოლოდ ერთი მასწავლებელი გვყავს, ვინც მის გზას გაბედულად გაყვება, მუდამ გამარჯვებული იქნება!..
(ყველა გიორგის მისჩერებია, მხოლოდ ვაშაძე და ნეზიერიძე თვლიან-ლები სდგანან).

სადაც ველი-ქარიძე

ახალი ლექსები



მე ლენინი ერთხელ ვნახე

1921 წლის 21 ოქტომბერს, მოსკოვში, პოლიტგანათლების სრულიად რუსეთის მეორე ყრილობაზე ლენინმა სიტყვა წარმოთქვა, ამ ყრილობაზე ვნახე ლენინი.

მე ლენინი ერთხელ ვნახე,
ვნახე ახლოს, ისე ახლოს,
რომ ახლაც მას ნათლად ვხედავ,
თითქოს დღესაც დამენახოს.

ამისრულდა, რაც ვინატრე, —
და იმ დღიდან მისი სახე
წინ მიმიძღვის, გზას მინათებს, —
გულში წმინდად შევიინახე.

თითქოს ახლაც ტრიბუნაზე
დგას იგი და ვისმენ მის ხმას,
გადასცქერის შორს სამყაროს,
ხელგაწევილი ამბობს სიტყვას.

სიტყვას ამბობს ყველასათვის
გასაგებს და გულში ჩამწვდენს,

სადაც ბნელა, სადაც ყინავს
მისი სიტყვა იქ ცეცხლს ანთებს.

მე ლენინი ერთხელ ვნახე,
და იმ დღიდან მისი სახე
წინ მიმიძღვის, გზას მინათებს, —
გულში წმინდად შევიინახე.

დღეს ლენინი უკვდავების
ცადაწევილი მწვერვალია,
ლენინიზმის წმინდა დროშა
შუქმფრქვევი და ელვარება.

დაფრიალებს ალისფერად,
მომყვანია ყველგან დარის,
ხელთ უბყრია იგი ბელადს, —
ჩვენს გენიას, — ჩვენს დიდ სტალინს.

ნასაპირალის ჩაისმკრეფვამ ძალს



შენგან თქმული,
გმირო ქალო,
მე შევკონე ლექსად:
მოგონება
ცხრაას ხუთზე
შენ ალგაგზნებს დღესაც,
გურულებს რომ
ქვეყნის გულში
უხვად ჩაუთესავს.

შენ პატარა
იყავ მაშინ, —
ცქრიალა და მარდი,
სახე ისე
გენთებოდა,
ვით მაისის ვარდი,
ოღონდ თვალებს
გამოკრთოდა
ზოგჯერ ქვეყნის დარდი.

შენ ამ მთებს და
 ამ ხეობას
 გაუვალი ტყითა
 მოიგონებ, —
 ნასაკირალს
 უმღერ ტყბილი ხმითა, —
 სად ქარიშხლად
 მტერს დაესხა
 ხალხი ყოველ მხრიდან.

ო, ის ღამე
 უკუნეთი,
 ნასაკირალს, თითქოს,
 შავ ნაბადს ქვეშ
 აძინებდა, —
 შენც იქ იყავ იმ დროს,
 ძმებთან ერთად
 ბრძოლის ცეცხლმა
 გული შენც აგინთო.

და შენ მხარზე
 გადაკიდულ
 „საეჭიშო ჩანთით“,
 მოწყალეების და —
 მებრძოლი,
 რაზემელებთან სჩანდი,
 დაქრილს ჰხანდი
 კრილობებს და
 შეუხვევდი ბანდით.

ყუმბარამ რომ
 იგრილა,
 მთაში გაიღვავა,
 შენს გულში ზღვა
 ჩამდგარიყო
 და ზეირთების ღელვა.
 გაისმოდა
 მტრის უშვერი
 გინება და წყევლა.

შენი ძმა და
 რაზემელების
 მეთაური მამა
 შეიწირა
 დიდმა საქმემ, —
 ხალხმა რომ იწამა, —

თქვენი ეზო
 და სახლქარი
 შთანთქა ცეცხლის აღმა.

მზე შავ ღრუბლით
 დაიფარა
 კვლავ გამეფდა ღამე,
 დარჩი ობლად
 და შენ ცრემლით
 თვალი დაინამე,
 მაგრამ იმ გზას
 არ ამცდარხარ
 ერთხელ რომ იწამე.
 ქვეყანას რა
 დააცხრობდა,
 აღელვებულს ზღვისებრ?
 ან რწმენას რა
 ჩააქრობდა
 მოელვარეს მზისებრ?
 თვითთული
 გასწირავდა
 თავს რწმენისთვის მყისვე.

ეს დროც დადგა, —
 მეფის ტახტი
 იქცა ნაცარ-მტვერად,
 ნეტარებამ
 მილიონებს
 გული აუძგერა,
 და აინთო
 ღარიბების
 ცეცხლ-ჩამქრალი კერა.
 ჩვენი დროის
 სიღიადე
 შენც იგრძენი მაშინ,
 ქმარი ჯარში
 მტერს ებრძოდა,
 გეზრდებოდა ბავშვი,
 შენ, გამრჯე ქალს,
 ბევრჯერ ჯილდოთ
 გერგო ხალხის ტაში.

და როცა კვლავ
 ნასაკირალს
 „შეუტია“ ხალხმა,
 ბახვის წყალის
 ნაბირებზე, —

გამოღმა და გაღმა,
 ტყე გაჩეხეს, —
 სარეველა
 ბალახები გახმა,

 მიწას წითელს,
 ზოგან ყვითელს,
 ხალხმა დაჰკრა ბარი,
 შენც საერთო
 სოფლის წადილს
 დაუჭირე მხარი, —
 თუმც დაეჭვდი, —
 რა სიკეთეს
 მოგვეცემს ეს თიხნარი.
 მაგრამ როცა გაიშალა
 ჩვენში შრომის დროშა
 და დაღვრილი
 ტბად სისხლი და
 ოფლი სულ ამოშრა, —
 კოლექტივის
 წვერი გახდი, —
 მოწინავე ქალი,
 შენც შევარჩევს
 მეტ სახელად
 მიტომ „სოფლის თვალი“.
 როცა ოჯახს
 გამოაქლდა
 მამაკაცის ხელი, —
 შენ დაჰქარგე
 მეგობარი,
 კაცი საყვარელი,
 მტრის ბანაკში
 რომ აწვიმა
 ღუშმანს ტყვია ცხელი, —

 მწუხარებამ
 შეგაღონა, —
 სიმარტოვე იგრძენ,
 და მიენდე
 მშრომელ ხალხს და

შეიყვარე, იძმე,
 ვინც გულს რწმენა
 ჩაგინერგა, —
 ნუგეშს გცემდა ყველა,
 შენ სოფელი,
 ქირში მყოფელს
 დროზე მოგეშველა, —
 არ დაგაკლო
 დახმარება
 ოჯახში და ველად.

დრო გავიდა.
 ნასაქირალს
 შეეცვალა ფერი, —
 კაცის თვალი
 ველარ ძღვება
 ამ მიდამოს ცქერით,
 მთის ფერდობზე
 ალარ მოსჩანს
 ეკალი და შქერი,

ჩაის ბურქებს
 დაუფარავს
 ის წითელი მიწა,
 ძველად მწირი, —
 ღლეს ქვეყანას
 სიმდიდრე რომ მისცა, —
 სად ერთმანეთს
 ცხრაას ხუთში
 ხალხი შეეფიცა.

შენ გმირი ხარ
 ამ კუთხიდან, —
 შრომის გმირი ქალი,
 შენგან მოვლილ
 ჩაის ბურქებს
 არ შორდება თვალი, —

რა დიდი გზა... რა ბრძოლის გზა

თარგმანული
გინგლინიონი

★

რა დიდი გზა, რა ბრძოლის გზა
გავიარე,
და სამოც წელს მივალწიე...
ო, რა მალე.
რამდენი რა განვიცადე —
მისევამს მწარე,
მაგრამ მაინც სევდა გულს არ
მივაკარე
და არასდროს ტანჯვის წინ არ
დავიხარე, —
ვიდრე ბრძოლის გამარჯვებით
არ ვიხარე...
ზამთრისაგან დათოვლილი
ვიყავ ადრე,
მაგრამ დღემდე ჩემს ჭიკაძრას
არ ვაკადრე, —
არ ვაჩვიე იგი სევდას, —
არ ვადარდე
ასე, ამ გზით მოვდიოდი
სამოც წლამდე. —

და ახლაც ხომ, მეგობრებო,
დრო მაქვს კიდევ
წინ ვილტვოდე და ოცნების ფრთებს
კვლავ ვშლიდე.
სიმწელეთა წინაშე ქედს
არ დაეხრიდე,
ზღვა გავცურო და ხმელეთზე
გადაეფრინდე.
რა დიდი გზა, რა ბრძოლის გზა
გავიარე
და სამოც წელს მივალწიე...
ო, რა მაილე.
ო, რამდენი შხამნარევი
მისევამს მწარე,
მაგრამ, რაც რომ ბავშვობიდან
შევიყვარე,
თვალწინ მიდგას ბედნიერი
შრომის მხარე
და მეც მისთვის ვიცოცხლებ და
კვლავ ვიხარებ.

ბურიის ცის ქვეშ

★

ნიგოთის მთას თვალს მოვავლებ,
შალალს და ტყიანს,
თითქოს ვკიდივარ მის ბილიკზე,
ვიწევი შალა.
ფიქრი წინ მისწრებს,
არ მიგრძენია მუხლებში დაღლა,
ოჰო, ამ ულრანს გზატყეცილი
როგორ ატყვია,
აჰა, საცაა გამოჩნდება ზემო გურია,
ო, როგორ მინდა ჩავეხვიო,
როგორ მწყურია,

ჩვენი სოფელიც გამოჩნდება,
აქვე მთის ახლოს,
საცა ვშობილვარ, ფეხშიშველა
დავდედი ჩიტებს,
ჩემი ოცნება მას წვდება, რომ
ფრთები შეახოს,
გული ზღვა გრძნობას, აზვირთებულს
როგორ დაიტყვს.
აჰა, საცაა გამოჩნდება ჩვენი გურია,
ო, როგორ მინდა ჩავეხვიო, როგორ
მწყურია.

იაკინთა ლისაველი

ერთგულება

თავი პირველი

რომანი

★

I

მატარებელი დიდი სისწრაფით მიჰქროდა. რბილი ვაგონის ორადგილიან კუბეში ერთს მალლა ეძინა, მეორე სარკმელთან იდგა და სივრცეს გაჰყურებდა.

თენდებოდა. ბურუსში ამოწვერილი გორაკები თითქოს ზევით იწევდნენ ოდნავ განათებული ცისკვეთს.

სარკმელთან მდგარმა მოშვებულ წვერზე ხელი მოისვა. თავწამრგვალეზულ ჯოხს მძიმედ დაეყრდნო, მტკიცაზნი ფეხი მოინაცვლა და მოქანცულო, საწოლზე ჩამოჯდა. პაპიროსი ამოიღო, მოუკიდა. შემდეგ პირაღმა წამოწვა, თვალს არ ხუჭავდა: იცოდა, დაძინება აღარ შეეძლო: მშობლიურ ქვეყანაზე უახლოვდებოდა. ეგონა, ვერასოდეს ვეღარ ვნახავო, და ახლა კი ასე ახლოსაა მასთან.

თვალზე ხელი მოიფარა. სამი წლის წინათ საქართველოდან მისი გამგზავრების სურათები კიდევ ერთხელ წარმოიდგინა. იმ სურათებში ყველაზე მეტად ერთი აღელვებდა: ეს იყო ახალგაზრდა ქალი — თამარი. მისი ხმა ახლაც ესმოდა:

„ნახვამდის თამაზ, არ დაგივიწყებ!“
ეს ხმა თან სდევდა, არ შორდებოდა, იმედიც დაჰყვებოდა, ამხნევებდა, გულს უმაგრებდა, მაგრამ უკვე ერთი წელია, რაც ამ ხმას ის პირვანდელი ძალი დაეკარგა, ისე საიმედოდ აღარ ის-

მოდა — ეჭვის ჩრდილი გადაჰკეროდა. მაინც არ უნდოდა ამ საიმედო ხმის დავიწყება.

ზაფხული იყო. მიწა არ ჩანდა. ყველაფერი მწვანით შემოსილიყო — მთები, გორაკები, ველები. შავ ზღვასაც მწვანე ფერი დასდებოდა. აი, ციტრუსების ბუჩქების ხელის წაფლებით მცარე გორაკი ჩამოირბინეს ვიწრო ბილიკით დიდ გზაზე გავიდნენ.

ხმას ვერ იღებდნენ. ალბათ დიდმა გრძნობამ და ბევრმა სათქმელმა სიტყვა წაართვათ. ერთმანეთს მხოლოდ ზოგჯერ გადახედავდნენ. თამაზს ისე ეჩვენებოდა, თითქოს თამარის თვალებში უფრო მეტი სიმშვიდე იდგა, ვიდრე მოელოდა გამამხნევებელმა სიტყვებმა, რომელიც გამოთხოვებისას საკუთარ დედას უთხრა, იქნებ თამარიც დაამშვიდა? „ღიახ, ღიახ, ეს შესაძლოა“, — ასეთი გადაწყვეტილება მიიღო მამის თამაზმა და ამ დროს თამარის სიტყვებიც მოესმა:

„პირველად თბილისში გავიცანით ჩვენ ერთმანეთი, თუმცა ერთი მხრიდან ვართ. ჩემს დას, ნინოს, რომ ქალაქში არ წამოვეყვანე, იქნებ ვერასოდეს ვერ შეგხვედროდი. ახლა მშორდები და...“ — სიტყვა ვეღარ დაასრულა თამარმა, თავი დახარა, თვალები ცრემლით აევსო... უცქეროდა თამარს. სდუმდა. თამარის ცრემლი ალბობდა მის გულს.

„ნეტავი მაშინ შეგვეერთებინა ჩვენი ცხოვრება, როცა შენ ასპირანტურა დაამთავრე და ის იყო ერთმანეთს სიტყვა მივეციოთ“, — განაგრძობდა თამარი.

რკინიგზის სადგურს მიუახლოვდნენ. აი, ვილაც ქალი მათკენ გაშორბის.

„ნინო, ნინო!“ — გასძახა თამარმა უფროს დას.

ნინოს ერთი ცალხელა ქაბუციც მოჰყვა.

„გაიცანით, ფრონტიდან დაბრუნებული, ჩემი დის მეგობარი, დავითი!“ — უთხრა თამარმა.

დავითმა მარჯვენა ხელის ნაცვლად მარცხენა გაუწოდა, ჩამოართვა და, ქამარში ჩაყვრილი მარჯვენა სახელო შეისწორა.

გამოთხოვების უკანასკნელი წუთები დადგა. ვაგონის საფეხურზე შემდგარი, აცრემლებულ თამარის სახეს თვალს ვერ ამორებდა. დაიძრა მატარებელი. დარჩენილებს ხელაწვდილი ემშვიდობება. მხოლოდ თამარის ძახილი ესმის: „ნახემდის, თამაზ, არ დაგივიწყებ!“...

თამაზი შეიშმუნა, გამოერკვა: „ზედა საწოლზე ჩაძინებული მგზავრის სუნთქვა მოესმა. ის გზაში გაიცნო. მოსკოვიდან ერთად მოდიან. „ჩანს გამოცდილი მშენებელია. თავისი ცოდნის იმედიც აქვს“, — გაიფიქრა თამაზმა, წამოიწია, მტკივანი ფეხი იატაკზე დაუშვა და წამოდგა.

გათენებულა.

საცაა საქართველოს მიწაზე გაიხმაურებს მატარებლის ბორბლები, და სანეტარო წუთებს განიცდის... აი, შავი ზღვის სანაპირონა, პირმოწვენდილა, დამშვიდებული და მშობლიური! აი, სხივშეფრქვეული კავკასიონი, ეს ომგადახდილი ქალაროსანი.

მატარებელმა საქართველოს მიწაზე გაიგრიალა. იქნებ ეს ზღაპარია, მოჩვენება, ან სიზმარი?..

ერთი წელი გავიდა, რაც თამარისაგან ბრათი არ მიუღია, მაგრამ ადამიანის ცხოვრებაში განა ერთი წელი ასე დი-

ლია? განა ერთი წლის უფროსი შეუძლია შეარყიოს ის დღეები, რომლებზელიც ამდენხანს გულით ატარა, რწმენა იმ ადამიანის ერთგულებიდან, რომლის ტრფობასაც იგი გულის სიღრმეში ინახავდა, ცდილობდა ექვის ნიაგიც კი არ მიჰკარებოდა ომის გრივალში. არა! ამაზე ფიქრიც არ შეიძლება სხვა არა იყოს რა, უკვე ახლოა, მივა და ყველაფერს გაივებს.

დაჭრილ ფეხს დაეყრდნო, მაგრამ ტკივილმა გამოაფხიზლა.

ცოტა ხნის შემდეგ, ზემო საწოლზე ჩაძინებულ მგზავრს მიაკყრო თვალი.

სახეგაბადრული ნაცნობი პირალმა იწვა, ღრმად სუნთქავდა. ყოველ ამოსუნთქვაზე მისი განიერი მკერდი ზვირთივით მალღდებოდა და ეშვებოდა. ზოგჯერ შეუცნობი მიზეზით აღურთოლდებოდა ტუჩები და მაშინ ოდნავ გახელილი ცისფერი თვალები უღიმოდა.

რამდენი საინტერესო რამ უამბო მან გზაში. ამ ადამიანს მთელი საბჭოთა კავშირი საკუთარ ოჯახად გადაუქცევია, დადის და აშენებს. მისთვის სულერთია, იქნება ეს რუსეთი, უკრაინა, თუ საქართველო, ყველგან ერთნაირი ხალისით მიილტვის. ყველგან ერთი გული მიჰყვება. ის ახლაც ჩელიაბინსკიდან საქართველოში მოდის და აქაც იგივე დიმილი მოაქვს.

თამაზმა იჩინერს გაუღიმა, ჯოხს ხელი მაგრად ჩასქიდა, სარკმელს მოშორდა და ისევ ტახტზე დაუშვა.

მალე იჩინერის ხმა შემოესმა:

— მეგობარო, ჩემო მეგობარო, სად დამეკარგეთ, გათენებულა!

თამაზმა მალა აიხედა. იჩინერი ილიმებოდა, ოდნავ წინწამოწეულ კბილებს აჩენდა.

— სერგეი ივანეს-ძევ, გამოიღვიძეთ?

— საქართველომ გამომადლიძა! იციო, რას ნიშნავს მზე? სიცოცხლე! მოდიოდა იძინეთ, რა დაგაძინებო?



ბირს ჩამოვიდა, ქვედა საწოლზე და-
ჯდა და უხეში ჩექმების ჩაცმა დაიწყო.
როცა ჩაიცვა და წამოდგა, იატაკ-
ზე ფეხი მაგრად დაარტყა:

— ჩექმებო, ჩექმებო! საოცარია, ჩე-
მი ფეხები ამ ჩექმებზე სუსტია, მაგრამ,
ვინ იცის, რამდენი ასეთი ჩექმა გაუც-
ვეთნია! გამაგრდი, მოხუცო, კიდევ რამ-
დენი გზა გელოდება!

— რა დროს თქვენი მოხუცებაა!
ცხოვრების გზა ჯერ თქვენ სანახევრო-
დაც არ გაგივლიათ! — უთხრა თამაზმა.

— არა, მოხუცობას ჩემთან რა უნ-
და, მაგრამ ქალარამ მომაგონა, რომ იგი
უკვე მეწვია რა უნდა ჩემთან, როდის
მომეპარა, ვერ გამოვიას! რომ გამეგო,
ისეთ დღეს დაეყრიდი, რომ ეშმაკებიც
გაიცივნებდნენ! — სარკმელთან შეჩერ-
და, კავკასიონს გახედა, ხელი გაშალა
და დაიძახა: — კავკასიონი! აი, როგო-
რია კავკასიონი! თქვენც ხომ ამ მთების
ღეძლი შვილი ბრძანდებით?

თამაზმა გაუღიმა.

— მეგობარო, პირს არ დაიბანთ? წა-
ვიდეთ, წავიდეთ!

თამაზი გაყვა. ფეხს ფრთხილად მია-
ბიჯებდა ნახევრად კმაყოფილებიან და
ნახევრად ტკივილის გამომსახველი
ღმილით. ზოგჯერ ტკივილი ელვის
სისწრაფით მოჰკვეთდა ღმილს, უც-
რად თვალსაც მოწყურავდა, მაღალი
შუბლი ნაოკებით აევსებოდა, მაგრამ
წამსვე გაივლიდა ყოველივე ეს და ახა-
ლი ღმილი ასწორებდა ყველაფერს.

სერგომ დერეფანში გამოსული მე-
გობრები შენიშნა.

ისინი შარვლის ჯიბეებში ხელეჩა-
წყობილნი მზით მოვარაყებულ ზღვას
გაჰყურებდნენ.

— ლომიციხის მომავალ გმირებო,
თქვენც გამოცოცხლდით? გაიღვიძეთ,
მზის ქვეყანაში შევედით! ბორისოვ,
რათ ჩაფიქრებულხარ, ჩემი არა გჯე-
რა? ბობროვიც აქაა. მეტალურგის
ძველო ვეფხვებო, ხმა ამოიღეთ!

— სერგეი ივანეს-ძევე, თქვენ ხომ
ყველაზე დიდი ვეფხვი ~~სტარქოვსკი~~
ესიტყვა საშუალო ტანის ~~მეტალურგის~~
მელითონე ტყაჩენკო, რომელსაც სახე-
ზედაც ლითონის ფერი გადასდებოდა.

ყველას გაეცინა.

თვით სერგეიც ისე ხარხარებდა,
თითქოს მართლა ვეფხვის ხმა აქვსო.

თამაზი კოკლობით მიჰყევებოდა. თა-
ვის მსხვილ ჯოხს ეყრდნობოდა, მატა-
რებელში გაეცნობილ მელითონეებს მე-
გობრულად ესალმებოდა.

მაღე, ხელპირდაბანილნი, უკან დაბ-
რუნდნენ.

ბორისოვმა, მალალმა, ხუტუქმა, წაბ-
ლისფერთმიანმა ჰაბუქმა თამაზს სთხო-
ვა — დაბრძანდითო. მაგრამ თამაზი
უარზე დადგა.

— არა, არა აგრე მირჩევიან. თქვენ
ნუ წუხდებით!

— მეგობარო, განა მეტალურგები
აგრე უზრდელები ვართ, რომ დაჭრილი
ფეხზე დავტოვოთ? — უსაყვედურა ბო-
რისოვმა.

— თვითონაც მეტალურგია, ჩელია-
ბინსკის ლემელეებში გამომწვარი ინჟი-
ნერია. — განუმარტა სერგეიმ ბორი-
სოვს, მივიდა, თამაზს ხელი მოხვია და
სკამზე დასვა. — ინჟინერ-მექანიკოსი
ბრძანდებით და ნათესაური კავშირი
დიდია ჩვენში, — უთხრა მან თამაზს. —
ღიახ, საბოლოოდ ჩვენი იქნებით. განა
შესაძლოა ქართველი ინჟინერი, თუნ-
დაც მეტნიერ-მეშაკი, თბილისში დაჯ-
დეს, ლექციები უკითხოხ სტუდენტებს
და მხოლოდ ამით დაკმაყოფილდეს?
არა, მეგობარო! ამის ნებას არ მოგცემთ,
არც მოვასვენებთ, სანამ თქვენგან პა-
ტიოსან სიტყვას არ მივიღებთ!

— სერგეი ივანეს-ძევე, რატომ აჩქა-
რებთ, დაჭრილ ადამიანს ჯერ დასვენე-
ბა და საფუძვლიანი მკურნალობაც ჰირ-
დება. როცა ძალღონე დაუბრუნდება,
თვითონ გადაწყვეტს. — ჩაერია ბობრო-
ვი, მელოტი, დაბალი ტანის, ჩასკენილი,
ჭერა ჰაბუკი. მან კეფა მოიფხანა და

იმის ნიშნად, რომ კარგ დროს წამოგვე-
ველო, თამაზს გაუღიმა.

— კი არ ვაჩქარებ, მეც სწორედ იმ
დროისათვის ვაფრთხილებ, როცა გა-
დაწყვეტის საათი დადგება! — მიუგო
სერგეიმ და ბობროვს ბეჭებზე ხელი
მოუთათუნა.

სერგეის აზრს სხვებიც ადასტურებ-
დნენ, თუმცა ერთხმად აღიარებდნენ,
რომ ამ საკითხის გადაწყვეტა ჯერ ნაა-
ღრევია. როცა დრო მოვა, ის თვით თა-
მაშმა უნდა გადაწყვიტოს.

თამაზი ყურადღებით უსმენდა ახალ
მეგობრებს, ერთი მასალისაგან ჩამოსხ-
მულ, ხმამეწყობილ მეტალურგებს, მაგ-
რამ ერთი რამ აკვირვებდა: ყველა ისე
ხმამაღლა ლაპარაკობდა, თითქოს შორს-
მყოფთ ვინმეს ეძახიანო.

„ლითონის ადამიანები მანქანების
ხმაურში შეჩვევიან ხმამაღლა საუ-
ბარს“. — გაიფიქრა თამაზმა.

რამდენადაც უფრო მაღალი ხმით
ლაპარაკობდნენ მეტალურგები, იმდე-
ნად უფრო მეტად იპყრობდნენ ისინი
თამაზის ყურადღებას. როცა ეს ხმაური
მინელდებოდა, მაშინ მისი ყურადღება
ზღვას უბრუნდებოდა... არც გაუგია,
ისე შეუმჩნეველად მინელდა მელითონე-
თა ხმამაღალი ბაასი, მერე სულ შეწყ-
და. და ახლა მთელი არსებით ზღვამ მი-
წიდა.

— ჩემო მეგობარო, თქვენ ამ ზღვა-
ში შორს გაიჭირით და დაგაეფიქრათ,
რომ მშვიერი ხართ. მობრძანდით! წავი-
დეთ, წავიდეთ! — უთხრა სერგეიმ და
ხელი მიაშველა.

თამაზი გაჰყვა.

იმავე კუბეში სერგეის პატარა სუფ-
რა გაეწყო. როცა შევიდნენ, სერგომ
ვერცხლის მოზრდილ ჭიქაში კონიაკი
დაუსხა.

— მიირთვით!

თამაზმა ჭიქა მორჩილად ჩამოართვა.
იცოდა, სერგეისთან უარი არ გაუვი-
დოდა.

— ილღვრებლეთ, ეჭვირფალო მშა-
ნებლებო! თქვენ ისეთი ჭაღორიანი ქვეყა-
ნას აძენებთ, როგორც თვითონა ხართ.
ხანგრძლივი იყოს სიხარულის მშენე-
ბელთა სიცოცხლე! — აღღვრებლეთ თა-
მაშმა სერგეი და კონიაკი გადაჰკრა.

— ოჰო, თქვენ არა ხუმრობთ! ასეთი
საღღვრებელთათვის პასუხისმგებლო-
ბას მარტო ვერ ვიკისრებ! — სიცილით
წარმოსთქვა სერგეიმ და ამხანაგებს
გასძახა: — ჰეი, ინიერებო! აქეთ, აქეთ!
ყველანი კუბეში შემოვიდნენ.

საუზმეს შეეჭკეოდნენ. კონიაკს
სვამდნენ და საუბრობდნენ.

მზე მაღლა იწვედა...

თამაზი ისევ მარტო დარჩა კუბეში.
სიმწვანეში შეჭრილი მატარებელი
გუგუნებდა, ირწოდა. თამაზის წარ-
მოადგენით, ახლა იგი, თითქოს, მეტის
მონდომებით მიიწვედა წინ.

2

თბილისი.

ვაგონში თითქმის აღარავინ დარჩა.
გზაში გაცნობილი მეგობრებაც წავი-
დნენ.

სერგეის თბოვნაზე — ჩვენ ვიშვე-
ლითო, თამაზმა მადლობა გადაუხადა:
მოვლენ ჩემთან და მათ გაცეცებიო, —
დამშვიდდნენ ისინი, თამაზი არავის
ელოდებოდა. მან განგებ არ აცნობა
არავის.

ვაგონიდან რომ გადმოვიდა, მიმოიხე-
და: თბილისი, მთვარის შუქით მოვერცხ-
ლილი თბილისი!

— ააა! ააა! — ისმოდა საყვირების
ხმა მთავარი სახელოსნოებისა და დე-
პოს მხრიდან. ამით ისინი თითქოს ამ-
ბობდნენ: „ააა, ჩამოხვედი?“

„ჩამოვედი, შენ როგორ დამხვედი?“
როცა თამაზი „ტაქსის“ მომლოდინე-
თა რიგში ჩადგა, მხოლოდ მაშინ მოესმა
ქალაქის ხმაური — ავტოების გუგუნის,
ტრამვაების გაბმული ხრიალი, თუ
ხალხის ჩოჩქოლი. რა ახლობელი და
ნაცნობი იყო ეს ხმები!

მოდუდუნებდა მდინარე მტკვარი. მაისის უკანასკნელი დამე იყო. კარგა ხანია სითბო დამდგარიყო ქალაქში, მაგრამ აღიდებული მდინარე მალა იწყებდა, ხილს გააფთრებით ეხეთქებოდა, რომ უფრო მეტი მრისხანებით წაელო ჯერ კიდევ მთაში ჩარჩენილი ზამთარი.

რუსთაველის პროსპექტის ერთ კუთხეში მანქანამ მოუხვია, აღმართს აპყვა... აი, შეჩერდა.

ჩამოვიდა თამაზი. ის არაფერზე აღარ ფიქრობდა, მაგრამ გულს მაინც ბაგაბუგი გაჰქონდა.

მანქანა წავიდა.

— წაივდეთ! — უთხრა ბარგის მზიდვეს.

მარმარილოს კიბეზე საკუთარ ფეხის ხმას ველარა ცნობდა. ჯოხის — ამ მესამე ფეხის კაკუნით უცნაურად ესმოდა.

როცა მესამე სართულზე ავიდნენ, თამაზი შეჩერდა.

თითქოს, სახლიც შეცვლილათ, იფიქრა.

— წადით, თქვენ წადით! — უთხრა მებარგეს და ფული ხელში ჩაუღო.

მარტო დარჩენილმა თამაზმა ღრმად ჩაისუნთქა ჰაერი და კარზე დააკაკუნა. შიგნიდან არავითარი ხმა არ ისმოდა. ისევ დაეკაკუნებო — გაიფიქრა, მაგრამ მოაგონდა, რომ იქვე მარცხნივ ელექტრო ღილი იყო. ხელი ასწია და თითი ფრთხილად შეახო.

ზარის შორეულმა, იდუმალმა წყარუნმა უფრო ააღელვა. ქუდი გაისწორა, მზარა მოკეცა, მკლავზე გადაიდო და წელში გაიმართა.

შიგნით რაღაც გახმაურდა, ახლა კარმაც დაიჭრია, აი, ფეხის ხმაც! აქეთკენ მოდის! მოახლოვდა. შიგნიდან მაკაკუნის ბოხი ხმა მოისმა:

— ვინ არის?

— მე ვარ, თამაზი!

— თამაზ, თამაზ! — მოისმა შეძახილი და კარი გაიღო. საშუალო ტანის,

მთლად გაქალაქავეებული მამაკაცი გამოჩნდა.

— ლევან! — შესძახა თამაზმა და მძებრივად მოეხევივნენ.

— ლევან, როგორ ხარ?.. მეც... აი, მოველ! ისევ ერთად ვართ!

— ხელმეორედ დაეიბადე ღღეს, თამაზ, ხელმეორედ! — იძახდა ლევანი.

— ლევან! — ისევ შესძახა თამაზმა და სიტყვა გაუწყდა.

— ალბათ მოვხუცდი. მოხუცს ყველაფერი ებატება, — უთხრა ლევანმა. შენიშნა, რომ ჩემოდნები ისევ გარეთ ელაგა. — ოჰ, როგორ დაეიბენი, როგორ... — განაგრძობდა ლევანი. როცა ჩემოდნები შიგ შემოიტანა, შეამჩნია, რომ თამაზი დაქრილი იყო.

— შენ ფეხი გტკივია?.. მერე, რა ვუყოთ! მთავარია, რომ დაგვიბრუნდი!

— არაფერია. კარგად ვიქნები. ფეხიც მალე მომიჩრება. — მშვიდად მიუგო მძას თამაზმა.

ოთახში სიწყნარე სუფევდა.

თამაზმა მიმოიხედა. გამოღებულ ფანჯარაში მთვარე იხედებოდა. კედელზე ათი წლის წინათ გარდაცვლილი რძლის, ქეთევანის, სურათი ეკიდა. ეს სურათი მას თითქოს იდუმალი, რაღაც გაუშხელი საიდუმლოების გრძნობით მისჩერებოდა.

— მარტო ვარ, თამაზ! — წარმოსთქვა ლევანმა და მძასთან მივიდა. — უკვე ერთი თვე იქნება, რაც ჩემმა ქალიშვილმაც დამტოვა, გათხოვდა. ცოლმე მარა კიბე სიცოცხლით ჩაირბინეს. ვაბედნიერდნენ... ამით მეც ბედნიერი ვარ, მაგრამ მარტო ვარ.

— დარეჯანი გათხოვდა?

— გათხოვდა. აი, მხოლოდ ქეთევანის სურათი დამრჩა. თამაზ, იცი, მე ის აღარა ვარ, რაც ვიყავი, გამოვიცვალე. დაესხდეთ აქ, მძაო!

სარკმელთან დასხდნენ. აქედან ნახევარი თბილისი ჩანდა. მოწმენდილ ცაზე აგორებული, პირსაცხე მთვარე თითქოს ქალაქს ვერცხლს ასხურებდა, დიდი სი-

დინჯით, თავისავე სიდიადეში დარწმუნებული, ზევით იწევდა, ლაღად შედიოდა უნაპირო სიერცეში.

— ეის გაკყვა დარეჯანი? — მოგვიანებით იკითხა თამაზმა.

— მის მეგობარ ექიმს, ზაქრო მღვებეს. ფრონტიდან დაბრუნების მეორე დღესვე.

— კარგია. — წარმოთქვა თამაზმა და ცოტაოდენი დუმლის შემდეგ ისევ იკითხა: — დედა როგორაა, ლევან? სოფლიდან რა ისმის, როგორ არიან?

— კარგად არიან. დედას მხოლოდ შეწზე ფიქრი არ ასვენებდა.

— ხალხი რას შერება, ვის დავაიწყდი, ან ვინ მიგონებს? — შეომწინეულად შეაპარა თამაზმა და, ლევანს რომ არ ეგარძნო, თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევდა ამ კითხვაზე გაცემულ პასუხს, თითქოს უდარდელად, მთვარეს გახედა. რადგან პასუხმა დაიგვიანა, მხოლოდ თვალები მოაბრუნა ძმისაკენ.

— ვისაც დავაიწყდით, თვითონ უფრო ღირსი არიან დავაიწყებისა. — მიუგო ლევანმა.

თამაზი მიხედა, რომ უფროსი ძმა სწორედ იმ კითხვაზე უპასუხებდა, რაც მისი მღელვარების საგანს წარმოადგენდა. სავალალო მხოლოდ ის იყო, რომ ყოველივე ეს მის ექვებს კი არ ფანტავდა, პირიქით, აძლიერებდა. „იცი, ყველაფერი იცი ლევანმა“, — გაიფიქრა მან, სახე მოედრებდა და დაწვებზე ხელი მაგრად მოისვა. ცდილობდა მისი მღელვარება ლევანს არ ეგარძნო. მიუხედავად ამისა, ლევანს ძმის უბრალო მიმოხვრაც კი არ გამოაპარვია. შესაძლოა ეს იყო მიზეზი, რომ ლევანი გვერდს უვლიდა სწორედ იმ საკითხს, რომელზედაც გარკვეულ პასუხს ითხოვდა თამაზი. დიახ, ეს შესაძლო იყო, მაგრამ გადაპრით ჯერ არაფრის თქმა არ შეეძლო, და თამაზი სდუმდა.

ბოლოს ისევ ლევანმა თქვა:

— ჩემო თამაზ, ადამიანები იმდენს იგებენ, რამდენიც მათ დაიმსახურეს, იმ-

დენს აგებენ, რამდენისაც ღირსი არიან. მაგრამ, თუ ვინმემ დღეს-მეტი უნდა გავიწყობო, ხეალ შეიძლება შეუდარებლად მეტი წაავსო. ვისაც გული და სინილისი სუფთა აქვს, ის ოდნეადაც არ უნდა დავაიწყდეს; დღეს თუ დავმსახურებლად წაავსო, ხეალ უფრო დიდ გამარჯვებას იგემებს. ამიტომ, დეე, ყველამ თავისი მოქმედებისა და დამსახურების შესაფერი ჯილდო მიიღოს.

თამაზი ისევ მახლობელ მთებს, ქალაქსა და მთვარის შუქით განათებულ ცას გასცქეროდა, თუმცა ისევ იმ საკითხზე ფიქრობდა, რომელიც კარგა ხანია არ ეშვებოდა, თან დაკყვებოდა, ხოლო ახლა მთელი სიმწვავეთ დამდგარიყო მის წინაშე...

„მამაზედებს. მამასადამე, ყველაფერი დაღუპულია“. — ფიქრობდა თამაზი და გრძნობდა, რომ რაღაც ძალა ეწეოდა, ფეხზე წამოყენებას უპირებდა.

— ვინც თავის სიტყვას პატივს არა სცემს, ვინც თავის გულსა და სულს ყოველდღე იცვლის, ის თავისავე ხელით სამარეს ითხრის და სხვა საფლავი მას აღარ ქირდება. ომი ადამიანების დიდი გამოცდა იყო. — უფრო დაბეჯითებით განაგრძობდა ლევანი.

„ნათელია, ყველაფერი გარკვეულია, მაგრამ, მაინც არ მჯერა“. — გაიფიქრა თამაზმა, თანაც რაღაც გასაოცარი სიმსუბუქე იგრძნო მუხლებში და წამოდგა.

— უნდა წავიდე.

— სად მიხვალ ძმაო? — შემერთალი ხმით შეეკითხა ლევანი.

— მალე მოვალ... გავივლი ცოტას...

— არა, არა, დამიჯერე, თამაზ! ვიცი, სადაც უნდა წახვიდე. ამიტომ, გეუბნები, არა ღირს!

— ლევან, ასე დავიხრჩობი. ცოტა ხნით ჰაერზე მინდა გავიდე. — გადაპრით უთხრა თამაზმა, და ლევანი დააწყუნდა, რომ თამაზის შეჩერებას ვეღარ შეძლებდა.

თამაზი წავიდა.

ლევანი გამეშვებულ იდგა ოთახში

და აღარ იძროდა, თითქოს სული ამო-
ცალესო, აღარც სუნთქავდა...

წინ ჩამოშლილი თეთრი თმა უკან
გადაიყარა. ნაბიჯი გადადგა. ოთახის
შუაგულში დადგმული თამაზის ორი
ჩემოდანი კუთხისაკენ მისწია. წინ და
უკან სიარული იწყო.

ღამის გრილი ნიავი მშვიდად აფრია-
ლებდა თხელი აბრეშუმის გამკვირვალე
ფარდებს. ეს ფარდები მის სახესა და
თავს ეხებოდა, თმას უწყეფავდა და თით-
ქოს იღუმალი ხმით ჩასჩურჩულებდა:

„დამშვიდდი. გეყოფა. თამაზი უკეუ-
ოდ ნაბიჯს არ გადადგამს“.

იმ სკამზე დაეშვა, რომელზედაც რამ-
დენიმე წუთის წინ თამაზი იჯდა.

სარკმლის რაფაზე დაწყობილ ხელებს
შუბლით დაეყრდნო და თვალი მო-
ხუჭა.

3

თამაზი ქუჩაში გავიდა, შეჩერდა, მი-
მოიხედა.

„საით?“

კარგად იცოდა, სად უნდა წასული-
ყო, მაგრამ თითქოს დაეწყნოდა, რო-
მელი გზით შეეძლო წასვლა. უეცრად
მოისაზრა, წავიდა, აღმართს შეუდგა
და სიმსუბუქე, რომელმაც ზეზე წამოა-
ყენა, სიმძიმედ ექცა.

ძლივს მიაბიჯებდა, ჩერდებოდა, მძი-
მედ სუნთქავდა. რამდენჯერ აუვლია ეს
მცირე აღმართი და როგორი ხალისით,
როგორი სიმსუბუქით!

როგორც იყო აღმართი აიარა. მეორე
ქუჩის შესახვევში შეჩერდა. მივიდეს?
არა. „აჩქარება არა ღირს“, — შებრუნ-
და. ქუჩას გაჰყვა. მერე ვერ მოითმინა
და ისევ მობრუნდა.

აჰ, ის არის! ძლივს გაუსწორა თვა-
ლი იმ სახლის აივანს, რომელზედაც
ასასვლელი კარები ღია მოჩანდა. იმ კა-
რებიდან და ფანჯრებიდან მუსიკის
ხმები და ხანგამოშევებით სიცილ-ხარ-
ხარი მოისმოდა.

„კვირა დღეა და ერთობიან“, — გაი-
ფიქრა, თუმცა გულის სიღრმეში ვერა-
ვითარი „კვირით“ ვერ გაემართლებინა
თამარის ასეთი საქციელი.

ყური დაუგდო:

მამაკაცის ხმაშავალი ლაპარაკი და ქა-
ლის სიცილი ერთმანეთს ცვლიდა. მაგ-
რამ ზოგჯერ ბან-კრიმპულევით ერთ-
დებოდა. შემდეგ ფეხების ბაჯა-ბუჯი
რითმულად ასდევდა მუსიკის ხმას.

„თუ ქორწილია, არ მიმიწვევენ?“ —
ნაძალადევი უდარდლობით ჰკითხა
თავისთავს, თუმცა გულში ანთებული
ხანძარი ძლიერდებოდა. ხელოვნურად
ცდილობდა შეენელებინა ამ ცეცხლის
ძალა. ატყობდა, რომ ამგვარი ხერხით
თავისთავს ვეღარ მოატყუებდა.

ფეხი მოინაცვლა, ახლად გაშლილ
ცაცხვის ხეს ხელი ჩასკიდა, მიმოარხია.
ფოთლებმა გაიშრიალა და თითქოს და-
სამშვიდებლად წასჩურჩულა თამაზს:

„ნუ შფოთავ. ჩვეულებრივი ამბავი
ხდება. ვანა სიცილ-თამაში აკრძალუ-
ლია? იქნებ ჩვეულებრივი სტუმრები
არიან და საიდანაც მოსულან, იმ გზით-
ვე წავლენ“.

იმედი მიეცა თამაზს.

„რა სულელი ვარ, ეს რა ვიფიქრე?“
მაგრამ საჭიროა თუ არა მივიდეს? იქ-
ნებ ჯობს უკან დაბრუნდეს?

„არა, საჭიროა მივიდე“.

ხეს გამოარდა, სახლის შეასვლელი
ამოიღო მიზანში და უფრო ენერგულ-
ლი ნაბიჯით გაემართა. შევიდა სახლ-
ში. კიბეს შეუდგა. მაგრამ აჰ, ამ კო-
ჩეზე, საკუთარი ფეხის ხმაც კი აღარ
ესმოდა. მთელი მისი ყურადღება იმ
ხმებს შთაენთქა, რომლებიც სახლის
მეორე სართულიდან ისმოდა.

აი, ავიდა. კართან შეჩერდა.

ახლა უფრო გარკვევით მოესმა ქა-
ლის ნაცნობი შემახილი, სიცილი. უნ-
დოდა დაეკაკუნებინა, მაგრამ ხელი არ
დაემორჩილა. ერთხანს უძრავად იდგა,
ლონეს იკრებდა. უცებ ელექტროლის

მოკრა თვალი. მთელი ძალით დააკირა ლილს საჩვენებელი თითი.

„მეორე ზარია და მოქმედება იწყება“.

იცოდა, რომ ახლა მისთვის წყდებოდა საკირბოროტო საკითხი: რა გზით წავიდოდა ომისშემდგომი მისი ცხოვრება. „რადგან აქამდე მოსვლა მეღირსა და ზარსაც მივწვდი, ახლა აღარ მოვეშვები“ — ფიქრობდა და მთელი ძალით აწევებოდა ზარის ლილს.

— ვინ არის? — გაისმა ქალის ხმა და კარიც გაიღო.

ტანწერწეტი, გამხდარი, ოდნავ ფერმიხდილი ქალის სახე გამოჩნდა.

თამაზი დერეფანში შევიდა.

ქალი შეკრთა, დაიბნა, თითქოს ამგვარ სტუმარს არ მოელოდა. მადლა აწეული ხელი მოწყვეტით დაუფარდა, პირი დაალო, მაგრამ ენა დაება.

— თამარი შინაა? — დაბალი ხმით ჰკითხა თამაზმა, მაგრამ მოეჩვენა, რომ სიტყვა „თამარი“ ყოველივეთ გაისმა ოთახში. იმ ქალის პასუხი ვეღარ მიიღო და წინა ოთახის ნახევრად გაღებულ კარს ჯოხის წვერით მიაწეა.

კარის გაღებისთანავე საოცარი სურათი გადაეშალა:

ხელიხელადახვეული თამარი და ვიღაც უცნობი მამაკაცი ცეკვავდნენ. ერთმანეთს შეწყებულნი და ერთ სხეულად გადაქცეულნი, ისეთი თავბრუდამხვევი სისწრაფითა და ზეენა-აღუნით ტრიალებდნენ ოთახში, თითქოს ქვეყნის არსებობა დავიწყნათო.

თამაზმა ძლიერ ერთი ფეხი შედგა ოთახში და იქვე გაშეშდა. თამარმა იცნო, შეჰკივლა და მყისვე შეჩერდა. ხელები ისე ააფათურა, თითქოს თავს იცავსო. მაგრამ დაიბნა და ადგილიდან ვეღარ დაიძრა. ცოტაოდენი ყოყმანის შემდეგ მის წინ შეჩერებულ თამაზს რაღაც უხერხული გრძნობის გამომსახველი თვალთ გადახედა, შემდეგ დამნაშავეის ურცხვი ღიმილით, გაუბედავად

მიიწია მისკენ და დაბალი ხმით, ძლიერ გასაგონად წარმოთქვა:

— თამაზ!

გინგლომონეჟა

ვერავითარი ტყვია ამ ხმაზე უფრო ღრმად ვერ დასჭირდა თამაზის გულს. იგი მეხდაცემულ მუხსავეით შეირხა და შეტორტმანდა. ხელი მაგრად ჩასკიდა და ჯოხს და გულთან მიიღო, თითქოს ამით სამუდამოდ დაუსვა ჯვარი ყველაფერს, რაც იმ ქალთან აკავშირებდა.

სწორედ ამ საბედისწერო წუთებში შეწყდა მუსიკის გამბული ხმები და უყურადღებოდ მიტოვებულმა პატეფონმა ხრიალი მორთო.

თამაზს ეგონა, რომ ეს იმ დიდი გრძნობის ხრიალი იყო, რომელიც ახლა მის თვალწინ მოკვდა. ცდილობდა მხოლოდ ერთი რამ არ დაევიწყნოდა: საკირბოა გაბრუნდეს, რაც შეიძლება ჩქარა დატოვოს ეს წინათ საყვარელი, ახლა კი ყინულზე ცივი, საფლავზე უფრო ბნელი ადგილი. თავს ძალა და ატანა და ოთახში შედგმული ფეხი ჯოხის მოშველებით ისევ უკან გადადგა, გამოფიტული, რაღაც სიცარიელის გამომსახველი თვალები გაშეშებულ, წერწეტ ქალს შეანათა და კარი გაიღო. გავიდა.

გათავდა, ყველაფერი გათავდა! გამტკრებული იდგა და ვეღარაფერს ხედავდა. მარცხენა ხელი მოაფათურა, კმბის სახელური იპოვა და დაეყრდნო. სული მოითქვა. საკირბოა, რაც შეიძლება მალე ვამორდეს აქაურობას, მალე, დაუყოვნებლივ! კიბეზე დაეშვა.

გარეთ რომ გავიდა, მიმოიხედა. თითქოს ნაცნობი ადგილი შეამჩნია. მოაგონდა, რომ აქ ახლოს სანაპირო იყო.

მთვარეს მთელ სანაპიროზე ბროლის გამჟვირვალე ფარდა გადაეფარებინა.

„სიზმარია, სიზმარია!“ — გაიფიქრა თამაზმა და მტკვარს გადაჰკიდა. რამდენჯერ ყოფილა აქ, თამართან ერთად! „არა, არა! ის ჩემთან არასოდეს არ ყო-



ფილა! — უნდოდა დაერწმუნებინა თავისივე თავი რომ მართლა არ ყოფილა იგი მასთან, მაგრამ სინამდვილე სინამდვილედ რჩებოდა.

დიდხანს დასცქეროდა მტკვარს.

როგორ მედიდურად — თანაც რა გულგრილად მიდუღუნებს მდინარე!

ისევ ის შემზარავი სურათი დაუდგა თვალწინ:

მოელანდა მაღალი, ჩამოსხმული, ცისფერი აბრეშუმის კაბაში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალის შოლტვიით მოქნილი ტანი, მისი მრგვალი, თეთრი პირისახე, შეილღვივით მოხრილი, შავი წარბები, მოწაბლისფრო, დიდრონი თვალები და თავზე დახვეული, შავად მოელვარე, დაწნული თმა! წინაოც უნახავს ის და, მერე, როგორ ახლოს! ის მას ეყუთვნოდა, მისი იყო!

ახლა რაღა დარჩა? რამდენად უცხოა ახლა ეს ადამიანი მისთვის?! აქაც ვერ გაჩერდა, ვერ მოისვენა. წავიდა.

ყვავილების გამაბრუებელი სურნელება იგრძნო და, როცა ნორჩი ფოთლები მის სახესაც შეეხო, შეაჩრქოლა. განა შესცივდა? არა. ეს სიამ-სიმწარის ურთიერთ გადახლართულა გრძნობა იბრძოდა მასში. ბაღის პატარა მოედანზე გავიდა.

ყვავილების წრეში ფერადი მარმარილოს კვარცხლბეკზე მდგარ სტალინის მონუმენტს შეხედა. ბელადმა სიმშვიდე შეთაბერა მის აფორიაქებულ სულს.

დაწყნარდა.

თვალწინ მთელი სანაპირო გადაეშალა. გაზრდილან ხეები, შორს გაუწყვდიით ღონიერი ტოტები. ნიავემა დაჰბერა და ნორჩმა ფოთლებმა შეთანხმებულევით შეიშრიალა. თითქოს დიდი ტვირთი მოიხსნათ, რაღაც შემსუბუქება იგრძნო თამაზმა. — არა, ნება არა მაქვს სულით დავეცე. გამაგრდი, თამაზ!

სიცრმის მეგობრის, მასთან შეზრდილი ამხანაგის ნახვა მოუნდა.

დიდი წვალებით აიარა დამართი. ბოლოს პიონერთა ბაღზე გადამდგოვი სახლის კარებში შევიდა. მერე სართულზე ავიდა და კარზე დააკაკუნა.

როცა კარი გაიღო, ორი სახელი ერთხმად გაისმა:

— თამაზ!

— პავლე!

სამუშაო კოსტუმში გამოწყობილი პავლე ყვირილით ლაპარაკობდა. თამაზის დაბრუნებით აღტაცებული მუხლზე ხელს იცემდა, დგებოდა, ჯდებოდა. ზოგჯერ მეგობარს ბეჭებში მაგრად დაჰკრავდა ხელს და გულიანად ხარხარებდა.

— საოცარი, საოცარი! — იძახდა იგი.

თამაზი მხოლოდ მეგობრული სიყვარულის გამომსახველი ღიმილით უტყვად შეჰყურებდა პავლეს ან, თითო-ოროლა სიტყვით უპასუხებდა შეკითხვებზე და თან სამხატვრო სახელოსნოდ გადაქცეულ პავლეს დიდ ოთახს ათვლიერებდა.

თამაზმა გადაწყვიტა არ გაეშვილა პავლესათვის, თუ რა შეემთხვა. ამჯობინა ყველაფერი გულში ჩაეკლა.

პავლე კვლავ უდარდელად ხარხარებდა:

— გერმანია დაამარცხე და ჩამოხვედი, მაგრამ, ძმაო, ომი მეც ვიგეგე. უსულგულო ტყვიამ კინალამ ამომშალა სიიდან.

პავლემ შეატყო, რომ მის ძველ მეგობარს არა მარტო ფეხის ტყვილი აწუხებდა, არამედ სხვა რაღაც უფრო დიდი სატყვიარიც ტანჯავდა.

— თამაზ, რაღაც ცუდი ფერი გადავეს, ზომ არაფერი...

— არა, არა — გააწყვეტინა თამაზმა, — ალბათ დავიღალე...

— ჰოო... — რაღაც უნდობლობის კილოთი დაეთანხმა პავლე და ისევ თავისებური სიცხოველით განაგრძო საუბარი. ზოგჯერ წინაიმომიღილ თმას თავის აქნევით უკან იყრიადა.

— უკვე წელიწადია, რაც შინ დაებრუნდი და ერთი დღეც არ მომისვენია. აი, ის სურათები დაეხატე! — თქვა და კედლებზე ჩამოკიდებულ სურათებზე მიუთითა.

თამაზმა გაკვირვებით გადაავლო თვალი სურათებს. დაწერილებით არ დატყვავიერებია.

— დიდი საქმე ვაგვიკეთებია, პავლე, დიდი შრომა გაგიწევია.

— განა ასეთი შეფასებით გინდა, ძმაო, თავი აარიდო ჩემი სურათების განხილვას? — ამხანაგური საყვედურით უთხრა პავლემ და გაუღიმა.

— შემდეგ, პავლე, შემდეგ! — სიყვარულით უთხრა თამაზმა.

პავლე ახლა საბოლოოდ დარწმუნდა, რომ თამაზი რაღაც დიდ სევდას ფარავდა, მაგრამ მაინც არაფერი ჰკითხა. მეგობრისადმი უფრო დიდი პატივისცემისა და სიყვარულის გრძნობით აღივსო.

— ეპ, ცუდია, ძმაო, უქალო ოჯახი. დავაგვიანეთ, მაგრამ, აი, ჩვენი დროც დადგა. — თქვა პავლემ, განჯინის კარი გააღო, პური და ღვინო გამოიღო, სუფრა გაშალა, ღვინო დაასხა და სავსე ჭიქა თამაზს მიაწოდა.

— მოდი, ამ სასმისით ჩვენი გამარჯვებისა დავლიოთ!

თამაზმა ჭიქა ჩამოართვა.

— სამშობლოს გაუმარჯოს, პავლე! — თქვა მან და სასმისი ერთი სულის მოთქმით გამოსცალა.

ღია კარებში განუწყვეტლივ ისმოდა ბაღის შრიალი, როგორც დამწვრილებული ზღვის ნელ ტალღათა მიმოქცევა. თითქოს ისინიც ადასტურებდნენ დიდხანით დაშორებულ მეგობართა სადღეგრძელოებს.

პავლეს სამუშაო მაგიდაზე უთავბოლოდ ეყარა საღებავებში ამოვლებული ფუნჯები, პატარა ყუთები, კალმები, ფანქრები, დახვეული, თუ გაშლილი ქაღალდები. ასეთივე უწყესრიგობა ეტყობოდა კედელზე მიქედილ დიდ ტი-

ლოზე გამოსახულ დაუმთავრებელ სურათებსაც.

პავლე ღვინოს აძალბებდა მეგობარს, უფრო იმიტომ, რომ თამაზს დაფარული სევდას მიზეზი გაემხილა.

მაგრამ თამაზი ღუმდა და მხოლოდ შეკითხვებზე უპასუხებდა. ღვინოს სვამდა, საქმელს კი არ ეკარებოდა. მეგობრის წინაშე უხერხული მდგომარეობიდან რომ გამოსულიყო, ზოგჯერ პურს იღებდა, თითქოს პირთან მიჰქონდა, მაგრამ შეუმჩნევლად უკანვე სდებდა.

როცა თითო ბოთლი ღვინო დატლეს, პავლემ წელი ხმით სიმღერა წამოიწყო.

„ომში წასვლა მას უხარის, ვისაც კარგი ცხენი ჰყავსო, დაბრუნება და შინ მოსვლა, ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო“.

თამაზი წამოღდა.

— უნდა წავიდე!

— არა, თამაზ, არ გაგიშვებ. დღეს ჩემთან დარჩი! — თხოვა პავლემ, მაგრამ შეატყო, რომ არ დარჩებოდა და თითონაც ქუდი აიღო.

— შენ საით, პავლე?

— გაგაცილებ! — უთხრა პავლემ და მკლავში ხელი გამოლო.

წავიდნენ.

დაცარიელებულ ქუჩებში ფეხის ხმა არსაიდან ისმოდა.

პავლემ სახლამდე მიაცილა მეგობარი. კართან შეჩერდნენ.

— ხვალ გნახავ, თამაზ!

— იქნებ ხვალ ვერ მოვახერხოთ შეხვედრა.

— რატომ? აა, სულ დამავიწყდა: შენ ეჭიმებს უნდა ეჩვენო, ალბათ.

— არა, სოფელში მივდივარ, დედა უნდა ვნახო.

— სოფელში? ეს მშვენიერი აზრია, აბაზანები რომ დაგვირდება?

— დედის ხელზე უკეთესი აბაზანა არ გაჩენილა.

— ოპო, კარგია, შენ იცი, თამაზ! მე მაინც ვნახავ!

პავლე წავიდა.

თამაზი გაოცებული შედგა კარებში. ლევანი ჩაცმული დახვდა.

„ნუთუ არ ეძინა?“ — გაიფიქრა.

ლევანი გამოცოცხლდა.

— მოხვედი, თამაზ? მოხვედი, თამაზ? — ზედიზედ იმეორებდა და ხან სკამს წამოედებოდა, ხან მაგიდას.

— მასთან ყველაფერი სამუდამოდ დამთავრებულია, ლევან! — გულჩათხრობით უთხრა თამაზმა.

— გილოცავ, გილოცავ, ძმავ! — მიძახა ლევანმა. იგი გულის სიღრმეში ხარობდა, რომ მის უღირს მოწაფეს ჩამოშორდა თამაზი.

— რატომ არ გძინავს, ლევან?

— გელოდი. აბა, რა დამაწვევდა ვივანშვით, თამაზ, ყველაფერი მზადია.

— ვივანშვით? არა, ლევან!

— მაშ, მოისვენე. შენს ოთახში დაწევი. შიგ არავის ვუშვებდი, ზოგჯერ, შინამოსამსახურე რომ დაასუფთავებდა, კვეტავდი. მოდი, შევიდეთ! — უთხრა ლევანმა. მივიდა, კარი გასაღებით გააღო და შეუი ანთო.

თამაზი შეჰყვა.

— ოთახმაც მოიწყინა, თამაზ, უშენოდ. სძინავს. რაც შენ წადი ერთხელაც არ გაუღვიძინა. ყველაფერი თავის რიგზეა.

„პო, ყველაფერი, იმ ერთის გარდა. ის აღარ მოვა“. — თავის გულში უპასუხა თამაზმა. კედლები შეათვალიერა. რამდენი ხანია ამ ოთახში აღარ ყოფილა!

ლევანმა ფანჯრები გააღო, ფარდები გადასწია და წყაროსავით ანკარა ჰაერი შემოიჭრა ოთახში.

უეცრად ყველაფერი გამოიცვალა: ისეთი ხალისით უბერავდა ნიაფი, არ-

ხვედა ფარდებს, ჩურჩულებდა, დანავარლობდა, რომ თითქოს რწინებდაც სული ჩაიდგა: მტრედის ფრთხილად ატაკუნდა გადამლილი ფურცლები. თითქოს კედლებმაც გამოიღვიძა და ოთახის შუაგულში ჩამოკიდებული ჭადის მძივებმაც ხმაშეწყობილი წკრიალი მორთო.

თამაზი დაჯდა.

ლევანმა ჩემოდნებიც აქ შემოუტანა.

— მოისვენე, ძმავ. ფეხზე მე გაგხვდი, — უთხრა და სავარძელში მძიმედ ჩამჯდარი თამაზის ფეხს წაეტანა.

— არა, ლევან, არც ისე მტკივა, რომ ვერ გავიხადო!

— მოიტა, მოიტა! მოიგონე ბავშვობა: რამდენჯერ გამიხდია ფეხზე შენთვის! — ლევანმა ძმის წინ იატაკზე ჩაიჩოქა. გულში ხარობდა, რომ ასე მოიქცა და მტკივან ფეხზე ჩექმა გახადა.

— კარგი, ლევან! მეორეს თვითონაც თავისუფლად გავიხდი! — მიძახა თამაზმა. მეორე ფეხი არ დაანება და ჩექმა თვითონ გაიხადა.

— ახლა კრილობაც მიჩვენე, თამაზ. როგორა გაქვს?

— შესორცებულია კრილობა. მუხლის ძვალი მქონდა გატეხილი.

— შეგვიხორცდა... — წარმოსთქვა ლევანმა. შარვლის ტოტი გადაუწია და კრილობის ადგილი შეათვალიერა: — პოო... მაშ, ტყვიას ფეხი უნდა წაერთმია და ვედარ წაგართვა! ვაივლის, თამაზ!

— ამას არ ვდარლობ.

— ვიცი, მაგრამ ყველა კრილობა მოშუშდება და შესორცდება! — მოულოდნელად შეაპარა ლევანმა.

თამაზი შეკრთა. უფროს ძმას უხერხულად ახედა, შემდეგ თვალი მოარიდა.

— ხვალ სოფელში მივდივარ, ლევან.

— სოფელში? კარგია. დედა გააჩარე და მალე დაბრუნდი...

— მოსპიტალმა სამი თვის დასვენება გადამიწყვიტა.

— თუ აქ მკურნალობა არ დაგვირდება, ახლა სოფელს რა სჯობია. მეც გინახვლებ სულ მალე, თამაზ. ზაფხულის არდადეგები დაიწყება და გინახვლებ; ახლა კი მოისვენე, ძილი ნებისა.

4

თამაზმა ტანთ გაიხადა, ჩაწვა. ზემოდან თხელი საზაფხულო საბანი გადაიფარა. თავქვეშ ბუმბულის რბილი ბალიში გაისწორა, პაპიროსი ამოიღო და გააბოლა. მისი სხეული მოსვენებას ითხოვდა ამ რბილ საწოლში, მაგრამ გულში იდგა.

ოთახში მთვარის შუქი იდგა. ამ შუქში გამკრთალებულ პაპიროსის ბოლს თვალსა და ფიქრს აყოლებდა. ეს ფიქრები ამ დამით ნახული სურათის გარშემო ტრიალებდა. აქედან ზოგჯერ ოცნებაშიც გადადიოდა. მაგრამ ტკივილი, მხოლოდ დაუსრულებელი ტკივილი მოჰქონდა ფიქრებში ნახულ, თუ ოცნებში შექმნილ ყველა სურათს. და ამ რბილ საწოლში უსიამოვნო გრძნობით დაისრული ბორჯავდა!

თამარის სახე ზოგჯერ მის გონებაში ალივით აინთებოდა, ყველაფერს წვავდა:

„მომშორდი, მომშორდი!“ — ხმამაღლა წამოიძახებდა ხშირად. მაგრამ ის მკაცრი სახე მაინც არ ეშვებოდა. ის გაცნობის პირველი დღიდან უკანასკნელ წუთამდე, ვინ იცის, რანაირ სახეებში ცხადდებოდა თამაზის წინაშე, მაგრამ ამ ქალთან გატარებული დღეების საამურ მოგონებებს უკანასკნელი წუთების შესაბამისად წამოაღებდა. არ შეეძლო თავიდან აეცილინა ამ შესამის მოქმედება. ახლა მხოლოდ მის გამანადგურებელი მოქმედების ძალას ებრძოდა და არ იცოდა დასრულებდებოდა თუ არა ეს ბრძოლა ოდესმე. არავითარ საიმედო შედეგს არ ელოდა, მაინც ერთი რამ არ ავიწყდე-

ბოდა: სისუსტე უფრო, ვიდრე მკაცრი იქნება და უნდა გავმტაცდეთ.

„საქიროთა მოვიწყო, სხვა არაფერი“, — ამბობდა გულში. ცდილობდა აღარაფერზე ეფიქრინა. თვალი მოხუტა გაიტრუნა. მაგრამ თამარის არ ჩერდებოდა, ის ყველგან დაჰქროდა, ხან გაურბოდა, ხან ხელს უქნევდა, ხან იცინოდა, ზოგჯერ სანეტარო სიტყვებს ჩასჩურჩულებდა. ახლა კი უეცრად გამოიცვალა ამ ქალის მთელი მიმზიდველი წარსული და უკვე შემზარავი სახით დადგა თამაზის წინაშე.

— „სულერთია, არ მომეშვება“ — გადაწყვიტა თამაზმა. საბანი მოიშორა, თავი ასწია და საწოლზე დაჯდა. ლევანს რომ არ გაეგო, ფრთხილად, ძლიერ ფრთხილად, ფეხები იატაკზე ჩამოუშვა და ფეხბაქრეფით სარკმელთან მივიდა. საწერი მაგიდის სავარძელში ჩაეშვა.

მოუსვენარი ნიავი თმას უწინავედა. სახეზე წყაროსავით ესხურებოდა, გახსნილ პერანგში იჭრებოდა, აფრიალებდა. მთელს ტანზე თავისუფლად დანავარდობდა. ყველაფერი სიხარულისაყენ ეძახდა, გახარება მაინც არ შეეძლო.

ზოგჯერ ცალი თვალთ საწერი მაგიდის ქვედა უჯრისაყენ იხედებოდა ალბათ იქ მნიშვნელოვანი რამ ეგულებოდა, მაგრამ უჯრის გამოღება ვერ გადაწყვიტა.

ბოლოს იფიქრა: იქნებ იმდენად ვიყავი გატაცებული, რომ თამარის სიტყვებიდან, თუ ბარათებიდან მის ნამდვილ ზრახვებს თავიდანვე ვერ ვხვდებოდი და ვცდებოდი. უჯრა გამოაღო, საგანგებოდ შეკრული საქაღალდე ამოიღო და მაგიდის ელნათურა აანთო. მოწითანო აბრეშუმით გადაბურულმა ელნათურამ ოთახი გამოაცოცხლა. უეცრივე ძველებურად იგრძნო აქ თავი. საქაღალდე გაშალა, თამარის ძველი ბარათები ამოალაგა და კითხვა დაიწყო.



მგრძობიარე სტრუქტურების გადაკითხვისას სახე ესხნებოდა, მაშინ ღიმილიც უელავდა ტუჩებზე. მაგრამ უეცრად რაღაც სხვა გრძობა მახვილივით ჰკვეთდა ამ ღიმილს და სახეზედაც რისხვა ისადგურებდა.

ცდილობდა თამარის სიტყვებში ახალი აზრი აღმოეჩინა. მართლაც ახლა სულ სხვანაირად ისმოდა ეს სიტყვები და თითქოს ამ სიტყვებში პოულობდა დღევანდელი თამარის ჭეშმარიტ სახეს.

ბოლოს, თითქოს რაღაც ახალი აზრი დაებადაო, სარკმელთან მიდგმულ ჩემოდანს მიწვდა. ვახსნა. თოკით შეკრული ქალღაღების დასტა ამოიღო, თამარის უკანასკნელი ბარათი იპოვა და კითხვა დაიწყო:

„ძვირფასო თამაზ!“ — ასე იწყებოდა ბარათი, რომელიც უკანასკნელად მიიღო ფრონტზე. ამ ბარათში ერთი უფრო საეკვო აღვლილი ამოაჩიხა და ის წაიკითხა: „ბარათები ზშირად იკარგება და თუ ვერ მიიღო, ნუ გამიწყრები. იქნებ ჯობდეს, საერთოდ, ბარათების წერასა და მღელვარებას თავი მივანებოთ, სანამ შენი დაბრუნების ბედნიერ დღეს მოვესწრებოდეთ. თორემ რასა ჰგავს: იცი, უნდა მიიღო ბარათი, ელოდები და ველარ ღებულობ. დამერწმუნე, ეს უფრო ცუდია ორივესათვის.“

„ღარიბეველი!“ — თქვა ბრაზით თამაზმა და ეს ბარათიც იქვე დააგდო. შემდეგ ყველა ეს ძველი, თუ ახალი ბარათი ერთად შეაქუჩა, ღუმელთან მივიდა, კარი გამოაღო, ყველა ბარათი შიგ შეჰყარა და ირგვლივ მიმოიხედა. რომ ერთი ბარათიც არ დარჩენილიყო. მერე ასანთს გაჰკრა, ღუმელში შეაგდო და გაჩაღებული ცეცხლის გუგუნე გაისმა.

ელნათურა ჩააქრო, აღმოსავლეთის-საკენ გახედა ცას.

თენდებოდა.

საწოლთან მივიდა, ჩაწვა. თვალი მოხუტა.

მეორე დღეს, დილით აღარ ამღვარებულეანი ღრმად ჩაძინებული ძმის ოთახში ფეხაკრეფით შევიდა, დახედა და ისევ ფრთხილად დატოვა ოთახი. რა უნდა ექნა? სკოლაში მიეჩქარებოდა. დაგვიანება არ შეეძლო. როგორც ყოველთვის, დილიდანვე ჩაი თვითონ მოამზადა, მხოლოდ თამაზის გაღვიძებას ელოდებოდა. დღეს მის პატარა მარმარილოს მაგიდას ტკბილი სასმელ-საჭმელი შემატებოდა.

რადგან შინ მეტი დარჩენა აღარ შეეძლო, თამაზისათვის პატარა ბარათი დაწერა და მეზობლის კარზე დააჯაკუნა.

შიგნიდან ბავშვის შექანული მოისმა და კარიც გაიღო. ექვსი-შვიდი წლის გოგონა ხმაურით გამოვარდა გარეთ და ღვეანთან მიიქრა:

— ძია ღვეან, ძია ღვეან!

ღვეანმა თეთრად გამოწყობილ გოგონას ხელი მოხვია, დაიხარა და თავზე აკოცა.

— ჩემო შევარდენო! მიაღი ჩემთან, როგორი ტოტოლა ძია გიჩვენო! — უთხრა ღვეანმა, გოგონას პატარა ხელი თავის ვეება ხელში ჩამალა და წაიყვანა.

— ვინ უნდა მიჩვენო?! ვინ უნდა მიჩვენო?! — იძახდა გოგონა.

როცა თამაზის ოთახში შედიოდნენ, ღვეანმა საჩვენებელი თითი ტუჩთან მიიტანა და ამით ანიშნა: აქ ხმაური არ შეიძლებაო. გოგონაც დასუბდა.

გოგონამ საწოლზე ღრმად მშინარე უცნობი რომ შენიშნა, გაუყვარდა და მოცისფერო თვალებით დააქკერდა.

ღვეანმა ბარათი ჩაუღო გოგონას პატარა ხელში, დაიხარა და წასჩურჩულა:

— როცა ამ ძიამ გამოიღვიძოს, ეს ბარათი მიეცი, ჩემი ძამიკოა, თამაზი ჰქვია.

— ძამიკოა? თამაზი ჰქვია? — ჩურჩულთივე შეეკითხა გოგონა და იმის ნიშნად, რომ ხმა არ აიმაღლო, საჩვენებელი თითი ლევანს ცხვირის წინ დაუტრიალა.

— ახლა მე წავედი, დედაც გააფრთხილე, მთელი პასუხისმგებლობა მხოლოდ შენზეა და არ მიღალატო. — უთხრა ლევანმა და ოთახი დატოვა.

ფეხის წვერებზე შემდგარი, პეპელასავით ფრთებგამოღილი გოგონაც გაპყვა.

სასადილო ოთახში ლევანმა ერთი პეშვი კანფეტი მისცა გოგონას და კვლავ გააფრთხილა:

— შენ იცი, ცისანა, არ დაივიწყო!

— არ დაივიწყებ! — მიძახა ცისანამ. შემდეგ შინ შეირბინა და ყვირილი მორთო:

— დედიკო, დედიკო!

ხუთი წუთიც არ გასულიყო, ისევ შობრუნდა. ახლა, თითქოს თავისთავს აფრთხილებსო, საჩვენებელი თითის ტუჩებთან მიტანით, ფეხის წვერებზე შემდგარი შევიდა თამაზის ოთახში. სკამი საწოლის პირდაპირ დადგა, ზედ წამოსკუბტა, ბარათი გულზე მიიღო, მძინარე თამაზს დააჩერდა და გაიტრუნა.

დიდი ხანია, რაც ასე ლაღად მზე არ შემოჰკრილა და ასე გულდაგულ არ დაუხვერავს ამ ოთახის ყოველი კუნჭული, ყოველი წიფთი. ჰერის კუთხეებში გაჩენილი ობობას ქსელი ირღვევოდა სტივთა მოძალებულ ნაკადში და საბუღარდანგრეული, დამფრთხალი ობობები აქეთ-იქით უგზო-უყველოდ გარბოდნენ.

თამაზმა თვალი გაახილა.

საწოლის წინ დასკუბებული გოგონა შენიშნა.

ცისანა ღიმილით მისჩერებოდა.

„სადა ვარ?“ — გაიფიქრა თამაზმა.

გოგონამ უცრად ხელები შეაფათურა.

— აი ბარათი, თქვენს მამაზე თამაზ ხართ? — შეეკითხა ცისანას მწკრიალ ხმით და წამოდგა.

თამაზი გამოფხიზლდა, წამოიწია, გოგონას გაკვირვებით შეხედა და ჰკითხა:

— ვისი ხარ, ბიძიკო?

— დედასი.

— ბარათი?...

— ძია ლევანმა დაგიტოვათ.

თამაზმა ბარათი გამოართვა და ერთი თვალის გადავლებით გადაიკითხა.

ლევანი წერდა:

„თამაზ!

დიდხანს გელოდე. ახლა იძულებულად ვარ წავიდე, მაგრამ საღამოს ხუთ საათზე დავბრუნდები. საუზმე მაგიდაზეა. დენს ჩართავ და ჩაიც გექნება.

შენი ლევანი“.

თამაზმა გოგონას შეხედა გაუღიმა.

— ვისი ხარ, გოგონა? — კვლავ ჰკითხა თამაზმა.

— დედასი ვარ... ცისანა მქვია! — ერთხელ ჩიტივით შეიფრთხილა ცისანამ და ოთახიდან გაფრინდა.

თამაზს ტუჩებზე შერჩენილი ღიმილი ჯერ, თითქოს კრილობად გადაექცა, შემდეგ ჩაუქრა. წამოდგა, კედელთან მიდგმული კარადის კარი გამოაღო, ხალათი გამოიღო, ჩაიცვა, წვერი გაიპარსა და ხელპირი დაიბანა. მერე იმავე კარადიდან თხელი, ნაცრისფერი კოსტიუმი გადმოიღო. თხელ საზაფხულო კოსტიუმში თავი უფრო მსუბუქად იგრძნო, ფართო ბეჭები თავისუფლად გაშალა. თმა იმ სავარცხლით გადაივარცხნა, რომელიც ამავე კოსტიუმის ჯიბეში იპოვა და ამით თითქოს იმ მდგომარეობას დაუბრუნდა, რომელშიაც ომში წასვლამდე იყო, მაგრამ ეს მხოლოდ გარეგნულად. ნამდვილად კი ამ აღამიანში ძლიერ ბევრი რამ შეცვლილიყო, შეცვლილი იყო არამარტო იმით, რაც აქ შეემთხვა, არამედ იმითაც, რაც ომში ნახა, განიცადა და შეისწავლა.

სასადილო ოთახში ზარის ხმა გაისმა.

თამაზი ღერეთანში გავიდა. კარი გა-
იღო და ვიღაც სათვალეზიანი, მალალი,
გამხდარი კაცი წინ შეეჩება.

— აი, ვის ეხებავ? — დაიძახა მო-
სულმა, ხელი გაშალა და თამაზს მოეხ-
ვია. — დაგვიბრუნდი! გასაგებია! ახლა
მაცნობეს! მომილოცავს, ძვირფასო თა-
მაზ!

— მობრძანდით, ბატონო კოტე!

კოტემ მკლავზე გადაკიდებული ჯო-
ხი და ოდნავ გახუნებული შავი ქუდი
ღერეთანში დაკიდა, მერე სქელი, ორ-
მაგმუშიანი სათვალე გაისწორა, გრძე-
ლი ცხვირი, გულდაგულ დაუთოებული
აბრეშუმის ცხვირსახოცი მოიწმინდა
და მასპინძელს სასადილო ოთახში
შეჰყვა.

თამაზმა თვალი გადაავლო ამ ოთახ-
ში გაწყობილ მაგიდას.

— რაღა შორს წავიდეთ, ბატონო კო-
ტე. აქვე დავსხდეთ, მაგიდასთან,
გთხოვთ!

— მაგიდასთან? გმადლობთ! მე არა-
ფერი არ მინდა, მხოლოდ თქვენ მინდი-
ხართ! რას შერებთ, როგორა ხართ?
ფეხზე რა მოგსვლიათ? ჰო, მესმის, მეს-
მის, გასაგებია! რამდენჯერ გამოვიძა-
ხეთ! აქ იყავით სავირო!

— მაშინ უეცრად წამოიყვანეს!

— ჩვენი ინსტიტუტი მოუთმენლად
გელოდებთ! თქვენ თვითონ გაჯიუტ-
დით, უარზე დადებით! ფრონტი, ცხა-
დია, ვაჟაკობა! სიტკობლეს სწირავ-
დით! ეს ყველაფერი კარგია, გასაგებია,
მაგრამ ახლა რას ფიქრობთ, თამაზ? —
კოტემ ერთხელ კიდევ ამოიღო ცხვირ-
სახოცი, ცხვირს აქეთ-იქიდან ოდნავ
გაჰკრა-გამოჰკრა და მოკეცილად ჯიბე-
ში ჩაიდო.

— გთხოვთ, ბატონო კოტე, დაბრ-
ძანდეთ, გთხოვთ! — განუმეორა თამაზ-
მა და სკამზე მიუთითა.

კოტემ შეათვალერა გაწყობილი მა-
გიდა, თითქოს მოეწონათ, გაიღიმა და
სკამზე დაეშვა.

— რადგან არ იშლით, გასაგებია, გე-
მორჩილებით! ჰოდა, თქვენც მოდით,
მშენიერად ხართ! დავაქტობ ვინაა...
ლევ უფრო დადინჯებული, ომში გამო-
წრთობილი, მაგრამ ჩვენ მოგინუცდით,
ჩამოვდნით! დიდი, ძლიერ დიდი შრომა
დაგვაწვა! ომის ღროს შევეჩხერდით!
ინსტიტუტის სასწავლო ნაწილიც ლო-
ღვით ჩამომკიდეს კისერზე და ვიძირე-
ბი, ამან კიდევ უფრო გამტეხა წელში!
ძნელია, მაგრამ... გასაგებია! ვცდილობ,
ჯოხივით გამხმარი კაცი, ჯოხსავეთ
ვერაკუნები, მაგრამ რას გავხდები!

თამაზმა ტყბილი სასმელი დაუსხა და
მიაწოდა.

— მიირთვით, ბატონო კოტე!

კოტემ ჭიქა ჩამოართვა, მასპინძლის
ჭიქას მიუტაკუნა და თვალები თამაზს
მიაპყრო.

— გაგიმარჯოთ, თქვენ გაგიმარჯოთ!
ვერ წამოგვეწველეთ მოხუცები. ვერ
ამოგიდღეჭით მხარში ფრონტზე, მაგ-
რამ...

— განა აქაც ფრონტზე არ იყავით
და ფრონტს არ შეველოდით? ეს თქვენი
გამარჯვებისა იყოს ბატონო კოტე!

— მაშ, კარგი, ჩვენი საერთო გამარ-
ჯებისა! — თქვა კოტემ, თვალი მოხუ-
ცა, თავი ასწია და ჭიქა დაცალა. ახლა
ცხვირსახოცი ტუჩებთან შერჩენილ გა-
ჰლარავებულ უღვამებზე მოისვა, სა-
ხე შეეკმუხნა და წამოიძახა:

— ეჰ! ტყბილია და მაგარი! გასაგე-
ბია! ეტყობა ეს თქვენი ლევანის საქმეა!
ასეთი უყვარს! სამჯერ ვიყავი თქვენ-
თან. მასმევდა ზედისეოდ, მაიძულებდა!

— როგორ არიან ამხანაგები, რას
შერებია?

— აი, თქვენც ახლა ჩემთან წამოხ-
ვალთ, გასაგებია, თვით ინახულებთ!
დიახ, ახლაე! მანქანა აქვე მიცდის.

ტელეფონის ზარი გაისმა და თამაზი
მივიდა, შილი აიღო.

— თამაზი ვარ. ნინო ბრძანდებით? —

შეეკითხა და უეცრად გაფითრდა. ცოტაოდენი დუმილის შემდეგ ხმა ძლივს ამოიღო: — ველარა, ნინო, დღეს ველარ მნახავთ... საერთოდ... დიახ, თქვენ შეგიძლიათ, როცა ვნებადვით... ნახვამდის, ნინო! — მილი დაჰკიდა, თითქოს ფეხი დაუცდაო, ისე შეიხრა, კინაღამ დაეცა.

გაოცებულმა კოტემ სათვალეები შეანათა სახეში.

— იქნებ ცუდი ამბავი გაიგეთ? გასაგებია მითხარიო, რა დაგეპარათო?

— არაფერი, არაფერი, ბატონო კოტე.

— ალბათ, ფეხი აგტკივდათ! მამ, ეჭვიმა საკირო. გასაგებია ახლავე წაკვივანთ, ახლავე, თამაზ!

„რათ მეძებს ნინო? იქნებ...“ — გაიფიქრა თამაზმა და ისევ კოტეს შეხედა.

— ინსტიტუტში წავიდეთ, ბატონო კოტე!

— ოპო, ეს კარგია მშვენიერია, გასაგებია. წავიდეთ, წავიდეთ! — წამოიძახა პროფესორმა და მოტრიალდა. ისე დაიბნა, რომ კორიდორში დატოვებულ ქუდსა და ჯოხს ოთახში ეძებდა. ბოლოს მოიგონა, ხელი შუბლში იტყიკა, კარისაკენ წავიდა, ქუდი დაიხურა, ჯოხი ხელში აიღო და გავიდა.

თამაზიც გაჰყვა.

ინსტიტუტში ამხანაგები ინახულა და შინ დაბრუნდა.

ხუთ წუთში ლევანიც მოვიდა. როცა შინ დაბრუნებული თამაზი დაინახა, გულზე მოეშვა. სარკმელთან გაჩერებულ თამაზთან მივიდა, მხარზე ხელი დაადო და გაუღიმა:

— დამაგვიანდა, თამაზ. შენ ალბათ გშია.

— არა, ლევანი კოტემ მინახულა და ვისაუბრეთ.

— კოტემ? საოცარი კაცია კოტე! გულკეთილი, ალაღმართალი, საქმიანი, მაგრამ ძალიან თავისებური. დიოგენის ფარნით ვეძებდა. ვერ დავაჯერე, რომ

ფრონტიდან დაბრუნებულ უარს აცხადებდი.

— იქნებ არც კი დაუბრუნდე ინსტიტუტს. — ურუდ გაამხილა თამაზმა.

— როგორ? სექტემბრიდან, მე მგონი, შეგეძლება... ველოდებოდნენ... — რაღაც კიდევ უნდოდა ეთქვა, მაგრამ ზარის ხმა გაისმა და ლევანი გავიდა.

— მობრძანდით, მობრძანდით! დიახ, შინ არის! — მოსმა ლევანის ხმა და ლია კარში პაულე გამოჩნდა.

თამაზი მიეგება.

— აა, ხომ დაგიქირე! — უთხრა თამაზს და ლევანს მიუბრუნდა: — ბატონო ლევან, ეს ჩვენი თამაზი მეტისმეტად დადინჯებულა! ათასს რომ ჰკითხავთ, იქნებ ერთზე მოგცეთ პასუხი. იქნებ გადიდვაცდა, მაიორია და ნუ ეხუმრებით!

— ასედაც უნდა, ასედაც უნდა! — მიუგო ლევანმა, რომელიც ეტყობოდა რაღაც სხვა საქმეზე ფიქრობდა. ამიტომ აქ აღარ გაჩერდა, სამზარეულოში კარი შეაღო.

ერთ საათში კიდევ ხუთიოდე კაცი მოვიდა. საუბრობდნენ და იცინოდნენ. მხოლოდ თამაზს ისევ დინჯად ეჭირათ.

შინამოსამსახურის დახმარებით ლევანმა მშვენიერი სუფრა გაშალა. შემოუსხდნენ და სადილი დაიწყეს.

ლევანსა და პაულეს შუაში ჩამჯდარი თამაზი ცდილობდა, რომ მის მეგობრებს არ მოეწყინათ. ამიტომ, ზოგჯერ, სხვებთან ერთად, თვითონაც იცინოდა, ან იღიმებოდა, თუმცა ნაძალადევი სიცილის უაზრობა ტანჯავდა.

„ვის ატყუებ, დაჩუმდი, თამაზ!“ — გადაწყვეტით უთხრა ბოლოს თავის თავს და ხმა გაკმინდა. საათი ამოიღო, დახედა, თითქოს გამოსავალი ნახათ, წამოდგა და მაგიდა დატოვა.

— მეგობრებო, უნდა წავიდეთ ხოვთ თქვენ ვანაგროთ. ჩემი დაყოვნება აღარ შეიძლება.

— მიუსწრებთ, მატარებელი ვერ გაგვექცევა! — მიაძახა პაულემ. მაგრამ ახლა თვითონაც აღგა და დერეფანში გასულ თამაზთან მივიდა.

მიუხედავად ლევანის წინააღმდეგობისა, დანარჩენებიც წამოიშალნენ... აივანზე ხმაურით გავიდნენ.

მახლობელ მთებს უკანასკნელად ეთხოვებოდა მზის მოწითაო სხივები. ისინი ოქროს სიმებად იღვრებოდნენ და უძირო სიერცეში იფერფლებოდნენ.

თამაზმა ერთი მოზრდილი ჩემოდანი წიგნებით გააესო, სამხედრო ტანსაცმელი კარადაში დაჰკიდა. ერთხელ კიდევ

შეავლო თვალი და კარადის კარი მიხურა.

სახლის წინ, ქუჩაში, შეჩერებული პეტოს დაეინებული საყვირის ხმა მოისმა. თამაზი აჩქარდა.

ამხანაგებმა გააცილეს და გაემგზავრა.

ისევ მარტო დარჩა ლევანი. მაგრამ ახლა სიმარტოვეს აღარ ნანობდა. მიტოვებულ სუფრას შემოუარა. პაპიროსი გააბოლა, რადიომიმღები შეუერთა. საეარქელში ჩაჯდა. მუსიკას აადევნა ფიქრები და რაღაც აუხსნელმა გრძნობამ სიხარული მოჰგვარა.

(დაგრძელება იქნება)

ჩაშლილი ქორწილი

მოთხრობა *

ფირანი გამალებით მიიჭრა სამანქანო-სატრაქტორო სადგურთან. დარაჯს გარდა აქ ათიოდე მუშა-მოსამსახურეც დახვდა.

— დარაჯი მინდა! — მოსელისთანავე დაიძახა მან.

— რაში დაგჭირებებივარ? — გაკვირვებით ახედა დარაჯმა.

— ამ ორი დღის წინ მთიდან ცხვარს ზომ არ ჩამოუვლია?

— მიკვირს, ეგრე გვიან პირველად ვხედავ, რომ ცხვარს ჩამოვევლოს. — თქვა დარაჯმა. — რამდენი იყო ის დალოცვილი! ზოგმა იორს გაღმა ტყის თავში გაათია, ზოგმა კიდევ ჩვენს გასწვრივ, ანდუ, მაგ მინდვრებში!

— მამ გაიარეს? — სიხარულით წაიძახა ფირანი.

— გაიარეს, უთენებლივ გაუდგნენ გზას! მწყემსებს ვკითხვ: ასე რად დაგიგვიანიათ-მეთქი და იცი რა მითხრეს? — კარგი მთა იყო, იმას დაეხარბდით და ყველაზე გვიან წამოვედითო, მაგრამ ნიაღვრებმა და აღიდებულმა მდინარეებმა ერთი-ორი კვირით კიდევ შეგვაგვიანაო! უთვალავი ცხვარი ჰყავდათ, უთვალავი და სულ კი ერთი კოლმეურნეობის ყოფილა ი დალოცვილი..

კიდევ აპირებდა რალაციის თქმას, მაგრამ ფირანმა აღარ აცალა:

— ღამით სად ეყენათო, რა სთქვი?

— ანდუ, მანდ, ჩვენს გადაღმა არხსა და სერებს შუა — ხელი გაიშვირა დარაჯმა.

— გმადლობთ! — წამოიძახა ფირანი და ცხენი მოაბრუნა. იგი თან იმ ადგილს ათვალეირებდა, სადაც ცხვარს ღამე ეთია და თან თავისი ბინის გზასა და გეზს გაჰყურებდა. თითქოს რალაც ენიშნაო, ფიცხად მოახტა ცხენს და, შარავზაზე გამოსულმა, აღმოსაელეთით ჰქმნა პირი. ივრის ხიდს რომ გადაურბინა, იქაც დაუდასტურა დარაჯმა ცხვრის ჩაველა და მეტი აღარც უკითხავს არსად. უკვე ივრის მარცხნივ მიჰქროლებდა ცხენს ნაწვიმარბილ გზაზე და გული ხალისით ევესებოდა. მისი მოსაზრების ერთი ნაწილი გამართლდა — ცხვარი გვიან ჩამოატარეს მამასაღამე, მეორე ნაწილიც უნდა გამართლდეს და ამიტომ არც თავის თავს ზოგაედა და აღარც საყვარელ მერანს. დეხის ქუსლსა და მათრახს უფრო ხშირად ხმარობდა, ვიდრე ოდესმე უხმარნია. პატრონის უცნაური საქციელით გაგიყვებული ცხენი კი არ მიქენობდა, მიფრინავდა! ცხვარი ორი დღით იყო წინ და თუ არ იჩქარებდა, შესაძლებელია შირაქამდე ვერც დასწეოდა. თუ გზაჯვარედინებმა კვალი არ შეუშალეს, ხვალ, შუადღის ეამს, უთუოდ უნდა დასწეოდა. მას ყველაზე დიდი იმედი იმისი ჰქონდა, რომ ღამეები მოლრუბლული იყო, უმთვარო, ძალზე ბნელი, და ცხვარი ერთთავად არხაჯში ეყოლებოდათ. ამრიგად, მხოლოდ დღისით ივლიდნენ და ცხვრის მიერ ორ დღეში გაველილ მანძილს ცხე-

* მოგზაურობის დროს ღამით ცხვრის დასაყენებელი ადგილი.

ნი ერთ დღეზე ნაკლებ დროშიაც გაიყვანილა.

დიდიდან შუადღემდე ყრუ და უკაცურ მინდორ-ველებზე მიჰქროდა. ერთი პირდაპირი გზა მიდიოდა და მას კვალის შემლის არაერთარი შიში არა ჰქონდა. იორ-მულანოს რომ გასცდა და ბადიურს მიუახლოვდა, აქ სიფრთხილე მართებდა. მდინარე იორი და საურმე გზა ერთმანეთს გაეყარა. იორი რომ სამხრეთით ეშვებოდა, საურმე გზა ჯერ კიდევ ჩრდილო-აღმოსავლეთით მიემართებოდა და შემდეგ სახელმწიფო-საკახეთო გზას შეერწყმოდა. აქ ძალზე გამრავლდა ირიბი, სწორი, დაკლანძვილი და ჯვარედინი გზები. უკვე დიდი სიფრთხილე იყო საჭირო, მით უმეტეს, რომ მას ერთი უცნაური ფიქრიც აეკვიტა: ვაი თუ ეს ცხვარი ქიზიყელებს არ ეკუთვნოდან, ვაი თუ იგი კაქრეთის, მელანის, ან რომელიმე სხვა სოფლისა იყო, რომელნიც ციციგომბორის მთის დასავლეთით მდებარეობენ. შესაძლებელია აქ ახლო-მახლო სადმე საზამთრო ბინებია და მან რომ შირაქში ირბინოს რა გამოვა ამით? ეს უფრო მეტად დააგვიანებს და ცხვრის განაყოფიერების ვადა, რომლის გულისთვისაც ასე თავდაფიწყებით გამოიჭრა, ხელიდან წაუვდა, ყველაფერი ფუჭად ჩაუვლის.

ხშირად აჩერებდა ცხენს, გამოცდილი თვალთა და მწყემსის ალლოთი ხედებოდა, თუ საით გაატარებდნენ ცხვარს; როდესაც ფარა მიდის თან სძოვს, იკივნება, ამიტომ კარგი მეცხვარე ისეთი გეზით წაიყვანს თავის ფარებს, რომ რაც შეიძლება უხვად იყოს ბალახი და ფირანიც ყამირებს, ნამკალნასიმინდარ მინდვრებსა და აგრეთვე გზებსა და მინდვრებს შორის დარჩენილ წარადებს ათვალეობდა. ასეთ დროს ცხენიდან ჩამოხტებოდა, აღვირს წაჰყრიდა, რომ პირუტყვის ცოტა ბალახი ეგემნა და საით უნდა გაეცლო

ცხვარს ამას ძიობდა. ამის გაგება, რაკი რაიმე კვალს წააწყდებოდა, მისთვის ძნელი არ იყო. რამდენი დღის წინ გაიარა ცხვარმა, ამას იგებდა მათი განავლით, ხოლო საით მიდიოდა—ნაფეხურ-ნაჩლიქარებით! რასაც აღამიანები ვერ ეუბნებოდნენ, იმას მიწაზე კითხულობდა და შეუსვენებლივ მიდიოდა წინ. აღარც ჭამა-სმა ახსოვდა, აღარც დასვენება.

საკუთარი ქორწილის გულისათვის ხალხის დოვლათი ხელიდან გამოეცალა და ახლა სამარე ეთხრებოდა მის ვეკაცობას, პატიოსნებას და მის სახელს.

მთელ დღეს იარა. საღამო ეამს ერთი რამ შიში აეკვიტა: ვაი თუ ალლო მლატობს და გზის გაკვლევაში ვცდებიო! რაც არ უნდა იყოს, აღამიანი აღამიანის ჭკუით საზრდოობს და სულღმულობს. ბადიურს რომ ჩამოუქროლა, რკინიგზის სადგურზე იკითხა და იქაც დაუდასტურეს ცხვრის ჩავლა. მას შემდეგ კი ველარაინი ნახა ისეთი, რომ გზის გაგებაში გამოსდგომოდა. უნდოდა ისეთი ვინმე ენახა, რომელიც მოელი კვირა მინდვრად იყო, აქ აღამებდა და აქ ათენებდა. ასეთი არავინ ჩანდა, ხალხს სიმინდიც მოეჭრა, მწესუმწირაც, ვენახებიც კარგა ზანია დაეკრიფათ, თივაც შინ მიეტანათ და სხვა რაღა სამუშაო იყო? სამემოდგომო ხვნასა და თესვას, წინა დღეებში დაეინებულნი წვიმები უშლიდა ხელს. აღაფებულნი მინდორი არც მოიხვნის, არც დაითესება! ამიტომ, სადაც კი თვალი მოჰქრა, ყველგან უძრავად იდგნენ ტრაქტორები და, რაკი შორიდან მათთან მოტრიალეს ვერავის ხედავდა, არც ცდილა ახლოს მისვლასა და ნახვას. ეშინოდა გზიდან რომ გადაეფხვიო, ვაი თუ დრო ტყუილად დაეკარგო. საღამოეამს ბინდი წვებოდა, ჩალაობანს რომ მიუახლოვდა, აქ მეტად საიმედო მოწმეს წააწყდა. თივის უზარმაზარ ზვინებთან კოლმეურნეო-

ბას დარაჯი დაეყენებინა და მან დაუ-
დასტურა, დიდძალმა ცხვარმა ჩაიარა-
დილას უთენებლივო. მხარმარჯვნივ
სწორად გატყორცნილ ქიზიყის გზაზე
მიუთითა და ფირანმაც უკვე თამამად
და გაბედულად გააქროლა ცხენი შავ
ხნულებშუა, ოდნავ პირშელმა გზაზე...

უკვე დაღამდა შორეულ მთებიდან
ჩამოწოლილმა ღრუბლებმა ზენიტთან
თალი შეკრეს და ისეთი უკუნეთი ჩა-
მოწვა, რომ არაფრის გარჩევა აღარ
შეიძლებოდა. ფირანი ცხენის ალლოს-
და მიენდო და აღვირი მიუშვა, მაგრამ
მოხდა ის, რაც ჯერ არასოდეს არ მოს-
ვლია მის მერანს! რატომღაც მათარახის
ხმარება უფრო ხშირად დასჭირდა. მ. გ-
რამ არც ეს მოქმედობდა. ცხენი ზღაზ-
ნია კამეჩს დაემსგავსა. ახალგაზრდა ვე-
კაცი უმალვე მიხვდა, რომ ვერც ერთი
სულდგმული ვერ გაუძლებდა მთელი
დღის ქენებას ამდენ მიხვეულ-მოხვე-
ულებში და ისიც მშვიერ-მწყურვალად
მშვენიერი აზრი დაებადა: ვიდრე მთვა-
რე ამოვა, ცხენს ამოვებს, შემდეგ კი
გზას გახაზრძობს, რადგან კარგად იცო-
და, რომ, რაც უნდა მოღრუბლული ყო-
ფილიყო, მთვარის ამოსვლას, შუქი
უთუოდ მოჰყვებოდა, ახლო მანძილზე
საგნების გარჩევა შესაძლებელი გახდებ-
ოდა და მგზავრობას გაუადვილებდა.
ცხენი გზიდან გადაიყვანა და უმალვე
მიხვდა, რომ ყამირ მინდორზე მოხედ-
ნენ. გადმოხტა, აღვირი წაჰყარა, ტოტე-
ბი უნაგირის კეხს გადააცვა და კისერ-
ზე მოხმული წვრილი თოკი გაშალა.
ნაბადი მოიხვია და შორი-ახლოს აე-
დევნა თავის მერანს. თვითონ, წინა
ღამის უძილოს, აზრადაც არ მოსვლია
წაეთვლიმა, ეშინოდა, ვაი თუ მთვარის
ამოსვლა გამომეპაროს და დილით
აუშლელ ცხვარს ვეღარ მივუსწროვო...

მთვარემ კარგა ხანს დააგვიანა, მაგ-
რამ, რაკი მიდამოები ცოტაოდნად გა-
ნათდა, ფირანი ისევ მოახტა თავის
ცხენს და გზა განაგრძო. იცოდა, რომ
ახლა ცივგომბორის მთები მარცხნივ

რჩებოდა და სიღნაღს მარჯვნივ უე-
ლიდა. დაკლავნილი ფიქრის-შორის
გზები კარგა ხანს გაგრძელდა, შემდეგ
დაუსრულებელ ვანიერ ხევს წააწყდა
და, ის რომ განვლო, ახლა ისევ დაუს-
რულებელ და ძალზე ამოტილ აღ-
მართს შეუდგა. სქელი ღრუბლები
დაჩოფურებული ცა ხან ჩაიქრობდა,
ხან ისევ აინთებდა გვერდ წამახულ
მცხრალ მთვარეს და ფირანამ გზის
მეტი ნაწილი ცხენის ალლოს და საკუ-
თარ გამჭრიახობას მინდობილმა გაი-
რა.

განთიადმა იმ გრძელი აღმართის და-
სასრულს უწია. იგი ამ მიდამოების
ყველაზე მაღალ წერტილზე შეჩერდა
და, მოჯადოებულმა, ერთ აღგილზე
გააქვავა თავისი ცხენიც. მის თვალწინ
უშშვენიერესი სანახაობა იშლებოდა:
პორიზონტის მთელ სიგრძეზე შავად
მჩინარი და ვარსკვლავებამდე აზიდუ-
ლი კავკასიონის მთაგრეხილი გაწოლი-
ლიყო აღმოსავლეთით და ბროწეუ-
ლისფრად იღებებოდა, რომელიც ზე-
ნიტთან თანდათან ბაცდებოდა და ბო-
ლოს ტყვიისფრად კიადობდა; როგორც
დასავლეთით, ისე ჩრდილოეთით, მარ-
ჯვნივ თუ მარცხნივ თოვლით გადა-
ლესილი წახნაგოვანი მწვერვალები გა-
ქათქათებულ ტილოს კარგებივით ჩამ-
წვრილებულიყვენენ, უამრავნი და თან-
სწორზომიერებას მოკლებულნი, ხოლო
მათ კალთებზე, თავქვე დაქანებულხე-
ობათა დაღარულ-დანაოქებულ უბებ-
ში, ნისლი შეგუბებულ — გაწოლილი-
ყო. აქა-იქ, თხემთა განლაგებაში, ზე-
ცას ჩამოწყვეტილი სპეტაკი, ღრუბლე-
ბი ისე ეყარნენ, როგორც დახოცილი
გედები. კავკასიონის ძირიდან მთელ
სივანეზე, მსუბუქი ბურუსის საფარ-
ველში, აღაზნის დიდებული ხეობა გა-
დაშლილიყო.

ფირანი ერთ აღგილას გაქვავებუ-
ლიყო, რამდენადაც მზე ახლოედებოდა
და სინათლე მატულობდა, იმდენად
უფრო მომჯადოებელი ხდებოდა შე-

მოდგომის დილის მეწამულ, სოსან, ოქროს და ვერცხლის ფერთა ცვალებად.

კარგად გათენდა. კავკასიონის მთებიდან მზის სხივები მარაოსავით წამოიშალა და ცის ამ კიდურზე მოეფინა. საიდანღაც ცივმა ნიავმა დაკრა ფირანს და მხარზე ნაბადი გადააცალა. ერთბაშად გამოფხიზლდა. ნაბადი გაიწორა და შორეული კავკასიონიდან თვალი ჩამოაყოლა ალაზნის ხეობას და განსაკუთრებით დააშტერდა თავის წინ გაშლილ ველს, მცირე გორაკებით მოფენილს, და უკვირდა: ამ უზარმაზარ აღმართს, ეს რა პატარა დაღმართი უჩანს და რა თვალუწვდენელი შიშველ-ტიტველი ველების უდაბურებიანო! გზა სწორედ ამ მინდვრებზე მიიკლავებოდა ხოლო სადამდე, ფირანს ამის გამოკვლევისათვის აღარ სცებოდა. მას ძაღლების ყეფა შემოესმა და ამან წარსტაცა ყურადღება. იქვე ახლოს, რაღაც ათასი ნაბიჯის მანძილზე, მომცრო გორაკებსა და ბორცვებთან, უამრავი ცხვარი რამდენიმე ფარად ეყარა. ამ ფარებს ნაბდიანი, მწყემსები და ვებერთელა ნაგაზები გარს დასტრიალებდნენ... ფირანი ერთსა და იმავე დროს სიხარულმა და შიშმა მოიკვია: სიხარულმა იმიტომ, რომ ბოლოს დაეწია, ვისაც მოსდევდა, შიში კი უცებ მომსკდარმა ექვმა გამოიწვია: «ვინ თუ ტყუილ-უბრალოდ ვიარე, აქაც რომ არ იყენენ, მაშინ?» — გაიფიქრა და ისე წამოსცხა ტანში, თითქო ელექტრო-ნაკადი გაუტარესო, ასეა თუ ისე ჭეშმარიტება უნდა დაედგინა, ეჭვი — ცდუნება იყო და არა საქმე! გული გაიმაგრა, აღვირი აკრა ცხენს და, რაკი გამოცდილი თვალთ მიხვდა, რომ ფარების აშლასა და გამგზავრებას აპირებდნენ, ცხენს მათრახი აუქნია და ჰენებით წაივია. მას ონდოდა ცხვარი სანამ აიშლებოდა არხაჯში მიესწრო.

გაშლილ ველზე, ცხვრის სულ უკანასკნელ ფარასთან, გზის გასწვრივ,

რამდენიმე ურემი იდგა ბარგი-ბარხანით დატვირთული, სქელი ტილოვებითა და ნაბდებით გადახურული. აქ ხალხი ბლომად ირეოდა: ზოგი წამომგდარიყო და ქალამნებს ისწორებდა, ზოგი ფეხზე ტრიალებდა, ზოგი ხარ-კამენის, მოერეებოდა ურემებისაკენ, ზოგი ცხენს კაზმავდა, ზოგი ცეცხლს ანთებდა. ფირანი მიხვდა, რომ ვებერთელა ფერმის მთავარი ბინა ეს იყო, ყველა ფერმის ამბავი აქ ეცოდინებოდათ და ერთბაშად გაიგებდა, თუ ვინმემ რაიმე იცოდა. ამიტომ ცხენი უმაღვე იქით მიაბრუნა და მოკლე იორლით წაიყვანა. ბინასთან მოტრიალე ნაგაზები ავიღრენითა და ყეფით შემოეგებნენ. ფირანმა მათრახი აიეცა და, როგორც ძაღლების ყადრის კარგმა მცოდნემ, მიუხედავად იმისა, რომ უზანგებში ეტანებოდნენ და ძირს ჩამოვლებას უპირებდნენ, არც ერთისთვის არ გაურტყამს. როგორც კი რომელიმე დააპირებდა ფეხში პირის წაღვლებას, აკეცილ მათრახს დაუქნევდა, ვითომც გასარტყმელად, ძალლი უკან გახტებოდა და ისე მიიწევდა წინ. ვიღაც ახალგაზრდა ვეკაცი ურემებს მოსწყდა და გრძელი კომბლით ძაღლებს დაერია.

— ავა-ავა! თქვე! მუღრეგებო! — დასკუივლა მან და ყველა გაფანტა. ფირანმა ცხენი ურემებთან მიავლო. შეაჩერა, უმაღვე ძირს გადმოხტა და შესძახა ქართველი კაცის ჭირსა და ლხინში სათქმელი:

- გამარჯობათ!
- გაგიმარჯოს! — მიუგო ყველამ და განცვიფრებით დააშტერდნენ.
- მეგობრებო, თქვენი გამგე აქ ხომ არ არის?
- მე ვარ! რა გნებავთ? — ჭადრა-შერთულმა, ბრვე ტანის შავგერქმანმა და ლამაზულვამებთანმა კაცმა, მხარეთქოზე რომ იწვა გაშლილ ნაბადზე, წამოიწია და მარჯვენა ხელს დაეყრდნო. წარბებშეკრული მწყემსები, ცოტა არ იყოს, ავად უბღვერდნენ უცნობს,

რადგან არ იცოდნენ საკაცოდ იყო მოსული, თუ საეკაცოდ, და ამავე დროს მოხიბლული იყვნენ ფირანის მოხდენილი აღნაგობით, მისი ფართო მხარბეკით და თვალს ველარ აშორებდნენ. ეს ავი განწყობილება და მოხიბლულობის გრძობა, ეტყობოდა გამგესაც გადასდებოდა, და ამიტომაც ცოტა არ იყოს, უკმეხად უბასუხა ფირანს თავზარი დასცა ასეთმა შეხვედრამ. ეკვი ლამის მართლდებოდა, თორემ ამისი ცხერის ფარა რომ აქ იყოს, მაშინვე მიხვდებოდნენ რისთვისაც მოვიდა, და ღიმილს არ დაიშურებდნენ.

— მეგობრებო! — ნუთუ ტყუილად ვიწვალე, ტყუილად მოგდევდით?

— ჩვენ მოგვედვი? — გაიკვირვა გამგემ და უცებ, თითქოს რაღაცას მიხედაო, ფეხზე წამოიჭრა, ნაბადიც თან აიყოლა. — ვინა ხარ, რად მოგვდევდი?

— მეც ფერმის გამგე ვარ და... — ხმა ჩაუწყდა ფირანს. გამგემ აღარ აცალა რომ სიტყვა დაესრულებინა, თავის მწყემსებს გადახედა ბევრის მოქმელი ღიმილით და რაღაც ორკოფულად ჰკითხა:

— დაკარგულს ხომ არაფერს ეძებ, მეგობარო?

— ვეძებ, მოვევდი კაცი! — შესძახა ფირანმა და ერთი ნაბიჯი მისკენ გადადგა, ის კი ჭალარაშერთული დამოხდენილულეაშებიანი, კახურ სადინჯეს არ ლალატობდა და, თითქოს თქმა ეზარებოთ, პირდაპირი პასუხის ნაცვლად შეეკითხა:

— მალარიჩი იქნება?

— მალარიჩი კი არა, ძმობა, მეგობრობა, სამუდამო სამსახური და სიყვარული!

— აქ არის, ყველა უკლებლივ! აი, სწორედ ამ ფარას გაერივნენ! — გამგემ ურმების ახლოს განლაგებულ, ხოლო ახლა სანახევროდ წამოშლილ სულ უკანასკნელ ფარაზე მიუთითა.

— შენ გენაცვალე, შენი ჰირიმი! — ფირანმა ხელი დასტკეპს მის მარჯვენას, მაგრად ჩამოართვა ხელი და გადაჰკოცნა. ფირანის სიხარულმა ირგვლივ შემოხვეულ მწყემსებსაც ღიმილი მოჰფინა სახეზე. — მომყეთ! მანვენეთ, მეგობრებო! — იხვეწებოდა იგი.

— გიპოვნია, რაღას ჩქარობ? — სკადა მისი დამშვიდება ერთ-ერთმა მწყემსმა. ჭალარაშერთული გამგე კი გაშტერებული დაჰყურებდა თავის მარჯვენა ხელსა და მტკივნეულად ერთმანეთს მიწებებულ თითებს, კარგა ხანს რომ ველად გაეშალა. მან გაოცებით გადახედა ახალგაზრდა ვაჟკაცს და გუნებაში გაივლო: ვინ არის? რა ძალა ჰქონია, რომ კაცი ვებრდები და ხელის ჩამორთმევით ასეთი დღე არაეის დაუყენებიათ! იგი ამ წუთს ფირანისადმი მოწიწებითა და მოკრძალებით აღიესო.

— როგორ მოგიხდათ, რისთვის მარბენინეთ ამოდენა გზა, ძმებო? არც ვიფიქრებდი, თუ ცხვარი ასე გვიან ჩამოივლიდა მთიდან.

— გაეჭალარავდი და ასეთი რამ არ მომსვლია! — სიტყვა გამგემ. — იქნებ ავკაცობაც დაგეწამო, მაგრამ ჩვენი ბრალი არ არის, დაჯექ, ვიამბობ!

— რა დროს დაჯდომია, მეგობრებო! ცხვარი აყრას აპირებს, მე კი ამ წუთშივე თუ უკან არ გაებრუნდი, თავი მაქვს მოსაკლავი, ცხვარს ვადა უცდებ!

— ჩვენც ამ ვადისათვის ვჩქარობდით და ამიტომ აღარ მოვებნეთ დაკარგული ცხერის პატრონი! დაჯექ, დანვრილებით ვიამბობ, ცხერის აყრას ნუ უყურებ! აბა, გაიხედე რამდენი ფარაა, ვიდრე წინა ფარები შარაზე გაიმართებიან, უკანასკნელი შუადღემდე ვერ დაიჭრება! ყური მიგდე...

ფირანი სმენად იქცა. ჩვენოდენა ცხვარი, არც ერთ კოლმეორნობას არ ეყოლება შირაქში, სხვაგან კი არ ვიცი! მთაზე მივდივართ, თუ უკან ვებრუნდებით, ყოველთვის



იმას ვცდილობთ: ან სულ ადრე გავი-
ართ, ან სულ გვიან, რომ გზა თავისუ-
ფალი იყოს. უთვალავი ცხვრის პატ-
რონს დიდი სიფრთხილე მართებს, რომ
სხვის ფარებში არ აერიოს. ჰოდა...
წელსაც ასევე მოხდა. ყველაზე გვიან
ჩვენ დავიძარით, მით უმეტეს, რომ მთა
ძალიან კარგი იყო, გზაში ბევრი ადგი-
ლას აედარმა გვისწრო, ნიაღვარმა და
წყალდიდობამ ათიოდე დღე შედმე-
ტად დაგვაბრკოლა. როგორც იყო კა-
ხეთს მოვალწიეთ და აქედან დაქანცულ
ცხვარს მძიმე-მძიმედ მივერეკებოდით,
რადგან ბალახიც კარგი იყო და ადარც
ნიაღვრებისა გვეშინოდა... იმ ღამეს,
როგორც ეტყობა, თქვენს მინდვრებში
გავათენეთ. ხან წვიმა მოდიოდა, ხან
ჭარი ჰქროდა, ხან გამოიდარა და შიგა
და შიგ ცხვარი აგვირია. განთიადი
ჯერ კიდევ შორს იყო, რომ სწორედ
ამ უკანასკნელ ფარასთან ძაღლებმა
ისეთი ყეფა ასტეხეს, ასე გვეგონა ნა-
ღირის მთელი ხროვა დაგვეცაო.
მწყემსები მიეშველნენ და, რაკი ჩე-
ვნებს სხვის ძაღლებთან გაემართნათ
ჩხუბი, როგორც იყო გააშველეს. ამა-
ვე დროს მთვარის შუქზე ჩვენ დავინა-
ხეთ, რომ თითქოს სხვა ცხვარი შეერია
ჩვენ ფარას. ეფიქრეთ—ნამდვილად
წინ წასულ ფარებს რაიმე ნოტო! მოს-
წყდა, ნამდვილად ჩვენია, ისევ ჩვენთან
იქნებაო, და აღარ დაგვიშლია, მით
უმეტეს, რომ დედაცხვარი იყო და დე-
და ცხვრის ფარას უერთდებოდა... დი-
ლით ბინდბუნდზე დავიძარით. ოდნავი
ეკვიცი კი არავის შეჰპარვია, რომ სხვი-
სი ცხვარი მიგვეყადა. ძალიან გჩქა-
რობდით და ამან სულ დაგვაბრმავა.
შუადღის ხანს მწყემსებმა შეინწყეს,
რომ ზოგიერთ ცხვარს ჩვენი სერი არა
ჰქონდა. ბიჭოს! გავსინჯეთ და აღმოჩ-
ნდა, რომ მთელი ფარა გვირევიდა უც-

ხი და უსერო, ყურთან თუნუქის და-
ხომრილი ფირფიტებით.

— ჩვენია! სწორედ ის არის! სერის
კრილობების ნაცვლად საყურესავით
დავკიდე ყურის ძირთან! — შეაწყვე-
ტინა ფირანმა. გამგემ კი განაგრძო:

— კაი ვაა გვექონდა გავლილი,
ტრიალ მინდვრებში ვიყავით, ცხენი
და ურემი თითქმის ერთი დღის მან-
ძილზე წინ იყვნენ წასულნი, კაცს ვერ
გამოვგზავნიდით, თან იმასაც ვფიქ-
რობდით—თვითონ პატრონი მოგვეწე-
ვაო და გადავწყვიტეთ: ეს ცხვარიც
ხალხის დოვლათია, თვალის ჩინივით
გაუფრთხილდეთ და, როცა ადგილზე
ჩავალთ, ან გზაში ხელი შეგვეწყობა,
შევატყობინოთ იმ რაიონს, საიდანაც
ცხვარი აგვეყვა. სწორედ დღეს ვაპი-
რებდით ბოდბედან ან მაჩხაინდან დე-
ბეშის გამოგზავნას! — დაასრულა მან.

— რაც მოხდა-მოხდა! ახლა ნულარ
დამაყოვნებთ, მეგობრებო! შეუღღვით
საქმეს, ცხვარი გადავარჩიოთ, თქვენც
იგვიანებთ!

— მოიცა, მარტო როგორ გარე-
კავ? — ჰკითხა გამგემ და წამოდგა.

— როგორც იქნება, როგორც მოეე-
ლება! შეიძლება გზაში ვინმე დავიქი-
რაყო!

— ჰო, ეგ მართლაც მოხერხდება! —
დაეთანხმა გამგე და თავის მწყემსებს
გადახედა. — აბა ბიჭებო, ძალზე რთუ-
ლი საქმე კია ცხვრის გადარჩევა, მაგ-
რამ უნდა ვიმარჯვოთ!..

მწყემსები აშალნენ, გრძელი კომბ-
ლები მოიმარჯვეს და მახლობელ
ცხვრის ფარისაკენ დაიძრნენ. ფირანმა
მათრაზი უნაგირის კეხზე ჩამოჰკიდა.
ნაბადიც ზედ გადააგდო. სწრაფი ნაბი-
ჯით დაედევნა წინ წასულებს. უცებ
შენიშნა, რომ ყველანი ერთ ადგილზე
გაქავებულიყვნენ და გამტერებული
შეკყურებდნენ მას. ჭაღარაშერეულ
გამგესაც კი დამცინავი ღიმილი არ
შორდებოდა ტუჩებზე. ყველანი რა-
ტომღაც ისევ ისეთი მოღრუბლულები

* ფარაში ათას სულამდეა ცხვარი, ნოტოს კი
ას სულზე მკვეთი უწოდებენ.

და პირქუშნი გახდნენ, როგორც პირველი შეხვედრისას.

— რა მოხდა, მეგობრებო! რისთვის დაედექით? — იკითხა ფირანმა და ყველას თვალი მოაქლო.

— ძალიან, ძალიან მდიდრები ყოფილხართ თქვენს მხარეში, რომ საქმის დროს ასეთ ძვირფას ტანსაცმელს ხმარობთ! სადმე ოქროს მადნები ხომ არ გაგაჩნიათ? კაცს ფერმის გამგე კი არა გენერალი ეგონები! მხოლოდ აი, კაცურ-კაცობის მაჩვენებლის — ქუდის პატივისცემა კი არ გცოდნია! ისევ ბატონის ტყაუჭი გხურავს! — გამგის გამკლავ შენიშვნაზე ყველამ გულიანად გაღიხარხარა.

შეშფოთებულმა და შემყრთალმა ფირანმა მხოლოდ ახლა დაიხედა თავის ტანსაცმელზე. ახლა გაუწია ანგარიში თავის საქციელს. ძვირფასი შევიოტის ტანსაცმელს, ბრჭყვიალა ქამარს და მაღალყელიან ჩექმებს. ცხადია, მთაბარად ლაფსა და წუმპეში მოხეტიალე მწყემსები კარგი თვალთ ვერ შეხედავდნენ. კახელი გლეხკაცის ღრმა რწმენით, ის, ვინც საქმეში კომწიობს, კულაბზიკა და უქნარაა. არაფერი არ იწყევს იმდენ დაცინვას, რამდენსაც ეს კულაბზიკობა, მაგრამ ფირანს აქამდე ეს როდი აწუხებდა. იგი შეპყრობილი იყო მხოლოდ დაკარგულ ცხვარზე ფიქრით. მხოლოდ ამ დაკარგულის პოვნის სურვილით მიისწრაფოდა წინ ახლა კი, ახლა? ეს იარა ასე თუ ისე, განკურნებული იყო, ცხვარი იპოვა და გულიც დაუმშვიდდა, გონებაც დაეწმინდა. ერთ წუთს ჩაუფიქრდა თავის საქციელს და სინანულის მსგავსმა გრძნობამ გულში გასჩხვლიტა.

— მართალი ხართ, მეგობრებო! მე უდიდესი დაცინვა დავიმსახურე!.. — და ამ დაცინვის საგნად გულისხმობდა არა კულაბზიკობას, არამედ ქორწილის ჩაშლასა და დაპატივებულ სტუმრებისათვის თავის არიდებას!

— გამოდის, რომ შენ შეჩვეულად ყოფილხარ დაცინვას და ჩვენ მხა, როგორ მოგაშლევინებთ? დღეს შეხვედით! დღესვე განეშორდებით ერთმანეთს! ასე არ არის ბიჭებო? — გამგემ კვლავ გადახედა მწყემსებს.

— ეგრეა, ეგრე! — უპასუხა ყველამ.

— არა! არა, მეგობრებო, ეგრე არ არის! მე ქორწილს ვაპირებდი, ხალხიც დაპატივებული მყავდა! — წამოსცდა ფირანს და უმაღლე ინანა. ამ უცხო ხალხში რაოდენ ვიჭრი თავსო. ქორწილის ხსენებაზე ყველამ ყურები ცქვიტა. დღეილი ჩამოვარდა.

— ჰოო! — გაციანურებით სთქვა გამგემ. — თუ ქორწილიდან მოდიხარ, გეპატიება!

— ვინ იცის მაპატიებენ კი? — კვლავ წამოიძახა ჩაფიქრებულმა.

— ეითომ და, რატომაც არა? ჩემი ნებაა, გინდ ვიქვიფებ, გინდ საქმეს მივხედავ! — შეეკამათა გამგე.

— ეგ ხომ ეგრეა, მაგრამ როდესაც მიზეზი შენა ხარ, შენს მოსალხენად მოეშურება ხალხი და შენ კი გაურბიხარ...

— რიგიანად გამაგებინე, თუ ძმა ხარ, რის ხალხი? რა მიზეზი? — განცვიფრებული შეპყურებდა გამგე.

— არა, აი, როგორ იყო საქმე. — რაკი შესტობა, ბარემ დაწვრილებით უნდოდა ეთქვა, მაგრამ ენას მაინც ურევდა ფირანი, — ბურიც გამოცხვა, საკლავიც დაიკლა, სტუმრებიც დაიძრნენ, პატარბალიც უნდა მოგვეყვანა, ჰოოდა... სწორედ იმ დროს შემატყობინეს, ერთი ფარა ცხვარი დაიკარგათ. არ შეიძლებოდა, მე რომ მეღვინა, ანაბარზე რაღა პასუხი გამეცა? მთელი დოვლათი გვეღუპებოდა... გამოვიქციე! შაბათ საღამოს ახალ ტანსაცმელს ვიშინჯავდი, რადგან დილიდანვე უნდა წავსულიყავით პატარბალის მოსაყვანად. ერთი სიტყვით, საქმეში კომწიობა მეც ძალზე მძულს, ეს უბრალო შემთხვევის ბრალია...

მწყემსები გარს შემორტყმოდნენ და ყველა სულგანაბული უსმენდა. დამციხავი, ღიძილი, ცხოზისმოყვარეობით გამოწვეულ გარინდებას შეეცვალნა. მის არეულ ლაპარაკს რომ ისმენდნენ, გარკვევით ვერ გაიგეს რას ამბობდა და უფრო ახლოს იწევდნენ. კარგა ხნის შემდეგ მთლად გაოგნებულმა გამგემ ძლივსლა ჰკითხა:

— მეგობარო, სმენა ხომ არ მლატობს? როგორც მივხვდი, შენივე ქორწილი ჩაგიშლია, გამოქცეულხარ!

— სწორედ ეგრე იყო, ვეღარ დავმალავ!

მწყემსები უარესად განცვიფრდნენ და გაშეშდნენ. თვალგაგანიერებულ გამგეს პირი დაეღო და სიტყვის თქმას ვეღარ ახერხებდა.

— ეს რა მესმის, შენი ქორწილი შენვე ჩაშალა? — წამოიძახა ერთმა მწყემსმა.

— ეჭვი, კაცო! რა ქოთქოთი შეუდგებოდათ ნუფედაკარგულ სტუმრებს! — თქვა მეორემ.

— სიბერემდე რას არ ნახავ, რას არ გაიგებ? — დაასვენა მესამემ.

ყველაფერს ამას თავჩაღუნული ფირანი ისე ისმენდა, თითქოს მის ლოყებზე სიღებს გააქვს ჭახა-ჭუხიო. ყვილგან, სადაც კი ეს გაიგეს გიჟურ საქციელად ჩაუთვალეს და ეს უკლავდა გულს, მაგრამ უცებ სულ სხვა მოხდა...

— აი, გესმით, ბიჭებო? ხალხის დოკლათი არ დამეღუბოსო, თავის ქორწილს თავი მიანება! საქმის სიყვარულიც ამას ჰქვია და ვაქცაობა! — შესძახა გამგემ მწყემსებს.

ფირანი ბურანში მყოფივით გამოფხიზლდა, ერთბაშად წელში გასწორდა და გამგეს თვლებში ჩააკვირდა, ხომ არ დამციხისო!

— სახელი... სახელი და გვარი მითხარი, სამოთამოდ აქ უნია დავიქდიო, როგორც ჩემი ღვიძლი ძმის, დედის, ან მამის ხსოვნა! — ეუბნებოდა გამგე და ხელს მკერდზე იცემდა.

— ფირან ფილაურს შეძახიან! — მიუგო მან.

მწყემსებმა ყურები სცქვიტეს.

— რაო? — აღმოხდა ყველას. ეტყობოდათ რომ ეს სახელი არც თუ ისე უცნობი იყო მათთვის. გამგე კი გულისპირში წასწვდა და თავისკენ მიიზიდა.

— გაიმეორე, რა გქვია? გაიმეორე! — ევედრებოდა იგი.

— ფირან ფილაური!

— შენი კირიმე! შენ გენაცვალე, ვაქცაო! ვნატრობდი შენს ნახვას და შეგხვდი კიდეც! შარშანდელს აქეთ თრიალეთზე ეს სახელი ხშირად გვესმის. ბინები შორსა გვაქვს, ერთმანეთს ვერ ვხვდებით და აქ კი გნახე! — მან მხურვალედ გადაკოცნა ფირანი და შემდეგ თავის მწყემსებს მიუბრუნდა: — ბიჭებო, მიხვდით, ვინც არის?

— ილღეგრძელოს ფირანმა! იბედნიეროს ფირანმა! — შესძახეს მწყემსებმა და აღტაცებულებმა კომბლები ჰაერში დაატრიალეს.

— მოიგონეთ, ბიჭებო! — კვლავ არ ისვენებდა სიხარულით ფრთაშესხმული გამგე. — შარშან მორევეში რომ გადავარდნილიყო და გზა გაეხსნა ცხვრისათვის, რამდენი ვლოცეთ! ჩვენ სწორედ შუადღისხანს ავატარეთ ცხვარი, ამით უკვე გაველოთ და მთელი სოფელი ფირანის ვაქცაობაზე ლაპარაკობდა! აბა მოიგონეთ! — ძალას ატანდა გამგე.

— გაახსოვს! ვიცით! — უბასუხებდნენ მწყემსები.

— შეგობრებო! ეს უკვე წასული საქმეა. ცხვარი გადავარჩიოთ, ნუ მაგვიანებთ! — შეაწყვეტია მწყემსებს ფირანმა.

— რა დროს ცხვრის გადარჩევა! თოხლი დაკალით, დღეს ამ ვაქცაობან უნდა ვიქვიფო! — კვლავ გაიძახოდა აღტაცებული გამგე. ფირანს ღიღბცა, ღიღი ჯაფა დასჭირდა, ღიღრე ამ ახირებულ სურვილს გადაათქმევიანებდა. მან დაუმტყიცა თავისებური სი-

ფიცით, რომ თუ ახლავე ცხვარი უკან არ გააბრუნა, მერე უკვე დაგვიანდება, გაზაფხულზე დოლი გვიან დაიძვრის და გამოცდილ საქმისმოყვარულ კაცს, სახელს დაუსამარებს.

მწყემსები ცხვრის გადარჩევას შეუდგნენ. ეს მეტად რთული და მძიმე საქმე გახლავთ. ჩვეულებრივად, როდესაც ცხვრის გადათვლა უნდათ, ან გადარჩევა, ღია ბაქში შერეკავენ და ვიწრო კარებში სათითაოდ უშვებენ. აქ ასეთი რამ არსად იყო და ამიტომ ეს ვეებერთელა ფარა, რომელშიაც, ალბათ, ათასხუთას სულზე მეტი იქნებოდა, მაღალი ფლატეს ძირთან მირეკეს და აქეთ-იქით ერთი-მეორისაგან კარგა დამორებით მწყემსები ჩაუმწყრივდნენ, წინ კი ერთმანეთის პირდაპირ რამდენიმე კაცი დადგა და ვიწრო ორლომის მზგავსი რამ გაკეთდა. ამ „ორლომეში“ წეროებივით დამწყრივებულ ცხვარს ატარებდნენ; ფირანი თავის ნაწილს მარჯვნივ უშვებდა, ხოლო დანარჩენი მარცხნივ, ქვემოთ გროვდებოდნენ. ამრიგად, ყველაზე წინ თავისი ვაკები გადაარჩია, შემდეგ ცხვარი და ბოლოს გადათვალა კიდევ. არც ერთი სული არ აკლდა. როდესაც გადარჩევას მორჩნენ და უკან დარჩენილი ცხვრის ფარა წინ წასულთა კვალში ჩააყენეს, ფერმის გამგემ, ფირანი უკვე შებმულ ურმებთან მიიყვანა და უთხრა:

— ახლა კი ჩემო მეგობარო, საქმე რომ კარგად გააკეთო, ძალღონე უნდა შეინარჩუმო! წოხელ მთელი დამე გივლია, პური გემშვივება!

— ვერ დაგიმალავ, მართლაც მშია!

— მოიტათ, თუ რამე გაგვაჩნია! — გადასძახა გამგემ მეურმეს... პირქვე დაფენილ ხურჯინზე ხელად გაჩნდა: მცხვარული ცივი ყაურმა, ყველი და საჯის ლავაშები; საიდანლაც პატარა ჩარქვით არაყიც ამოაძვრინეს, თითო გადააკრეს და მადიანად შეიქცინენ. ყველანი ჩქარობდნენ და პურის ჭამა

აღარ გაუჭიანურებიათ. ცხვრის ფარა ადგილიდან დაიძრა. ცხვრის ფარა მას მიჰყვია, მხოლოდ ზანტის ტყე-ნოსანი მწყემსი თავისთან დაიტოვა, თუ რისთვის—ამას ვერც ფირანი მიხვდა და ვერც სხვა... როდესაც გამოსამშვიდობებლად ერთმანეთს ხელი გაუწოდეს, ჭალარაშერთულმა დაასწრო და ფირანს უთხრა:

— ერთმანეთს გავეცანიოთ და ვეღარ დაგივიწყებ! შენი ძმობა და ნათესობა მწყურია.

— მოკვდეს ფირანი, თუ ეგ სურვილი ერთი-ათად არ აგისრულოს!

— მაშ, აი ჩემი ფიცია... — მან ხალათის უბიდან ქალღლი ამოიღო, რალაც დასწერა და გადასცა. — ეს ჩემი მისამართია, თუ შემატყობინებ, შენი პირველი შეილის ძეობაში გეწვევი!

— მამ სახელის დამრქმევიც, ესე იგი ნათლიაც შენ იყავ; ესეც ჩემი მისამართი — ფირანმაც სწრაფად დასწერა და გადასცა... ორივე გამგემ ერთმანეთი გადააკოცნა და, როდესაც ჭალარაშერთული ცხენს მოახტა თავისთან დატოვებულ მწყემსებს უბრძანა:

— ამ ვაყვაცს აღმართ-დაღმართებში უშველით, ჩალაუბანში გადაიყვანთ და უკან დაბრუნდებით. ცხენებითა ხართ და საღამომდე დაგვეწვიეთ.

ცხვარი დაიძრა. ფირანს ისეთი მარჯვე მწყემსები გააყოლეს, რომ ვიწროებსა და ხევ-ხუცებში სრულიად არ გასჭირვებია. შუადღე კარგა გადასული იქნებოდა, როდესაც ცხვარი ჩალაუბანის თავდაღმართებზე გადმოეფინა. გამცილებლები მხურვალედ დაემშვიდობნენ და უკანვე გაბრუნდნენ... ფირანი მარტოც აედევნა თავის ფარას. მათრახი ერთხანს უნაგირზე დააკრა და ქიზიყელების მიერ ნაჩუქარ გრძელ, კავიან კომბალს ატრიალებდა ხელში. მარტოკას მეტისმეტად უჭირდა ამ ვებერთელა ფარის

დამორჩილება და ვაცებს განუწყვეტ-
ლივ დასკუიოდა, რომ სწორი მიმარ-
თულებით ველოთ.



კვირას დილიდანვე ელოდნენ სიძეს
და მაყარს. მთვარისას მშობლებმა
იციოდნენ, რომ თავმომწონე ფირანი
სიმამრის სახლში არ გააჩაღებდა ქორ-
წილს და ამიტომ მოხუცი აბრია მსუ-
ბუქად ემზადებოდა: ცოტაოდენი
შოთ-ნაშუქი დააცხეს, ხუთიოდე ქათა-
ში და ერთი ჭედლიაც დაკლეს. რო-
გორც კი მზე შესამჩნევად ასცილდა
მთის მწვერვალებს, პატარა ბიჭმა გა-
ოფლიანებული ცხენი მიაგდო მათს
ეზო-ყურეზე და გულსახეთქი ამბავი
მოუტანა: დღეს ქორწილი აღარ იქნე-
ბა, ერთი ფარა ცხვარი დაიკარგა და
ფირანი საქებრად წავიდაო. მოხუც
დედაკაცს ენა მუცელში ჩაუვარდა და
იქვე კიბის ძირში ჩაიკეცა. აბრია კი
გაოგნებული და თავრეტდასხმული პა-
ტარა ბიჭს უკვე მესაღე ეკითხებოდა:
„რაო? როგორაო?“ და ისიც თუთიყუ-
შივით ერთსა და იმავეს იმეორებდა.
ოთახში, მეგობარ ქალებთან ჩაკეტილ
მთვარისას ყურადღებაც მიიპყრო ამ
დაბნეულმა კითხვა-პასუხმა და ანაზ-
დად მოვარდნილმა შეიკრიკმა. იგი სა-
დედოფლო ტანსაცმლის მორთვა-მო-
კაშმევით იყო გართული, მაგრამ რო-
გორც კი საეჭვო ხმაურს მოჰკრა ყური,
გარეთ გამოვარდა. იმას ეგონა, რომ,
ჩვეულებრივი წესის თანახმად, მახა-
რობელი მოსულა და მე კი ჯერ სა-
ქორწილო კაბაც არ ჩამიცვამსო! პატა-
რა ბიჭი მამას კვლავ იმას ეუბნებოდა:
დღეს ქორწილი არ იქნება, ფირანი
მინდორში გაიქცაო. მთვარისას ელდა
ეცა. მან ნიავქარივით ჩაირბინა კიბე და
ბიჭს მხრებში ხელი დასტაცა, შეანჯ-
ღრია და შეჰკივლა:

— რა თქვი? გაიმეორე!
ბიჭს მისმა არეულმა სახემ მათგან
დასცა. ეგონა შუაზე გაგლეჯეს და
ცრემლების ფრქვევით დაწვრილებით
მოჰყვა, თუ როგორ ემზადებოდნენ,
როგორ იმინჯავდა ახალ ტანსაცმელს
ფირანი, როგორ მივიდა მწყემსი, რო-
გორ მოახტა იგი ცხენს და გაჰქარა...

მთვარისა ისმენდა ამ ხმას და თან-
დათან რწმუნდებოდა, რომ მას უზომო
სირცხელი და უბედურება დაატყდა
თავს. ამ კვირა — დღეს თავის ბედნიე-
რების დღედ სთვლიდა, სადედოფლო
კაბის სახელოში ის იყო ხელი უნდა
გაეყო, სატრფოს მიერ მოტანილი სამ-
კაულებით უნდა მოერთო ყელ-ყური,
მთელ კვირას უნდა ექვიფებინა თავის
სამუდამო ქერსათარში ღვიძლი ნათე-
საეები და, ამის ნაცვლად აი, რა მოხ-
და! სადედოფლო კაბის მაგიერ მძიმე
სეველითა და ვარამით შემოსეს, სამკა-
ულის ნაცვლად ცრემლით დაუნამეს
ყელ-ყური, ნათესაეთა ღზინის ნაცე-
ლად გლოვის ზარი დაუყენეს სახლში.
რომელ ერთს გაუძლოს? როგორ გაა-
მართლოს ფირანის საქციელი თავისი
ნათესაეების წინაშე, რომელნიც სალ-
ხინოდ გამოწყობილნი, საცაა კარს მო-
ადგებიან, ანდა რას იტყვის სოფელი?
ვინ დაიჯერებს, რომ ქორწილი გა-
დაუდებელი საქმის გამო ჩაიშალა?
ვინ იცის როგორი კუდები არ გამოა-
ბან! ვინ იცის, ისიც კი სთქვან, რომ
მთვარისა მობეზრდა ფირანს და მიაგ-
დო, თავიდან იშორებდსო! ვაი, სირცხ-
ვილო! ვაი, თავის მოჰკრავ!

— ნეტავ მომკლა და აღარ მაცოცხ-
ლა! — მთვარისამ ლოყაში იკრა სილა
და იქვე დედის გვერდით ჩაიკეცა.
ოთახიდან მისი მეგობარი ქალები გა-
მოცივიდნენ, მახლობლად მყოფ მე-
ზობლებამდეც მიიღწია ამ კვილმა და
ისინიც გამოეშურნენ მათი უბედურე-
ბის შესატყობად. ყველანი მთვარისას
მიეხვიენენ, რომ გამოეფხიზლებინათ
და ენუგეშებინათ. ქალის ასეთმა შე-

წუხებამ ყველაზე წინ მისი დედა მოიყვანა გონს. იგი მხნედ წამოდგა და მეზობლებს შესძახა:

— მალა, თქვენი ღვთის ჭირიმეთ, მალა ავიყვანოთ!

შეიღის უბედურებამ აბრიასაც გაუღვიძა თავისი დაუღვგარი და მხნე ბუნება. მთვარისა კიბეზე აჰყავდათ, ის უკან მისდევდა და მიჰყიფინებდა:

— რა ღმერთი გაგიწყრა! ნუ იქნება დღეს, ზვალ იყოს, განა სულერთი არ არის?

მთავრისა ოთახში შეიყვანეს, ტახტზე დასვეს და აქეთ-იქიდან მუთაქები შემოუწყვეს. მეგობარი ქალებიცა და მეზობლებიც იმას ცდილობდნენ, როგორმე ხმა ამოეღებინებინათ. ზოგი რომ ცივი წყლით ცდილობდა მის მობრუნებას, ზოგს კიდევ სასუნებელი წვეთები მიჰქონდა ცხვირთან. ის კი ერთერთ მეგობრის მკერდს მიყრდნობოდა, ფერი დაჰკარგოდა და კრიჭაშეკრულს ციებიანივით აცახცახებდა, ტუჩები გალურჯებოდა, ხელები გაჰყინოდა, თვალს ვეღარ ახელოდა და მხოლოდ მკერდის ძალეში მოძრაობითღა იგრძნობოდა, რომ ჯერ კიდევ ცოცხალი იყო.

— იტირე, გულს მოგეშვება! ემუღარებოდა დედა.

— ცრემლს გამოჰყვება ბოლშა და ნაღველი, ურჩევდნენ დედაკაცებიც.

— ასე თავს მოიკლავ, ქალო! როგორ შეიძლება? — წასჩურჩულა ყველაზე უფრო მახლობელმა მეგობარმა. — ვინ იცის ფირანის საქციელი ზვალ და ზეგ ქვეყნისათვის საამაყო და სასახელოდ იქცეს. შენ კი აღარ იქნები, რომ დასტკებ ამ ბედნიერი წუთებით!

ვინ უხსენებს ბედნიერებას? რომელ სიტყბოზე ლაპარაკობენ? ვინ დასციინის? ძლივს გახსნა ქუთუთოები და თვალის კაკლები გადაატრიალა:

— ნუ, მაგას ნუ! — მეტის თქმა ვეღარ შესძლო მთვარისამ.

— სთქვი, სთქვი, გულს მოგეშვება! — ძალას ატანდნენ მისივე მხრებზე.

— ეს რა ჩაიდინა, ეს რა გააკეთა, ბედნიერების დღეს მგლოვიარედ დამსვია! — ძლივს ამოიგმინა მთვარისამ და ცრემლი წასქდა.

— ახლა კი, მგონია, აღარ უქირსრა! — შვებით ამოისუნთქა დედა.

ყველა სწუხდა. ვერ იქნა და ვერ გარკვეულიყვნენ, თუ რა მოხდა, ან რატომ მოხდა! მაგრამ ყველაზე სამწუხარო მაინც ის იყო, რომ მოპატიებელი სტუმრები მოტყუებული რჩებოდნენ. აბრიათ ყველაზე წინ ამაზე იზრუნა: ზოგი მეზობელი დაიხმარა, ზოგი ნათესავი, ზოგიც მიმავალი მგზავრი და ყველას შეატყობინა, ცოტა არ იყოს ეშმაკურად: მოშადება ვერ მოვასწარი და ქორწილი გადავდეთო. ამ მხრივ, ასე თუ ისე გული, დაიწყნარა მოხუცმა და სოფელში გაეღა განიზრახა. მან იცოდა რომ ხალხში ზოგიერთები ქორწილის ჩაშლას დაცინვით შეხვდებოდნენ, ათას რამეს იტყოდნენ და არ უნდოდა ქორები გაერცვლებულიყო; თუ კი ვინმეს სადმე მისწვდებოდა, ეცდებოდა სიმართლე დამტკიცებინა...

სოფელში მართლაც ელვის სისწრაფით გაერცვლდა ხმა ქორწილის ჩაშლის შესახებ. ნამდვილი ამბავი ზოგიერთ ენაჭარტალას ათასნაირი ქორებით გაემსუყებანა და რა იყო მართალი და რა ტყუილი, ყველაზე მიუდგომელ მსმენელებსაც კი ვეღარ გაერჩიათ. მოხუც აბრიათ ისეთ რამეებს აგონებდნენ, რომ გარეთ გასული შინ მოშხამულ-მოწამლული დაბრუნდა და მეუღლესაც სიცოცხლე გაუმწარა:

— ეს რა მოგვივიდა! ეს რა მეზი დაგვეცა? ცოცხლად დამარხუნლიო, რომ იტყვიან, სწორედ ჩვენზე ითქმის! — ამოიოხრა მოხუცმა და დერეფანში, სამფეხა სკამზე დაეშვა.

— სსუ! ცოტა ხმადაბლა! — მიიზა-
ლა დედაბერმა და შემდეგ ჩურჩულით
ჰკითხა: — რა იყო, რა გაიგე?

— რა ქალი იყო და რა დამთხვე-
ულს მიუგდესო! ანდე, ჩვენს ორლო-
ბეშივე გამაგონეს!

— ვაი ჩემს ყოფას! ვაი ამ სიცოცხ-
ლეს! — მუხლებს იბეგვავდა და ლო-
ყებს იხოკდა დედაბერი.

— ეგ კიდევ არაფერი, ადამიანო!
ჩვენს სიძეს იცი რასა სწამებენ? გა-
რეგნულად იბერება, თორემ ისე ცა-
რიელ ტომარასავეთ ყოფილაო! რომ
უნახავს ამდენი სტუმრები გროვდება,
უთქვამს: მე ამდენი ხარჯის თავი სა-
და-მაქვსო და ქორწილიც იმიტომ ჩა-
უშლიაო! მაგ მშვენიერ გოგოს მში-
ერსა და შიშველს ამოხდის სულსო!

— რატომ მაშინ არ გამისკდა მიწა,
როდესაც იმან ჩვენს სოფელზე ამოიზა-
რა! განა არა, ატაცებულოვით რომ
გადავარდა მორევში, მაშინვე არ მო-
მეწონა, — ჰკვირავს ამას როგორ იზამს
მეთქი, მაგრამ ამოწყდეს შენი სინსი-
ლა, აჰა, მაინც შემაკდინე, მაინც!

— შენც იმის მსგავსი სულელი კი
ნუ ხდები, ქორწილი ჩაიშალა, მე რა
შუაში ვარ?

— აღარ მოეშვი, კარგი ვაჟკაციაო,
კაი ოჯახი ჰქონიაო, — შენ არ გაიძა-
ხოდი?

— მე ახლაც ვიტყვი, რომ კარგი
ვაჟკაცია, შეხედავ — გესიამოვნება!

— მერე და მარტო შეხედულება
აცხოვრებს ადამიანს. შე დასამიწებე-
ლო, შენა, მარტო შეხედულება? —
გაწიწმატდა დედაბერი.

— არ აცხოვრებს და ნუ აცხოვ-
რებს: მე რა ვქნა ახლა? — შეუყვარა
აბრიადავ.

— გაჩუმდი! სუ! არ გაიგოს, ისე-
დაც ლამის გული გაუსკდეს! — ისევ
დატება დედაბერი, რაჟი იცოდა, რომ
მისი ქალი წარამარა ცივ წყალს სვამ-
და და სასუნებელ წვეთებს მოითხოვ-
და. — არ გააგონო, გესმის არ გააგო-

ნო რასაც სოფელში ლაპარაკობენ,
თორემ ჩემს მეტი ჰქირი არ გინდა! —
უკანასკნელად კიდევ გააფრთხილა მან
და გაბოღმებულ აბრიაის თავი მიანება.

მზრუნველი დედის გაფრთხილება
საჭირო არც იყო, რადგან მთვარისამ
ისედაც იცოდა სოფელი რასაც იტყო-
და, როგორი ჭორები გაშლიდა
ფრთებს. ამიტომ იყო, რომ გარეთ
თავს აღარ ჰყოფდა. ყველანი წავიდ-
ნენ. ორ მეგობარ ქალთან ერთად ჩაი-
კეტა ოთახში და აღარავისი ნახვა არ
უნდოდა, აღარაფრის მოსმენა არ
სურდა. მეგობარი ქალები რაც შეიძ-
ლება ცდილობდნენ გაეპარწყლებინათ
მისი მწუხარება, მაგრამ ვერაფერს
გამხდარიყვნენ. მთვარისას ცრემლი
არ უშრებოდა თვალებზე და ყელში
მოწოლილ ბოდმას ლამის დაეხრჩო.
სადაც ლხინი და სიმღერა სწყდება, იქ
ცრემლი ხდება უფლებამოსილი და
ვერც გულდამწვარი საღედოფლო გა-
ექცა ამას. ხან უნდოდა არაფრად ჩა-
ეგლო სატრფოს ეს საქციელი მაგრამ
ის ჰკლავდა, რომ ასეთი რამ ჯერ არა-
ვის ჩაედინა და მეტისმეტად ტლანქად
ეჩვენებოდა მისი მოქმედება. ხანდა-
ხან ცდილობდა გამართლებინა ფირა-
ნის თავდადება საქმისადმი: თუ სხვა
გამოსავალი არ იყო, მაშ, რა უნდა ექ-
ნაო, მაგრამ, როგორც კი მოაგონდე-
ბოდა დღევანდელდღეს სირში ჩალა-
გამოვლებული ნათესაობა, სირცხვი-
ლი ზეზუურად აჭრებდა.

ღრო გადიოდა, საღამო ახლოვდე-
ბოდა. მაგრამ გული მაინც ვერ და-
იწყნარა, კვლავ ტიროდა, რადგან საქ-
მეს რომ ღრმად ჩაუყვირდა, გულში
უფრო დიდი ტკივილი იგრძნო, ვიდრე
თვით სიკვდილის საშინელება და,
როდესაც ყველაზე მახლობელ მეგო-
ბარ ქალთან მარტო დარჩა, გულამოს-
კვნივთ გაანდო თავისი ეჭვი:

— ჩემი სიცოცხლე სამუდამოდ
მოიწამლა, ანიკო, სამუდამოდ!

— რას ამბობ, ქალო! — შეუტია მეგობარმა. — გონს მოდი! — შენ ის ინატრე, რომ თავს დატეხილი მარცხი ფირანმა როგორმე გამოასწოროს და მაშინ ნახავ, რომ ათასჯერ უფრო ტეხილი იქნება სიცოცხლე!

— არ იქნება, არასოდეს არ იქნება!

— ვითომ, რატომ?

— იმიტომ, რომ არ ვუყვარვარ!

— კარგი ერთი! მამ რისთვისღა გღვედა ამდენხანს?

— იმისათვის, რომ თავი მოეწონებინა — სხვებს ეაჯობებო! არასოდეს ჩემზე იმდენი არ უფიქრნია, რამდენიც საქმესა და ცხვარზე!

— რაო, ცხვარზეო?

— არ ვიცი, მე ახლა ასე მეჩვენება! მთაში წასვლა კიდევ ჰო, მესმის! ლამის სამი თვე გაჰყავდა, ვერ ეხედავდი, მაგრამ ამდენი ხნის უნახავი, შარშანაც გამამწარა და წელსაც! ჯერ ფერმა დაევაინავო საზამთროდ და მერე შენო! მთელი თვეობით მინდვრიდან არ გამოსულა... უპ, დედაც! განა მე კი ნაკლები საქმე მქონდა, როდესაც აბრეშუმის ჭიას ვუვლიდი? მაგრამ ის მაინც არ მაიწყებოდა! როცა მოვიდოდა, თქვენ გაბარებდით საქმეს და მე კი მასთან ვიყავ მანამდე, ვიდრე არ წავიდოდა! რა გაფუჭდა ამით? სრულიად არაფერი!

— გაჩუმდი, ჩემო კარგო, გაჩუმდი! აი, აქ კი სტყუიხარ! შენი საქმე შინა საქმეა, იმისი კი გარეთა.

— ვიცი, განა მაგდენიც არ მესმის, მაგრამ...

— მოიცა, მოიცა! დაეიჯერო სულ არ გიგდებდა ყურს?

— აი, ყოველთვის ასე მიგდებდა ყურს! ხომ ნახე, ქორწილი როგორ ჩაშალა? ოცდაათამდე მწყემსი ჰყავს, დაეიჯერო ისინი ვერ მოძებნიდნენ დაკარგულს? სხვა რომ არაფერი, ჩემთვის და ჩემიანებისათვის უნდა ეცა პატივი, მათთვის არ უნდა გავტრუებიან იმედი! რაკი დღე დანიშნა და

აღარ ხერხდებოდა, ორიოდე დღით ადრე მაინც შეეტყებინებოდა! რაღა უნდა ვქნათ! ზოგმა წამოაწყობა ძღვენი და საშუქრებიც კი მომართვა და რა პირით ვუთხრათ უარი? სადლისათვის ყველა მზად არის და ჩვენ კი თითქმის შეადლისას ვეუბნებით: არ იქნება, ნუ მოხვალთა... უპ, დედაც, ეს რომ მაგონდება ლამის გავთავადე.

— აი, მაგაში კი სტყუი! იმას გუშინ გაუგია საქმის წახდენა და ორი დღით ადრე როგორ შეგატყობინებდა?... არა, გაჯაერებული ყოველთვის უსამართლოა და შენც ასეთი ხარ! ყველაზე მეტად მე ის მაფიქრებს, შენ რომ ამბობ — არ ვუყვარვარო, ვითომ აგარეა? — სთქვა თვალგარინდულმა, მეგობარმა. — ამ ქორწილში მეც დამბატოვა როგორც ნათესავი და, იცი, რა საიდუმლო გამანდო?

— ვიცი, კარგს არაფერს გაგანდობდა, ვიცი! — კვლავ სლუკუნებდა მთვარისა.

— არა, ჩემო კარგო, არ იცი! მეო. — მითხრა, — რაც მთვარისას თანხმობა გავიგე, მზე უფრო ბრწყინვალედ მეჩვენება, ქვეყანა უფრო მომგადობდა და სიცოცხლე კი მართლაც-და უმადლეს ბედნიერებადო!

— სტყუის, სტყუის! ყველას ასე ატყუებს! — შესძახა მთვარისამ, მაგრამ მის ხმაში უკვე რაღაც სიხარულის მსგავსი რამ ელერდა. ლოყები შეუფაკლდა, მკერდში რომ მძიმე ლოდით მოსწოლოდა ვარაში და გულს თითქოს მუხრუქს უჭერდა, მოეშვა, რაღაც შეღავათი იგრძნო და უფრო გაბურტულმა ვიდრე გამწყრალმა, მეგობარს უთხრა:

— ახლა რაღა მითქმის, ქვეყანამ იცის, რომ ჩემი საქმრო ჰქვია, ბოლომდე უნდა ვზიდო მისი უღელი მაგრამ...

— ოპ, ჩემო კარგო! — შეაწყვეტიან თვალგაშტერებულმა მეგობარმა. — შენ მაინც უწყრები და იქნება...

— რა იქნება? დააბოლოვე! — ჩააცვიდა მთვარისა.

— შენი მწუხარებისა და შენი უარესად დანაღვლიანებისა რომ არ შეშინოდეს, ჩემს ეკვს გეტყობდი!

— ეგეთი რა ეჭვი გაქვს?..

— ისა, რომ... ისა, რომ ეს გაწყრომა, ეს საყვედურები, შეიძლება, სანაწერი გაგიხდეს!

— რა სანაწერი? მითხარ, შენ რაღაც იცი!

— დაკარგულ ცხვარს სხეებიც მოუვლიდნენ, მარტო ამ მიზეზით ქორწილს როგორ ჩაშლიდა! მაგრამ შენ ისა თქვი, რაიმე უბედურება არ იყოს მის თავზე...

— რა უბედურება, რა? — მთვარისას ხმაში კანკალი დაეტყო.

— ძნელია თქმა! ისე კი მთაბარად მოხეტიალე კაცი ხიფათს როგორ გაეჭყევა? შეიძლება რაიმეს გიმალავენ გიფრთხილდებიან და იმიტომ...

— გაჩუმდი, გაჩუმდი! მაგას ნუ ამბობ! — მთვარისას კვლავ ფერი დაეკარგა.

— აი, რეები დამაროშინა შენმა ტირილმა და უსამართლო საყვედურებმა! გეხუმრე გენაცვალე, ეს მხოლოდ ჩემი ეჭვია...

მაგრამ ეს ხუმრობა და ეს ეჭვი ისეთ საქმედ იქცა, რომ მთელ დამეს თვალი აღარ დაახუჭვინა მთვარისას. მართლაც რომ უმალავდნენ რასმე, ფირანი რომ მართლაც დიდ ხიფათში იყოს ჩავარდნილი, მას თავი რაღად უნდა ცოცხალი?! ამას არც დაიჯერებდა, ოდნავადაც არ მიაქცევდა ყურადღებას, მაგრამ იცნობდა ფირანის გაბედულ, თავგანწირულ და თავდაუზოგავ ხასიათს და მის გულში ეჭვი თანდათან ძლიერდებოდა...

შუალამისას მეგობარი ქალი შინ წავიდა, მოხუც აბრიას, ბოღმით საეცეს და სოფლის ქორებით ამრეზილს, სადღაც გადაეკრა და ტახტზე ხვრინავდა მოხუცი დედა, რომელიც შვილს შუა-

ლამის შემდეგაც ბევრს ემუდარა დაწოლილიყო და მოესვენა, სადღაც წვედალილი — დაქანცულნი გვერდით სთვლემდა — მუთაქებზე მისვენებული... და აი, ღამის სამარისებურ მყუდროებაში, ამ უკუნეთსა და წყვილიაღში მხოლოდ ბედგატრუებულ პატარძალს ეღვიძა, მხოლოდ ის-ღა იყო ფხიზლად ათასნაირი ფიქრები დასტრიალებდნენ თავს, ათასნაირი მოსაზრებანი გონებას უფანტავდნენ და თავის ხსნის გარკვეული გზა და კვალი ვერ იქნა და ვერ გამოენახა! ხან ეჩვენებოდა, რომ ფირანი სადღაც უფსკრულში გადაიჩეხა, შინ დასახინარებული მოიყვანეს და, ვიდრე არ მორჩება, ქორწილიც არ იქნება!.. ხან ფიქრობდა, რომ განუწყვეტელი წვიმებით ცაფმორეულ იორში წინდაუხედავად შეაქუნა მერანი და ორთავენი დაიხრჩუნენ, წყალმა შლამში დამარხა. ეძებნენ, მაგრამ ვერ უპოვიათ და რომ უცებ გული არ გაუხეთქონ სადღეოფლოს, დაკარგული ცხვრის ფარა მოიგონეს, თანდათან აჩვევენ უბედურებას!.. ხან ერთს ფიქრობდა, ხან მეორეს, და ასეთ შემზარავ წუთებში სული ეხუთებოდა, თავრეტი ესხმოდა და ღამის კვლავ გული უღონდებოდა. მარტო იყო და ნებისყოფის დამაბვი ძლიერძლივობით იკაცებდა თავს... ბოლოსდაბოლოს, მთელი ღამის ფიქრებში ერთი რამ იგრძნო, ერთი რამ აეკვიტა როგორც თავის ხსნის ერთადერთი გზა და აღარ შორდებოდა თავიდან: იქ უნდა იყოს, აქ აღარ ედგომება, ავია თუ კარგი, სახლშია თუ გარეთ, იქ უფრო მალე გაიგებს ფირანის ამბებს, იქ გამოარკვევს სიმართლეს და ბოლოს მოუღებს ამ მტანჯველ ეჭვებს! თუ უპირს, მთვარისას ნაირად ვერავენ უშველის! თუ ავადმყოფია, ახალგაზრდა ქალისთანა მომვლელი სხვა არაყინ იქნება, თუ მომავლადია, სატრფოს მეტი ვერავენ გამოაცოცხლებს!..

იგი განთიადის ხანს გაშმაგებით ეცა
დედას და შეანჯღრია:

— დედა, გესმის, დედა, გაიღვიძე,
მეტი აღარ შემიძლია!

— რა იყო, რა მოხდა შეილო!

— ყური მიგდე, დედა...

— გოგო, შენ სულ არ გძინებია?
თავს დაისწულე, არ იფარგებს, შენ
გენაცვალის დედა! — დინჯად ეუბნე-
ბოდა მოხუცი.

— ოჰ, ახლა მაგვების დრო არ
არის! — შეუტია მთვარისამ. — მამა
გააღვიძე!

— მამა? მამა რად გინდა, შეილო?!

— უნდა წავიდეთ! მე რომ აქ დავრ-
ჩე, ნებით თუ არა, ძალით რაღაცას
აუვტებს ჩემს თავს!

— სად უნდა წავიდეთ? — დაფან-
ტულად იკითხა ბებერმა.

მთვარისამ გული გაიმავრა და მტყი-
ცე ხმით მიუგო:

— იქ, სადაც გუშინ ქორწილი უნდა
გადამებადნა!

— რაო? — დედის დამკენარ ლო-
ყებს აღმურმა აკრა. მთვარისამ ეს
არაფრად ჩასთვალა და უფრო მტყიცი
და ცივი ხმით განაგრძო:

— ყური მიგდე, დედა! არა მჯერა,
რომ დაკარგულმა ცხერის ფარამ ჩავ-
ვიშალა ქორწილი. რაღაც სხვა უბედუ-
რება ჩემს თავს. ცხვარს სხვა მწყემ-
სებიც იპოვნინდნენ. ჰოლა... იქნებ დაქ-
რილია, იქნებ მიძიმე აუადმყოფია, იქ-
ნებ დასახიჩრებელი გლია და მიშალა-
ვენ, რომ უცებ გული არ გამიხეთქოს!
აბა, აქედან როგორ გავიგო სიმართ-
ლე? მე იქ უნდა ვიყო დღესვე, ამ დი-
ლითვე.

— რატომ არ მოვედები, ეგ რა გი-
ფიქრნია, გოგო?! — შეშინებულ-შეშ-
ფოთებული ხმით მიამახა დედამ,
რადგან იცოდა თავისი ქალის ხასიათი:
რაკი სიტყვა, აღარც გადათქვამს!

— ვითომ რა დამავდება? — მთვა-
რისამ წარბები მოკმუნა.

— ის დამავდება, რომ ხასა არა ხარ,

უქორწილოდ სახლიდან გავხიდე! —
ხმას აუწია დედამ.

— ეგ თქვენ გესმის თუ არა, ყველაფერი
უქულმართად. თუ მაგრა არ გავძებს და
სხვებს არ მოუფწყევ ღრეობა, ისე
ცოლქრეობა არ იქნება? მე რამდენ-
საც გინდა ჩამოგიფიქვო ჩვენს სოფელ-
შიც, რომ დასახლებულან, დამკვიდრე-
ბულან და ქორწილი კი ერთი თვისა
და, ძალიან ხშირად ერთი წლის შემ-
დეგაც გადაუხდიათ!

— არა, არ იქნება, შეილო! რაკი
მიხვალ, იქიდან ვეღარც წამოხვალ!
ჯვრისწერა წესად აღარ არის და ახლა
ქორწილსაც აღარაფრად აგდებთ? არა,
ეგ არ მოხდება! ქვეყნის სასაცილო
გავხდებით, ქორწილის ჩამლაზე უა-
რეს სირცხვილში ჩავეარდებით! იტყ-
ვიან ცოლად კი არა, ხასად დაუჯ-
დაო! — მაინც თავისას გიუტობდა
მოხუცა. მას ვერ წარმოედგინა ერთად-
ერთი ქალი, როგორ უნდა გაეცილები-
ნა თავისი სახლიდან ასე ჩუმად და
უხარჯოდ! მთელი სიცოცხლით ხომ
სიღარიბე და გაპირება დაეკვებება და
რალა მემეფელებო! მაგრამ არც მთვა-
რისამ დაუთმო. ჯერ ერთი, დაუმტყი-
ცა, რომ ახლებურად ჯვრისწერა, ესე
იგი საბჭოში ხელისმოწერა იქ, ფირა-
ნის სოფელში უნდა მოხდეს, რადგან
რაიონული ცენტრი ის არის, რა აქ
რად ვიჯდე. რას ველოდოო და შემდეგ
კი გადაქრით განუცხადა:

— თუ დაქრილია, მისი მომვლელი
მე უნდა გავხდე, თუ უქირს მისი
მხსნელი მე უნდა ვიყო, თუ მკვდარი-
მე მისი ქვრივი ვარ! ახლა თუ ჩემი
სიკვდილი გინდათ, აქ დამტოვებთ, თუ
არა და უთენებლივ გზას გავუდგებით!

ბევრს ეცადა მოხუცი, მაგრამ ვერც
სიტყვა გადაათქმევინა, ვერც მისი ნე-
ბისყოფა შეარყია, ვერც მისი ანთებუ-
ლი სურვილი გაანელა და ბოლოს და-
უთმო — აბრია გააღვიძა. თუმცა იგი
ბევრს ბუზლუნებდა, მაგრამ მაინც წა-
მოდგა და გაჯავრებულმა იკითხა:

— რა გინდათ? რას გადამეკიდეთ? მთვარისამ უამბო რაც აწუხებდა და რა სურვილიც ჰქონდა, აბრია დაფიქრდა, გამოცდილი კაცი იყო და უმაღვე მიხვდა რომ სიმართლე ქალის მხარეს იყო. ცხერის დაკარგვა და ამის გამო ასეთი დიდი საქმის ჩაშლა, მასაც არ სჯეროდა. იფიქრა, სიმართლეს მაინც გავეგებო და, რაკი არ უნდოდა სოფელს ენახა, თუ როგორ უნათესაოდ და უმაყროდ მიდიოდა მისი ოჯახის დედისერთა ქალიშვილი, ამიტომ არჩია—ვიდრე ინათებდა, გზას გასდგომოდა. როდესაც სამგზავროდ გამოეწყო, თავის ზუმრობა მაინც არ დაიშალა და ქალს უთხრა:

— მადლობას გიხდი, შვილო! თავის დღეში მაყრად არა ვყოფილვარ და ამ სიბერეში ამასაც მაკეთებინებ! მხოლოდ არ მომწონს, რომ ბაიყუშვით მარტო მოგდევ!

ორთვალში. ცხენი შეება, ზედ თავისი ცოლშვილი დასვა და დილის ბინდ-ბუნდზე სიძის სახლისაკენ გასწია. საშთავენი სადღესასწაულოდ იყენენ მორთულ-მოკაზმულნი და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ იქ, უცხო სოფელში, სადაც ყველაზე ღვიძლი და მახლობელი ნათესაობის ქსელი უნდა გაემათ, არ ეთქვათ: უხერიო ოჯახიშვილები ყოფილანო!..

შემოდგომის ცრიატი დღე გათენდა. ის იყო ნისლით პირშებურული მზე შუბის ტარზე ავიდა, როცა ჰიშვარი გაიღო და ფირანას ეზოში სტუმრები შემოვიდნენ. ფირანის დედა ერთ ადგილზე გაქვავდა, გაშეშდა, გაოცება—რომ მოულოდნელ სტუმრებს ხედავდა, მწუხარება—რომ ასე უფერულად შემოდგა მის სახლში ფეხი მოხდენილმა პატარძალმა—ერთმანეთში აირია და აღარ იცოდა რა ექნა. ისიც კი ვეღარ მოახერხა, რომ წინ შეგებებოდა სტუმრებს. ისევ მთვარისამ გამოიყვანა

გაოგნებიდან. გადმოხტა თუ არა ორთვალადან დედამთილისაკენ გაუქმნა და ჭკითინით მკერტშია ჩაქცია.

— სიცილით უნდა შემოსულიყავ ჩემს ოჯახში და ცრემლით კი მოხველი!—ძლივს წარმოთქვა კარგა ხნის შემდეგ ბოლმით სავსე დედამ, ცრემლმორეული თვალები მიაპყრო სარძლოს და სიყვარულით დაჰკოცნა.

— დედა, გვედრები, გემუდარები მართალი მითხარ: სად არის ფირანი?—ისერზე ხელი მოხვია, თვალებში ჩაშტერებოდა და ისე ევედრებოდა მთვარისა. დედა ისე განკვივრდა, რომ ტირილიც კი დააეწყვდა:

— როგორ, გენაცვალე! განა არ გითხრეს?

— ვიცი, მითხრეს, მაგრამ არა მკერა! დაკარგულ ფარას სხვებიც ადვილად მოსძებნიდნენ, განა ამისათვის ქორწილის ჩაშლა ღირდა? სხვა რამ უბედურება თუა ჩვენს თავს, მეც მინდა ვიცოდე, ეგებ... ეგებ გამოვდგე.

— ოჰ, შვილო! შენ კი გენაცვალე მაგ ერთგულებისათვის!— აღტაცებით შესძახა დეამ და კვლავ დაჰკოცნა.— ვფიცავ შენს სახელს, ვფიცავ ჩემი ფირანის სიცოცხლეს, რომ იმის მეტი არაფერი მომხდარა რაც უკვე გადმოგცეს! სხვებმა ბევრი ეძებეს, ვერ იპოვეს და ფირანი იმიტომ გაიქცა. სულ ერთია, ვიდრე დაღუპული საქმე არ გამოსწორდება, კაცად ვეღარ ვივარგებ. ყველას გავაშხამებო და ამიტომ ჩაშალა ქორწილი. შეიძლება დღეს მობრუნდეს გამარჯვებული და ქორწილს რა უნდა? უფრო უკეთეს ღზინს გადავიხდით!

მთვარისას შუბლი გაეხსნა, გულიდან თითქოს მძიმე ლოდი მოეხსნა, რაც მსუბუქი ხალისითა და სიხარულით აღივსო. ჯანდაბას, ოღონდ საქმე კარგად დაბოლოვდეს და იმედგაცრუებული სტუმრების წინაშე დანაშაულის გამოსყიდვა ადვილი საქმეაო! სოფელში გავრცელებული ქორი და

გესლიც ისე გაჭრება და გაიფანტება, როგორც ქარისხალდაკრული ნისლიო. როცა საღებდამთილო დარწმუნდა რძალი დაეამშვიდე, აღარაფერი უჭირსო, მძახლებს მიუბრუნდა, მხერვალედ მიესალმა მათ და ოჯახში მიიპატივთა ყველანი მაგრამ მისთვის ერთხანს თავსატეხი საკითხი იყო, სად შეეყვანა რძალი: ისევ ძველ სახლში, ან დროებით მოწყობილ მარანში, თუ მისთვის გამზადებულ ზედა სართულში? შვილის სურვილით ის დაკეტილი იყო, იქ პირველად ფეხი მთვარისას უნდა შეედგა ქორწილის ღამეს და ახლა რაღა ვქნაო? ასე უცებ მარანში რომ მიიწვია მოულოდნელი სტუმრები, სულ ამას ფიქრობდა და ბოლოს გადასწყვიტა: ამისათვის არის გამზადებული, ქორწილითაც და უქორწილოთაც ამას ეკუთვნის და რაღაზე შეევაიწროო მარანში, თუ ძველ სახლში ყოფნითაო. ახალი ოთახების კარი გააღო და პირველად თავისი სარძლო შეუშვა შიგ. შემდეგ კი მისი მშობლებიც მიიწვია და დილის საუზმე იქ მიართვა სასურველ სტუმრებს. მთვარისას ერთგულეებით აღფრთოვანებულს სხვა საზარუნავი აღარც აგონდებოდა.

საუზმის შემდეგ სამთავემ დიდხანს იმსჯელეს და გადასწყვიტეს: ვიდრე ფირანის ან ავს არ გავიგებთ, ან კარგს, აქედან დეხს არ მოვიცვლითო. დედა მეტისმეტად გაახარა ასეთმა გადაწყვეტილებამ, რადგან სახლში ხმის გამცემნი ეყოლებოდნენ. იგი ხალისიანად შეუდგა სადილის მზადებას, რომ ძვირფასი სტუმრებისათვის ღირსეული პატივი ეცა.

მთვარისა ყოველ წუთში მოელოდა ფირანს და ეს იმედი გულს სიხარულით უვსებდა.

მისი მოზოცი დედა მოზიბლული იყო თავისი სიძისა და თავისი ქალის ადგილსამყოფელის სიმშვენიერით და აღარაფერს ნაღვლობდა.

აბრია კი შეხაროდა დოვლათით

სასე ოჯახს, ყველაფრით უხვსა და ბარაქიანს, მაგრამ რაღაცა მისთვის არა საქმის ნამდვილ ვითარებას, მასზე შეტად მოზიბლა საძის საქციელმა. მან მთელი თავისი სიცოცხლე შრომა-ჯვანში გაატარა, უაღრესად პატივისმცემელი იყო საქმისმოყვარული ხალხისა, ამავე დროს კარგად იცნობდა მეცხვარეთა შფოთიან და ხიფათით აღსავსე ცხოვრებას და, როდესაც უსაფუძვლო ექვები და სიმართლე ერთმანეთს შეადარა, უჩვეულო სიამაყე იგრძნო, რომ ასეთი სიძე შეხვდა.

აბრიას ეს აღფრთოვანებული განწყობილება საღამო-ხანს მეტისმეტად შეანელა მეზობლის ბიჭის ნაამბობმა. მას მინდვრიდან გამოსული მწყემსი ენახა, რომელსაც ეთქვა, რომ ფირანი კვირას ბინიდანაც გაიქცა დაკარგული ცხვრის მოსაძებნად და საით წავიდა, რა მხარეს, ან რა დაემართა, არავინ არაფერი იცისო.

დედას ფერ-ფერი წაუვიდა. მუხლებში წაიშინა, მთვარისამ ცრემლები გადმოჰყარა, მხოლოდ შეზარხოშებული აბრიაღა იყო იმედიანად:

— ნუ ინაღვლებთ, ორშაბათი თარსია, სამშაბათს, დილით, უთუოდ გამოინდება დაკარგული ფირანიც და ცხვარიცაო!

მთვარალის ბოდვამ იქ მყოფნი ცოტაოდნად გაამხნევა, რადგან ეს ნამდვილ წინასწარმეტყველებად ჩათვალეს უფრო იმიტომ, რომ ყველას უნდოდა ასე მომხდარიყო. მაგრამ სამშაბათიც გაუცრუვდათ, ოთხშაბათიც და ხუთშაბათიც. ფირანი არ ჩანდა! მინდვრიდან კვლავ ამბავი გამოჰქონდათ, ფირანი შირაქის გზით მიმავალი ენახათ ორიოდე დღის წინ და მას შემდეგ აღარც ისა ჩანს და აღარც დაკარგული ცხვრის ფარაო. უკანასკნელად კი ისიცა სთქვეს, რომ ფირანის მოსაძებნად, რაიკომის მდივნის ბრძანებით, ბინიდან მწყემსები წავიდნენ შირაქის გზისკენაო.

ფირანის ტანჯვა და წამებული მგზავრობა კი მართლაც რომ ღირს სათქმელად; როგორც კი ქიზიყელმა მწყემსებმა ხელი ჩამოართვეს და უკან გაბრუნდნენ მაშინვე იგრძნო, თუ რა ძნელ საქმეს მოჰკიდა ხელი...

ცხვარი საოცრად ოგენი პირუტყვი. თუ მაგრად გამაძლარი არ არის, ვერც სწორი მიმართულებით წაიყვან და ვერც ღამის სათევად დაჰყრი, ათიოდე სულის გარეკვაც კი დიდად უჭირს ერთ კაცს და ამ ვეებერთელა ფარას, რომელშიც შვიდასზე მეტი დაითვლებოდა, როგორ უნდა გასძლოლოდა? ამას ზედ დაუმატეთ ის გარემოება, რომ ცხენიც თან ჰყავდა და იმასაც პატრონობა უნდოდა. ცხენზე მჯდომი რომ მიჰყოლოდა ცხვარს, ეს შეუძლებელი იყო, რადგან ფიცხა და უღევარი და ისიც დაუტყირთავი მერანი, ცხვარს გაქელავდა, დაასახინებდა. ამავე მიზეზით მას თავისუფლად წინ ვერ გაიგდებდა სადმე ცხენებს მოჰყარავდა თვალს და უკვალოდ გარდაიხვეწებოდა. წინა ფეხები რომ გაეკრა და ისე გაეგდო წინ, ვერც ამას ეზამდა, რადგან პირუტყვი დაიტანჯებოდა. ბევრი ფიქრის შემდეგ ცხენის საკითხი ასე გადასწყვიტა: აღვირი წაყარა, გარსაკრები მოუშვა და გრძელი თოკით უკან ქამარზე გამოიბა. ცხენი ველარც გაეძეოდა და ცხვარს თუ წინ ძოვნით მიერეკებოდა, ცხენი კიდევ უკან მიჰყვებოდა ასევე ძოვნით...

შორიდან მაყურებელს მისი მგზავრობა რაღაც სასაცილოდ ეჩვენებოდა: მარცხენა ხელში მათრახი ეჭირა და იმას იქნევდა, მარჯვენათი კი გრძელკავიან კომბალს ატრიალებდა. ფარას ხან მარჯვნივ მოუტრებნდა, ხან მარცხნით, რომ ერთთავად წინ ევლოთ. წუთი არ იყო, რომ არ ეყვირნა და არ ეყიყინა. ხან ვაცებს დასჰყიოდა,

ბელტსა და ქვას ესროდა რქებში, რომ მარდად ევლოთ, ხან განსწორდნენ მარჯვნივ წყრომით აგროვებდა, შემოქმედების კვალში აყენებდა და ამასაც ხმაურით, ხელების ქნევითა და განუწყვეტელი მოძრაობით აკეთებდა. ამიტომაც იყო, რომ როგორც კი ჩალაუბანს გამოცდა, ჯერ მელაანის მთავორიანი არემარე სანახევროდაც არ ჩამოეცლო, რომ ხმაში ხრინწი შეეპარა, შემდეგ კი მთლად წაერთვა ხმა, სიტყვის თქმარომ უნდოდა, რაღაც ხაველილა აღმოხდებოდა ხოლმე, მაგრამ მაინც თავისას არ იშლიდა... ყველაზე დიდ გასაჰირსა და წამებას მაშინ გრძნობდა, როცა სადმე ნახნაეებსა და შემოდგომის წვიმით აბიბინებულ ჯეჯილებს წააწყდებოდა. მთელი ფარა ცხვრის გატარებას, სწორედ აქ სჭირდებოდა დიდი სიფრთხილე, ცხვარი ხასხასა ჯეჯილისაყენ იწევდა, ის კი არ უშვებდა, როგორც კი შორიდან თვალს მოჰყარავდა ამწვენებულ ზოდებუნებს, ცხვარი დიდი მანძილის მოვლით მიჰყავდა და ეს კი გზას ერთიორად უჭიანურებდა! ასე იყო, თუ ისე, მაინც მიდიოდა წინ. მან თავის მწყემსები გააბრთხილა: შირაქის გზაზე წამოდით მომეხმარეთო, მაგრამ იცოდა, რომ ამ ღამხმარეებს ვერც დღეს შეხვდებოდა, ვერც ზვალ და მაინც აზრადაც არ მოსვლია ერთ ადგილზე გაჩერება და ცდა. მიდიოდა წინ და თან პატარა იმედი ფრთებს ასხამდა: შესაძლებელია ვინმეს გადაეყარო და, მომეხმარებო, მაგრამ ამა ვის მოჰყარავდი თვალს ასე გვიან შემოდგომაზე და ისიც გამუდმებულ წვიმებით ალაფებულ მინდერებში? ხოლო ხნდისხან შორს თუ ვინმეს დაინახავდა— არც ცდილობდა დაახეებას, რადგან ხმაჩამწყდარი სულერთია ვერაფერს გააგებინებდა.

ეს იმედი პირველ დღესვე გაუცრუვდა, მაგრამ გული მაინც არ გაიტეხა. წინ მიიწევდა და განუწყვეტლივ იმ ვადაზე ფიქრობდა, მას რომ ჰქონდა

დანიშნული ცხერის განაყოფიერებისათვის. ამიტომ გუნებაში სულ ერთსა და იმავეს ელაპარაკებოდა თავისთვის: „ზეგ ბინაზე უნდა მყავდეს ცხვარი და მეყოლება კიდევ!“

ეს აღტყინება, ეს ნათელი მიზანი თუ სურვილი იყო იმის მიზეზი, რომ ასეთი მგზავრობის ტანჯვა-წამებამ ერთი წუთითაც კი ვერ გაანელა მისი ნებისყოფის სიმტკიცე და მხნეობის ძალა! აღარც დასვენება აგონდებოდა, აღარც ჭამა, აღარც სმა და არც ამინდის ცვალებადობა აფიქრებდა.

მთელ დღეს ხმაჩახლეჩილი და წელში გამწყვდარი მისდევდა ცხვარს. წინა ორი ღამის ნერვიულობამ, სოფლიდან რომ წამოვიდა და ქიზიყელთა ცხერის კვლში ჩადგა, ახლა, ამ საღამო-ჯამს აგრძნობინა თავი: საშინელი მოჭანტულობა ნაბიჯს აღარ ადგმევინებდა, მაგრამ ასე იყო თუ ისე, ღამის თვეაზე მაინც უნდა ეფიქრნა; რასაც ხუთი-ექვსი კაცი სჭირდებოდა, მას ერთს უნდა გაეკეთებინა და დიდი სიფრთხილე იყო საჭირო.

ბინდმა საღდაც კაჭრეთის მიდამოებში უსწრო. ღამის გასათევად მოხერხებული ადგილი რომ არ ეპოვა, მთელი ამდენი ხნის წვალება და ამაგი წყალში ჩაყვრებოდა. ცხვარს ერთი უბედური თვისება სჭირს: შეუჩვეველს ადგილზე ვერც ღამით გააჩერებ, ვერც დღით. ამიტომ მწყემსები მთელ ღამეს ფეხზემდგომი უვლიან გარს, მაგრამ მაინც ვერ ენდობიან თავისთავს და გაწვრთნილ-გაწაფული ძაღლების ფხიზელ ალღოს იშველიებენ... ფირანს კი არც ძაღლი ჰყავდა, არც მხარის მიმცემი და ამიტომ ერთი-ათასად მეტი სიფრთხილე სჭირდებოდა. ის, უწინარეს ყოვლისა, ისეთ მაღალ გორას ეძებდა, რომლის ძირიც ცხვარს ნახევარ წრედ შემოერთებოდა და უკან გასაქცევ ვზას შეუტრავდა. ასეთი დასადგომი მალე იპოვა, მაგრამ ცხვარი მრავალრიცხოვანი იყო და მის წინ ტრია-

ლი საკმაოდ დიდ მანძილზე დასჭირდებოდა, რა უნდა ექნა? ცხვრის გაპარვას, ან გაქცევას თუ ნაღობი შეაფრთხოვდა, როგორ შეაჩერებდა ერთი კაცი და ისიც უძაღლოდ?! ბევრი ფიქრის შემდეგ ასეთი ხერხი იხმარა. ერთ თავში კაპიანი კომბალი მიწაში ჩააჩქო, ზედ თავის ნაბადი წამოახურა და კაცის მაგვარი საფრთხოვებელა გამოვიდა. ცხვარიც და ნაღობიც ამას უთუოდ ანგარიშს გაუწევდა. ყოველ შემთხვევაში, ეს „საფრთხოვებელა“ წყალში ჩავარდნილის ხავსი იყო, მაგრამ ერთ წუთს მაინც საიმედო! მეორე თავში კი პალოზე მოკლედ დააბა თავისი ცხენი და ესეც საფარვივით ეყოლებოდა ცხვარს. „საფრთხოვებელას“ და ცხენს შუა კი მთელ ღამეს თვითონ ივლიდა მუზღმოუხრელად და, ასე თუ ისე, მოულოდნელი ხიფათისაგან დაზღვეული იქნებოდა. უნაგირზე დაკრული თოფი მოხსნა, გატენა და მხარბილივ გადო-კიდა, საეაზნე სარტყელი ხალატქვეშ შემოირტყა და ამგვარ პირობებში ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა უკუნეთ ღამეს.

მთვარის ამოსვლის ეამს ცამ პირი შეიკრა, ერთხანს ქარმაც წამოიჭროლა ქეჭა-ქუხილი ასტყდა და ისეთი შხაპუნა წვიმა დაასხა ამ წყედიადსა და უკუნეთში, რომ კაცს ეგონებოდა ქვეყნის აღსასრული დადგაო. ფირანმა თვალი და ყური ერთი-ათად გაიფხიზლა. კიდევ კარგი, რომ მალე გადაიღო და მუხდროება ჩამოეარდა, თორემ შიგა და შიგ ფეხზე ამდგარი ცხვარი ველზე გასაჭრელად ეშხადებოდა. ხმაყ აღარა ჰქონდა, რომ დაემშვიდებინა და გაფანტულს რალა ეშმაკი შე-გროვებდა? ეს მის ადამიანურ ძაღლონეს აღემატებოდა..

წვიმამ გადაიღო. ცა მოციმციმე ვარსკვლავებით მოიჭვდა, მაგრამ სუსხიანი ზენა ნიავიც თან მოჰყვა და უნაბლოდ დარჩენილი, წვიმით გალუშვული, წინა ღამეების უძინარი, ამდენი

სიარულით დაქანცული და უსმელ-
უქმელი ფირანი სიცივემ აიტანა, კბი-
ლი-კბილს აცემინებდა, რაღაც საში-
ნელ ჟრუანტელს გრძნობდა ტანში და
სახსრებისა და ბეჭების გაბმულმა
ტკივილმა ხომ ერთ ადგილზე მოძრაო-
ბის უნარიც დაუკარგა. თავს ძალას
ატანდა, გულს იმაგრებდა, თვალებს
წარამარა ისრესდა, რომ ძილი გაეფრ-
თხო და მოძრაობდა, თვალი მაინც
ცხვაზე ევირა.

ასეთი წამებითა და ტანჯვით, რო-
გორც იყო, გათენდა სამშაბათ-ღილა.
მტრედის ფრად ინათა თუ არა, ფი-
რანმა ცხვარი აშალა და გზას გაუდგა.

ამ დღეს ზოგი რამ უფრო საყურად-
ღებოც მოხდა, რამაც ფირანს დიდი
შეღვათი მისცა და ცოტაოდნად მოას-
ვენა. ცხვარი მთის კალთებზე შეფენი-
ლი სოფლებიდან ისეთ მანძილზე მიჰ-
ყავდა, რომ გზაში უკვე ხშირად ხედე-
ბოდა მეხბორე და მენახირე ბიჭებს.
ისინი თავიანთ საბალახო საზღვრე-
ბამდე მიჰყვებოდნენ ხოლმე და ცხვრის
გარეკვაში შეელოდნენ. ერთი-ორჯერ
საზამთრო ფარეხებსაც წააწყდა და
აქაურმა მწყემსებმა ხომ, როგორც
იტყვიან, პირდაპირ ამოასუნთქეს;
ასაუზმეს, წყალი დააღეინეს, ღამის
გასათევი ადგილიც მარჯვედ შეურჩი-
ეს. ეს დიდი, ძალიან დიდი შეღვათი
იყო, ამ ტანჯულ მგზავრობაში ასე
რომ არ ყოფილიყო ცხვარი დაეფან-
ტებოდა! ღამე რომ მარტომარტო
მწყემსავდა, დადლილ - დაქანცული
ფეხზე მდგომი რომ მეოთხე განთიადს
ხედებოდა, ამას კი ვერაფერი მოუ-
ხერხა: ვერც მენახირე ბიჭი შეხვდა
და ვერც მწყემსი ისე მარჯვედ, რომ
ღამე ეშველნა, რადგან ყველას თავისი
საქმე ჰქონდა, და ძალას, ხომ ვერ
დაატანდა. ძალიან მიიჩქაროდა, თვი-
თეული წუთის დაკარგვაც კი საქმის
დაღუპვად მიაჩნდა.

დამხმარებებს არც სამშაბათს ელოდა,
მაგრამ თუ როგორმე ამ ღამესაც

მშვიდობით გაათენებდა, ოთხშაბათ-
ღილით მოსალოდნელი იყო, რომ თავ-
ვისი ფერმის მწყემსები ჩამოეშველე-
ბოდნენ... ეს იმედი ასულდგუმელებდა
და აღარავითარ ყურადღებას არ აქ-
ცევდა არც დალილობას, არც თავის
ტკივილს, არც მუხლების ცახცახსა და
არც იმას, რომ თვალამღვრეულს
საგნები ერთი სამად ეჩვენებოდა,
თითქოს დედამიწა ტრიალებდა და
მის ირგვლივ ყველაფერი დახტოდა და
დაფარფატებდა..

ოთხშაბათ—ღილით; ალიონზე ხელ-
ფეხის მოძრაობა იმდენად დაუმძიმ-
და, რომ უნაგირზე ძლიეს-ლა დააკ-
რა თოფი და კომბალიც გაჭირვებით
გაიღო მხარზე.

რაკი ამ დღილით მეტისმეტად აერ-
ქოლებდა ტანში და ზმორებაც დააწ-
ყებინა, ჩვეულებრივზე უფრო აღრე
აშალა ცხვარი და გზას გაუყენა, ეგებ
სიარულში გავხურდე და გამოვფხიზ-
ლდეო. იმედმა არ უმტყუნა: რამდენა-
დაც მზემ მალა აიწია, იმდენად ისიც
უფრო გათბა, მაგრამ საკვირველი ის
იყო, რომ თუ ერთ წუთს მთელ სხე-
ულში სიცხის აღმური წამოჰკრავდა,
მეორე წუთს აკანკალებდა და აერქო-
ლებდა. ასე ეგონა, საფეთქლებს სატე-
ხით უხვრეტდნენ. მის წინ მიძავალი
ცხვარი ხან ერთად და ერთმანეთს შე-
წებებულად ეჩვენებოდა, ხან გაფან-
ტულად, მთელს ველებზე გაშლილად!
ნაბიჯის სწორი გადადგმა და მუხლე-
ბის მოძრაობა ძალზე უჭირდა, რომ არ
დაცემულიყო, ცალი ხელით თავის
ერთგული ცხენის ფაფარს ეჭიდებოდა
და ასე მიერეკებოდა ცხვარს თვალამ-
ღვრეული და ღონემიხილი...

ერთს ადგილას ყველაზე დაუდგრო-
მელი ვაცი მწვანე ჯეჯილში გადავიდა
და თან ცხვრის მთელი ხროვა გადაი-
ყოლა. ფირანმა დაყვირება სცადა, მაგ-
რამ ხვეილი აღმოხდა. კომბალი აიჭნია.
არაფრად ჩააგდეს. ცხენის ფაფარს ხე-
ლი გაუშვა, ბარბაციით მარცხნიდან წა-

მოურბინა, რომ ცხვარი ჯეჯილიდან გამოერეკა. როგორც იყო ცხვარს პირი აბრუნებინა, მაგრამ რალაცას ფეხი წამოჰკრა და უსწორ-მასწორო და ზოგ ადგილას ტინივით გამხმარ ბელტებზე პირქვე დაეცა და სახე დაჰკრა. მარცხენა ლოყის თავთან მწვავე ტყვილი იგრძნო, დიდის გაჭირვებით წამოდგა და მთელი სხეულის რყევით, ლოყაზე, როგორც იყო ხელი მოისვა. ხელის გული ერთბაშად გაუთბა და დაუსველდა. დახედა: წითლად ჰქონდა შეღებილი, მიხვდა რომ დაიჭრა, სისხლი გადმოსდიოდა, მაგრამ ბამბა არა ჰქონდა, არც დოლბანდი, რომ შეეხვივნა და ჯიბეში ჩარჩენილ სანეფობაღდაღით მოიწმინდა... დიდის წვალებით მიბობლდა თავის მერანთან, და მის ფაფარს ჩაეკიდა ორივე ხელით და შებლიც მის კისერს დაანდო, რომ აზრი მოეკრიბა. დიდხანს არ შეიძლებოდა ასე გარინდებული დარჩენილიყო, და თავი მალლა აიღო. უცებ მას მოეჩვენა რომ შარაგზაზე უამრავი ცხენოსანი მოჰქროდა და ეკვი არ იყო, მწყემსები იყვნენ, რადგან შავს ნაბდებში გახვეულთ თეთრი ტყავის ქუდები ეხურათ. ეს ქუდები ერთბაშად ჰაერში ათამამდნენ და იმავე წუთს გაისმა ძლიერი ყვირინა და აღფრთოვანებული ძახილიც:

— ფირანი! ფირანი!

ფირანი გაშტერებული შეჰყურებდა მათ. ვერ იქნა და ვერ გამოერეკია, თუ ჩემიანები არიან, ამდენი რად წამოსულან, ან ეს შარაგზა ასე რად ტორტმანებსო?! არც შარაგზა ტორტმანებოა, არც ბევრნი იყვნენ, სულ სამი მხედარი მოდიოდა, მაგრამ მის ამღვრეულ თვალებს ასე ეჩვენებოდა. აი, ისინი მოახლოვდნენ, შარაგზიდან გადმოუხვიეს და ცხენები თავქვე დაუშვეს. წინ მოხუცი მოჰქროდა და ტყავის ქუდს ჰაერში იქნევდა:

— ფირან შეილო ფირანი!

უკან კი ორი მწყემსი ასევე ქუდების

ქნევითა და თავპირისმტკრევით მოჰქუნებდა ცხენს.

გეგლიცოთქა

ახლა მან მკაფიოდ გაიგონა თავისი სახელი. ცხენის ფაფარს ხელი გაუშვა და შესაგებებლად წინ რამდენიმე ნაბიჯი გადადგა, მაგრამ სიხარულმა მთლად მოადუნა, შესდგა, ერთ ადგილზე ქანაობა დაიწყო. იმავე წუთს ყალბზე შემდგარი ცხენები მის წინ დაერქვნენ და მოხუცი იასონი ცხენიდან ისე გადმოფრინდა, როგორც თექვსმეტი წლის არსენა ოძელაშვილი. იგი ხელეზგაშლილი გაქანდა ფირანისაკენ, მაგრამ ერთბაშად შესდგა. მის წინ ფირანი კი არ იდგა, არამედ მისი აჩრდილი: გამხდარი, ძალზე გაშავებული, თვალის ფოსოები რომ ჩაბნელებოდა, ლოყის ძვლები რომ წამოზრდოდა, ერთიანად ლაფში რომ იყო ამოგანგლულ-ამოთხუნული და სისხლში მოსვრილი, რომ ტორტმანებდა მის წინ.

— შეილო! შეილო ფირან, ეგ რა მოგვსლია? — შესძახა მან.

ფირანს უმწეოდ გაელიმა. წაბარბაცდა, მარჯვენა ხელით მოხუცს მოეხვია კისერზე და ზედ დაეკიდა. მწყემსები გაქვავებული შეჰყურებდნენ ასე საოცრად შეცვლილს და სახეშეშლილ გამგეს.

— გათავებულა! — წამოიძახა ერთმა.

— ხმაც აღარა აქვს, ვერაფერს ამბობს!

ფირანმა თვალები მომაკვდავივით აატრიალა და ძლივს გასაგონი ხავილით თქვა:

— მოვედდი, იასონ, მეტი აღარ შემიძლია! ცხვარს უპატრონეთ. — ერთბაშად თასმასავით მოეშვა, მოხუცის კისერზე ხელი დაუტურდა და მიწაზე ზღართანი მოიღო.

— ჩქარა, წყალი, გული წაუვიდა! — მწყემსები ცხენებს მისწდნენ, რომ ღელეში ჩაქანებულ იყვნენ, მაგრამ ათას ჰირსა და ვარამში გამოვლილმა მოხუცმა ხელი მალლა ასწია და შეაჩერა ისინი.

— მოიცათ! — თქვა მან. — ყური დაუგდეთ, გესმით?

მწყემსებმა ჩაიჩოქეს და ფირანს დააკედნენ თვალებით. მათ წესიერი ფშვინვა შეესმათ, როგორც ეს ხშირ ძილში წასულს სჩვევია.

— უძილობამ დასცა! ჩვენ დაგვინახა, გული დაიშვიდა და ერთბაშად დაეძინა, გესმით? ახლა ამის დაძვრა ადგილიდან აღარ შეიძლება!.. — იასონმა თავისი ნაბადი მოიხსნა და მიწაზე დააფინა. — მოიცა შენიც რბილად დავაწვინოთ! — უბრძანა ერთერთ მწყემსს.

ორი ნაბადი ძირს გაუგეს და ზედ დააწვინეს. მისსავე უნაგირს ბალიში ააცალეს, თავქვეშ ამოუდეს და ზემოდანაც თავისი ნაბადი დაატურეს, როდესაც ყოველათურს მორჩნენ, იასონი ფეხზე წამოდგა და მწყემსებს უბრძანა:

— ფირანი ასე მალე ვეღარ გაიღვიძებს, შე ამასთან დაერჩები, თქვენ კი ცხვარს მიჰყეთ, ჩვენს ბინამდე აღარც ისე დიდი მანძილია. თქვენი ცხენებიც თან წაიყვანეთ, ჩვენები კი აქ დარჩნენ, დაგვირდება...
*
*
*

შუალამე გადასული იყო, როდესაც ფირანმა და იასონმა ცხენები მოაგელვის ბინასთან. ფარეხში ოცდაათამდე მწყემსს მოეყარა თავი და უზარმაზარი ცეცხლი დაენთოთ. ისინი სწორედ მათ მოსულას ელოდნენ. გატანჯულ გამგეს გემრიელი კერძებით გაუმასპინძლდნენ, მის ჭრილობას მალამო დაადეს, „ჩექმები“, ტანსაცმელი გაუსუფთავეს და ისევ დააძინეს...

ხუთშაბათ დილით ფირანი მხნედ წამოდგა. თუმცა სხეულში ტკივილებს გრძნობდა, მაგრამ ერთი წუთითაც არ მოუსვენია. ფარეხიდან გარეთ გამოვიდა ყველაფერი მიათვალეირ-მოათვალეირა. ძალზე კმაყოფილი დარჩა, როდესაც დაინახა, რომ მწყემსებს ფერ-

დობზე, სადაც ვერაეითარი სინოტივე ფეხს ვერ მოიკიდებდა, ხარბების ზუსთი ბაკი აეშენებინათ, წუხელის პირველად შეერეკნათ იქ ცხვრის ფარები და მწყემსებს გულარხინათ გაეთენებინათ. ამ ბაკების მეოხებით, როგორი ამინდიც არ უნდა ყოფილიყო, ერთი მწყემსი და ერთი ძალი თუნდაც ათას სულ ცხვარს ისე შეინახავდა, რომ ბეწვის ნალირაღსაც არ დაჰკარგავდა. არც ერთი მწყემსი უნდოდა, მაგრამ ეს საჭირო იყო ანაზლად გამოჩენილი ნადირის დასაფრთხობად და შესამინებლად!..

ფირანმა კარგა ხანს იტრიალა ფარეხის ეზო-ყურეზე და მწყემსებს განკარგულება მისცა: დედაცხვარი გაერეკათ ხელოვნური განაყოფიერების პუნქტისაკენ. როდესაც ცხვარი დაიძრა, იგი, ერთხანს გულხელდაკრეფილი მათ გზას გაჰყურებდა, შემდეგ კი სასწრაფოდ შევიდა ფარეხში, ტყავის ჩანთიდან ქალაღი და ფანქარი ამოიღო და ორი წერილი დასწერა. იასონი ხმაგაკმენდილი შეჰყურებდა ფირანს, მაგრამ ვერ გაეგო ვისთვის სწერდა წერილებს, თუმცა კი ეჭვი ჰქონდა, რადგან ფირანმა უკვე იცოდა, რომ მთეარისა მის სახლში გადმოვიდა და იქ ელოდა. მასადაამე ერთ წერილს დედასა სწერს, მეორეს კი სადედოფლოს, რა საჭიროა წერილი? განა არა სჯობს თვითონ ავიდეს, ნახოს და გაახაროს ისინი?! — ფიქრობდა მოხუცი, მაგრამ მაინც ვერაფრის თქმა ვერ გაეზენდა. იგი ვერ მიხვდა, რომ ფირანს სულ სხვაგვარ პირობებში უნდოდა მისვლა. ვერ მიხვდა და, როდესაც მან წერა დაამთავრა შეეკითხა:

— რას აპირებ, შეილო?

— სირცხვილის ჩამოწმენდას!.. — მოკლედ მიუგო ფირანმა და სასწრაფოდ მოიხმო ახალგაზრდა მწყემსი. — ცხენი შეკაზმე და ჩემთან გაჩნდი! — უბრძანა მან.

ალბათ დიდი რამ განგიზრახავს! —

კვლავ ცნობისმოყვარეობით შეეკითხა მოხუცი.

— დიდი? ვინ იცის, იქნებ დიდიც იყოს! არ მინდა ისე დაებრუნდე შინ, რომ მარტო ჩემიანებმა გაიგონ... მართლა, იქნებ არ ივარგოს? მოდი, გატყვი და რჩევას ნუ დაიშურებ! — გააცნო თუ არა თავისი განზრახვა, მოხუცი ჩიტივით წამოფრინდა და აღფრთოვანებით უთხრა:

— მშვენიერია! დიდებულად გიფიქრნია, შეილო! შენ ჩამალე ქორწილი და შენვე... დედოფალიც ხომ სახლში გიზის?! აბა, საქმე ეგ იქნება, აი! შენ გენაცვალე ვაჟკაცობაში და უფრო მეტად ჰკუთამი — იგი გადაეხვია და მამაშვილურად გადაჰკოცნა. ახალგაზრდა მწყემსი შეკახმული ცხენით თავს წამოადგათ. ფირანი მას მიუბრუნდა და ორი წერილი აჩვენა:

— აი, ხომ ხედავ, არაფერი აურია! სულ იფრინე, შთაღღემდე დედაჩემი უნდა ნახო და ეს წერილი გადასცემანდ ყველაფერსა ვწერ, რაც საქმროა, სიტყვით ნურაფერს ეტყვი! ეს კი — მან მომცრო წერილზე მიუთითა, — რკინიგზის სადგურს რომ აუვლი, ფოსტაში მიხვალ და ღებეშას გაგზავნი! აბა, ფულიც...

მწყემსი მიხვდა, რომ საბედნიერო საქმეზე გზავნიდნენ, ფიცხლავ მოახტა ცხენს ყალხზე შეაყენა და ფირანს გადასცა:

— გმადლობ!

— რაზე მიხდი მადლობას, ბიჭო? — შეეკითხა გამტკრებული ფირანი.

— იმაზე, რომ სამანარობლო ამბის წაღება მე დამავალე! — მან ცხენი ადგილს მოსწყვიტა და თავქვე ისე დაეშვა, როგორც გატყორცნილი ისარი...



ძალიან ბევრს ცდილობდა ფირანი, რომ მისი განზრახვა დრომდე არაფერს ვაეგო, მაგრამ ათასნაირმა გარემოებამ

იგი ყველასათვის ცხადი გახდა... უწინარეს ყოვლისა, მახრუბლელს მისცეს ლისთანავე, ფირანის ოჯახში სუფრა გაიშალა და მოხუცმა აბრია მშობლებს დაუძახა. ისეთი ლხინი გამართა, ქუდი ქერსა ჰკრა! ფირანის დედამ კი, სადღაც საგულისგულოდ შენახული წითელ-ყვითელ ყვავილებიანი მოსახვევი მონახა და მხიარულების ნიშნად მოიხვია, მოირთო და მოიკაზმა, პარასკევ-დილით ერთი-ორად მეტი პურის მცხობელნი მოიწვია, ვიდრე წინა კვირას ჰყავდა, და ერთთავად ჭიკოკონასავით აბრიალებულმა თონემ მთელ სოფელს აუწყა, რომ დიდი ზემინსათვის ემზადებოდნენ. პარასკევ-სალამოს, როდესაც მინდვრიდან ფირანის გამოგზავნილი ძალზე მსუქანი ბერწი ძროხა და სამი ვეებერთელა ჰედილა მორეკეს, ლაპარაკი აღარ იყო საჭირო, თუ რა ხდებოდა!..

შაბათს, დილიდანვე, უამრავი ხალხი ირეოდა ფირანის ეზოში, აუარებელი ზორაგი დაგროვდა: ვის ქათამი მოჰყავდა, ვის ინდაური, ვის თოზლი და ბატკანი, ვინ სავსე ტყის მოათრევდა, ვინ შოთსა და ნახუქს, ვინ მწვანისა და წილის. გარეშე მასურებლებს ეგონებოდა — ერთი კაცის ქორწილს კი არა, მთელი სოფელი ფირანის ეზოში დიდად სადღესასწაულო ლხინს აწყობსო. შინაურების გარდა ყველა სტუმარი იყო, მაგრამ ყველა მასპინძლობდა, რადგან პურის ცხობაში, საკლავის გაკეთებაში, მაგიდების გაწყობაში, თუ სხვა რამ საქორწილო მზადებაში, ყველას ხელი ერია, ყველა ტრიალებდა და განკარგულებას იძლეოდა...

ქორწილს აპირებდნენ, მაგრამ ნეფე ჯერ არ ჩანდა. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან ფირანის განზრახვის მთელი საიდუმლოება იმაში მდგომარეობდა, რომ, რა დღითაც და რა წუთითაც სახლიდან გაიქცა, სწორედ იმ წუთში და იმ დღით, საქორწილოდ გამ-

ლილ სუფრაზე უნდა დაბრუნებულიყო.

წინა კვირის გამოცდილებით დედამ იცოდა ფირანს რაც სურდა, როგორ აწყობდა და საიდან რას მოელოდა! ეს მშვენივრად გამოიყენა და ამას რომ ზედ ხალხის დოვლათიც დაერთო, სუფრა უფრო გაუხვდა, უფრო გაიზარდა. შიგნით ორ ოთახში რომ გააწყვეს შავიღები, გარეთ აივანზედაც ჩაამწყვრივეს და ძირს ფილაქანდაგებულ დერეფანშიაც, მთელი ეზო-ყურე გაიჩრადნებული იყო ელნათურების კამკამა სინათლით; ყველაფერი დღესავეთ ჩანდა და აქ მოტრიალე ხალხს, თუ შორიდან მოსულ სტუმრებსა და მთვარიანს ნათესავ-ნაცხოზ-მეგობრებს იმდენად სუფრის მრავალფეროვნება არ ხიბლავდათ, რამდენადაც სიუხვე. თეფშები იმდენი ჩაემწყვრივებინათ, ვერც დათვლიდით! თვითვე თეფშთან თითო ლავაში, შოთი და ნაზუქი დაეწყით; ვეებერთელა თაბახებზე, ერთმანეთს კარგა დაშორებით, ცივად მოხარშული ინდაურები გაემწყვრივებინათ. უფრო ხშირად მოჩანდა კვერცხით გამოტენილი ქათმები, ვეებერთელა ნაჭრებით დაჭრილი გუდის ყველს ნაჩვრეტებში ოქროს მარცვლივით ეყარა ერბო, ხოლო ყოველი სკამის პირდაპირ სიმსუქნისაგან თეთრად მოქათქათე, ცივად მოხარშული ცხერის ხორცი ელაგა. მასპინძელს არც ალაზნის ლოქო დავიწყებოდა და არც იერის მურწა და ჰანარი. კიტრისა და კომბოსტოს წნილი-ნიახურის შეკრული ფოჩებით დამშვენებული — იმდენი დაეწყით, რომ თვალს დღიდა. მწვანილითა და წითლად მოღადღადე ბოლოვით სავსე თეფშები, ხომ მთელი ამ ხორაგის ჯავიარი და მშვენება იყო. შავიღებს სდრეკდა ღვინით სავსე უამრავი, ბოთლი, ირგვლივ რომ შემოემწყვრივებინათ ხორაგისათვის, ზოგი წითლით, ზოგი თეთრით სავსე და ვისაც რომელი სურდა იმას შიირთმევდა!

დაბინდების ეამს სუფრის გაშლა მოათავეს. ეზოში საქეიფო გრძნობის აღმქრელი კრიაშული და საამყარი, ოცნების ამშლელი საზეიმო ყიყინა იდგა. ყველა ნეფის გზას გაჰყურებდა, ის კი არ ჩანდა...

ამ დღეს ყველაზე უდარდელად და მზიარულად თავს მოხუცი აბრია გრძნობდა. მან დილიდანვე მოუყარა თავი მისებრ მოხუცებს და მარნის წინ, დერეფანში, მაყრულიც ათქმევიანათ მგზავრულიც მუშურიცა და გრძელი მრავალეამიერიც...

ერთთავად მოწუწუნე და მობუზლუნე მთვარისას დედასაც ეს ფრთები შესხმოდა. საქორწილო სუფრის გაშლაში ყველას ჰკუას ასწავლიდა: როგორ დაედგათ ხელადები, როგორ დაეწყით შოთები და ნაზუქები, როგორ ჩაემწყვრივებინათ სანოვავით სავსე თეფშები და სხვა. ფირანის დედა ყველაფერში პატივისცემითა და ბედნიერი ღიმილით ეთანხმებოდა. მხოლოდ ერთი-ორჯერ კი ლამის საყვედურით უთხრა:

— რას იტყვი, მძახლო? ეს ქორწილის ჩაშლა კი არა, გადადება გამოვიდა. თქვენ კი სულ მაგაზე კიცხავდით ჩემს შვილს — როგორ შეიძლებოდა ქორწილის ჩაშლა!

— როცა ხალხი მადლიერი ჰყავს, მერაღა შეთქმის?! — ღიმილით უპასუხებდა მოხუცი და ამით არწმუნებდა, რომ ყოველგვარი წყენა და უსიამოვნება წაიშალა.

მაგრამ ყველაზე საგულისხმო დედოფალი და მისი ქცევა იყო. ვერ იქნა და მას ოთახიდან ფეხი ვერ გამოადგმევიწეს. ის კი არა, ნათესავმა ქალებმა, შლივს აიძულეს, რომ მორთულ-მოკაზმულიყო. მართალია, ხალხის თანაგრძნობამ და ფირანის ქება-დიდება მას გუნება დაუწმინდა, ერთგვარი ფარული სიამაყითაც კი აავსო, მაგრამ ამკარად ეტყობოდა, რომ მაინც გაბუტული იყო! ყვილაფერ ამას, რა თქმა უნდა, თავისი მიზეზი ჰქონდა: ჯერ იყო და

ქორწილის ჩაშლის სირცხვილი ატირებდა, შემდეგ კი იმით მოიშხამა, რომ ფირანი დაიკარგა და გული უსკდებოდა, ნუთუ ასე მალე უნდა დავეჭვრიდე და დავითალობო?! ახლა კი... ახლა გაბუტვის მიზეზი სულ სხვა რამ გახლდათ. რა თქმა უნდა, ქორწილის ჩაშლის სირცხვილი ხან ისევ მოაგონდებოდა ხოლმე, მაგრამ ამეამად სხვა რამით უფრო გრძობდა თავს შეურაცხყოფილად: ფირანი ხუთშაბათს დაბრუნდა ფერმაში და თავისი გულდაწყვეტილი სატრფო ჯერაც არ მოჰკონებია! ვილაც ბიჭი გამოგზავნა და მოკითხვა შემოთვალა. წერილი დედას გამოუგზავნა და მას კი არა! ვთქვით, არ მოვიდა იმიტომ, რომ გადაუღებელი საქმე ჰქონდა და შაბათ-სალამომდე ვერ მოაჩვენებოდა, მაგრამ წერილი რაღა იყო? რატომ სწერდა დედას: ჩემი სიცოცხლე არაფრით შემიწუხო, სადედოფლოდ მორთე, მოკაზმე და ისე დამახვედრეო?! ეს ხომ საქმე არ არის?! სხვისი პირით მითვლის თავის სურვილებს! განა არა სჯობდა პირდაპირ ჩემთვის მოემართნა?! მაგრამ მე არაფრად მაგდებს! — ფიქრობდა იგი და თავისთავს კვლავ აღთქმა მისცა, მტკიცე გადაწყვეტილება მიიღო: ქორწილის მთელი ღამე ისე გაატაროს, რომ ერთხელაც არ გაიღიბოს, მოკედეს და ფირანს ზედაც არ შეხედოს! ერთთავად ტირილის გუნებაზე იყო, მაგრამ კვლავ სადედოფლოდ მორთულ-მოკაზმული ვერაფერს გამხდარიყო, ათასი უცხო ადამიანი ტრიალებდა და დიდის გაპირვებით თავს იკაეებდა...

დაბინდების უამს ხალხმა იმატა, მთელი ეზო გაიჰედა. ფირანის მიერ დათქმული დრო დამდგარიყო და ყველა გზას გაჰყურებდა. ბევრს გული უსკდებოდა: იქნებ სულაც არ გამოჩნდეს, თუ კი რაიმე საქმე კიდევ გამოუჩნდაო... როგორც კი ჩამობნელდა ხალხით სავსე ორი მსუბუქი ავტომობილი შემოგრიალდა ეზოში და იქიდან გადმოხტ-

ნენ: რაიკომის მდივანი, რაილმასკომის თავმჯდომარე, სასოფლო-სამეურნეო განყოფილების გამგე, კოლმეურნეობის თავმჯდომარე და რაიონის მრავალი ხელმძღვანელი მუშაკი. წინ მიგებებულ ფირანის დედას ხელი ჩამოართვეს და შვილის ბედნიერება მიულოცეს...

— ვინც მოვიდნენ გაუმარჯოთ! — შესძახეს დამხვედურებმა და საპატიო ხალხს გზა უტეეს.

— ჩვენ კი გაგვიმარჯოს, მაგრამ ნეფე არ მოსულა? — იკითხა რაიკომის მდივანმა.

— მოვა! მოვა! ის სიტყვის პატრონია!

— კეთილი მე უფრო სწორად გეტყვით. — თქვა რაიკომის მდივანმა და მაჯის საათს დახედა: — მოიცა! აბა, ცოტახანს სინჟმე, მეგობრებო! — გადასძახა ხალხს. — დაღამდა, რასაც თვალით ვერ დავინახავთ, ეგებ ყურით გაეიგონოთ!

საერთო სინჟმე ჩამოვარდა. საღაღად სოფლის ბოლოს ვაეკაცური სიმღერის გუგუნე გაისმა და ეს გუგუნე თანდათან უფრო მკაფიო ხდებოდა, იმდენად მკაფიო, რომ ყველაზე ყურმახვილებმა სიტყვებიც კი გაარჩიეს:

„შენი ჰირიმე-ჰირშია,
კარგი ხარ გასაჰირშია!
ვაეკაციც შეეფარება,
შენი ულუაშის ჩრდილშია!“

ერთხანს სულგანაბული უსმენდა ხალხი ამ სიმღერას, რადგან ვერაგის ხედავდნენ, მაგრამ მალე ელნათურებით გაეკაშაშებულ შარავნაზე ცხენოსნები გამოჩნდნენ შავი ნაბდებითა და თეთრი ხუჭუქა ტყავის ქუდებით. მათ წინ მოხდენილი იოროლით მოგელავდა შინდისფერი მერანი და ახოვან ვაეკაცს მოაქროლებდა. მას არც ნაბადი მოეხვია და არც ქუდი ეხურა.

— ფირანი გამოჩნდა, ფირანი! — ატყდა საერთო ყიფინა.

— ფირანი კი არა, მაგას ამ ღამით ნეფე ჰქვია! — დასკეკა მთვრალმა აბრიამ და ყველამ გადაიხარხარა.

მართლაც ფირანი იყო. მეზობელი ფერმებიდან ორ-ორი და სამ-სამი კაცი დაეპატივნა და თან წამოეყვანა. კაცს ვგონებოდა, მწყემსები კი არა, მწყრივად დარაზმული ცხენოსანი ლაშქარი მოდისო. მათმა სიმღერამ და ცხენების თქარათქურმა ყველა სხვა ხმაური დაფარა. მალე ეს ლაშქარი ჭიშკარს მოადგა და შეჩერდა.

— დედი! კარი გაუღე შენს დაკარგულ შვილს!

— სულ საბედნიეროდ და საკეთილოდ იხსნებოდეს შენი სახლის კარი, შვილო! — ფირანის დედამ რახას ხელი აკრა და ჭიშკარი ყურთამდე გააღო.

— მიგვიღებენ, ჩამოხტით, ბიჭებო! — თქვა ფირანმა და იმავე წუთს ოცდაათამდე ვაეკაცი მიწას დაენდო. ყველაზე წინ ფირანს დედა გადაეხვია და ყურში წასჩურჩულა:

— განახევრებულხარ, მოგიკედეს ჩემი თავი!

— არაფერია, დედი! საქმე იყოს კარგად და ჩვენ ისევე ავიყვებით! ცრემლი არ დამანახვო!

დედაშვილის ჩურჩული არავის გაუგია, რადგან, ცხენებიდან ჩამოხტნენ თუ არა, ყველა აფრიაბულდა.

— გზა მიეცი თ ნეფეს!

— გაუმარჯოს, დღეგრძელობა ფირანს! — ხალხი ორად გაყოფილიყო და ფირანიც მათ შუა ღიშლითა და აქეთ-იქით თავის ქნევით დინჯად მიდიოდა. ხმაური და სიმღერა არ სცხრებოდა. აქეთ-იქიდან მას ყვაილებიც გადამოაყარეს, მაგრამ ფირანი მაინც მოუსვენრად იყო. აივანზე თვალი მოკრა რაიონის ხელმძღვანელობას, ხოლო ამ უამრავ ხალხში ის კი ვერ დაინახა, ვისაც ყველაზე წინ მოელოდა.

— ნამდვილად გაბუტულია! — გაიფიქრა მან და შუბლზე ჩრდილმა გადაკრა, კიბეს აკეცა. მართალია ღიშლი-

სა და სალამს არავის აკლებდა, მაგრამ მისი სულთერი განწყობილება და შემფოთება იმდენად ცხადი იყო, რომ ეს ყივინა და მისალმება ისე აღფრთოვანებული და აღტყინებული აღარ იყო, როგორც ეზოში შემოსვლის ეამს. ფირანმა იგრძნო ეს და თავისთავს უსაყვედურა, რომ ასეთი სულწასულობა გამოიჩინა. სახეზე სევდა წაიშალა, მზიარული გამომეტყველება მიიღო მას კვლავ ყივინით მიაცილებდნენ:

— ნეფეს გაუმარჯოს! — ხალხში ერთიც არ ყვიროდა ნეფე-დედოფალს გაუმარჯოსო, ალბათ იმიტომ, რომ დედოფალი არ ჩანდა, ხალხმაც მიივიწყა იგი და ეს ყველაზე მწვავედ თვითონ მთვარისამ იგრძნო...

როგორც კი გარეთ ყივინა ატყდა — ფირანი მოდისო, ყველანი ვინც კი მთვარისას გარს ეხვია, ეზოში გაცვივდნენ, რომ გამარჯვებულ ვაეკაცს წინ მიგებებოდნენ. მთვარისა მარტოდ-მარტო დარჩა ოთახში, სადღაც კუთხეში მიდგმულ ტახტზე, ყურთბალიშებში ჩაფლული. მიიხედ-მოიხედა, მკერდში საშინელი ტკივილი იგრძნო — რად გამოვერჩიე სხვებს, როდესაც ყველაზე წინ მე უნდა ვიყოვო, მაგრამ თავისმა გადაწყვეტილებამ და ჯიუტობამ ერთხანს ისევე ტახტზე მიაჯაქვა. როდესაც ყივინა და აღფრთოვანების შეძახილები საერთო გუგუნად იქცა, გულმა ვერ გაუძლო, ფეხზე წამოდგა იმ აზრით, რომ ფანჯარაში გაეხედავ და შორიდან მაინც დავინახავ რა ხდებაო, მაგრამ სულმა წასძლია და ფანჯარას როგორ მიუახლოვდა, როგორ აეკრა ზედ — ეს თვითონაც არ ახსოვდა. აი, ფირანი უკვე კიბეზე ამოდის და ამას ხალხის მოძრაობით მიხვდა. თვალები ძირს დახარა, გადაწყვეტილი ჰქონდა არ შეეხედნა, მაგრამ კვლავ ძლიერი ხმაური ატყდა და უნებურად გარეთ გაიხედა... გაიხედა და ერთ ადგილზე გაქვავდა. შეშინებული და თავზარდაცემული შეკყურებდა სატრფოს, ლოყაზე შავი

მომსხო ლაქა რომ უჩანდა, მთის დაე-
დაეა წითელი ფერი რომ დაკარგოდა
და ერთი სიტყვით იმის ლანდს რომ
დამსგავსებოდა, როგორსაც ის იცნობ-
და, გული ნაშინლად დაუმძიმდა. ახლა
ყველაფერი დაავიწყდა, ყველაფერი,
გარდა მხურვალე სიყვარულისა. იმ
ტანჯვის განსაქარვებლად, ფირანს გა-
რეგნულად რომ დამჩნეოდა, კინაღამ
ხელები დაიმტვრია, თვალებზე მწუხა-
რების ცრემლი მოადგა, მაგრამ დიდ-
ხანს ვერ გასძლო, ამ გაქვავებულ ყო-
ფაში...

— ფირან! — შეჰკივლა და გიჟივით
გამოვარდა გარეთ... — ფირანს კიბეზე
ორი საფეხურიღა დარჩენოდა ამოსას-
ვლელი, მაგრამ მთვარისამ აღარ აცალა,
მკერდში ჩაეკრა, თან ცრემლებს აფრ-
ქვევდა და თან ბავშვივით ტიტივებდა:

— ფირან, ფირან! ჩემო სიცოცხლე!
გტკივა? რა გაწუხებს? რამ გაგაქრო
ასე? ო, ხმა გამეცი, ფირან! — ყველა-
ფერი დაავიწყდა, ფირანის მეტს ველა-
რავის ხედავდა. მხურვალედ ჰკოცნიდა
და პასუხის თქმას აღარ აცლიდა. მისი
თავდავიწყება ვაჟკაცსაც გადაედო. კი-
ბეზე ავიდა, ორივე ხელით მკერდზე
მიიკრა და თვალებში ჩააშტერდა.

— არაფერია ჩემო ძვირფასო, ყვე-
ლაფერი რიგზე იქნება!

— შენ ეწამებოდი, შენ იტანჯებო-
დი, მე კი, მე... რატომ არ მოვკვდები.
ლამის გწყევლიდი ოჰ, ფირან, უნდა მა-
პატიო, ეს ერთიც უნდა მაპატიო!

— დამშვიდდი, ნულარაფრისა გეში-
ნია! — უბასუხებდა ფირანი. სულგანა-
ბული ხალხი კი მათ აღერსს რომ შეჰ-
ყურებდა საკვირველი რამ ხდებოდა:
ერთსა და იმავე დროს ეღიმებოდათ კი-
დეც და თვალებიც ეცრემლებოდათ...
დედოფალი ნეფემ ხელმოხვეული წა-
იყვანა ოთახისაკენ, ვილაცამ მაყრული
წამოიწყო და ეს უამრავი ხალხი სიმ-
ღერის გულუნში მაგიდებს შემოუსხდა.
როდესაც ყველა დალაგდა და ხმაური

მისწყდა, ფირანმა მოზრდილი ტიქა
აავსო და ფეხზე წამოდგა.

— პირველად მე მათქმევინეთ, შე-
გობრებო! — თქვა მან ხმამაღლა, რომ
ეზოშიც გაეგონათ. — შემდეგ კი თქვენ
ბრძანეთ... — დაიწყო მაგრამ უცებ გა-
რეთ ხმაური ასტყდა. პატარა ბიჭები
შემოცვივდნენ და განაცხადეს რომ ვი-
ლაც უცხო კაცია და ფირანს კითხუ-
ლობსო. ფირანი ერთ წუთს ჩაფიქრდა,
მას რაღაც მოაგონდა და გაეღიმა:

— დეპეშა მიუღია!.. სთხოვეთ მობ-
რძანდეს! ქიზიყელი ძმადნაფიცი მეწ-
ვეოდა ამ შფოთიან დღეებში რომ გა-
ვიცანია!..

ოთახში თამამად შემოვიდა ბრგე
ტანის, სახეგაბადრული ვაჟკაცი, შავი
ჩოხა-ახალუხითა და შავი ძვირფასი
ქუდიით მორთული. მას ბრტყელი ხანჯ-
ლის წვერი მუხლებამდე სცემდა. შემო-
ვიდა და თითქოს თან შემოიტანა ბარა-
ქიანი მინდვრების სურნელება და უხვი
დოვლათის სიმსუყე! ხელში ორი რამ
ეჭირა შეხვეული.

— მობრძანდი, მობრძანდი! — შეს-
ძახა ფირანმა.

— იმის აღსანიშნავად, რომ დღეს
ბედნიერი წყვილის ქორწილია, აი, ეს
ნეფისათვის მიმირთმევი, ეს კი — დე-
დოფლისათვის!

ერთი შეხვეული ნეფეს გადააწოდა,
მეორე კი დედოფალს. ნეფის სახსოვა-
რი ვერცხლის ქარქაშში ჩამჯდარი
ბრტყელი მწყემსური ხანჯალი იყო,
ხოლო დედოფლისა — ვერცხლის მოხ-
დენილი სურა, ოქროს წყლით დაფერი-
ლი და მოზარნიშებული. ქიზიყელის გუ-
ლუხვობამ ყველა მოხიბლა. ერთხანს
მისი მოტანილი საჩუქრები ხელიდან-
ხელში გადადიოდა. ფირანმა გვერდზე
მოსივა ძვირფასი სტუმარი და, როდეს-
საც ყველა დაწყნარდა, სადღეგრძელო
განაგრობა:

— წელან თქვენ ნება მომეცით და
ჩემს სათქმელს ვიტყვი! წინა კვირას მე
ქორწილი ჩავშალე, პატივებას გთხოვ-

დით, მაგრამ ვინც საერთო ვითარებას გაეცნობა, თავისთავად ნაბატებიცა ვარ და შენდობილიც... მეგობრებო! ჩვენმა მთავრობამ, ჩვენმა პარტიამ მოგვიწოდა გავაყეთოთ ის, რაც ადამიანის ხელსა და ნებას შეუძლიან. კაცი ვიყო და კაცის ხელით გასაკეთებელი ვერ გავაკეთო?! მაშინ მე ქორწილი კი არა, სიცოცხლეც აღარ მინდა! აი, რატომ გავვარდი მაშინ თავდაუიწყებით და რატომ ჩავშალე ჩემი ქორწილი!

— შენი ჭირიშე, შენ გენაცვალე! — შესძახეს სტუმრებმა. ფირანმა კი განაგრძო:

— რა სჯობს, რომელი ქორწილი შეედრება ამას? შიიხედ-მოიხედეთ, მეგობრებო, რა ზდება მაშინ ქორწილში მარტო ჩემი და პატარძლის ნათესავეები იყრიდნენ თავს, ახლა კი მთელი სოფელი მწყევლია! მაშინ ჩვენს ადგილობრივ მთავრობას ვერც კი გავუბედე დაპატიებება, ახლა კი თამადობა რაისაბჭოს თავმჯდომარეს უნდა ვთხოვო. მაშინ

სულ მახლობლება ვიყავით, ახლა კი ქიზიყელი მეგობრებიც მეწყვიტა და ჩემს ქორწილს მთელი კახეთი იზღის! მაშინ ქორწილს მხოლოდ ღრეობა ერქვა, ახლა კი მთელი ხალხის ზეიშია და დღესასწაული! მე ერთი სიცოცხლე მაქვს და ამ წუთებისათვის ათასჯერ მსხვერპლად მივიტანდი! ვინც ჩვენ ასე აღგუზარდა, ასეთი გრძნობები გაგვიღვივა იმას გაუნარჯოს! დიდ სტალინს დიდხანს სიცოცხლე!

ყველანი ფეხზე წამოიშალნენ სავესე ჭიქებას ჭახა-ჭუხში, აღფრთოვანებულ შეძახილებსა და სიმღერის გუგუნში ყურთა სმენა აღარ იყო.

ფირანისა და მთვარისას ქორწილი, რომელიც მთელი სოფლის საერთო ზეიმად იქცა, სამ დღეს გაგრძელდა დიდიცა და პატარაც, მოხუციცა და ახალგაზრდაც, ქალიცა და კაციც იფიცავდა: ამის მსგავსი ქორწილი არასოდეს არ გვინახავს და არც გავგიგონიაო!..



პირა ბაჩიძე

შვილები



მთელ სოფელში არავინ იცოდა, რად გაურბოდა ჯარიდან მუნჯად დაბრუნებული რევანი პავლე გეჭაძესთან შეხვედრას. გზაზე მხარს აუქცევდა, თუ პირისპირ იდგა, თვალს აარიდებდა.

ერთხელ პავლემ გააჩერა და შვილებზე ჩამოუვლო სიტყვა. ორი ვაჟი პყავდა პავლეს ჯარში დაკარგული. ორივე რევანის ამხანაგი იყო. უმცროსი მასთან ერთად წავიდა ჯარში, უფროსი ბიძინა კი, ომი რომ გამოცხადდა, სავალდებულო სამხედრო სამსახურს იხდიდა.

ეგებ რამე იცის ჩემი ბიჭებისა და მიმალავსო, — ფიქრობდა პავლე.

რევანმა მაინც არ გაუსწორა თვალი. საღდაც სივრცეს გაპყურებდა. ერთხანს იდგა, ყურს უგდებდა, როგორ ეხვეწებოდა პავლე, ეთქვა რამე ბიძინასა და ვაჟის შესახებ. „ოღონდ გამაგებინე რამე, და, თუ გინდ, ტყუილი იყოს, დამიწერე, ან მანიშნე. თვალეში მაინც შემომხედე, შე უღმერთო!“

რევანი არ ინძრეოდა. თითქოს არც ესმისო პავლეს სიტყვა, მიწას ჩაჰკირკიტებდა.

— ყურსაც დაჰკლებია, — ჩაეარდნილი ხმით ჩაილაპარაკა ბოლოს პავლემ და უკან გაბრუნდა.

დღითიდღე იზრდებოდა პავლეს დარდი. შევერცხლილი თმაწვერი მთლად გაუთეთრდა. სახეც გაეცრიცა, მაგრამ წელში არ მოხრილა, დარდმა, მაინც ვერ გატეხა სულ. ვენახს აყო-

ლებდა გულს. დილიდან საღამომდე თავს დასტრიალებდა.

ბიჭების უგზოუკვლოდ დაკარგვის ქალღი რომ მოუტანეს, მესამე დღეს გამოიძახა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ.

— გვიჭირს, პავლე, და უნდა დაგვეხმარო. მეტი გზა არაა. შენ უნდა მიხედო ფშანისპირა ვენახს. შენსავით ვერავინ მოუვლის და უერთგულებს.

— მე ვითომ რა ვარ, შვილო, — უთხრა პავლემ და სკამზე გასწორდა, — დარდისაგან გატეხილი კაცი.

— დარდი ახლა ყველას გვაქვს, რევანს ხომ უყურებ, სოფლის თვალი იყო და უენო დაბრუნდა კაცი. წასული საქმეა და ახლა გეტყვი: მე და ბიძინამ ვიცოდით მხოლოდ, რომ რევანი შენს მარინეს უპირებდა შერთვას. ახლა მეც არ ვიცი, გაატან თუ არა ერთადერთ ქალს მუნჯს.

— ჩემს მარინეს?! — სახტად დარჩა პავლე. „აი, თურმე რად მერიდებოდა“.

— ჰოდა, რომელი ერთი ჩამოვთვალო. განა მარტო შენა ხარ?.. — უთხრა თავმჯდომარემ და ისევ ვენახის ამბავს დაუბრუნდა.

დილიდანვე ჩამოცხა ვენახში. დილა ღრუბლიანი იყო თითქოს, ახლა მზემ ამოჰყო თავი და ისე აჭერს, რომ პავლეს სული ეხუთება. ვენახის შესაწამლი მანქანა ჰკიდია ზურგზე. ტყვიასავით დამძიმდა. თასმა შეუშვა ოდნავ.

„შორ... შორ...“ — შორილებს შაბიამნის ქაულქვეშ ვენახის ფართო ფოთლები. მწკრივებს მიჰყვება პავლე. ირგვლივ შემოვლა არ სჭირდება ვაჟს. წინათ ეს ართმეველა დიდ ღროს.

ლურჯი ფერი გადაკრავს ვენახს. თორმეტფუთიანი ქვევრიც შაბიამნის ფერია. ვენახის თავში დგას, თითქმის დაუცლია უკვე; მუქლურჯი ხაზი ნელ-ნელა დაწეულა ძირს.

„მამა, მე მოვრწყავ ვენახს!“ — ეს-მის პავლეს ბიძინას ხმა. ბავშვობისას ენა ებორკებოდა მას.

„მეც მინდა, მამა,“ — ახლა ვაჟას ჭყვიელი ჩაესმის ყურში.

„ორივე, ორივე მორწყავთ.“ — ამშვიდებს პავლე და თან იმაზე ფიქრობს, ნეტავ პატარა სარწყავი მიჩქანა მომცა და ამათი გული გამახარებინაო.

„მოგვატყუა, არ მოგვარწყვევინა.“ — დედას შესჩივიან ბიჭები საღამოს და კალთაში უხტებიან.

— „მოიცადეთ, თქვე ჭინკებო, მოიცადეთ.“ — ძლივს იცილებს კალთიდან ბავშვებს ნინო და სიმინდის ფშენას განაგრძობს. „სახვალთ ფქვილი აღარ ყოფილა. სამი მჭადი თუ დაიკვრება ეახშმად“, — ამბობს ხმამალა და სავსე ბათმანს ხელით ანჯღრევს.

პავლემ, ვენახის ბოლოში რომ მობრუნდა, ნინოს თავშალს მოჰკრა თვალი. ძლივს ჩამოდიოდა თავდაღმართზე. პატარა ხელადით ღვინო და სადილის კალათა მოჰქონდა.

— გატყუა დედაკაცი. ვერ უძლებს დარდს. — ამოიხზრა მან და მანქანა ჰირვეულად შეარხია. აჰანჰყარდა შაბიამნის ხსნარი. პავლე მსხლის ჩრდილისაკენ წავიდა. ხის ძირას დადგა მანქანა.

ხესთან პატარა წყარო მოწანწყარებს. ფოთოლი აქვს გაკეთებული ღარის მაგივრად. ყინულოვით ცივი წყალი წვეთწვეთად გადმოდის ყუნწზე. ყველა ნაკვეთიდან ამ წყაროზე მოდიან

კოლმეურნეები და სადილობისას ნეშოდახურული ხელადების გრძელი მწკრივი დგას აქ.

ახლაც ნინოს რამდენიმე ხელადა დახვდა წყაროსთან ჩამწკრივებული.

— შენი საღა ჩავდგა, კაცო?! — ეუბნება ნინო მეუღლეს.

პავლე ხელს იბანს, პირზე შეისხა წყალი.

— შენც ვაგრილდი, ქალო, კი არ გაწყყენს. — მზრუნველობით ეუბნება ნინოს.

— არ მინდა, არ მცხელა. — ამბობს ნინო. თვალები კი სულ სხვას ღაპარაკობენ: „ჩემი შეილებს დამკარგავს რა მეგრილება, მე დასამიწებელსო“.

დინჯად სჭამს პავლე. ნინოც ჰყოფს ხელს ჯამში, მაგრამ ლუკმა ყელში არ გადადის. ამ ღროს აქ იყო ხოლმე ბძინა, წყაროს თავთან წამოწებოდა. ერთ გორა წიგნებს მოიტანდა თან.

— რას კითხულობ ამდენს, ბიჭო, მოკედები. — გაუწყრებოდა პავლე და ზეზე წამოაგდებდა. ხან ბარს მოატანიებდა, ხან სახლში გაგზავნიდა. განგებ დასაქმებდა.

— ახლა ტყუილად ლიცილებს წყალი. — ფიქრობს ნინო და ყელში მომდგარ ქვითინს ძლივს იკავებს.

თვალში ვერ უყურებენ ერთმანეთს ცოლ-ქმარი, ორივე გრძნობს, რა დარდი ჰქვავთ, რა დარდი უშხამავთ სიცოცხლეს. ცდილობენ—დამალონ, მაგრამ ვერ ახერხებენ.

— საღამოს კრებააო. ორივე წამოღითო, შემოუთვლია თავმჯდომარეს. — წყნარად თქვა ნინომ, როცა თეფშები ააღაგა და კალათში ჩააწყო.

დღეს აღრიხანად გაანება პავლემ სამუშაოს თავი. ერთი ნაკვეთი მოათავა და მეორეს დაწყება არ ღირდა. სამჯერ შეწამლული იყო და მეოთხედ არ ეგვიანებოდა.

სარწყავი მანქანა გარეცხა: სანამ ქვევრიც წყლით გაავსო, შებინდდა.

სახლში რომ ამოვიდა, დასაბანი წყალი თბილი დახვდა. ყველაფერი რომ დაეწყებოდა ნინოს, ეს არ დააჯერებდა. ფაქიზი ქალი იყო, ბიჭებიც მას ჰგავდნენ.

პავლემ სუფთა ტანსაცმელი ჩაიცვა. ჩოხას ხმარობდა ისევ. სხვა ტანსაცმელს ვერ შეეგუა. პაპიროსი გამშადა და გზას გაუღდა.

კრება ჯერ არ იყო დაწყებული. კლუბის ეზო ხალხით იყო საესე. ხუთასსანთლიან ელნათურას გაენათებიანა იჭაურობა. მაგიდა ცაცხვის ძირში გამოეტანათ. თავჭდომარემ შეხიშნა „უ არა პავლე, თავისთან იხმო. რამდენიმე წუთში კრებაც დაიწყო.“

— ტრაქტორისტები არ მოსულან ჯერ. — ჩასჩურჩულა ვილაცამ.

— მოგვისწრებენ, — უპასუხა თავმჯდომარემ და ზარი ააწკრიალა. შეჯგუფთა ხალხი. ვისაც დასაჯდომი აღგილი არ ჰქონდა, მაგიდის წინ მწვანეზე მოიკალათა.

სანამ თავმჯდომარე რაიონის წარმომადგენელს სიტყვას მისცემდა, ნაციხარიდან ტრაქტორების გუგუნის მოისმა, მაგრამ უცებ შეწყდა; აქ გზა განზე უხვევდა და მანქანებს შორი მანძილი უნდა შემოეცლო. მალე კვლავ გაისმა მათი ხმა. ეტყობოდათ, ჩქარობდნენ ტრაქტორისტები. პირდაპირ ეზოში შემოიყვანეს მანქანები. მოწინავე ტრაქტორი რევასს მოყავდა. იგი მთელ რაიონში განთქმული ტრაქტორისი იყო. ომამდეც სულ მის ტრაქტორზე ფრიალებდა გარდამავალი წითელი დროშა. ახლაც თავს არ ზოგავდა; გატეხილი ახალგაზრდობის გულსჯავრს უყ მიწასთან ჭიდილში ჰკლავდა.

მანქანები შედგნენ. რკალად შემოერთყვნენ კრებას. რევასი თავის ტრაქ-

ტორით კვლავ ყველაზე წინ აღმოჩნდა.

დიღხანს ილაპარაკა რაიონის წარმომადგენელმა. ეზოში სამარისებური სიჩუმე იყო. სადღაც ხის ტოტზე ფრინველი თუ გადახტებოდა და ხმელი ფოთოლიც უხმოდ ეცემოდა ბალახს.

სამშვიდობო მოწოდებაზე ხელის მოწერისათვის იყო დანიშნული კრება. კორეისა და ვიეტნამის ამბები, ზანგების ცხოვრება, ტრუმენისა და ჩერჩილის ოინები, — აი, რას ისმენდა ცაცხვის ქვეშ სოფელი. ბავშვებიც კი განაპულიყვნენ, თითქოს ომის აჩრდილი აქ, ამ წუთში დასტრიალებდათ თავს. თითქოს ეს ღამეც მას მოეტანა და უფროსებს ეყვროდნენ უნებურად.

მოხსენება რომ დამთავრდა, ძლივს დაამშვიდა თავმჯდომარემ ხალხი. ყველაზე მეტად ახალგაზრდები ღელავდნენ. პირველი სიტყვა პავლეს მისცა. პავლეს სიტყვა და ისიც ასეთ საპასუხისმგებლო კრებაზე? მეტად უენო კაცი იყო პავლე. გულმართალი და უთქმელი. ბიჭები მჭევრმეტყველი იყვნენ. არც თუ ნინოს უყვარდა ბევრი ლაპარაკი და გასაკვირი იყო, ვის ჰგავდნენ შვილები.

პავლე წამოდგა, მაგიდასთან მივიდა, ხალხს გადახვდა. ახლა ჩრდილებს ჩაუკვირდა. იქიდანაც ელავდნენ ცნობისმოყვარე თვალები. რევასს ისე ეჩვენებოდა, თითქოს პავლემ მას გაუყარა თვალი-თვალში.

ღიჯად ლაპარაკობდა ის. მზერა კი კვლავ იქით ჰქონდა მიქცეული, სადაც რევასის ტრაქტორი იდგა. თვალს არიდებდა ხალხს, ღელავდა, საჯარო ლაპარაკს ჩვეული არ იყო.

— ჩემი ბიჭები უზგოუკვლოდ დაიკარგნენ ამ ომში. — დაიწყო მან. — არ იყვნენ უსარგებლონი. ვინ იცის, ჯერ კიდევ რას შესძენდნენ ჩვენს ქვეყანას. დავეყავადებოდნენ...

რევანს აღარ გაუგია მოხუცის შემდეგი სიტყვები. თვალზე ბინდი გადაეკრა თითქოს. კრება და ეს განათებული კლუბის ეზოც, ნელ-ნელა ჩაინთქა სივრცეში. ბრძოლის საშინელმა ქარცეცხლმა გაუელვა თვალწინ.

ყუმბარებისაგან შვედ გადახნულ მიწას ცეცხლი უკიდია. ფაშისტთა ტანკები სწრაფად მოიწევენ წინ.

ზანზარებს ხეობა.

მიწას გაკრული რევანი და ვაჟა სუნთქვაშეკრული უცდიან მათ მოახლოვებას.

ტანკთა შემზარავი ხრჭიალი რამდენიმე ნაბიჯზე ისმის.

გრანატები მოიმარჯვეს, ისაა უნდა წამოიწიონ, რომ ახლა გვერდიდან მოისმა იგივე შემზარავი ხმა.

— რეზო, შენ პირდაპირ, მე მარჯვნივ! — ბრუნა მხარი ვაჟამ და ახალი მიმართულებით წახოხდა.

სწრაფად მოსრიალევენ ტანკები. ბიჭებს სული შეეგუბათ. ხელი ძალაუნებურად იკუმშება გრანატების კონებზე... და სანამ ისინი გასროლას მოასწრებდნენ, ივრიალა ქვემეხმა და პირდაპირ მომავალი მოწინავე ტანკი კვამლში გაეხვია. გამოერკნენ, ახალა დაინახეს საბჭოთა ტანკები. მაგრამ, აი, „ვეფხვი“ გამოიჭრა წინ. საბჭოთა ტანკმა ოდნავ იცვალა მიმართულება. ახლა მისი დესანტი მოექცა ვაჟასა და რევანის მხარეს. ნელ-ნელა ჩამოცოცდნენ მებრძოლები ძირს.

ვაჟამ თვალი მოჰკრა მაღალი ტანის მხარბეჭიან მებრძოლს. იგი სწრაფად გამოეყო დესანტს, წელში მოხრილი, გრანატით ხელში, შურდულივით გაიჭრა „ვეფხვისაკენ.“

მთელი სისწრაფით მოჰკრის „ვეფხვი“, დაუსხლტა საბჭოთა ტანკს.

ჩაირბინა მხარბეჭიანმა მებრძოლმა ვაჟას წინ.

— ბიძინა, ბიჭო! — შეჰყვირა ვაო-

ცებულმა ვაჟამ და წამოვარდა, დაედევნა ძმას.

ერთი მოიხედა ბიძინამ და უნაღწევი სტყორცნა გრანატი ზედმოსულ „ვეფხვს“. შეტოკდა ტანკი, მაგრამ არ შემდგარა. ტყვიამფრქვევის ჯერით დაცხრილული ბიძინა გვერდზე გადავარდა.

ერთბაშად შემობრუნდა „ვეფხვი“ და ახლა სხვა მიმართულებით უნდა გაჰრილიყო, მაგრამ ვაჟას გრანატმა უსწრო. აფეთქდა; შავ კვამლში გაეხვია.

— ბიძინა, ბიჭო?! — შეესმა რევანს წამიერ სიწყნარეში ვაჟას ყრუ ხმა.

არ დაუნახავს კვამლში გახვეული ძმები. თვითონაც დაიჭრა მალე.

„ბიძინა, ბიჭო?!“ — მხოლოდ ეს ორი სიტყვა ჩარჩა მეხსიერებაში. როცა პოსპიტალში ეჭიმებს უნდოდით ხელახლა აედგმევიანებინათ ენა, ეგონა ამ სიტყვებს იტყოდა პირველად, მაგრამ ვერა, სიტყვა ვერ დასძრა. ზმუილისმაგვარი ხმა აღმოხდა პირიდან. ამის შემდეგ ამაოდ ცდილობდა დალაპარაკებას. თან ეშინოდა საზარელი ზმუილი არ ამოვარდნოდა ისევე.

ახლაც პირმოკუმული შეჰყურებდა პავლეს. თვალწინ ედგა ცეცხლმოდებული „ვეფხვი“. ესმოდა გამაყრუებელი სროლის ხმა.

— ბიძინა, ბიჭო?! — აღმოხდა უნებურად და საქეს ხელი უშვა. წამოდგა. მრისხანე იყო ქარისა და მზისაგან გარუჯული მისი სახე. — არ შევარჩინთ თქვენს სისხლს არავის! — ამომარცვლით დაუმატა მან. საკუთარმა ხმამ შეაერთო, გული ამოვარდნას ლაპობდა.

ყველამ რევანისაკენ მოიხედა. გვიან მოვიდნენ გონს. „რეზომ ხმა ამოიღო... რეზომ ენა აიდგა...“ ჩურჩულით ეუბნებოდნენ ერთმანეთს, თითქოს ხმამაღალი ლაპარაკი კვლავ დაამუნჯებდა მას.

— ბიძინას... ვაჟას და ომში დაღუპულ მილიონ გმირთა სახელით... — სული მოითქვა რევაზმა, თმები უკან გადაიყარა. — დღეს ჩვენ აქედანვე ვავალთ მინდვრად...

თვალცრემლიანი შეჰყურებდა პავლე ჰაბუციის გაფითრებულ სახეს.

— რეზო, შეიღო! — შეირბა მისი გამშრალი ტუჩები.

—
კრება დამთავრდა.

ტრაქტორები კლუბის ეზოდან პირდაპირ მინდვრებისაკენ გაუშარტნენ. მთელი დამე ესმოდა პავლეს შათი გუგუნე.

ცისკრისას ადგა. ნინო ეზოში შეეგება.

— საით, ასე უთენია? — ჰკითხა ჰმარს, თუმცა გრძნობდა სადაც მიდიოდა.

— წავალ, ბიჭებს დაეხედავ. — უთხრა პავლემ და მინდვრისაკენ გაეშურა.

ღამო მკაულივილი

სხანთამხედნელი

★

მთები დამდგარან გოლიათებად,
წყალი წყალს მისდევს თავქვე ხველებით,
რა სიმალეა! — მგონი აქედან
ცაზე ვარსკვლავებს დაჰკრეფ ხელებით.

სად მოაგენი ამ საბალახოს —
ხარ ცხოვრებაში ბედდაულევი,
შენ აქ მოგიდის საიალალოდ
რკინის მღვქავი ბედაურები.

თმაში ჰალარა არ ჩანს ბინდ-ბუნდად,
კისერი არ ჰგაეს ბეგართ დახრილს,
წყლავებში ძალა რამ ჩაგიბუდა
ჰაფმორეული ელდარის ტახის.

ჰოზი დარდილო ლამის ბეჭებით,
ტანის სიმძიმე მიწას აწუხებს,
როგორ უძლებენ ლაგმის მგლეჯელნი
შენი ფეხების რკინის მარწუხებს.

მე შენი ღონე შემხარბებია,
ყაჯირის თვალი ყველგან მხედველი,
ათას ფაშატის შენ ხარ ბებია
და ერთადერთი სხანთამხედნელი.

ხშირად, როდესაც დოღსა მართავენ
 კლდეზე ნისლეები გათენებისას,
 აგვირფენია ცხენის სადავე
 და ქარს ყალთალზე დაღვენებხარ. ♣

ბევრი ულაცი ჯიქურ ჯიქივით
 მოგბრუნებია სახეოფლიანს,
 შეგტოტებია ავი კიხვინით
 და ქამანდის ქვეშ დაუხოქია.

სალამო ხანზე მოსულს კარავში,
 იღარ გზიბლავენ ძველი ზღაპრები,
 ახალმოტანილ გაზეთს გადაშლი
 და სტრიქონებში დაიკარგები.

ორჯერ წაკითხულს ეტრფი მესამედ
 საესეს მზითა და ბაღია, ბელღებით,
 უცებ... ჩაგესმის — როგორ ლესავენ
 სატეერებს ომის გამჩაღებლები.

დაგეძაგრება მუხლი მუხური,
 იჭმუხნებიან ხშირი წარბები,
 ასდგები ფეხზე ხარის ბუხუნით ♣
 აეშარის რგოლში ტყვიის გამძვრენი.

ნატვრალა ისმის შენი პირიდან
 მოქუხს ვაეკაცის ხმა ახმეტედან:
 — „აჰ, ერთი იქეთ გამაჯირითა
 და ყველა ერთად გამახედნინა!“

გ. ხუბუპილი

სვულენვის ლაზრუნება

★

დაბრუნდა დალილ ვაეკაცის სახით,
 ძარღვებში გრძნობდა ზაფხულის ამინდს,
 გაზრდილ ხეებით შემოხვდა ბაღი
 და იცნო ჩრდილში ცისფერი სკამი.
 მოვიდა დილაც ჩუმად, ნებიერად,
 მან სასწაელებლის კარს მიაშურა,
 ნაცნობი კიბე რომ აერბინა,
 სურდა რატომღაც, სურდა ბავშვურად.
 მაგრამ სხვა ძალა იგრძნეს ფეხებმა,
 თვალეზში თითქოს განელდა სხივი.
 ქრილობის იყო ეს შეფერხება,

თუ გახსენება აცდენილ ტყეის.
 ო, ეს არ იყო მარტო იარა,
 ან ატივება გაბზარულ ძელებს.
 ძველი ქრილობის კვალი კი არა,
 მას აკავებენ განვლილი წლები.
 გულმა სიმშვიდე დაჰკარგა უცებ
 და ფიქრი ჰგავდა უეცარ ავდარს.
 ერთ დროს ყველაზე პატარა, კურსზე
 ახლა ყველაზე უფროსად ჩანდა.
 გახედა სახლებს, გახედა ქუჩებს,
 მშვიდი ქადრები ჩრდილებს იშლიდნენ.
 და მიხედა გულში, დ.ბრუნდა უცებ
 ამ სიმშვიდესთან მისი სიმშვიდეც.
 გული ზომ თბილისს ასე შეჰპირდა;
 გადაერჩინა დიდი სიმართლე.
 გახდა ამაყი, თითქოს ფერფლიდან
 გამირული დღენი წამოიშართნენ.
 აღსდგა სიცოცხლე უდიდეს გზნებით,
 ოცნება ნათელ გზას წინ უშლიდა.
 — არ დაკარგულან ძვირფასი წლები! —
 თითქოს თავისთავს უთხრა გულმშვიდად.
 გულს დამშვიდების სითბო ეწვია,
 თითქოს გავლილი ცხოვრება უქმს.
 იმავე ფანქრით წერდა ლექციას
 რითაც ხაზავდა საბრძოლო რუქებს.

ხაილ ხალვაში

ყარა-ყუში

ცხელი სამუში გრუჯავდა გუშინ,
 მაგრამ ბელადმა თქვა და დარია,
 შემობრუნდება და ყარა-ყუშში
 გზას გაიკაფავს ამუდარია.

მოვიდა კაცი, როგორც დამხსნელი
 რომ გააღვიძოს შენი ყრუ ველი,
 თან შეიცვლება შენი სახელი, —
 ბაღს გაიშენებს ყარაყუმელი.

ფოლადის ხელით აგებენ კაშხალს,
 რომ შეტევაზე წავიდეს წყალი,
 სიცოცხლისა და სინათლის გაშლა
 ცხოვრების გულში შემოაქვს სტალინს.

სეპარატიზმი

ნ ა რ კ ვ ე ნ ი



1.

— კოლია. ჰეი ბიძია კოლია — გაისმა ძახილი ხეობაში.

— ვინ უხდა იყოს? — გაიკვირვა მონადირე სვანიძემ. იგი მდინარის ნაპირას შეველს ატყავებდა. იმ დღეს ბედმა გაუღიმა. ხეობაში შეველის ჯოგს წააწყდა. დაფრთხა ჯოგი, ფერდობზე აიჭრა, მაგრამ ერთი მათგანი ტყვიას ვერ გაეჭვა, შეტორტმანდა, ყელი მოიღერა, ენა გადმოაგდო და ჩაიჩოქა.

— ა, ჰაუ, ბიძია კოლია! ა, ჰაუ — კვლავ გაისმა ხეობაში.

— ჰეი, აქა ვარ, ჩამოდი! — ასძახა სვანიძემ.

ბილივზე ქაბუჯი გამოჩნდა. კლდის კალთა ჩამოირბინა და მონადირის წინ შედგა.

— დილაშვიდობისა, ძია კოლია.

— იღვგრძელე, შვილო. — აღურსიანად მიუგო მონადირემ და სისხლიანი დანა შეველის ტყავზე შეწმინდა.

— შეველი მოგიკლავს. — თქვა ოთარმა და ალტაცებით დაუმატა: — უჰ, რა დიდი ყოფილა, ერთი კაცი ვერც კი ასწევს.

— მართალია, — დაუდასტურა სვანიძემ. — კარგი იქნებოდა, ცხენი რომ აქ მყავდეს.

ოთარი შეკრთა. ნანადირევით გაბრუებულს მხოლოდ ახლა გაახსენდა, თუ რატომ გამოგზავნეს სვანიძესთან.

— ცხენი? ცხენი... — წაიბუტბუტა ოთარმა და სვანიძეს თვალი აარიდა.

— რა იყო, ბიჭო, რა დაგემართა, ხომ არავე მომკვდარა?

ოთარი დუმდა, ეტყობოდა რაღაც სამწუხარო ამბავი უნდა ეთქვა და უმძიმდა. ბოლოს, როგორც იყო, ხმა ამოიღო:

— არა, ბიძია არავე მომკვდარა... ცხენი წაიყვანეს...

— ცხენი? ვინ წაიყვანა?

— აღმასხანმა. ჯარისთვის გვინდაო. სანადიროდ რომ წამოდი, მაშინვე თავს დაგვესხნენ.

— ვაი ღედასა, შერე?

— იავორაც დააბატიმრეს.

— მაშ, დაურბევივარ იმ არამზადს. რაც სოფლის ამწიოკებელად დანიშნეს, მოსვენება არა გვაქვს. ფუი ასეთ სიციცხულს!..

მონადირეს მეტი არა უთქვამს რა. თოფი ოთარს გადასცა, ნანადირევი ზურგზე აიკიდა და ციცაბო კლდეზე დაკლავილ ბილიყას აჰყვა.



ნიკოლოზ სვანიძეს შინ აცრემლებული ცოლი დაუხვდა.

— მაშ, გამძარცვეს ავაზაკებმა? არა უშავს თუ კაცი ვარ, ვაზლვევინებ. ყველაფერი აღმასხანის იონებია. ნუ იღარდებ, ჩემო მარო. არაფერია, მტრის ჯინაზე კიდევ უკეთეს ცხენს გავზრდი. ეს ვაყვანი კარგად მყავდეს და სხვა არა მინდა რა — ნიკოლოზი აკვანთან მივიდა.

ჩვილს ფართოდ გაეღო თვალები, ილიმებოდა.

— დედაკაცო, შეხედე რა ვაჟკაცია! ცხენი, ალმასხანი და ყველა მასავით თხერი შემოველოს ახლა ხელში ძალა აქვთ და მჩაგრავენ, არა? მე ვმუშაობ და ისინი მართმევენ, არა? დამაცადონ, გაიზრდება ჩემი ვაჟკაცი და მაშინ ნახონ, როგორ ასახელებს მამას. ცხენი? ცხენი მათი უბედურებისათვის შემოწირავს. ხომ ხედავ, ჩემო მარო, მტერი მართმევს, მაგრამ ბუნება მაძლევს. აგერ, შველი მოვიტანე, ნახე რა მსუქანი ხორცი აქვს, ზოგი შეწვა და ზოგი მოხარშე, ზოგიც მეზობლებს დაურიგე... ცრემლი არ მოაჩვენო. ვაჟკაცი არ შემოწხო.

... ეს იყო 1915 წლის შემოდგომაზე, ლეჩხუმის პატარა სოფელ ცხუტუშერში. მაშინ პროკოფი სენანიძე მხოლოდ სამი თვისა იყო.

პირველი მსოფლიო იმპერიალისტური ომი მძინვარობდა. მისი სისასტიკე მძიმე ტვირთად აწვა მშრომელებს. პირველ რიგში რჩეული ვაჟკაცები ეცლებოდა სოფლებსა და ქალაქებს. მიდიოდნენ ახლად წვერ-ულვაშამოყრილი ბიჭები, ეთხოვებოდნენ დედ-მამას, დამამს, ცოლსა და შვილებს. მიდიოდნენ და აღარ ბრუნდებოდნენ.

ომის ხანძარი თანდათან ღვივდებოდა. სოფელში ვისაც, როგორც მოესურვებოდა, ისე ბრძანებლობდა. გაღარიბდა ცხუტუშერი. მთის კალთებზე მერცხლის ბუდეებით შიკრულ ხანს სახლებს სახურავეები ჩამოეზვრა, გაპარტახდა ბაღი და ვენახი. ქალებმა შავეები ჩაიცვეს. მოთქმა-ტირილი ისმოდა ყველგან.

— ომს ომი უნდა გამოვეცხადოთ. ასეთია ბოლშევიკური პარტიის აზრი, მუშათა და გლეხთა პარტიის აზრი! — ასე მიმართა ლეჩხუმელ გლეხებს ახლგაზრდა კაცმა, რომელმაც საიდუმლოდ შეჰყარა სოფლის მოწინავე აღამიანები. მცირერიცხოვანი, მაგრამ გულმატალი, მხნე და შედგარა ლეჩხუმელები მტკიცედ დადგნენ ბოლშევიკურ პარტიის მხარეზე, ხმა აიმაღლეს ომის წინააღმ-

დეგ, დაირაზმნენ არსებულ წყობილებასთან საბრძოლველად.

ლეჩხუმელმა მშრომელებმა განსაკუთრებით ისახელეს თავი ქართველი ხალხის მოღალატე მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ გმირულ ეპოპეაში ლეჩხუმელი კომუნისტების მხარდამხარ იბრძოდა ცხუტუშერელი გლეხი ნიკოლოზ სენანიძე. მაშინ მისი შვილი პროკოფი მძიმე ავადმყოფი იყო. როგორც სოფელში იტყვიას, ხიკოს ოჯახში «ყავილბატონები და ბრძანებულები». დედა ჩონგურს უყრავდა, ავადმყოფ შვილს „ბატონების“ საგალობელს უმღეროდა. საწოლთან. პატარა სკამზე ფერადფერადი ყვავილები, წითლად შეღებული კვერცხები, ხილი და ნიგოზი ელაგათათში თეთრი თიკანი დაბაკუნობდა კისერზე ლურჯი, ხოლო რქებზე წითელი ბანტები ჰქონდა შემოხვეული. ოთახის კუთხეში თეთრი წიწილა თვლემდა, ფრთები სხვადასხვაფერად ქონდა მოხატული.

სიცხისაგან თვალს ვერ ახელდა პატარა პროკოფი. ერთ საღამოს სმენაც დაეკარგა. დედას ველარ ცნობდა. ნიკოლოზი კი არსად ჩანდა. იგვიანებდა. დედა გვერდით ეჯდა ავადმყოფ შვილს და, „ბატონები რომ არ გაჯავრებულყო“, ჩონგურს უყრავდა, ზღეროდა თუმცა ეს სიმღერა უფრო ტირილს გაგდა. შეშინებულ დედას ფარული ცრემლის ღვრით თვალები აწითლებული ქონდა, მაგრამ მაინც ილიმებოდა. ცრემლს ფრთხილად იწმენდა. „ბატონებსა უმალავდა თავის მწუხარებას.

ასეთი იყო მაშინ სოფლის ხვედრი. ვისთვის უნდა მიეზარათა საბრალოდ დედას, სად იყო ექიმი?

ხეამლის მთის მახლობლად ზარბაზანმა დაიქუხა. პირველი ყუმბარა სოფელს ასცდა, ცხენისწყლის ხეობაში გრიალით ჩაეშვა, კლდე შეაზანზარა, ხეები ძირფესვიანად მოთხარა. პირველ ყუმბარას მეორე მოყვა, მეორეს — მე-

სამე. რიონისა და ცხენისწყლის ხეობაში ნამდვილად ომი იყო. ლეჩხუმელი პატრიოტები გზას უღობავდნენ ქართველი ხალხის მოღალატე მენშევიკებს, იცავდნენ თავიანთ მიწაწყალს, იცავდნენ ცაგერში აღმართულ წითელ დროშას.

ცხუქუმერელი გლეხის ნიკოლოზ სვანიძეს ისლით გადახურულ ერთთვალ სახლში კვლავ ჩონგურის ხმა და საგალობელი ისმოდა. პატარა პროკოფის ოდნავ გაეხილა თვალი, დედას შეყურებდა.

— მამიკო! მამიკო! — გაისმა ავადმყოფის ხმა.

— მალე მოვა, შვილო, მალე, გენაცვალოს დედა!

იღვრა ოთახში ჭუჭრუტანებიდან ელვის შუქი შემოიჭრა და უმალვე გაქრა. ქუხილმა შეაზანზარა სოფელი. დედა ფრთხილად მიუახლოვდა კარს, გააღო. რიონის ხეობაში სიბნელე იწვა, მხოლოდ ხანდახან ელვა გაიკლავებოდა ღრუბლიან ცაზე. ქვენა ქარი უტევდა მთებს, წვიმა კოკისპირულად ასხამდა მარიამმა ცრემლიანი თვალით გახედა სიბნელეს.

— ღმერთო ჩემო, ხაფათი რამე არ შეემთხვას იმ კაცს! — გაიფიქრა და ტანში გააქრვოლა. კარი მიხურა, ურდული გაეყარა და ისევ შვილთან მივიდა. სვანიძის ქოხი იალქნიანი ნაფიფით ირწყვოდა, თავხეს წვიმას წყალი ასველებდა.

ცისკარი წითლად აინთო. დილის ნათელი მოეფინა პატარა სოფელს.

დედის გულ-მკერდში ეძინა ბავშვს, მის გამხდარ ლოყაზე ოფლის წვეთები ეღვარებდა. თვალი გაახილა ავადმყოფმა, მიმოიხედა, ცრემლებმა ვერცხლისწყალავით ჩამოურბინა პაწია ლოყაზე.

გათენდა. ღრუბელი აღარსად ჩანდა. აღმოსავლეთით ცხოველმყოფელი მზე ამოდიოდა. არც ქვენა ქარი ქროდა, არც

ზარბაზნების გრიალი ისმოდა ხეამლის კალთებიდან.

ავადმყოფი ბავშვი მამას უნძობდა. არ ჩანდა ოჯახის უფროსი. ქოხის კუთხეში წაბლისფერი ჩოხა ეკიდა, სამკერდესთან რამდენიმე თეთრ ქილას ამოეყო თავი. ორ-სამ ამონაკერში შამხანის ვაზნებიც ეწყო. იქვე ეკიდა ნიკოლოზ სვანიძის სანადირო თოფიც.

2

— მამა არ მახსოვს, პატარა ვყოფილვარ, როცა ის დაღუპულა. დედას დარჩენია დანგრეული ქოხი, დღიური მიწა და ხეხილის პატარა ბაღი. მამის გარდაცვალებიდან ხუთი თვის შემდეგ დაბადებულა ჩემი უმცროსი ძმა. ორი მცირეწლოვანი შვილის დედა, დღენი-აღაღ შრომობდა, თავს არ ზოგავდა, რათა ჩვენთვის ლუკმა-პური არ მოეკლო. მეზობლებიც გვეხმარებოდნენ. გლეხთა კომიტეტიდანაც ხშირად მოგვექონდა, სიმინდი, პური, ტანსაცმელი. მალე ჩვენც წამოვიზარდნით. დედამ სკოლაში შეგვიყვანა. ვიზრდებოდით. ახალმა ცხოვრებამ ობლობა არ გვაგრძნობინა. სოფლად კოლექტივიზაცია რომ დაიწყო დედაჩემი პირველი ჩაეწერა. მე მაშინ თხუთმეტი წლისა ვიყავი, დედას მხარში ვედექი. ერთად ვშრომობდით. ერთი რამ გვიწლიდა ხელს ცხუქუმერულ გლეხებს, ძაწა არ გვეყოფნიდა. კლდეებსა და მთის კალთებს შეფარებოდა ჩვენი სახლები. შავნიდაგიანი მიწას ვნატრობდით, რომ ხალხისათვის, სამშობლოსათვის ჩვენი მკლავის ძალა, ჩვენი შრომის შედეგი გვეჩვენებინა. და აი, ახლა აქა ვართ, შავი ზღვის სანაპიროზე, გაგრის რაიონის სოფელ ხეივანში. — გვეუბნება სოციალისტური შრომის გმირი პროკოფი სვანიძე და ნაყვავილარ სახეზე ბედნიერების ღიმილი უკრთის.

საქართველოს ყველა კუთხეს აქვს თავისებური სილამაზე. მის რომელმხა-

რეზიაც არ უნდა მიხვიდეთ, ყველგან იგრძნობთ მთებისა და ხეობების, ველ-მინდვრებისა და მდინარეების სიმშვენიერეს.

გაგრა!

დგახარ ზღვის ნაპირზე, ხარობ მშობლიური ქვეყნის სილამაზით, შეყურებ ცამდე აზიდულ მთებს და გაგონდება ვაჟას და ყაზბეგის მთა და ხევი. მოუსვენარი ყოველგვარი და მთის წყარო ისე ქუხილით ეშვებოდა ხეობაში როგორც თერგი და არაგვი.

გაგრას, რომლის სახელიც ახლა საქართველოს გარეთაც არის ცნობილი, დიდი ხნის ისტორია არ აქვს.

1899 წელს, მრავალ მეტეოროლოგიურ და კლიმატურ გამოკვლევათა ავტორმა, რუსმა სწავლულმა მოგზაურმა, ვოევიკოვმა პირველი შეფასება მისცა გაგრას და წამოაყენა აზრი მისი კურორტად გამოყენების შესახებ.

შეყურებ გაგრას და არ გჯერა, რომ იგი სულ რაღაც რამდენიმე ათეული წლის წინათ ზღვის მიყრუებული სანაპირო იყო.

გაგრისა და მისი რაიონის აყვავება და კეთილმოწყობა, ისე როგორც მთელი საქართველოს არსებული გაფურჩქნა, მკიდროდ არის დაკავშირებული დიდი სტალინის უახლოესი თანამებრძოლის ამხანაგ ლავრენტი ბერიას სახელთან.

აქ რევოლუციამდე მარტო ერთი-სასახლე იდგა, მაგრამ არა ხალხისათვის, არა მშრომელთათვის. მშრომელები აქ მხოლოდ სასახლის მშენებლობის დროს მოიყვანეს. კლდეები გადაათხრევიან, ქეები მოაზიდინეს, სასახლე ააგებინეს, ბალები და ხეივნები გააშენებინეს და გაისტუმრეს.

პროკოფი სვანიძე, თავის მეზობელ ცხუქუშერელ კოლმეურნეებთან ერთად ლენინშიდან გაგრაში რომ ჩამოვიდა, აღტაცებული დარჩა. მართალია, მას გაგრის ქება ბევრჯერ სმენოდა, მაგრამ

თვითონ არ ენახა და არც ეგონა, თუ იგი ასეთი თვალწარმტაცია!

მართლაც ბუნებას მხოლოდ მისი მადლიანი კალთა საქართველოს ამ კუთხეში დაუბერტყნია. ყველაფერი მიმზიდველია აქ: მაღალი მთა, მარადმწვანე მწვერვალები, ტყე, ხეობები, ჩანჩქერები და უსასრულო ზღვა. ჰაერი მთისა და ზღვისაა, ორივე ზომიერია. აქ სამთარი ხანმოკლე იცის, მსუბუქი ყინვა მხოლოდ 8—12 დღეს გრძელდება. მართალია, აქ ბუნებამ თავისებური სიმშვენიერე შექმნა, მაგრამ იგი უფრო თვალწარმტაცია და მიმზიდველი გახადეს საბჭოთა ადამიანებმა.

ეს პალმები მრავალ კილომეტრზე სანაპირო ქუჩის გაზონებს რომ აღედგებია, ეს წარმტაცი ბაღი, რომელსაც ხელოვნური ტბა და სხვადასხვა ჯიშის მცენარეები, ფერადფერადი ყვავილები, მონუმენტები და ქანდაკებები ამშვენებს, ეს ნაძვებისა და ფიჭვების ხეივნები, მთის კალთებზე რომ მიილკანება და გარს ეხვევა ლამაზ შენობებს— ყველაფერი ადამიანის მიერ არის შექმნილი.

და განა მარტო გაგრაა თვალწარმტაცი? მშვენიერია მთელი მისი რაიონი. აგერ, სოფელი ხეივანი...

თვალი გადაავლეთ სოფელს და მიხედებით, თუ რატომ შეარქვეს მას ეს სახელი. თქვენს წინ გადაიშლება თვალუწვდენი განიერი ქუჩები, ქუჩების გაყოლებით ამოღესილი თხრილები, თხრილების გასწვრივ ხეები და ეკალიპტები. ზემოთ — მთის კალთები, ხეხილის ბალები, ციტრუსები, ვენახები. ქვემოთ — ხან მონარნარე, ხან კი ფაფარაყრილი შავი ზღვა.

ყველაფერი თვალწარმტაცია სოფელ ხეივანში. ყველაფერი მიმზიდველია. ვენახი და ხეხილი, თამბაქო და სიმინდი, ქუჩა და შარავნა, ხე და ყვავილები. მაგრამ, ჩვენ გვინდა მოგითხროთ ადამიანებზე, რომლებიც ასე გამირულად იმორჩილებენ ბუნებას.

ათ ისინიც, უბრალო ადამიანები, — რიგითი კოლმეურნეები, მერგოლურები, ბრიგადირები. ეცნობი თვითველ მათ-განის ცხოვრებას, ესაუბრები მათ და გრძნობ იმ დიდ სიახლეს, რომელმაც მტკიცედ მოიკიდა ფეხი საკოლმეურნეო სოფელში.

კოლმეურნე გლეხი ყოველდღე ახალს ეძებს, ნოვატორობს. ერთსა და იმავე ნაკვეთზე ყოველ წელს გაორკეცებული მოსავალი სურს მოიყვანოს. იგი არამარტო ფიზიკურად შრომობს, არამედ შრომის გაუმჯობესების ახალ-ახალ მეთოდებსაც იგონებს. ფართოდ ეცნობა და პრაქტიკულ მუშაობაში იყენებს აგრანონიულ მეცნიერებათა მიღწევებს.

ორას ოცი კომლია სოფელ ხეივანში. ყველას ერთნაირი ოღა უდგას, ყველას ერთნაირი კოპწია ეზო აქვს. ორი სამუშალო სკოლა, კლუბი, სამკითხველო და საბავშვო ბაგა ესახებრება მათ. ხეივნელებს საკუთარი რადიოკვანძი აქვთ. ილიჩის ნათურები ყველა კოლმეურნის ოჯახში ანათებს.

ლაერენტი გეგეჭკორი 75 წლისაა. ხანდაზმულიაო იტყვის ადამიანი. მაგრამ, არა. შარშან ლ. გეგეჭკორმა 350 შრომადღე გამოიმუშავე და რვა ტონაზე მეტი სიმინდი და 24 ათას მანეთამდე ფული მიიღო.

ლაერენტი გეგეჭკორს ხშირად ნახავთ ბიბლიოთეკაში. კლუბშიაც სისტემატურად დადის. ისმენს ლექციებს და მოხსენებებს, ნახულობს კინოსურათებსა და წარმოდგენებს. შინ რადიო აქვს, თავისუფალ დროს ქვეყნის ამბებს ისმენს. ეზოში საცდელი ნაყენებიც უდგას და დიდი ხანია მათ აკვირდება. — კარგ შედეგს რომ მივიღებ, კოლმეურნეობის ნაკვეთში გადავიტანო, — ამბობს იგი.

და კიდევ რამდენი ახალი ვალდებულება აქვთ აღებული ხეივნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებს! ციტრუსების უხვი მოსავლის მიღება, ევკალიპტების მოვლა, ბაღე-

ბისა და ბოსტნების გაფართოება, ქუჩების კეთილმოწყობა, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათათვის ახალი შენობების აგება, აბანოს მშენებლობა.

იზრდება, ფართოვდება, მდიდრდება სოფელი ხეივანი.

3.

ჯერ კიდევ ცაზე ვარსკვლავები არ გამქრალიყო, პროკოფი ეზოში გამოვიდა. ხის ტოტებზე ასულ ვენახს მიუახლოვდა, მის დაგრეხილ ძირს ხელით შეეხო. მტევენებით დაყურსულ ჭიგოებს თვალი გააყოლა. აქა-იქ მოწითალო მარცვლები შეამჩნია. ესიაშოვნა.

სოფელში მამლების ყვილი ისმოდა. შავი ზღვიდან დილის გრილი ნიავი მოსდევდა შარავნას.

ბრიგადირი ეზოს გასცდა, კიშკარი ჩაეკტა, ფართო გზაზე გავიდა.

— ეპეი, დღეს ნამდვილი შეტევა გვექნება, თუ კიდევ...—სიტყვა ვერ დაათავა სვანიძემ. გზის ბოლოში მისკენ მომავალი ადამიანი შენიშნა.

„ეინ დამასწრო, იქნებ დავიგვიანე?“ — გაიფიქრა და მალა აიხედა. ცაზე ჯერ კიდევ ვარსკვლავები კიაფობდნენ.

მის თვალწინ თამბაქოს პლანტაციები გადიშალა. გაახსენდა პარტიის საოლქო კომიტეტში ხელმძღვანელი ამხანაგებისათვის მიცემული პირობა, მაქსიმალურად გაედიდებინა თამბაქოს მეორე მოსავალი. გაახსენდა მომხსენებლის სიტყვა — არ შეიძლება არ აღინიშნოს გაგრის რაიონის სოფელ ხეივნის სტალინის სახელობის იმ კოლმეურნეთა კარგი ინიციატივა, რომლებიც საჭირო სამუშაოებს აღარებენ, რათა თამბაქოს მეორე მოსავალი მოიყვანონ“.

ეს სიტყვები იმ ბრიგადუს შესახებ იყო თქმული, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი პროკოფი სვანიძე ხელმძღვანელობს.

მიდის ბრიგადირი თამბაქოს ნაკვეთისაკენ, მიდის გატაცებული. მისთვის არასოდეს არ დაუსწრიათ ბრიგადის წევრებს.

— დღეს? — თვალს არ უჯერის სვანიძე. პლანტაციის შუაგულში, სადაც ფერდობებს მწყრივად განლაგებული თამბაქო ადევნებია, მტრედისფერი მანქანა გამოჩნდა. თითქმის მოფრინავდა იგი გორაკზე შეფენილ მსუბუქ ნისლში, თითქოს მოსცურავდა იგი თამბაქოს მწვანე ფოთლების ტალღებში.

— იქნებ მომეჩვენა? — გაიფიქრა სვანიძემ და თვლებზე ხელი მოსვა.

არა, სინამდვილე იყო. მანქანა მის წინ გაჩერდა.

გაუკვირდა ბრიგადირს. მანქანაში შოფერს მეტი არავინ ეჯდა.

— დაბრძანდით. — უთხრა შოფერმა. — ისინი ზედა ფართობში არიან. თითქმის ყველა პლანტაცია ნახეს, მოეწონათ, იღიმებოდნენ. დაბრძანდით, ბრიგადირო, დაბრძანდით.

პროკოფი სვანიძეს არ ახსოვს, როგორ ჩაჯდა მანქანაში. მხოლოდ მაშინ გამოერკვა, როცა მანქანიდან ჩამოვიდა, პლანტაციებში შევიდა და თამბაქოს ფოთლებმა წაკაბიწებული მკლავები დაუსველა.

რატომ ღელავს? პირველად ხომ არ არიან ოქქის პარტიული ხელმძღვანელები ამ კოლმეურნეობაში. თათბირიც ბევრჯერ ჩაუტარებიათ. სიმინდი, ვენახი, თამბაქო მრავალჯერ შემოვლილი აქვთ, პირადად იცნობენ მოწინავე კოლმეურნეებს.

ღელავს სვანიძე, ღელავს, როგორც კათედრაზე მდგარი დისერტანტი სამეცნიერო საბჭოს წინაშე. დღეს ბრიგადირიც ხომ ნამდვილ სამეცნიერო შრომას იცავს პრაქტიკული მუშაობით თამბაქოს მეორე მოსავლის გადიდების ღონისძიებებზე. დიახ, ნამდვილ სამეცნიერო შრომას.

• • •
• • •

აფხაზეთის ჰავა და ნიადაგი ყოველმხრივ ხელსაყრელია იმისათვის, რომ მიღებულ იქნას თამბაქოს მეორე მოსავალი. ამისათვის სამი წესი არსებობს: პირველი წესის მიხედვით თამბაქოს ძირითადი მოსავლის აღების შემდეგ, მცენარის ღეროებს გადაჭრიან მიწიდან 10 — 12 სანტიმეტრის სიმაღლეზე. გადაჭრილ ღეროზე დატოვებენ ორ-სამ კარგად განვითარებულ ამონაყარს, რომელიც კარგი მოვლით კვლავ მთავარ ღეროდ იქცევა და უხვ მოსავალს აღწევს კოლმეურნეობას. მეორე წესის მიხედვით ამონაყარის ნაცვლად ინარჩუნებენ ორ-სამ კარგად განვითარებულ ნამხარს.

არსებობს მესამე წესიც, რომლის აგტორობა სოციალისტური შრომის გმირს პროკოფი სვანიძეს ეკუთვნის. ამ წესით მუშაობის დროს თამბაქოს ღეროს გადააწვენენ და ნიადაგში ჩაფლავენ. ჩაფლული ღეროს სიმაღლე მიწის ზევით 10 — 15 სანტიმეტრს უნდა უღრიდეს. ამ წესით გაშენებული პლანტაცია სწრაფად ვითარდება და უხვ მოსავალსაც იძლევა.

— ცოდვა გამოტეხილი ჯობს. შარშან წაწილობრივ „დავარდივე“ აგრონომების მითითება, — გვითხრა ამხანაგმა სვანიძემ, — და იმ ნაკვეთებში, სადაც მეორე მოსავალი უნდა მიმეღო, თამბაქოს ღეროები კი არ გადაეჭრო, არამედ გადააწვიენ. ამან კარგი შედეგი მომცა. რაც მთავარია, დრო მოვიგე, ღერომ უფრო ადრე გამოისხა ყლორტები და თამბაქოს მაღალი ხარისხიც შევინარჩუნე.

ბრიგადირი გვესაუბრა, თუ რა უარყოფითი გავლენას ახდენს ღეროს გადაჭრა მცენარის ნორმალურ ზრდაზე, როგორ განიცდის მცენარე ამ ოპერაციას და აგვიანებს ყლორტების გამოღბას. მან აგვიხსნა აგრეთვე, თუ რა გავლენას ახდენს დრო თამბაქოს მეორე მოსავ-

ლის სიუხვეზე. თუ ფოთოლმა ვერ მოასწრო დაჰწივება და აცივდა, მთელი შრომა უქმად ჩაივლის, მოსავლიანობა დაეცემა, გახსაკუთრებით დაბალი იქნება თამბაქოს ფოთლის ზარისხი.

დამაჯერებელი იყო სევანიძის ყოველი სიტყვა, ხოლო საქმეზე ლენინის სამი ორდენი და ოქროს კარსეკლავი მოგვითხრობდა. მან ღირსეულად დაიმსახურა თამბაქოს უხვი მოსავლის მიღებისათვის ეს დიდი ჯილდოები.

ფაქიზად მოვილია პროკოფი სევანიძის სახლი. იგი საყოლმეურნეო ცხოვრების პირშოა. ისე ნათელია ახალი სახლი, მისი კეკლუცად მორთული ოთახები, მარად მწვანე ხეებითა და ხეხილით დამწვანებული პატარა ეზო, ოდის რიყულზე მიგრებილ-მოგრებილი ვაზი, რომ შეუძლებელია არ მიგიზიდოს, არ გაგრძნობინოს ბედნიერი და საამური ცხოვრება.

შრომის სიყვარული, ცოდნის სიყვარული, სიახლის გრძნობა, ცხოვრებისადმი ტრფიალი, სამშობლოს, ხალხის დიდებისათვის თავდადება — აი რით ცხოვრობს ეს ოჯახი.

ბრიგადირ სევანიძეს არასოდეს არ დააიწყებდა საბჭოთა არმიის მამაცობა დიდ სამამულო ომში. ოდერისა და ვისლის გადალახვა, ბერლინში შესვლა.

პროკოფი სევანიძე საკუთარი სისხლით იცავდა სამშობლოს ღირსებას, ამიტომ აშშვენებს მის შვირდს დიდების ორი ორდენი და მედალი „ბერლინის აღებისათვის“.

პროკოფი სევანიძის საწერ მაგიდასთან მუდამ ნახავთ გადაშლილ წიგნებს, მცირე ამონაწერებს, კონსპექტებს. მაგიდის ერთი კუთხე დათმობილი აქვს პოპულარულ ლიტერატურას სოფლის მეურნეობის საკითხებზე.

თითქოს წიგნებს ეჯიბრებაო გამოცდილი ბრიგადირი, მაგიდის ზემოთ ლამაზ ხალიჩაზე ჩამოკიდებულია შვიდტაროიანი სიმიინდის ღერო. თამბაქოს

სანიმუშო ფოთლები, ციტრუსების გაუმჯობესებელი ნაყოფი, სხვადასხვა კოლმეურნეთა მრავალი წლის დაკვირვებისა და თანმიმდევრული შრომის ნაყოფია. სიახლემ, ნოვატორობამ საფუძველი ჩაიყარა ხეივანულ კოლმეურნეთა ცხოვრებაში.

აბა როგორ მოითმენს მოწინავე ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი, პროკოფი სევანიძე რადიოთი არ გაიგოს, თუ რა ხდება მისი საყვარელი და დიადი ქვეყნის კიდით-კიდემდე. იგი სამუშაოდან რომ დაბრუნდება, იგაზმებს, რადიოს ჩართავს, ტახტზე მიწვება და მოისმენს. როგორი წარმატებით იმუშავეს დღეს მოსკოვის წარმოებებმა, როგორი მოსავალი მოიწიეს მოქმე უკრაინელმა კოლმეურნეებმა, ახალი რა დაწერეს ჩვენმა მწერლებმა, პოეტებმა, მეცნიერებმა, რა გამოიგონეს საბჭოთა ნოვატორებმა.

მოისმენს, თუ როგორ იბრძვიან დიადი საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებით მსოფლიოს დემოკრატიული ძალები საყოველთაო მშვიდობისათვის.

და, როცა შუალამე ფრთებს აიწურავს, როცა ცაზე მოკაშკაშე ვარსკვლავები სმუნად გადაიქცევიან და გულისყურს ყველანი კრემლის კოშკს მიაპყრობენ, რადიოს ყველა ოჯახში შემოაქვს ხალხის გულში ამღერებული სიტყვები.

დღეა სამშობლო, შენ თავისუფლო,
ხალხთა ბედნიერების ბურჯი ხარ შენ!

უღვაშებში ჩაიღიმებს პროკოფი სევანიძე, ნათელი თვალებით შეხედავს ოქროსფერ ჩარჩოში ჩასმულ დიად სურათს, მკლავში ღონე მოემატება, გონება გაუნათლდება, ოთახის ქერი მალდა აიწვეს, გაუვლის დაღლა სახელოვან ბრიგადირს, სასთუმალზე თავს დასდებს და ტკბილად ჩაეძინება.

ტკბილად ჩაეძინება, რათა მეორე დღეს მზის ამოსვლას დაასწროს.

ლაქარგული სამოთხე

ნაწყვეტები პირველი წიგნიდან

★

კაცთ მოდგმის პირველ ურჩობაზე, აკრძალულ ხეზე, რომლის ნაყოფმა უხამიანმა, მკაცდინებელმა, ჩვენ მოგვიტანა სიკვდილი და ვაება ქვეყნად, თვითონ ედემის დაკარგვაზე, რომელსაც შემდეგ დიდი ზეკაცი დაგვიბრუნებს სასუფეველით, — იმდერე მუზავ, ზეციურო. ავი ოდესლაც იღუმალებით მოცულს ჰერბსა, თუ სინას მთაზე შენ შთააგონე მწყემსს, ემდერა რჩეულ ხალხისთვის, ვით გამოეყო ქაოსს ზეცა და დედამიწა. იქნებ სიონის თხემი უფრო მეტად გიტაცებს, ან ნაკადული სილოასი, სწრაფად მჩქეფარი, უფლის ტახტს გვერდით ჩამდინარე. მაშინ იქედან შენ დამხმარე ამ გაბედულ სიმღერის თქმაში. ჩემი სიმღერა მალლა-მალლა, ცაში მიიწეკს, უნდა იფრინოს აონიის მწვერვალის თავზე, ისე აელერდეს, როგორაც ჯერ არ უმღერიათ. უპირველესად შენ მოგმართავ, წმიდაო სულო, ვისაც ტაძრებზე უფრო გზიბლავს გული სპეტაკი; შენ შთააგონე, კარგად უწყვი ხომ ყველაფერი: დასაბამითვე ამ უძირო და ვრცელ უფსკრულზე მტრედვიით გქონდა გადაშლილი ძლიერი ფრთები და გამოჩეკე ქვეყანაზე ყველა სულდგმული; თუ ბნელი იყოს ჩემში რამე — შუქი მოჰფინე, დაცემულ მნახო — აღმამალღე და გამამხნევე, მომეცი ძალა, ამ სიმღერის სიმალღეს მივეწდე, შეძლება მომე, დავამტკიცო განგების მადლი და ღმერთის გზები, კურთხეული, ვაჩვენო კაცთა.

რადგან ვერც ზეცა, ვერც უფსკრული ჯოჯოხეთისა თვალთაგან შენთა ვერაფერსაც ვერ დაჟფარავენ, ჯერ ეს მაუწყე, ჯერ ეს მარქვი, წინაპრებს ჩვენსას, ზეცისგან ნაკურთხთ, აღმალღებულთ და ბედნიერთა, მბრძანებელთ მთელი ზესკენლისას, რამ შთააგონათ თავის შემოქმედს მოსწყვეტოდნენ და განდგომოდნენ. ან ვინ აცთუნა ამ საშინელ ურჩობისათვის?



ეს ჯოჯოხეთის გველი იყო. იმან მზაკვრულად,
 ალტკინებულმან შურიტა და გაბოროტებით,
 დედამთავარი შეაცდინა კაცთა მოდგმისა
 და აჯანყებულ ანგელოზთა დასებთან ერთად,
 თავგასულობის გამო ზეცით ქვედამხოვილმა,
 იმავ დაცემულ ანგელოზთა შველის იმედით,
 სცადა დიდება მოეხვეჭნა სხეებზე მაღალი
 და უზენაესს ძლიერებით გატოლებოდა.
 ზვიადი ზრახვით უფლის ტახტსა და სამფლობელოს
 მან გაუმართა ბიწიერი ომი ზეცაში.
 მაგრამ ამოდ, ძლიერებამ ზენაარისამ
 მყისვე გახვია ცეცხლის ალში და ეთერიდან
 წვითა და ნგრევით ქვეჩასტყორცნა უძირო უფსკრულს.
 იქ ადამატის ბორკილებში და ცეცხლში ყოფნა
 მიეზლო უფლის თავხედურად ომში გამომწვევს.

(სატანა მიმართავს ბელზებელს)

„ნუთუ ეს შენ ხარ? მაგრამ ჰოი, აწ დამხოვილი
 ვით აღარ ჰგავხარ იმა ნათელს, სხივმომფინარეს,
 რაც ელვარებით ანგელოზთა გუნდებს ჩრდილავდა
 სინათლის ნეტარ სამყაროში. და თუ ოდესღაც
 ჩვენ გვაერთებდა ერთი ფიქრი, მიზანი, სწრაფვა,
 თუ ერთი გეჰონდა დიდებული ბრძოლების რწმენა —
 განწირულების მძიმე ხვედრი გვაერთებს ახლა.
 რა სიმაღლიდან შთაეარდნილხარ უფსკრულში, ხედავ?
 რა ძლიერება ჰქონებია მეხთ-ტეხას ღვთისას!
 ან ვინ იცნობდა მის საშინელ ძალას აქამდე!
 მაგრამ ვერც იგი, რაიც დღემდე მან მოგვივლინა,
 ვერც იმის შიში, რომ ყოვლისმძლე გამარჯვებული
 გაბოროტებით კვლავაც ახალ რისხვას დაგვატეხს,
 გულში სინანულს ვერ აღმიძრავს და ვერ შემეცვლის, —
 (თუმცე გარეგნული ბრწყინვალეობით ასე შევცვლილვარ.) —
 მტკიცე რწმენასა და სიძულვილს, რამაც მე აღმძრა
 ყოვლისშემძლესთან საბრძოლველად. ამავე რწმენით
 ფიცხელ ბრძოლაში ანგელოზთა ჯარი მოხლავდა,
 რომელთაც დაჰგმეს ღვთის სამეფო და მე მომემხრენ.
 მის დიად ძალას მამაცურად წინააღუდგენენ
 და ბრძოლის ცეცხლით შეურყიეს ზეცაში ტახტი.
 ომი წავაგეთ? მერე რაა, ამით ხომ მაინც
 არ დაქარგულა ყველაფერი; ჩვენ კვლავაც შეგერჩა
 უდრეკი ნება და წყურვილი შურისგებისა,
 დაუშრეტელი სიძულვილი და მამაცობა
 შეუჩვეველი დათმობასა და მორჩილებას.
 მე ამ დიდებას ვერაოდეს ვერ გამომტაცებს
 ვერც ძალა მისი და ვერც რისხვა. თავი დავხარო
 და მოწყალება გამოვთხოვო მუხლმოდრეკილმა?



ან გავაღმერთო მისი ძალა? მაგრამ იგი ხომ
 ჯერ კიდევ გუშინ ჩემი ძალით შემოფოთებული
 თრთოდა ციური სასუფეველის დაკარგვის შიშით!
 ეს იქნებოდა დამცირება უკიდურესი,
 ეს იქნებოდა შერცხვენა და თავლავის დასხმა
 დამარცხებაზეც უარესი. და ბედისწერით
 რაკი ღვთიური არსი ჩვენი უძლეველია,
 რაკი კვლავ შეგვრჩა ძველი ძალა და ამ ბრძოლებმა
 გამოცდილება კიდევ უფრო ბევრი შეგვმატა,
 ჩვენ ახლაც ძალგვიძს ვერაგობით, ან ძლიერებით,
 უფროვე მეტის წარმატებით და მეტის რწმენით
 სამარადეთსო, უღმობელი ომი გავმართოთ
 ჩვენს ძლიერ მტერთან, რომელიც ჯერ ისევ ზეიმობ
 და აღმატებულ სიხარულით, სულ მარტოდ-მარტო
 განაგებს ზეცის სასუფეველს, როგორც ტირანი“.

...სატანა შუბსა იმარჯვებდა და გაქირვებით
 მიაბიჯებდა ცეცხლმოდებულ თიხნარზე მძიმედ. —
 როგორ არ ჰგავდა ეს მძიმე გზა ლაფეარდს ზეცისას!
 ცეცხლოვან თაღქვეშ, იმ საშინელ პაპანებაში,
 თმენით, წვალებით, გადალახა ზღვა მოგიზგიზე,
 მიაღგა ნაპირს, ფეხი შედგა, და გადასძახა
 ანგელოზების ლეგიონებს, ისე გაწოლილთ,
 როგორც ფოთლები შემოდგომით ეტრუკიაში,
 ავალუწვდენ მადნარს მოწყვეტილნი, ფენებ-ფენებად
 ვალომბროზიის ნაკადულებს ზედ აფენიათ...

ასე, მთელი ტბა დაეფარათ განწირულთ, გვემულთ,
 და თავის კრულ ბედს იგონებდნენ გაოგნებულნი.
 მაშინ სატანამ მათ შესძახა ისეთი რიხით,
 რომ ჯოჯოხეთის ჯურღმულებმა დაიხანზარეს:

„დიდნო მხედარნო, მბრძანებელნო, ხელისუფალნო,
 ყვაილნო ზეცის, ერთ დროს თქვენის — აწ დაკარგულის,
 ნუთუ ასეთი გაოგნება შეგფერით უკვდავთ?
 იქნებ ფიცხელი ომის შემდეგ, დამაშვრალებმა
 განსასვენებლად ჯოჯოხეთი ამოირჩიეთ,
 და გარინდებით მიძინებულთ იქნებ გგონიათ,
 რომ ბინა გიდევთ ისევ ზეცის სასუფეველში?!
 ანდა, იქნება, ქვეგანრობხმულნი, დაოსებულნი,
 მასა სცემთ თაყვანს, მას, თქვენს მძლეველს, დამპყრობელს
 თქვენსას“

იგი ჩვენ ახლაც გვითვალთვალავს, ჩვენ გვხედავს აქა,
 დაუძლურებულ ქერებშიმებს და სერაფიმებს,
 ვისიცი აბჯარი, საჭურველი და მძლე აღმები,
 ნაქუწ-ნაქუწად დამსხვრეული და დაგლეჯილი,
 შიმობნეულა აქეთ-იქით — ზეცის ბჭეთაგან



ის ფრთხილ მდევრებს წარმოგზავნის ჩვენს დასალაშქრად და ჩვენს თავს ბედკრულს, დამცირებულს, — გააქვლინებს, ან მკით ისრებით სამუდამოდ მიგვაკრავს უფსკრულს. გამოიღვიძეთ, გამოფხზლდით, ადექით ფიცხლავ, სორექმ, იცოდეთ, აქ დაშთებით სამარადეამოდ“...

რა მოისმინეს, — დაირცხვინეს, დაეყრდნენ ფრთებსა და როგორც გუშავს, წაძინებულს თავს წაადგება თავის მრისხანე მბრძანებელი, — ისინიც სწრაფად ზეწამოვარდნენ, აფუსფუსდნენ ძილმორეულნი. ჯერ ისე კარგად ვერც კი გრძნობდნენ თვის სივალაღეს, და არც თუ დიდად აწუხებდათ მწვევე ტყვილი, მაგრამ სარდალის დამახილზე მყის გამოფხზლდნენ და უთვალავი სულთა დასი მას დამორჩილდა. როგორაც ერთხელ, ეგვიპტისთვის შავბნელ დღეებში, არამამის შეიღმა შეარხია ძლიერი კვერთხი და მოუწოდა აღმოსავლით კალის გუნდებს გამოპოლოდნენ დასაეღეთით მომქროლს ქარიშხალს, რომ იმ უწმინდურ საბრძანებელს ფარაონისას და თვითონ ნილოსს კუბრის ღრუბლად გადააფენოდნენ, ისე ურიცხვი ჩანდნენ ახლა ბორბტნი სულნი, ფრთებგადაშლილად მოფარფატე ქვესენელის თაღქვეშ და ყოველისმხრივ მოგზიგზივ ცეცხლით მოცულნი.

მაგრამ ჰა, შუბი ზეაღმართა დიდმა სულთანმა, ანიშნა, მყისვე დაძრულიყო მინდვრისკენ ყველა, ისინიც გაყვენენ გოგირდის ქვით მოფენილ სავალს, და მალე მთელი ის მინდორი აივსო ლაშქრით. ყოველ დასს ფიცხლავ გამოეყო თვის წინამძღოლი, და ყველა ერთად გაეშურა დიდი სარდლისკენ. ღვითური სახით, მიხრა-მოხრით, სიღარბაისლით და ძლიერებით კაცთ ნაშიერს აღემატოდნენ, — აკი ოდესღაც ჰქონდათ კიდევ ზეკაში ტახტი; თუმცა იქ ახლა იმათ აღარ მოიხსენებენ, გაქჩნენ, ცხოვრების წიგნიდანაც სულ ამოშალეს, ღალატის გამო გაკამტვერდა მათი სახელი. ვერც ევას მოდგმა გაიგებდა იმათ ხსენებას, მაგრამ როდესაც მალაღმა და სულგრძელმა ღმერთმა, ადამიანთა ერთგულების გამოსაცდელად, ქვეყნად დაუშვა ეს სულელები, — იმათ მზაკერობით, მაღალატურის სიყალბითა და ცბიერებით, ადამიანთა უმეტესი ნაწილი გაბრწნეს, დაავლობინეს შემოქმედი, უფალი ღმერთი, თავს ჩაუნერგეს ცხოველური ურწმუნობა და წითელ-ყვითლად მობრჭყვიალე, ოქროთ ნაღესი ეშმაკის სული თვის ღვთაებად მიაღებინეს.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

სახელწოდება მათ სხვადასხვა მიიღეს მაშინ
და სხვადასხვაგვარ კერძა სცემენ თაყვანს წარმართნი.

...რაჟი შეატყვეს სარდალს ჩვენთვის სიტყვის თქმა სურსო,
მხედრობა მყისვე, მწკრივში ორ ფრთად განლაგებული,
მას და მის მთავართ ნახევარწრედ გარშემოერტყა.
სმენად გადიქენენ. — სამჯერ სცადა, ეთქვა რაიმე.
მაგრამ სამჯერვე, მას ცრემლებმა არ დააცალეს,
და თუმცა რისხვით იყო გზნებულ, მაინც ქვეითნი
წასკდა. ტიროდა — ვით ანგელოზთ ძალუძთ ტირილი.
ბოლოს, სიტყვები, როგორც იქნა, ჩააწნა ოხვრას
და გზა გაეხსნა იმის სათქმელს. დალაძყო ესე:

„უკვდავ სულების უთვალავო, მძლავრო მხედრობავ,
ძლევათოსილნი! მხოლოდ ღმერთმა გძლიათ თქვენ ერთხელ,
მაგრამ მაშინაც სამარცხვინოდ არ დაცემულხართ;
თუმც რა გონებას, წარსულის და მომავლის მჭერტელს,
რა ღრმა ცოდნას და დაკვირვებას შეეძლო ეგრძნო,
რომ შეერთებულ ღმერთთა ძალას, მრისხანე ლაშქარს,
ასე ქედმაღალს, დამარცხება ხედებოდა წილად.
ან დამარცხების შემდეგ, თუნდაც, ვინ დიიჯერებს,
რომ ამ ძლიერთა ლეგიონთა, რომელთა წასვლამ
სულმთლად დასცალა ცის სამეფო, ისევ არ ძალუძთ
აღდგენენ, ამხედრდნენ, დაიბრუნონ სასუფეველი.
დე, დამიმოწმონ ზეცის მკვიდრთა, რომ არც უხამსი
სამხედრო რჩევით, სამარცხვინო შიშით, გაქცევით,
ჩვენი იმედი, ჩემდა თავად, არ დამიღუპავს!
მან შესძლო მხოლოდ, ცის მეუფემ, რომლისაც ტახტი
გამაგრებულა ძველთაგანვე, — ძველი სახელით,
გამოცდილებით, ცბიერებით, ძალის დაფარვით,
ვეტუნებით ბრძოლისათვის, და დაგვცა კიდევ-
ახლა ზომ ვიცნობთ იმის ძალას და ჩვენს ძალასაც...
ველარ იხილოს ჯოჯოხეთის უფსკრულმა მეტად,
ციურნი სულნი დაცემულნი ასე მონურად,
ველარც ამ ჯანლმა ვერ დაგვფაროს სამარადემოდ!
ჩემი ფიქრები თქვენთან ბჭობით უნდა მომწიფდეს.
მორჩა მშვიდობა! ვინ იფიქრებს დამორჩილებას?
ომი! აჟ, ომი! ან აშკარა, ანდა ფარული!“

სთქვა ეს სატანამ, მისი სიტყვის დადასტურებად
უცებ იელვა მილიონმა მახვილმა ერთად
და ჯოჯოხეთის ჯურღმულები გააცისკროვნა;
მაღალი რისხვით თვით უმაღლესს ემუქრებოდნენ,
ხმალს მდგრად სცემდნენ წკრიალა ფარს, და ეს ელარუნი,
როგორც საბრძოლო გამოწვევა, — ზეცას სწედებოდა.

ი. ბ. სვალინის შრომების შესახებ ენათმეცნიერების საკითხებზე



დღეს, როცა ამერიკისა და ინგლისის იმპერიალიზმი ახალი ომის გაცხოველებულ მზადებაშია და აშკარა აგრესიულ აქტებს ახორციელებს აზიის ხალხების მიმართ, საბჭოთა ქვეყანა მტკიცედ იცავს მშვიდობიანობის საქმეს მთელ მსოფლიოში და განუხრელად მიდის წინ თავისი სახალხო მეურნეობისა და კულტურის შემდგომი აღმაშენების გზით.

ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში ყოველთვის შეუწელებელი ყურადღების ცენტრშია საბჭოთა კულტურისა და მეცნიერების განვითარების საკითხი. ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და პირადად ხალხთა დიდი ბელადის ი. სვალინის თაოსნობით მიღებულ იქნა მთელი რიგი სპეციალური ღონისძიებანი, რომლებმაც გარდაქმნეს და გააუმჯობესეს მუშაობა საბჭოთა ლიტერატურისა და ხელოვნების, ფილოსოფიის, ფიზიკის, ბიოლოგიისა და სხვა მეცნიერებათა ფრონტზე.

ამ ღონისძიებათა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გაზეთ „პრაჟდის“ მიერ გამართული თავისუფალი დისკუსია ენათმეცნიერების საკითხებზე. დისკუსიამ გამოაგლინა მთელი რიგი ნაკლოვანებანი საბჭოთა ენათმეცნიერებაში და დასაბა ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზები.

დისკუსიაში უშუალო მონაწილეობა მიიღო დიდმა ბელადმა — ამხანაგმა სვალინმა და ენათმეცნიერების საკითხებს მიუძღვნა სპეციალური შრომები: „მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში“, „ენათმეცნიერების ზოგიერთ სა-

კითხზე“ და „პასუხი ამხანაგებს“. ამ შრომებით ი. სვალინმა ახალ, უმაღლეს საფეხურზე აიყვანა მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება ენათმეცნიერების დარგში. მაგრამ ბელადის ამ შრომებს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს არამარტო საბჭოთა ენათმეცნიერების ძირეული გარდაქმნისა და ნამდვილ მეცნიერულ საფუძველზე დაყენების საქმეში, არამედ საერთოდ მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემდგომი შემოქმედებითი განვითარების საქმეშიაც.

მარქსიზმ-ლენინიზმის სპეციფიკური დამოკიდებულება კონკრეტულ მეცნიერებებსა და პრაქტიკასთან განაპირობებს იმას, რომ ყოველი წინგადადგმული ნაბიჯი საბჭოთა მეცნიერებისა და პრაქტიკის სფეროში ამავე დროს მოასწავებს მარქსისტულ-ლენინური თეორიის შემდგომ წინსვლასა და განვითარებას.

როგორც დისკუსიიდან გამოიკვია, საბჭოთა ენათმეცნიერება ნ. ი. მარისა და მისი მიმდევრების მეოხებით ასცდა მარქსისტულ-ლენინურ გზას და ჩიხში მოექწყდა. ენათმეცნიერებაში ფეხმოკიდებული იყო ნ. ი. მარის მცდარი არამარქსისტული შეხედულება ენის ზედნაშენობისა და კლასობრიობის შესახებ, მცდარი, ვულგარული თეორია ენის სტადიური განვითარების შესახებ; უგულვებელყოფილი იყო ენათმეცნიერების ისტორიულ-შედარებითი მეთოდი და მის ნაცვლად გამეფებული იყო იდეალისტური ოთხელემენტოვანი ანალიზი, რაც უაღრესად ზღუდავდა ენის

მეცნიერულ შესწავლას; არაცნობიერად აღგილი ჰქონდა ენისა და აზროვნების გათიშვის იდეალისტურ ტენდენციას და სხვა მთელ რიგ აბნეულობასა და უაზრობას ენის რაობის, მისი წარმოშობისა და განვითარების საკითხებში. ამას თან ერთვის ნ. ი. მარის „მოწაფეების“ მიერ შექმნილი არაკრეატიული რეჟიმი, რაც ახშობდა ყოველივე მოწინავე აზრს ენათმეცნიერებაში.

ი. სტალინის გენიალურმა შრომებმა არაჩვეულებრივი სიხითლე წეიტანა ენათმეცნიერებაში. ამ შრომებში ამხანაგმა სტალინმა ჩამოაყალიბა საბჭოთა ენათმეცნიერების ძირითადი თეორიული საფუძვლები, ერთხელ და სამუდამოდ გადასჭრა ენათმეცნიერების თითქმის ყველა საქვაკეთხედო საკითხი და დასახა კონკრეტული გზა ენათმეცნიერების შემდგომი განვითარებისათვის.



ისე როგორც მთელი საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებათა შესწავლას, ენის წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერებათა შესწავლასაც ნამდვილი მეცნიერული საფუძველი ჩაეყარა მარქსისტული მსოფლმხედველობის — დიალექტიკური მატერიალიზმის ჩამოყალიბების შედეგად. მართალია, მარქსსა და ენგელსს სპეციალური შრომები არ მიუძღვნიათ ენათმეცნიერების საკითხებისათვის, მაგრამ მათ მოგვეცეს ძირითადი სახელმძღვანელო დებულებანი ენის ბუნების გასაგებად.

ფრ. ენგელსი თავის შესანიშნავ გამოკვლევაში — „შრომის როლი მიმუშვნის გაადამიანების პროცესში“ — განმარტავს, რომ შრომის განვითარება ხელს უწყობდა საზოგადოების წევრთა შეკავშირებას. ამ შეკავშირებას აჩქარებდა ის გარემოება, რომ ერთად მოქმედების უპირატესობა თანდათან ნათელი ხდებოდა ყოველი ცალკეული ინ-

დივიდუუმისათვის. „ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ადამიანები უკანადა მივიდნენ, — წერს ენგელსი, — რომ მათ ერთმანეთისათვის რაღაც უნდა ეთქვათ. მოთხოვნილებამ თავისე ორგანო შექმნა: მაიმუნის გაწყვიტარებელი ხორხი ნელ-ნელა, ნაგრამ უწყევად განიცდიდა გარდაქმნას მოდულაციის გზით სულ უფრო და უფრო განვითარებული მოდულაციისათვის. ხოლო პირის ორგანოები თანდათან სწავლობდნენ დანაწევრებული ბგერების ერთიმეორეზე გამოთქმას.“¹

მაშასადამე, ენა წარმოიშვა ადამიანთა ურთიერთგაგებინების მოთხოვნილებიდან და ამასთან არის დაკავშირებული ენის დანიშნულება და ბუნება.

ი. სტალინი ანვითარებს ენგელსის შეხედულებას ენაზე და იძლევა ენის კლასიკურ განსაზღვრას: „ენა არის საშუალება, იარაღი, რომლის შემწეობითაც ადამიანებს ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან, უზიარებენ ერთმანეთს აზრებს და აღწევენ ურთიერთგაგებას“². ენის ამ სტალინურ განსაზღვრაში მოცემულია ენის მთავარი დანიშნულება, რამაც განაპირობა მისი წარმოშობა და შემდგომი განვითარება.

ი. სტალინი განმარტავს, რომ ენა წარმოიშობა და ვითარდება საზოგადოების წარმოშობასა და განვითარებასთან ერთად. საზოგადოების გარეშე ენა არ არსებობს. მაშასადამე, თუ გვიჩინა შევისწავლოთ ენის განვითარების კანონზომიერებანი, იგი უნდა განვიხილოთ საზოგადოების ისტორიასთან კავშირში.

საზოგადოების ისტორია, ეროვნებათა ისტორია იმას მოწმობს, — გვასწავლის ი. სტალინი, — რომ ენა საერთოა ყოველი ცალკეული ერისათვის და ისტორიაში არავითარი კლასობრივი ენე-

¹ იხ. ფრ. ენგელსი „აზნების დიალექტიკა“, გვ. 174, 1950 წ.

² იხ. ი. სტალინი, „მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში“ გვ. 22 — 23.

ბი ცალკეულ ეროვნებათა შიგნით არ არსებულა.

ის აზრი, რომ ერს ერთი საერთო ენა ახასიათებს, ი. სტალინმა გამოთქვა ჯერ კიდევ 1913 წელს თავის ცნობილ შრომაში „მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი“. ამ შრომაში ამხანაგი სტალინი გარკვევით ამბობს, რომ ნაციონალური ერთობა წარმოდგენილია საერთო ენის გარეშე, რომ ენის ერთობა ერის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია.¹

ნ. ი. მარმა და მისმა მოწაფეებმა ვერ გაიგეს და სათანადო დასკვნები ვერ გააკეთეს ამ მარქსისტული დებულებიდან. მათ ივარაუდეს, რომ ბელადის ამ დებულებაში ნაგულისხმევი არ იყო კლასობრივი განსხვავებანი და წინააღმდეგობანი ერის შიგნით. თავის შრომაში „მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში“ ი. სტალინი ერთხელ კიდევ აგონებს მარის მიმდევარ გზაბანულ ენათმეცნიერებს მარქსისტულ დებულებას ენის შესახებ: „მარქსიზმი ამბობს, — წერს ი. სტალინი, — რომ ენის ერთობა ერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნიშანია, ამასთან კარგად იცის, რომ ერის შიგნით არის კლასობრივი წინააღმდეგობანი“.²

ი. სტალინი განმარტავს, რომ ენის კლასობრიობის მტკიცება ნიშნავს თვალის დახუჭვას არამარტო შორეული ისტორიული წარსულის წინაშე, არამარტო პირველყოფილი უკლასო საზოგადოების არსებობის ფაქტის იგნორირებას, არამედ აგრეთვე თვალის დახუჭვას თანამედროვე სინამდვილის წინაშე, როცა არსად, არც ერთ ქვეყანაში არ არსებობს კლასობრივი ენები.

ი. სტალინი განმარტავს, რომ ამ შეცდომის, ე. ი. ენის კლასობრივად მიჩნევის, სათავე უნდა ექძიოთ ენისა და კულტურის გაიგივებაში და იმაში, რომ ზოგიერთებს არ ესმით დამოკიდე-

ბულება საერთო-სახალხო ენისა/ დიალექტებს შორის, სეკუფუ-სახალხო ენისა და ეარგონებს/შარხის/სეკუფრესად ბრძნული და ნათელი ამ დამოკიდებულებათა სტალინური ანალიზი.

ი. სტალინი იძლევა კულტურის კლასობრივი ხასიათისა და ენისაგან მისი განსხვავების ნათელ სურათს. ენა გულგრილია კლასების მიმართ. იგი თანაბრად ემსახურება ყოველ კლასს. მაგრამ კლასები და სხვადასხვა სოციალური ჯგუფები სრულიადაც არ არიან გულგრილი ენისადმი. „ისინი ცდილობენ გამოიყენონ ენა თავისი ინტერესებისათვის, თავს მოახვიონ მას თავისი განსაკუთრებული ლექსიკონი, თავისი განსაკუთრებული ტერმინები, თავისი განსაკუთრებული გამოთქმები. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევიან შეძლებული კლასების ზედაფენები, რომლებიც მოსწყენენ ხალხს და სძულთ იგი: თავადაზნაურული არისტოკრატია, ბურჟუაზიის ზედა ფენები. იქნება „კლასობრივი“ დიალექტები, ეარგონები, სალონის „ენები“. ლიტერატურაში ხშირად ეს დიალექტები და ეარგონები არასწორად კვალიფიცირებულია როგორც ენები: „თავადაზნაურული ენა“, „ბურჟუაზიული ენა“, — პროლეტარული ენისათვის“, „გლეხური ენისათვის“ დასაპირისპირებლად. ამ საფუძველზე, რა უცნაურიც უნდა იყოს ეს, ზოგი ჩვენი ამხანაგი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ეროვნული ენა არის ფიქტია, რომ რეალურად არსებობენ მხოლოდ კლასობრივი ენები“.³ ი. სტალინი განმარტავს ეარგონებისა და დიალექტების საერთო-სახალხო ენისადმი დაქვემდებარებულ ხასიათს. ერთიანი ეროვნული ენა არის უმაღლესი ფორმა, მას ემორჩილება დიალექტები, როგორც დაბალი ფორმები. ი. სტალინი განსაზღვრავს ამ დაბალი ფორმების როლსა და აუგილს ენათა განვითარების პროცესში.

¹ იხ. ი. სტალინი, თხზ. ტ. 2, გვ. 316.

² ი. სტალინი, „მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში“, გვ. 15—16.

9. „მნათობი“ № 10.

მაშასადამე, ენა, როგორც ადამიანთა ურთიერთგაგებინების იარაღი, საერთოა ადამიანთა ყოველი სოციალური ჯგუფებისა და კლასებისათვის. ენის შიგნით სხვადასხვა ჯარგონებსა და დიალექტებს არ შეიძლება ეწოდოს ენები, მათ აქვთ საერთო-სახალხო ენებისადმი დაქვემდებარებული ხასიათი. ამ გენიალური დებულებებით ი. სტალინმა საბჭოთა ენათმეცნიერებას დაუსახა ნაციონალურ ენათა განვითარების შინაგან კანონთა და ინდივიდუალურ სპეციფიკათა კვლევის მთელი პროგრამა.



ი. სტალინის ამ ახალ შრომებში ყურადღებას იპყრობს არამარტო ენის ჩამოყალიბებული და დადგენილი განსაზღვრა, დეფინიცია, არამედ ამ განსაზღვრის ჩამოყალიბებისა და დადგენის წესიც, დეფინიციის დადგენის ფორმაც.

ამხ. კრამენინიკოვას, რომელსაც აინტერესებს თუ როგორი დამოკიდებულება ენასა, ბაზისსა და ზედნაშენს შორის, ი. სტალინი უბასუხებს: „რა თქმა უნდა, ენას, როგორც საზოგადოებრივ მოვლენას, ახასიათებს ის საერთო რამ, რაც აქვს ყველა საზოგადოებრივ მოვლენას, მათ შორის ბაზისსა და ზედნაშენს, სახელობრ: იგი ისევე ემსახურება საზოგადოებას, როგორც ემსახურება მას ყველა სხვა საზოგადოებრივი მოვლენა, მათ შორის ბაზისი და ზედნაშენი. მაგრამ სწორედ ამით ამოიწურება ის საერთო რამ, რაც ყველა საზოგადოებრივ მოვლენას აქვს. შემდეგ იწყება სერიოზული განსხვავებანი საზოგადოებრივ მოვლენებს შორის.“

საქმე ის არის, რომ საზოგადოებრივ მოვლენებს, ამ საერთოს გარდა, აქვთ თავიანთი სპეციფიკური თავისებურებანი, რომლებიც მათ ერთმანეთისაგან განასხვავებენ და რომლებსაც მეცნიერებისათვის ყველაზე მეტი მნიშვნელობა

აქვთ. ბაზისის სპეციფიკური თავისებურებანი ისაა, რომ იგი უსაზღვროდ ემსახურება ეკონომიკას. ზედნაშენის სპეციფიკური თავისებურება ისაა, რომ იგი საზოგადოებას ემსახურება პოლიტიკური, იურიდიული, ესთეტიკური და სხვა იდეებით და საზოგადოებისათვის ქმნის შესაბამის პოლიტიკურ, იურიდიულ და სხვა დაწესებულებებს. რა არის ენის სპეციფიკური თავისებურებანი, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა საზოგადოებრივი მოვლენებისაგან? ეს თავისებურებანი ისაა, რომ ენა ემსახურება საზოგადოებას, როგორც ადამიანთა ურთიერთობის საშუალება, როგორც საზოგადოებაში აზრთა გაცვლა-გამოცვლის საშუალება, რომელიც ადამიანებს შესაძლებლობას აძლევს გაუგონ ერთმანეთს და მოაწყონ ერთობლივი მუშაობა ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროში, როგორც წარმოების დარგში, ისე ეკონომიური ურთიერთობის დარგში, როგორც პოლიტიკის დარგში, ისე კულტურის დარგში, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისე ყოფაცხოვრებაში. ეს თავისებურებანი ახასიათებენ მხოლოდ ენას, და სწორედ იმიტომ, რომ ისინი ახასიათებენ მხოლოდ ენას, ენა დამოუკიდებელი მეცნიერების — ენათმეცნიერების — შესწავლის ობიექტია. ენას ეს თავისებურებანი რომ არ ჰქონოდა, ენათმეცნიერება დამოუკიდებელი არსებობის უფლებას დაკარგავდა“¹.

ამ ამონაწერიდან ჩანს, რომ ი. სტალინი, ახასიათებს რა ენას როგორც საზოგადოებრივ მოვლენას, ჯერ იძლევა სხვა საზოგადოებრივ მოვლენებთან, ბაზისთან, ზედნაშენთან, ენის მსგავსების დახასიათებას, მათი საერთო მომენტების დახასიათებას, ხოლო შემდეგ გადადის ამ საზოგადოებრივ მოვლენათა შორის არსებული პრინციპულ

¹ ი. სტალინი „ენათმეცნიერების ზოგიერთ საკითხზე“, გვ. 3—6.



ლი სხვაობის დახასიათებაზე, ენის, ბაზისისა და ზედნაშენის სპეციფიკათა დახასიათებაზე. ამასთან ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სპეციფიკური ნიშნის გარეშე მოვლენა ჰყარგავს ყოველგვარ გარკვეულობას და მეცნიერება მის შესახებ შეუძლებელი ხდება.

ახალი და მნიშვნელოვანი აქ ის არის, რომ ნათლად არის ნაჩვენები, თუ როგორ ხდება აზროვნების ლოგიკურ ფორმათა ბუნებრივი მოხმარება დიალექტიკური აზროვნების პროცესში.

ახალი და მნიშვნელოვანი აქ ის არის, რომ ნათლად ჩანს საბჭოთა მარქსისტული ლოგიკის ბუნება — შეიქმნას მოვლენის არსში და დალაგოს, გადმოსცეს, ახსნას იგი ჩვეულებრივი ადამიანის გონებისათვის გასაგები, მარტივი, პოპულარული ენით.

საერთოდ, აზრის გარკვეულობა და კონკრეტულობა დიალექტიკური აზროვნების არსებითი დამახასიათებელი თვისებაა. ამით აიხსნება, რომ მარქსიზმის კლასიკოსების ყოველი შრომა, რა საკითხსაც არ უნდა ეხებოდეს იგი, იქნება ეს ენათმეცნიერება თუ ბუნებისმეტყველება, პოლიტიკა თუ ისტორია, იურისპრუდენცია თუ სამხედრო ხელოვნება ან სხვა რამე, გაცილებით უფრო კარგად ასწავლის ადამიანს აზროვნებას, მარქსისტულ დიალექტიკურ ლოგიკას, ვიდრე სპეციალურად ლოგიკის საკითხებზე დაწერილი ზოგიერთი მონოგრაფიები.

ეს გარემოება იმიტად აიხსნება, რომ მარქსისტული ფილოსოფიისათვის არ არსებობს ზოგადი კონკრეტულის გარეშე, რამდენადაც ეს ზოგადი თვით კონკრეტულის კანონზომიერებათა აბსტრაქციაა. ზოგადი კონკრეტულში დადგინდება კონკრეტულის შესწავლის გზით და კონკრეტულის გარდაქმნის მიზნით, აქა თეორიისა და პრაქტიკის, აზროვნებისა და მოქმედების ორგანული ერთიანობის ახსნისა და გამართლების თეორიული საფუძველი.

მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს აბსტრაქტულ მეცნიერებათა უარყოფას, პირიქით, ი. სტალინი ვერსწავლავს, რომ აბსტრაქციის უნარი ადამიანური აზროვნების დიდ მიღწევათა მანვენებელია, თუ ეს უნარი სწორად არის გამოყენებული და მისი ფარგლები შესაბამისდება საგნის კვლევისა და საზოგადოების აუცილებელ მოთხოვნებს.

დიალექტიკური ლოგიკის საკითხებზე მუშაობას უნდა ჰქონდეს ობიექტური სინამდვილის კატეგორიების კვლევისა და სისტემატური დალაგების ხასიათი და არა აზროვნების ელემენტური ლოგიკური ფორმების ნაძალადევი გადაილექტიკურების ხასიათი.

ადამიანური აზროვნების განვითარების ასეული და ათასეული წლების მანძილზე ჩამოყალიბებული აზროვნების ფორმები თავისთავად არც იდეალისტურია და არც მეტაფიზიკური. ის არის აზროვნების სინამდვილის გარკვეული მომენტები, რომელსაც თავისთავად ემორჩილება ყოველი ნორმალურად მოაზროვნე ადამიანი. ამ დებულების გასაბათილებლად იდეალისტური და მეტაფიზიკური აზროვნების ფაქტზე მითითება ლოგიკის მეცნიერების საგნისა და ამოცანების სრულ გაუგებრობას ნიშნავს.

აზროვნების ლოგიკური ფორმები რომელიმე ერთი პიროვნების შექმნილი როდია, რომ ამ პიროვნების მსოფლმხედველობის მიხედვით შეეფასათ ამ ფორმების ვარგისიანობა. ლოგიკური აზროვნების ფორმები ყალიბდებოდა და ყალიბდება წარმოებისა და პრაქტიკის, მეცნიერებისა და კულტურის ხანგრძლივ ისტორიულ განვითარებაში. ეს ფორმები ახასიათებს საერთოდ ადამიანურ ცნობიერებას და ისევე შეუძლებელია ლაპარაკი მათ კლასობრიობაზე, როგორც ეს შეუძლებელია ენის მიმართ.

ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ამითიმ საერთო-სახალხო ენას ისევე

ხმარობს ექსპლოატატორული კლასის წარმომადგენელი, როგორც ექსპლოატორებული კლასის წარმომადგენელი. აქედან კი ის გამომდინარეობს, — გვასწავლის ი. სტალინი, — რომ შეუძლებელია ლაპარაკი ენის კლასობრივ მიკუთვნებაზე.

იგივე ითქმის აზროვნების ლოგიკური ფორმების შესახებაც. კლასობრივი და პარტიულია ის შინაარსი, რომელიც ამ სიტყვებში — „მატერიალურ ენობრივ გარსში“ და ამ ლოგიკურ ფორმებშია გახვეული და არა თვით სიტყვება და ლოგიკური ფორმები.

კლასობრივია ადამიანის შეხედულებანი, წარმოდგენები, იდეები, თეორიები, მოკლედ, მისი ცნობიერების შინაარსი, მაგრამ არა თვით აპარატო ცნობიერებისა — ის ბუნებრივ-ლოგიკური ფორმები, რომლებშიაც ყალიბდება ეს კლასობრივი იდეები, წარმოდგენები და შეხედულებანი. ცნობიერების აპარატი — აზროვნების უნარი მხოლოდ იმდენადაა კლასობრივი, რამდენადაც არ არსებობს ცნობიერება აბსტრაქტული — რაიმე კონკრეტული კლასობრივი იდეების შეხედულებებისა და წარმოდგენების გარეშე. ამით აიხსნება, სხვათა შორის, რომ საბოლოო ანგარიშით არ არსებობს შუა ხაზი მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის, სოციალისტურ იდეოლოგიასა და ბურჟუაზიულ იდეოლოგიას შორის.

ქეშმარიტება ერთია და მისი გამოვლენისა და გადმოცემის ბუნებრივი ლოგიკური ფორმებიც ერთია. თუ რომელიმე კლასის წარმომადგენელი არ ემორჩილება აზროვნების ამ ფორმებს, ეს იმას ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს არასწორ, არაქეშმარიტ აზროვნებასთან და არა ორი სახის ქეშმარიტ აზროვნებასთან.

ლოგიკური აზროვნების წესებისა და კანონების ბუნებრივი ხასიათი გამოირჩევა ორგვარი ლოგიკის შესახებულობას. ცხადია, ნამდვილი მეცნიერე-

ბისაგან შორს არის ძირმომავალი იმპერიალიზმის დაჭირავებულნი მკვლევარების „ლოგიკა“, რამდენადაც არ ერიდება აზროვნების ელემენტარული ლოგიკური წესების დარღვევას და რომელსაც დოლარის ძალა გახაგებს.

ენის კლასიკური განსაზღვრითა და იმ განსხვავების ჩვენებით, რომელიც არსებობს ენასა და დიალექტებს შორის, ი. სტალინი კიდევ ერთხელ ცხადყოფს მარქსისტული დიალექტიკური ლოგიკის არსებითს თავისებურებას და დანიშნულებას — მოვლენის ყოველმხრივი ანალიზით შეისწავლოს მისი ბუნება, ზოგად და სპეციფიკურ ნიშანთვისებათა ზუსტი დადგენით გამოხატოს მოვლენათა სისტემის კავშირურთიერთობის ფორმები და განსაზღვროს ამათუიმ მეცნიერების საგანი, მეთოდი და მიზანი.

ლოგიკა როგორც მეცნიერება აზროვნების შესახებ სწავლობს აზროვნების ფორმებსა და კანონებს. დიალექტიკა, როგორც აზროვნების თეორია, არის საშუალება ანუ მეთოდი აზროვნების გარკვეულობისა და კონკრეტულობის მისაღწევად. რა არის ამ მეთოდის შინაარსი და როგორ ვაღწევთ ჩვენ აზრის კონკრეტულობას? დიალექტიკური ლოგიკის შინაარსი მთელი სინამდვილის ზოგადი კანონზომიერებაა. მოვლენების შესწავლისას ამ კანონზომიერებათა ზუსტი გათვალისწინება და აზროვნების ფორმების სწორი გამოყენების ცნობიერი კონტროლი — აი გზა აზრის გარკვეულობისა და კონკრეტულობის მისაღწევად.

ი. სტალინის ამ შრომებში, ისევე როგორც ყოველ მის შრომაში, ნათლად მოჩანს სტალინური ლოგიკის ძალა, გარკვეულობისა და კონკრეტულობის ძალა.

ი. სტალინის ამ უკვდავი შრომებით ჩვენ ვსწავლობთ არამარტო მეცნიერებათა ამათუიმ ცალკეულ საკითხებს,

არამედ იმასაც, თუ როგორ უნდა ვიან-
როვნოთ, ჩვენ ვსწავლობთ საბჭოთა
მარქსისტულ-დიალექტიკურ ლოგიკას.

ენის განსაზღვრა როდი ამოსწურავს
ენის მთელ ცოცხალ ბუნებას; იგი მხო-
ლოდ გამოხატავს იმ ძირითადს, რასაც
ენა წარმოადგენს. მაგრამ ენას აქვს
აგრეთვე თავისი შემადგენელი ელემენ-
ტები, რომლებიც შეადგენენ მის სა-
ფუძვლებს და მისი სპეციფიკის არსს.

ი. სტალინი გვასწავლის, რომ ენას,
როგორც ურთიერთგაგებინების იარაღს
(და, მასმასალამე, საზოგადოებრივი გან-
ვითარების ერთერთ ფაქტორს), აქვს
თავისი მასალა და თავისი ფორმა
თავისი სტრუქტურა. ენის მასალა — ეს
არის ენის ეგრეთწოდებული ლექსიკუ-
რი შედგენილობა, რომელშიც მთავარია
ძირითადი ლექსიკური ფონდი. ენის ძი-
რითადი ლექსიკური ფონდის სიმდიდ-
რე და მრავალფეროვნება განსაზღვ-
რავს ენის განვითარების დონეს.

ენა წარმოუდგენელია ლექსიკური
ფონდის გარეშე, მაგრამ იგი ჯერ კი-
დეც ვერ განსაზღვრავს ენას. ენისათ-
ვის აუცილებელია ლექსიკური ფონდი
დაუქვემდებარდეს გარკვეულ გრამატი-
კულ კანონებს. „გრამატიკა (მორ-
ფოლოგია, სინტაქსი), — გვასწავლის
ი. სტალინი, — სიტყვათა ცვლილების
და წინადადებაში სიტყვათა შეკავ-
შირების წესების კრებულია“.¹ სწო-
რედ გრამატიკის საშუალებით აყალი-
ბებს ადამიანი თავის აზრს მატერია-
ლურ ენობრივ გარესში.

ი. სტალინი იძლევა როგორც ენის
ლექსიკური შედგენილობის, ისე გრამა-
ტიკის ფართო განმარტებას, მის დეტა-
ლურ ანალიზს. „გრამატიკის დამახასია-
თებელი ნიშანი ისაა, — ამბობს ამხანაგი
სტალინი, რომ იგი გვაძლევს სიტყვათა

ცვალებადობის წესებს, მსგავსელებში
აქვს რა არა კონკრეტულმა კონკრეტებმა
არამედ საერთოდ სიტყვები, რომლებიც
მოკლებული არიან ყოველივე კონკ-
რეტულობას; გრამატიკა გვაძლევს წე-
სებს წინადადებათა შესადგენად, მხედ-
ველობაში აქვს რა არა ესა თუ ის კონ-
კრეტული წინადადება, ვთქვათ, კონკ-
რეტული ქვემდებარე, კონკრეტული
შემასმენელი და ა. შ., არამედ საერთოდ
ყოველგვარი წინადადება, მიუხედავად
იმისა, თუ როგორია ამა თუ იმ წინადა-
დების კონკრეტული ფორმა. მასმასალა-
მე, აბტრაქციას ახდენს რა კერძოსა და
კონკრეტულისაგან, როგორც სიტყვებ-
ში, ისე წინადადებაებში, გრამატიკა
იღებს იმ ზოგადს, რაც საფუძვლად
უძეებს სიტყვათა ცვალებადობას და წი-
ნადადებაებში სიტყვათა შეკავშირებას,
და მისგან ქმნის გრამატიკულ წესებს,
გრამატიკულ კანონებს. გრამატიკა ადა-
მიანის აზროვნების ხანგრძლივი, აბსტ-
რაქციის მომხდენი მუშაობის შედეგია,
აზროვნების უდიდეს წარმატებათა მა-
ჩვენებელია“.¹

ენისა და აზროვნების განუყრელი
კავშირი და ერთიანობა, რასაც განსა-
კუთრებით უსვამს ხაზს ი. სტალინი
აუცილებელს ხდის გრამატიკისა და
ლოგიკის ურთიერთმიმართების კვლე-
ვასაც. სწორედ ამ ურთიერთმიმართე-
ბის დასადგენად არის უაღრესად მნიშ-
ვნელოვანი ი. სტალინის აზრები გრამა-
ტიკაზე.

ლოგიკაც, ისევე როგორც გრამატი-
კა, ადამიანის აზროვნების ხანგრძლივი
აბსტრაქციის მომხდენი მუშაობის შე-
დეგია და აზროვნების უდიდეს წარმა-
ტებას ნიშნავს. ლოგიკაც, ისევე რო-
გორც გრამატიკა, თავის წესებსა და კა-
ნონებს იკვლევს აზრის ფორმის აბსტ-
რაქციით მისი კონკრეტული შინაარსი-
საგან, აზროვნების ლოგიკური აქტის
ზოგად კანონზომიერებათა დაქვეით

¹ ი. სტალინი, „მარქსიზმის შესახებ ენათ-
მეცნიერებაში“ გვ. 24

და მისი ანალიზით. ამ მხრივ გრამატიკა ლოგიკასაც ისევე ჰგავს, როგორც გეომეტრიას. მაგრამ ლოგიკისა და გრამატიკის მსგავსება ამით უნდა ამოიწურებოდეს. გრამატიკა აზროვნების მატერიალურ ენობრივი გარსის კანონზომიერებაა, ლოგიკა კი—ამ მატერიალურ გარსში გახვეული აზრის ფორმათა კანონზომიერება. ენათმეცნიერებას (კერძოდ, გრამატიკასა) და ლოგიკას შორის მიმართების თავისებურებასაც სებით განპირობებულა ენასა და აზროვნებას შორის მიმართების თავისებურებით. ურთიერთ თანამშრომლობა ენათმეცნიერებასა და ლოგიკისებს შორის ენისა და აზროვნების — გრამატიკისა და ლოგიკის ამ ურთიერთშემატების კვლევის ზაზით უნდა წარიმართოს.

ენა ადამიანთა ურთიერთგაგებინების საშუალებაა. როგორ ახორციელებს ენა ამ თავის არსებით ფუნქციას? ამის შესახებ ი. სტალინი წერს: „რაკი უშუალოდ დაკავშირებულია აზროვნებასთან, ენა სიტყვებით და წინადადებაში სიტყვათა შეკავშირებით აღწესსავს და აღბეჭდავს აზროვნების მუშაობის შედეგს, ადამიანის შემეცნებითი მუშაობის წარმატებას და, ამრიგად, შესაძლებელ ხდის აზრთა გაცვლას ადამიანთა საზოგადოებაში“.¹

ბელადის ამ სიტყვებში განმარტებულია არა მარტო ენისა და მეტყველების პროცესი, არამედ აზროვნების პროცესიც. აზროვნების აქტის ერთადერთი შინაარსი სამყაროს მრავალფეროვანი მოვლენების შემეცნებაა. მოვლენის შემეცნება შეიძლება მოვლენის არსში შეჭრით. მოვლენის არსი კი გამოიხატება ცნებით. სინამდვილის კანონზომიერებათა ამსახველ ცნებათა და ცნებებს შორის მიმართებათა დადგენა ადამიანის შემეცნებითი მუშაობის ერთადერთი შინაარსია. ადამიანის გონების ეს შემეცნებითი მუშაობა აღბეჭდება და აღიწესსება ენაში სიტყვებითა და წინა-

დადებაში სიტყვათა შეკავშირებით. ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ყოველი სიტყვა იყოს ცნება, და ყოველი წინადადება — ცნებათა კავშირი.

ენის შემადგენელი ელემენტების ამომწურავი ანალიზის ფონზე ი. სტალინი იძლევა ენის განვითარების ძირითად კანონზომიერებათა მკაფიო დახასიათებას.

ენა, — როგორც ი. სტალინი განმარტავს, — წარმოიშობა საუკუნეთა მანძილზე საზოგადოების ისტორიისა და ბაზისების ისტორიის მთელი მსვლელობით, იგი არის პროდუქტი მთელი რიგი ეპოქებისა, რომელთა მანძილზეც იგი ყალიბდება და მდიდრდება, ვითარდება, და იხვეწება.

ენები განვითარების ამ ხანგრძლივ გზაზე ვაივლიან სხვადასხვა ეტაპებს: საგვარეულო ენებიდან ტომების ენებამდე, ტომების ენებიდან ხალხების ენებამდე და ხალხების ენებიდან ეროვნულ ენებამდე.

წინააღმდეგ ნ. ი. პარისა და მისი მიმდევრებისა, ი. სტალინი მკვეთრად განასხვავებს ენას ზედნაშენისაგან და ასაბუთებს, რომ ბაზისის ცვლილება არ იწვევს ენის ცვლილებას. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ენასა და ბაზისს შორის არავითარი დამოკიდებულება არ იყოს. ენა, რომლის მოქმედების სფერო მოიცავს ბაზისსაც და ზედნაშენსაც, ასახავს ბაზისსა და ზედნაშენის ცვლილებებს, და სწორედ ამამი მდგომარეობს და ამითვე ამოიწურება დამოკიდებულება ენასა და ბაზისს შორის.

რამი გამოიხატება ენის მიერ ბაზისისა და ზედნაშენის ცვლილებათა ასახვა? — იესება და მდიდრდება ენის ლექსიკური შედგენილობა, ხმარებიდან გამოდის ზოგიერთი მოქველებული სიტყვა, იცვლება ზოგიერთი სიტყვის აზრობრივი მნიშვნელობა, უმჯობესდება ენის გრამატიკული წყობა, მაგრამ რაც შეე-

¹ იქვე, № 23.

ზება ენის სტრუქტურას, მისი გრამატიკული წყობით და ძირითადი ლექსიკური ფონდით, იგი მთელი თავისი არსით რჩება როგორც ამ ენის არსებობისა და განვითარების საფუძველი.

უაღრესად საყურადღებოა ი. სტალინის მიერ მიცემული ანალიზი ენის ამ ცვლილებათა ხასიათისა—ზედნაშენის ცვლილებისაგან განსხვავებით.

ი. სტალინი გვასწავლის, რომ ზედნაშენი წარმოებასთან დაკავშირებულია მხოლოდ არაპირდაპირ, ეკონომიკის შესწევობით, ბაზისის მეშვეობით. ამიტომ ზედნაშენი საწარმოო ძალთა განვითარების დონის ცვლილებებს ასახავს არა ერთბაშად და არა პირდაპირ, არამედ ბაზისის ცვლილებათა შემდეგ, ბაზისის ცვლილებებში წარმოების ცვლილებათა ასახვის საშუალებით. ენა კი უშუალოდ არის დაკავშირებული ადამიანის საწარმოო საქმიანობასთან, ისევე როგორც ყოველგვარ საქმიანობასთან საერთოდ მისი მუშაობის ყველა სფეროში „წარმოებიდან ბაზისამდე, ბაზისიდან ზედნაშენამდე“ (ი. სტალინი). ამიტომ ენა წარმოების ცვლილებებს ასახავს ერთბაშად და უშუალოდ, იგარ ელოდება ბაზისის ცვლილებებს. „ამით აიხსნება, — წერს ი. სტალინი, — რომ ენა, საკუთრივ მისი ლექსიკური შედგენილობა, თითქმის განუწყვეტლივ იცვლება. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და ტრანსპორტის, ტექნიკისა და მეცნიერების განუწყვეტელი ზრდა ენისაგან მოითხოვს მისი ლექსიკის შევსებას ახალი სიტყვებითა და გამოთქმებით, რომლებიც საჭიროა მათი მუშაობისათვის. და ენა, უშუალოდ ასახავს რა ამ საჭიროებას, აესებს თავის ლექსიკას ახალი სიტყვებით, საულყოფს თავის გრამატიკულ წყობას“.¹

ი. სტალინის მოძღვრებამ ენის თანდათანობითი განუწყვეტელი განვითარე-

ბის შესახებ ნიადაგი გამოაცალა. ი. მარის ე. წ. სტალინის მოძღვრების, რომლის მიხედვითაც თითქოს ენის განვითარებაში ადგილი აქვს რევოლუციურ აფეთქებებს, ენის ერთი თვისობრიობიდან მეორე თვისობრიობაში ნახტომურ გადასვლებს. ი. სტალინი განმარტავს რომ ასეთი შეხედულების მარქსისტულ თეორიად გამოცხადება წარმოადგენს მარქსიზმის ვულგარიზაციას, მის დამახინჯებას, მარქსიზმის გულის — დიალექტიკის გადაქცევას ღოგმათა მეტაფიზიკურ კრებულად.

„დიდი შეცდომა იქნებოდა, — წერს ი. სტალინი, — თუ ვიფიქრებდით, რომ ენის განვითარება ისევე ხდებოდა, როგორც ზედნაშენის განვითარება: არსებულის მოსპობისა და ახლის შექმნის გზით. ნამდვილად ენის განვითარება ხდებოდა არა არსებული ენის მოსპობისა და ახლის შექმნის გზით, არამედ არსებული ენის ძირითადი ელემენტების გაშლისა და სრულყოფის გზით. ამასთან ენის ერთი თვისობრიობიდან მეორე თვისობრიობაში გადასვლა ხდებოდა არა აფეთქების გზით, არა ძველის ერთბაშად მოსპობისა და ახლის შექმნის გზით, არამედ ენის ახალი თვისობრიობის, ახალი სტრუქტურის ელემენტების თანდათანობითი და ხანგრძლივი დაგროვების გზით, ძველი თვისობრიობის ელემენტების თანდათანობითი კვდომის გზით“.¹

ი. სტალინი იძლევა იმ შეხედულების გამანადგურებელ კრიტიკას, რომ თითქოს ისტორიაში მომხდარი ენების შეჯვარების მრავალი ფაქტი იძლეოდეს საფუძველს ვიფიქროთ, რომ შეჯვარების დროს ხდება ახალი ენების წარმოშობა აფეთქების გზით, ამ შეხედულების უსუსურობა იმაში მდგომარეობს, — გვასწავლის ი. სტალინი, — რომ, ჯერ ერთი, შეჯვარება ხანგრძლივი პროცესია და არა გადამწყვეტი დარტყმის

ერთეული აქტი, რომ, მაშასადამე, ადგილი არა აქვს არავითარ უცაბედ აფეთქებებს, და შემდეგ, შეჯვარების შედეგად მიიღება არა ახალი, მესამე ენა არამედ ხდება ერთი ენის განვითარება, გამდიდრება დამარცხებული ენის ხარჯზე. დამარცხებული ენა კი თანდათან კვდება.

გარდა ამისა, ი. სტალინი შეჯვარების მარისეული თეორიის უეარგისობას იმაში ხედავს, რომ ეს თეორია არც კი აყენებს ენათმეცნიერების ძირითად ამოცანას — ენის განვითარების შინაგანი კანონების შესწავლას.

„საერთოდ უნდა ითქვას იმ აზრანაგების საყურადღებოდ, — წერს ი. სტალინი, — რომლებიც გატაცებული არიან აფეთქებებით, რომ ძველი თვისობრიობიდან ახალში აფეთქების გზით გადასვლის კანონი არ შეესაბამება არა მარტო ენის განვითარების ისტორიას, არამედ ყოველთვის როდი შეესაბამება საბაზისო ან ზედნაშენური ხასიათის სხვა საზოგადოებრივ მოვლენებსაც. იგი სავალდებულოა მტრულ კლასებად დაყოფილი საზოგადოებისათვის. მაგრამ იგი სრულიადაც არ არის სავალდებულო ისეთი საზოგადოებისათვის, რომელშიც მტრული კლასები არ არის. 8—10 წლის მანძილზე ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობაში განვითარებული ბურჟუაზიული ინდივიდუალურ-გლეხური წყობილებიდან სოციალისტურ, საკოლმეურნეო წყობილებაზე გადასვლა. ეს იყო რევოლუცია, რომელმაც სოფლად მოსპო ძველი ბურჟუაზიული სამეურნეო წყობილება და შექმნა ახალი, სოციალისტური წყობილება. მაგრამ ეს გადატრიალება მოხდა არა აფეთქების გზით, ე. ი. არა არსებული ხელისუფლების დამხობისა და ახალი ხელისუფლების შექმნის გზით, არამედ სოფლად ძველი ბურჟუაზიული წყობილებიდან ახალ წყობილებაზე თანდათანობითი გადასვლის გზით. ეს კი იმიტომ მოხერხდა, რომ ეს იყო რევოლუცია

ზევიდან, რომ გადატრიალება მოხდა არსებული ხელისუფლების ინტელექტუალური და გლეხობის ძირითადი მასების მხარდაჭერით“.¹

ენის შესახებ ნ. ი. მარის მცდარ, არამარქსისტულ შეხედულებათა კრიტიკით და ენის განვითარების ძირითად კანონზომიერებათა ანალიზით ი. სტალინიმა კიდევ უფრო ნათელი გახადა საზოგადოებრივი განვითარების ევოლუციური და რევოლუციური ფორმების ურთიერთობის საკითხი.

ი. სტალინი გვასწავლის, რომ არსებობს პრინციპული განსხვავება ენათა შეჯვარების ფორმებს შორის მთელს მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვებამდე და მის შემდეგ.

ეპოქა მთელს მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვებამდე იმით ხასიათდება, რომ ექსპლოატატორული კლასები გამატონებულ ძალას წარმოადგენენ, არსებობს ნაციონალური და კოლონიური ჩაგვრა, ნაციონალური განკერძოებულობა, ერებს შორის უნდობლობა და უთანასწორობა.

ასეთ პირობებში, — გვასწავლის ი. სტალინი, — ენათა შეჯვარება წარმოებს ცალკეული ენების გამატონებისათვის ბრძოლის ფორმით. არ არსებობს პირობები ეროვნებათა და ენათა მშვიდობიანი მეგობრული თანამშრომლობისათვის. ენების თანამშრომლობისა და ურთიერთგამდიდრების ხაცკლად ადგილი აქვს ერთი ენის ასიმილაციას და მეორის გამარჯვებას.

ვახაგებია, რომ ასეთი საზოგადოებრივი წყობილების დროს არსებობენ მხოლოდ გამარჯვებული და დამარცხებული ენები და ზედმეტია ლაპარაკი რაიმე ახალი, მესამე ენის წარმოქმნაზე.

ასეთია ენათა შეჯვარების თავისებურება მთელს მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვების ეპოქამდე.

მაგრამ სულ სხვაგვარია ენათა შეჯვარებისა და განვითარების კანონზომიერ-

¹ იქვე. გვ. 29—30.



რება მთელს მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვების შემდგომ ეპოქაში.

მარქსმა და ენგელსმა აღმოაჩინეს, რომ კაპიტალისტური საზოგადოების დამშობა და სოციალისტური საზოგადოების გამარჯვება ბუნებრივ-ისტორიული აუცილებლობაა, რომ ამ აუცილებლობას განაპირობებს კაპიტალისტური საზოგადოების შეუჩრვებელი შინაგანი წინააღმდეგობანი.

ლენინმა და სტალინმა კიდევ უფრო განავითარეს და გაამდიდრეს მარქსიზმი ახალ-ახალი აღმოჩენებით ახალ კონკრეტულ ისტორიულ პირობებთან შეფარდებით.

ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის უდიდეს გამოცდილებათა განზოგადების საფუძველზე ი. სტალინმა შექმნა მთლიანი მოძღვრება კომუნისტური საზოგადოების გამარჯვებისა, მისი სტრუქტურისა და კომუნისმის ეპოქაში ცალკეულ საზოგადოებრივ ზოგუნათა განვითარების კანონზომიერებათა შესახებ.

მთელი მსოფლიოს მასშტაბით სოციალიზმის გამარჯვების შემდგომ ეპოქაში, — გვასწავლის ი. სტალინი, — აღარ იარსებებს მსოფლიო იმპერიალიზმი; ექსპლუატატორული კლასები მოიშობიან; ლიკვიდირებული იქნება ნაციონალური და კოლონიური ჩაგვრა; ნაციონალური განკერძოებულობა და ეროვნებათა ურთიერთუნდობლობა შეიცვლება ერთა ურთიერთნდობითა და დაახლოებით; განხორციელდება ნამდვილი ნაციონალური თანასწორუფლება; ლიკვიდირებული იქნება ენათა ჩახშობისა და ასიმილაციის პოლიტიკა; დაკვიდრდება ენათა თანამშრომლობა და ნაციონალურ ენებს ექნებათ შესაძლებლობა თავისუფლად გაამდიდრონ ერთმანეთი ურთიერთთანამშრომლობის გზით. „გასაგებია, რომ ამ პირობებში, — წერს ი. სტალინი, — ლაპარაკიც არ შეიძლება ზოგი ენის ჩახშობასა და დამარცხებაზე და სხვა ენების გამარ-

ჯვებაზე. აქ საქმე გვექნება არა რენასთან, რომელთაგან ერთი მარქსებმა, მეორე კი ბრძოლაში გამარჯვებული გამოდის, არამედ ასობით ეროვნულ რენასთან, რომელთაგან ერთა ხანგრძლივი ეკონომიური, პოლიტიკური და კულტურული თანამშრომლობის შედეგად გამოიყოფა ჯერ ყველაზე მეტად გამდიდრებული ერთიანი ზონალური ენები, შემდეგ კი ზონალური ენები შეერთდებიან ერთ საერთო საერთაშორისო ენად, რომელიც, რასაკვირველია, არც გერმანული ენა იქნება, არც რუსული, არც ინგლისური, არამედ იქნება ახალი ენა, რომელმაც შეითვისა ეროვნული და ზონალური ენების საუკეთესო ელემენტები“.¹

კომუნისმის გამარჯვება მთელს მსოფლიოში გარდაუვალი ბუნებრივ-ისტორიული აუცილებლობაა. ჩვენი მომავალი თაობები საკუთარი თვლით ნახავენ დიდი ბელადის ამ გენიალური პროგნოზის განამდიდრებას.



ი. სტალინის შრომები ენათმეცნიერების საკითხებზე ამოუწურავია აზრების სიღრმითა და მრავალფეროვანებით. ამ შრომებში დასმული და გადაწყვეტილია არამარტო ენათმეცნიერების სპეციალური საკითხები, არამედ, მოცემულია აგრეთვე სახელმძღვანელო დებულებანი მარქსისტული ფილოსოფიის, კერძოდ ისტორიული მატერიალიზმის, მატერიალისტური დიალექტიკის, ლოგიკისა და გნოსეოლოგიის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხების გადასაჭრელად. შეიძლება დაეასახელოთ რამდენიმე ამ საკითხთაგანი: ბაზისისა და ზედნაშენის ურთიერთდამოკიდებულება და თითოეული მათგანის როლი საზოგადოებრივი განვი-

¹ იხ. ი. სტალინი, „მასუხი ამხანაგებს“, გვ. 27 — 28.

თარების პროცესში; ეროვნული კულტურის ფორმისა და შინაარსის საკითხი სოციალისტურ საზოგადოებაში; მარქსისტული დიალექტიკის მოქმედების კონკრეტული ფორმები ახალ პირობებსა და ახალ საზოგადოებრივ მოვლენებში; ჰუმანიტების კონკრეტულობისა და ლოგიკის მეცნიერების საგნისა და მიზნის საკითხი; ლოგიკის მიმართება გრამატიკასთან; აზროვნების წყაროები. სააზროვნო მასალის ფორმირების პრობლემა ადამიანთა ცნობიერებასა და შეტყველებაში; კრიტიკის თავისუფლების როლისა და დანიშნულების საკითხი სოციალისტურ საზოგადოებაში და სხვ.

ი. სტალინს მოჰყავს მთელი რიგი მაგალითები ენათა და ხალხთა ისტორიადან, სადაც ნათლად ჩანს, თუ რაოდენ უზარმაზარი ფაქტიური მასალის ანალიზსა და განზოგადებას იძლევა ბელადი მის ამ უკედევ შრომებში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ შრომებში მოცემული მკაცრი კრიტიკა მარისა და მისი მოწაფეების კადნიერი, ყოყოჩა, ქედმაღლური კილოსი, რაც შეუფერებელია მარქსიზმისათვის.

პროლეტარიატის დიდი ბელადები ყოველთვის გვასწავლიდნენ, რომ თავმდაბლობა და უბრალოება ადამიანის ყველაზე ძვირფასი თვისებაა. მით უმეტეს ეს ითქმის მეცნიერთა მიმართ. მეცნიერებაში თვითღარწმუნებულობა და ყოყოჩობა არამარტო შეუფერებელი საქციელია საბჭოთა ადამიანისათვის, არამედ ერთგვარი მავნებლობაცაა, რამდენადაც იგი ხელს უშლის მეცნიერების წინსვლასა და საზოგადოების საერთო კულტურულ პროგრესს. ი. სტალინი განმარტავს, რომ ნ. ი. მარის მიერ ენათმეცნიერების ისტორიულ მემკვიდრეობაზე უარისთქმა არამარტო მეთოდური, არამედ სერიოზული თეორიული შეცდომაა.

ამათემ მეცნიერების წარსული ისტორიული მემკვიდრეობის კარგად შესწავლა არსებითი მოთხოვნაა ყოველი დარგის მკვლევარისათვის. ი. სტალინს მოჰყავს შესანიშნავი მაგალითი მარქსამდელი მეცნიერებისა და ფილოსოფიისადმი მარქსის და ენგელსის დამოკიდებულების შესახებ. „რაოდენ უფრო თავმდაბალი იყვნენ მარქსი და ენგელსი: მათ მიაჩნდათ, რომ მათი დიალექტიკური მატერიალიზმი წინაპერიოდის მეცნიერებათა, მათ შორის ფილოსოფიის განვითარების ნაყოფია“.¹

დიდი ბელადის ამ სიტყვებში კიდევ ერთხელ განსაკუთრებული სიცხადითაა ნაჩვენები, რომ მარქსიზმი, როგორც ახალი რევოლუციური მსოფლმხედველობა, შემთხვევით არ გაჩენილა, რომ მას თავისი წყაროები და წინაპირობები გააჩნდა; რომ დიალექტიკური მატერიალიზმის ჩამოყალიბება მომზადებული იყო მეცნიერების, კულტურისა და რევოლუციური მოძრაობის ისტორიის მთელი მსვლელობით; რომ, მასხადაძე, მარქსიზმი პირდაპირი და უშუალო განგრძობაა ყოველივე იმ პროგრესულისა და მოწინავესი, რაც კი კაცობრიობას შეუქმნია.

მაგრამ, ბელადის ამ სიტყვებში ისაც ჩანს, რომ მარქსიზმი თვისობრივად ახალი ფილოსოფიური თეორიაა. მარქსიზმის ეს თვისობრივი რევოლუციური სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ იგი გაჩნდა როგორც პროლეტართა მასების მსოფლმხედველობა, როგორც მეცნიერება ბუნებისა და საზოგადოების განვითარების კანონთა შესახებ, მეცნიერება დამაგრული და ექსპლოატირებული მასების რევოლუციის შესახებ, მეცნიერება ყველა ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ, მეცნიე-

¹ ი. სტალინი „მარქსიზმის შესახებ ენათმეცნიერებაში“, გვ. 35.



რება კომუნისტური საზოგადოების
შენეშობის შესახებ“.¹

აქედან გასაგებია, რომ მარქსიზმის
წარმოშობა ნიშნავდა ძველი ფილოსო-
ფიის დასასრულს, რამდენადაც მარქ-
სიზმმა მოითხოვა მატერიალისტური
თეორიისა და დიალექტიკური მეთოდის
“გადატანა“ და დამკვიდრება იქ, საი-
დანაც ისინი თვითვე არიან აბსტრაგი-
რებულნი, — კონკრეტულ მეცნიერე-
ბებში ბუნებისა და საზოგადოების შე-
სახებ. მარქსიზმმა მოხსნა ძველი ფი-
ლოსოფია მისი შინაარსით.

ახალი მარქსისტული ფილოსოფიის
ერთადერთი შინაარსია პოზიტიურ მე-
ცნიერებათა შედეგებისა და ადამიანთა
პრაქტიკულ-რეველუციური მოღვაწეო-
ბის გამოცდილებათა გაერთიანება და
განზოგადება დიალექტიკური აზროვნე-
ბის საშუალებით. მაშასადამე, ეს არის
მეცნიერება დიალექტიკური აზროვნე-
ბის შესახებ, სინამდვილის მოვლენების
შემეცნებისა და გარდაქმნის მეთოდის
შესახებ.

ი. სტალინის შრომები ენათმეცნიერე-

ბის საკითხებზე, ისე როგორც მისი ყვე-
ლი შრომა, დიალექტიკური აზროვნე-
ბის კლასიკური ნიმუში და დიალექ-
ტიკური აზროვნების შეუდარებელი სა-
ხელმძღვანელოა.

ი. სტალინის ეს შრომები ცოცხალი
კონკრეტული განხორციელებაა მარქსის-
ტულ-ლენინურ მსოფლმხედველობასა
და ცალკეულ მეცნიერებათა შორის
ქმედითი კავშირისა, ცოცხალი, კონ-
კრეტული მ.გალითია იმისა, თუ როგორ
განაპირობებს ცალკეულ პოზიტიურ
მეცნიერებათა განვითარება მარქსიზმ
ლენინიზმის თეორიის განვითარებას და
პირიქით.

ი. სტალინის ამ შრომებს, ისევე რო-
გორც ყოველ მის შრომას, უნდა დაე-
უფლოს ყოველი საბჭოთა ადამიანი.
იგი ემსახურება საბჭოთა მეცნიერებისა
და კულტურის აყვავების საქმეს და
გვაიარაღებს ჩვენ კომუნისმის საბო-
ლო გამარჯვების საქმისათვის საბრ-
ძოლველად, ინგლის-ამერიკის ძირმომ-
პალი რეაქციული იმპერიალიზმის გა-
ხრწნილი მეცნიერებისა და კულტურის
წინააღმდეგ საბრძოლველად.

¹ ი. სტალინი, „პოსუბი ამხანაგებს“, გვ. 30.

თანამედროვე სოციალ-განმანათლებლის იდეოლოგია



მემარჯვენე სოციალისტების იდეოლოგიისა და პოლიტიკისადმი ინტერესს ჩვენთვის არა აქვს განყენებული აკადემიური ხასიათი. მემარჯვენე სოციალისტები ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში წარმოადგენენ აქტიურსა და ორგანიზებულ ჯგუფს იმპერიალისტური ბანაკისა, რომელსაც ჩრდილო ამერიკის შ. შ.-ის ომის გამწვანებელი მმართველურები ბელმძღვანელობენ.

თავიდანვე უნდა აღვნიშნოთ რამდენიმე სირთულე, რომელიც ახლავს ასეთი წერილის დამუშავებას.

პირველი — სრულიად შეუძლებელია ეძიოს ადამიანმა რაიმე სისტემა, მსოფლმხედველობის გარკვეულობა, პრინციპულობა მემარჯვენე სოციალისტების იდეოლოგიაში, თუ საერთოდ შეიძლება იდეოლოგია ვეწოდოთ იმ კონკლომერატს აზრებისა და დებულებებისა, რასაც ისინი აღიარებენ.

მეორე — სულ უფრო და უფრო ძნელი ხდება გამოყოფა მემარჯვენე სოციალისტების მსოფლმხედველობისა კაპიტალისტური რეაქციის მისტიკური, არაციონალური, რელიგიური იდეოლოგიიდან. ძნელია იმის გამოარკვევა, თუ სად იწყება შევხველი მებრძოლი კათოლიციზმის ფილოსოფია ნეოსკოლასტიკოს ეკ მარტიტენისა და სად თავდება ლეონ ბლუმის ეთიკური, რელიგიური სოციალიზმის ქადაგება. სკრუპულოზური ძალიან დაკვირვებელი ანალიზიცი ვერ გააარკვევს, თუ რა განსხვავება არსებობს თანამედროვე ფუნქციონალისტების—თან პოლ სარ-

ტის, ჰაიდიგერის, იასპერსის თუ მათ მასწავლებლებს ჰუსერლისა და კიერკოგორის მისტიციზმით მოცულ სოციალისტურ ბოღვასა და მემარჯვენე სოციალისტების შულცის, ოსკარ პოლაკის, გუსტავ პიტშის, პაულ ტილიზის პეშმარტიტებისა და ახალი ფილოსოფიის ძიებას შორის.

დამყარდა გარკვეული კანონზომიერება. რაც უფრო განწირული ხდება კაპიტალისტური სამყარო, რაც უფრო ახლოვდება ეპი კომუნიზმის გამარჯვებისა მსოფლიოში, მით უფრო აშკარა ხდება რეაქციის ძალთა კონსოლიდაცია. მე-19 საუკუნის 80-იან წლებში და მე-20 საუკუნის პირველ ათწლეულში კარლ კაუცკი, ადლერები, ჰილფერდინგი, ოტო ბაუერი და სხვები მოჩვენებით მაინც მარქსისტებად გვევლინებოდნენ. „იმ პერიოდში სოციალ-დემოკრატია ფორმალურად უერთდებოდა, ან თითქმის უერთდებოდა მარქსიზმს“.¹

თანამედროვე მემარჯვენე სოციალისტები კი პირდაპირ აღიარებენ, რომ მარქსიზმი მოძველებულია და საჭიროა ახალი მოძღვრების შექმნა საზოგადოებრივი ცხოვრების თანამედროვე მოვლენათა გასარკვევად.

ადალბერტ დუშეკი, ავსტრიელი მემარჯვენე სოციალისტი, სტატიაში „ვართ თუ არა ჩვენ კიდევ მარქსისტები?“ წერს: „ამ კითხვაზე ყოველგვარი ყოყმანის გარეშე ჩვენ უნდა გავცეთ

¹ ი. სტალინი. „ლენინიზმის საკითხები“, გვ. 249, თბილისი, 1935.



ერთადერთი პასუხი, რომ არაა. დუ-შეკი აცხადებს: «სრული უაზრობაა თანამედროვე სოციალიზმის აღიარება როგორც მაქსიზმისა. თანამედროვე სოციალიზმს სულ სხვა საფუძვლები და სულ სხვა მიზნები აქვს». ¹ ეს შემთხვევითი განცხადება როდია ვილაც მეორეხარისხოვანი თეორეტიკოსისა. ცნობილი რენერი, სოციალ-გამცემლობისა და ოპორტუნიზმის განთქმული პარტი-არქი, ბერნშტეინის დროიდან რალაც ინტოზაერად შემორჩენილი, იმავე განცხადებით გამოდის. რენერი ამტკიცებს, რომ მარქსიზმი XIX საუკუნის 50-იან წლებს უფრო შეეფერება. ვიდრე XX საუკუნეს, და რომ მარქსისტული დოგმების საშუალებით შეუძლებელია თანამედროვე ვითარების რთულ პირობებში გარკვევა. ასეთივე აზრისა იყო ლეონ ბლუმი, რომ არაფერი ვთქვათ ლასკისა და ლეიბორისტების სხვა თეორეტიკოსების შესახებ, რომლებიც სოციალური დემოკრატიის ინტერესებიდან გამომდინარენიც კი არასოდეს არ იზიარებდნენ მარქსიზმს, მაგრამ ასეა თუ ასე, ჩვენ არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიოთ მემარჯვენე სოციალიზმის არსებობას და მის გარკვეულ როლს კაპიტალისტური ქვეყნების საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამხანაგი სტალინი გვასწავლის: «ახლანდელი სოციალ-დემოკრატიზმი კაპიტალიზმის იდეური დასაყრდენია... შეუძლებელია კაპიტალიზმის ბოლოს მოღება, თუ ბოლო არ მოეღო სოციალ-დემოკრატიზმს. მუშათა მოძრაობაში.»

სოციალ-დემოკრატიამ, მემარჯვენე სოციალისტიკაში სრულიად გარკვეული როლი ითამაშეს XX საუკუნის ორი დიდი კრიზისის დროს. კაპიტალიზმის საფუძვლები პირველმა იმპერიალის-

ტურმა ომმა ძირიან-ფესვიანად შეაყიდა. დედამიწის ერთი მეექვსედმა და კაპიტალისტური სამყაროს საბჭოთა კავშირში დამყარდა პროლეტარიატის დიქტატურა. რევოლუციური ზღვა ბობოქრობდა მთელ მსოფლიოში. ბურჟუაზია ეძებდა გამოსავალს ამ უაღრესად კრიტიკული მდგომარეობიდან. ფაშიზმი, როგორც რეაქციის ძალთა ორგანიზაციის ახალი ფორმა, ჯერ არ იყო მიგნებული. მუსოლინი ლოზანაში იჯდა და ლამის კაბარებში ყავას შეექცეოდა. ადოლფ ჰიტლერი, უმუშევარი მღებავი, ავსტრიასა და ბავარიაში დაეხეტებოდა და მხატვრის ხელობაზე უფრო ოცნებობდა, ვიდრე პოლიტიკური მოღვაწის კარიერაზე.

ბურჟუაზიამ მიმართა თავის ძველ მსახურს — სოციალ-დემოკრატიას. სოციალ-დემოკრატია სასულე აღმოჩნდა, რომელმაც შეანელა რევოლუციური მოძრაობა და რეფორმისტულ კალაპოტში გადაიყვანა ის. შემდეგ სოციალ-დემოკრატია თავიდან მოიშორეს და რევოლუციის ჩახრჩობა ფაშიზმს დაევალა. თითქმის იგივე განმეორდა, მაგრამ რასაკვირველია, სხვა ფორმებში და სხვა სახით მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. ის კატასტროფა, რომელიც ჩერჩილმა 1945 წელს განიცადა საპარლამენტო არჩევნებში, არ ყოფილა პიროვნული კატასტროფა. მეორე მსოფლიო ომმა, მისმა შედეგებმა ღრმად ჩააფიქრა ევროპის ხალხები. საბჭოთა კავშირის გამათავისუფლებელმა როლმა მეორე მსოფლიო ომში, საბჭოთა კავშირის საზოგადოებრივი და სახელმწიფო წყობის გამარჯვებამ სრულიად გარკვეული პერსპექტივები დაუსახა ევროპის პროლეტარიატს. კაპიტალისტური სამყარო კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. სოციალიზმის ძლევამოსილი არმია ევროპის გულში შეიჭრა. კომუნისტი ეუფლებოდა მუშათა კლასს. კომუნისტების თავდადებულმა

¹ „Die Zukunft“ № 2, 1942.
² ი. სტალინი. ლენინიზმის საკითხები, გვ. 250, თბ-ლისი, 1935.

ბრძოლამ პიტლერული ოკუპაციის დროს გაზარდა ლენინ-სტალინის იდეების პოპულარობა და დასავლეთ ევროპის ძველი კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატი უკვე მზად იყო ელითარებისა ეს იდეები, როგორც რევოლუციური მოქმედების იარაღი და კიდევ შესდგომოდა ამ მოქმედებას.

სწორედ მეორე მსოფლიო ომის დროს და მის დაშთავრებისას კომუნისტები შედიან საფრანგეთის, იტალიის, ბელგიის ავსტრიისა და მრავალ სხვა მთავრობაში.

ევროპის აღმოსავლეთისა და სამხრეთ აღმოსავლეთის მთელ რიგ ქვეყნებში და ბალკანეთის ნახევარკუნძულის რიგ სახელმწიფოებში გაიმარჯვა სახალხო დემოკრატია.

კაპიტალისტური სამყარო კვლავ ეძებს გამოსავალს. ფაშიზმი დისკრედიტირებულია. ჩრ. ამერ. შ. შ. ჯერ კიდევ არ არიან მზად სრულად და უშუალოდ ხელში აიღონ რეაქციის ხელმძღვანელობა, და კვლავ სცენაზე გამოდის სოციალ-გამკემლობა, მემარჯვენე სოციალიზმი, ლეიბორიზმი.

ბლუმის, შუმბერის, ეტლის, რენერის, სპააკისა და სხვათა საშუალებით ეს რევოლუციური აღმავლობა დასავლეთ ევროპის ზოგ ქვეყანაში კვლავ რეფორმისტულ კალაპოტში შეიყვანეს და ნიადაგი მოუშაადეს ამერიკულ რეაქციას, რომ მას უშუალოდ აედო ხელში კაპიტალისტური სამყაროს გადარჩენის ამოცანა.

მერმა გააქეთა თავისი საქმე და მავრს პანჩური ამოკრეს.

ერთი სიტყვით, ჩვენ ახლა სწორედ იმ ეტაპზე ვიმყოფებით, როდესაც იმედგაცრეხებული პროლეტარიატის გარკვეული ნაწილი ზურგს იბრუნებს სოციალ-რეფორმიზმის, ლეიბორიზმის გამკემლური იმპერიალისტური პროამერიკული პოლიტიკისაგან. ამით აიხსნება ლეიბორიზმის დამარცხება ინგლი-

სის მრავალ დომინიონში, კერძოდ ავსტრალიაში, სამხრეთ აფრიკაში, უფრო ბრიტანეთის კუნძულებზე. მემარჯვენე სოციალისტების დამარცხება დასავლეთ გერმანიაში, საფრანგეთში, ბელგიაში. მეორედ განმეორდა ამ 40 წლის მანძილზე ერთი და იგივე ამბავი. ზოგიერთი კაპიტალისტური ქვეყნის მუშათა კლასის პოლიტიკური მოუქმედებლობის შედეგად რეაქციის შავნული ძალები მემარჯვენე სოციალისტების წყალობით კვლავ ცდილობენ დაეუფლონ მასებს, რომ როგორმე გადაარჩინონ საბოლოო დაღუპვისაგან დრომოკმული კაპიტალისტური სამყარო. თავის ამ გამკემლურ მისიას მემარჯვენე სოციალისტები არც კი მალავენ. გერმანელი მემარჯვენე სოციალ-დემოკრატია დიუსელდორფის პარტიტაგზე ერთერთმა მთავარმა მომხსენებელთაგანმა, რუდოლფ ცორმა, პირდაპირ განაცხადა: „ბურჟუაზიამ უნდა იცოდეს, სოციალ-დემოკრატული პარტიის მუშაობა რომ არ ყოფილიყო, მასები ახლა კომუნისტურ ბანაკში იქნებოდნენ“.

ჩვენი ვალდებულებაა ვიცოდეთ, თუ რა იდეოლოგიური იარაღით სარგებლობს თანამედროვე მემარჯვენე სოციალიზმი მშრომელთა მასების მოსატყუებლად, რა ფილოსოფიურ საფუძველს ემყარება ის, როგორი შეხედულობანი აქვს სოციოლოგიის სხვადასხვა დარგში. საზოგადოებრივი განვითარების რა პერსპექტივებს სახავს ის.

ჩვენ აქ ნაკლებად შევეხებით იმ პოლიტიკას, რომელსაც მემარჯვენე სოციალისტები აწარმოებენ ახლა მსოფლიოში. საფსებით ამკარაა, რომ ეს პოლიტიკა მშრომელი კლასების ინტერესების გამკემლობაა. საბჭოთა ხალხმა კარგად იცის ეს.

მთავარი ამოცანა, რომელიც დაისახა მემარჯვენე სოციალიზმმა, არის — რათაც არ უნდა დაუჯდეს, გადაარჩინონ კაპიტალიზმი დაღუპვისაგან. აქედან გა-



მომდინარეობს ახალი ომის გამჩაღებელთათვის აქტიური მხარდაჭერის მათი პოლიტიკა.

იმპერიალისტური რეაქცია და მემარჯვენე სოციალისტებიც, მამასადასამე, კაპიტალიზმის გადარჩენას ფიქრობენ ახალი მსოფლიო ომის საშუალებით. ისინი ოცნებობენ, რომ მომავალ ომში დაამარცხებენ საბჭოთა კავშირს, მოუსპობენ სოციალიზმს მის მთავარ დასაყრდენს და ამით დაამყარებენ მრავალსაუკუნოვან ამერიკულ კაპიტალისტურ ერას.

ეს ზოგადი პრინციპული მოსაზრება კონკრეტულ გამოსახულებას პოულობს მემარჯვენე სოციალისტების მიერ ამერიკელების პირსისხლიან ინტერვენციის მხარდაჭერაში კორეაში. თანამედროვე მემარჯვენე სოციალისტების სვინდისზეა კორეელი ბავშვების, მოხუცების და ქალების სისხლი, რომელიც ახლა კორეის ქალაქებში სოფლებში და დაბებში იღვრება. მემარჯვენე სოციალისტები, ამერიკელების ეს ფინია ძალები, გაშმაგებით ებრძვიან მილიონების მოძრაობას მშვიდობიანობისათვის. ინგლისის ლეიბორისტებმა ფაქტიურად აკრძალეს მშვიდობის მომხრეთა მეორე მსოფლიო კონგრესის მოწვევა შეფილდში. ეტლი, მორგან ფილისი და სხვები ცოფმორეული გაპყვირან, რომ სტოკჰოლმის მომართვაზე ხელის მოწერის კამპანია ეს „კომუნისტური ხრიკია“, ამ ჰეგემონულ პოლიტიკოსებმა, რომლებიც ამერიკულ იმპერიალისტების სამსახურში არიან, არ სურთ გაიგონ, რომ ასეულ მილიონთა მოძრაობა მშვიდობიანობისათვის ეს ხალხთა გულწრფელი სურვილის, მათი სასიცოცხლო, ინტერესების გამოხატულებაა. რომ ვერავითარი „ხრიკები“ ამ მოძრაობას ვერ გამოიწვევდა და ვერც შეანელებს.

ევროპის „სოციალისტების“ კონფერენცია, რომელიც ამას წინათ კოპენჰაგენში შედგა, უოლ-სტრიტის აგენტების

თათბირს უფრო წააგავდა ვიდრე დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიულ წევრების შეკრებას. ამ კონფერენციაზე უპირველეს ყოვლისა მშვიდობიანობას მომხრეთა მოძრაობის წინააღმდეგ გალაშქრა. ლეიბორისტული პარტიის მდივანმა მორგან ფილისმა, როგორც ეს ამერიკულ მეატომეს შეეფერება არაფერი დაზოგა, რომ როგორმე დისკრედიტაცია ეყო მშვიდობის მომხრეთა მოძრაობისათვის.

ბელგიელმა მემარჯვენე სოციალისტებმა სპააკმა, მაქს ბიუხემ და სხვებმა მუხანათურად გასცეს ბელგიის მუშათა კლასი, რომელმაც გაილაშქრა ამერიკელების აგენტის მეფე ლუიპოლდ III დაბრუნების წინააღმდეგ სამეფო ტახტზე. მუშათა მოძრაობის სიმძლავრით შეშინებული ეაებატონები შეუთანხმდნენ სხვა ამერიკულ პარტიებს, კერძოთ სოციალურ-ქრისტიანული კათოლიკურ პარტიას და გაყიდეს მუშება, ეანდარამები და ჯარი მიუსიეს მათ.

მემარჯვენე სოციალისტები თავგამოდებით იცავენ „ტრუმენის დოქტრინას“, „წარდილო ატლანტიკის პაქტს“ და სხვადასხვა ამგვარ აგრესიულ პოლიტიკურ აქციებს. მემარჯვენე სოციალისტები მხარს უჭერენ იმპერიალისტურ რეაქციას კოლონიურ ქვეყნებში, ებრძვიან გამალებით რევოლუციურ პროფკავშირულ მოძრაობას, თავგამოდებით იცავენ სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან გაძევებულ რეაქციის ძალებს და ასევე თავგამოდებით ებრძვიან ამავე სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს. ამ ასპექტში შემთხვევითი არ არის ის საერთო მხარდაჭერა, რომელიც ტიტომ მოიპოვა საერთაშორისო მენშევიზმის ბანაკში. ამით აიხსნება, რომ თავგამოდებული დამცველი ტიტოსი ლეიბორისტი ზილიაკუსია, ფრანგი სოციალისტი ანდრე ფილიპი ტიტოს პირსისხლიან ფაშისტურ რეჟიმს უმანის „დასავლური დემოკრატიის ფორპოსტს“ კომუნისმის წინააღმდეგ

მიმართულ ძალთა განლაგებაში. გასაგებია, რომ ასეთი პოლიტიკა ზიზღს იწყვეს მუშათა კლასში, სოციალისტურ პარტიების რიგით წევრებში. ამ პოლიტიკამ გამოიწვია სოციალისტური პარტიების გავლენის შემცირება, მძლავრი მემარცხენე ჯგუფების გამოყოფა ამ პარტიების შიგნით, მაგ. იტალიაში, რომელნიც კომუნისტებთან თანამშრომლობენ. სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში კი სოციალისტური პარტიის საუკეთესო ნაწილი გაერთიანდა კომუნისტებთან. ამ ქვეყნებშია შეიქმნა კომუნისტური, მუშათა, მშრომელთა გაერთიანებული პარტიები.

გადაიდრეთ მემარჯვენე სოციალიზმის წარმომადგენელთა იდეოლოგიის ფილოსოფიურ შეხედულებათა განხილვაზე.

მემარჯვენე სოციალისტების ფილოსოფიური და სოციოლოგიური შეხედულებანი

როგორც ეტყობა, წერილის ეს ნაწილი ნეკროლოგის ხასიათს მიიღებს. ორიოდ თვის წინათ გარდაიცვალნენ სოციალ-დამცემლობის ყველაზე უფრო გამოჩენილი თეორეტიკოსები-პაროლდასკი ინგლისში და ლეონ ბლუმი საფრანგეთში. ერთი — ფაბიანური სოციალიზმის ყველაზე უფრო თავდადებული მებაირახტრე, ხოლო მეორე — ამერიკული რეაქციულ იმპერიალისტური სოციალიზმის მლადადებელი და აგრეთვე თავდადებული იდეოლოგი.

მემარჯვენე სოციალისტებისათვის ლასკისა და ბლუმის გარდაცვალება საგრძნობი დანაკარგია, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ უღარესად დაბალ თეორიულ დონეს და სრულ თეორიულ უმწეობას, რომელიც მემარჯვენე სოციალისტებს ახასიათებს. იმისათვის, რომ წარმოვიდგინოთ, თუ რა თეორიულ დონეზე დგანან თანამედროვე მემარჯვენე სოციალ-დემოკრატები, მე ერთ ფაქტს მოვიყვან. ამას წინათ გერმანიის და საერთაშორისო სოციალ-

დამცემლობის ცნობილმა ბელადმა, ამერიკელების აგენტმა *ქმუქმუქმუქმუქ* განაცხადა, რომ 1916 წელს *ქმუქმუქმუქმუქ* ლენინის ნაშრომი „სახელმწიფო და დემოკრატია“. ცნობილია, რომ ასეთი წიგნი ლენინს არ დაუწერია. ლენინმა დაწერა „სახელმწიფო და რევოლუცია“, ისიც 1917 წელს. წიგნი გერმანულად 1920 წელს გამოვიდა, როგორ შეეძლო შემახერხ, რომელმაც რუსულს არ იცის, ლენინის არ არსებული წიგნის 1916 წელს წაეითხვა?!

ასეთია მათი ბელადი. ადვილი წარმოსადგენია ამ ვაებატონთა რიგითი თეორეტიკოსების „განსწავლულება“

შესანიშნავე დახასიათება ისეთი ვითორეტიკოსების, როგორიც ბლუმი, ლასკი, შუმახერი, რენერი, შულცი და სხვებია კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა მოგვცეს. 1879 წელს ისინი წერდნენ: „არავითარი ნამდვილი ფაქტობრივი ან თეორიული გამანათლებელი მასალა მათ არა აქვთ. მათ აქვთ ცდები შეუთანხმონ ზერეულდ შეთვისებული სოციალისტური იდეები სულ სხვადასხვა ჯურის თეორიულ შეხედულებას, რომელიც ამ ვაებატონებს უნივერსიტეტებიდან თუ სხვა ადგილებიდან გამოუტანიათ: ყველა ეს შეხედულება ერთიმეორეზე დაბნეულია.“¹

მემარჯვენე სოციალისტებს იმდენივე თვალსაზრისი აქვთ, რამდენი თეორეტიკოსიც ჰყავთ. თანამედროვე მემარჯვენე სოციალიზმის იდეოლოგია რეაქციულ ბურჟუაზიული იდეოლოგიის მარაზმისა და გახრწნის სრულ ანარეკლს წარმოადგენს.

გერმანელი მემარჯვენე სოციალისტი ბრილი ამბობს, მარქსს არავითარი ფილოსოფიური მსოფლმხედველობა არ ჰქონიაო, შესაძლებელია მხოლოდ მარქსის ფილოსოფიური კომენტარიო. და აი იწყება არა კომენტარი, არამედ,

¹ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხ. ტ. XV, გვ. 442.

გამზადებული ბრძოლა მარქსიზმის წინააღმდეგ.

ბლუმი ამტკიცებს, რომ მეცნიერებამ უკვე ამოწურა თავისი შესაძლებლობა და ცარიელ თამაშად, უნაყოფო და პრაქტიკისაგან ძალიან დაშორებულ აზროვნებად გადაიქცა. ეს ყველაზე აშკარად მათემატიკაში ჩანს. „უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე მათემატიკოსებს აქვთ ფიქტიური წარმატებანი. ისინი მთელ დროს ანდომებენ გადალახონ ის სიძნელები, რომელსაც თვითონ ქმნიან და რომელთა გადაწყვეტას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს პრაქტიკული გამოყენებისათვის. ეს არის მხოლოდ გონების თამაში და არა წმინდა მეცნიერება, რომლისგანაც ჩვენ ვქმნით ჩვენთვის რელიგიას?“

ბლუმი აცხადებს, რომ ადამიანის ცნობიერება შეზღუდულია და მას არ შეუძლია გადალახოს ჭეშმარიტების გარკვეული საზღვრები. ამ საზღვრების იქით შეუცნობელი ფენომენებია, რომელთა კანონზომიერებას ჩვენი გონება და გრძნობები ვერ განიხილავენ. ძნელი გასაგები არ არის, რომ აქ ბლუმი აგნოსტიციზმის, სუბიექტური იდეალიზმის პოზიციებზე დგას. ბლუმს მიაჩნია, რომ ფილოსოფიური და რელიგიური შეხედულებანი ინდივიდის კერძო, პირადი საქმეა, რომ ის არავის არ შეეხება და, ამის გარდა, სოციალისტები სრულიად არ არიან ვალდებული იყვნენ მატერიალისტები და მით უმეტეს ათეისტები. ბლუმი ამტკიცებს, რომ არსებობს უცვლელი ნორმები ეთიკისა, მორალის, — ამბობს ბლუმი, — არის მუდმივ მოქმედი მოლიანობა ერთისა და იმავე ზნეობრივი ცნებების, რომლებიც გამოვლინდებიან ყველა რელიგიასა და ფილოსოფიაში¹. ეს მოლიანობა მორალური ნორმებისა წარმოადგენს ჯერ

სულის ევოლუციის პირუბაქ, შემდეგ კი ტექნიკის, ეკონომიკის და საზოგადოების ევოლუციის პირობას².

იმეორებს რა ბურჟუაზიული ვულგარული პოზიტივიზმის დებულებებს, ბლუმი აიგივებს იმ კანონებს, რომლებიც მართავენ საზოგადოებასა და ბუნებას. ის წერს: „სოციალურ სისტემებს, ექვს გარეშეა, აქვს ისეთივე თავისი კანონები მსოფლიო მიზიდულობისა, როგორც ვარსკვლავთა სისტემას“³.

თანამედროვე მემარჯვენე სოციალისტების ფილოსოფიაში მეტად თავისუფლად არის მისტიკასთან გადანასკვნული ვულგარული ბიოლოგიზმი და მექანიციზმი. „სოციალიზმი, — ამბობს ბლუმი, — მორალური რელიგიაც არის და მოძღვრებაც. სოციალიზმი იწვევს რელიგიურ მოთხოვნილებებს, იმდენად, რამდენადაც ის გვასწავლის სიბრძნესა და მორიდებულებას. შეგნებას აჩვევს პატიოსნებას. გვასწავლის მალალ იდეალში მოვქმენით მამოძრავებელი ძალა პიროვნული მოქმედებისა⁴. რელიგიურ-ზნეობრივი სოციალიზმის ეს დებულებანიც ახალს არაფერს წარმოადგენს. გავიხსენოთ ნეტარი ბრუნო ბაუერი, მ.ქს შტირნერი, „წმინდა მაქსი“, და მე-19 საუკუნის სხვა ვულგარული, გულუბრყვილო სოციალისტები, რომელთა მოძღვრებიდან ქვა ქვაზე არ დატოვებია მარქსმა. მაგრამ თუ მე-19 საუკუნეში ეს ქრისტიანული, ზნეობრივი სოციალიზმის თეორიები ხშირად უმეტეობისა და საერთოდ სოციალისტური იდეების განუფითარებლობის შედეგიც იყო, ბლუმის ეს მოძველებული ქადაგებანი აშკარა რეაქციულ, მივინებლურ როლს თამაშობენ და თავის მთავარ ამოცანად ისახევენ გააბრუნონ მუშათა კლასის შეგნება.

¹ იქვე, გვ. 116.

² იქვე, გვ. 118.

³ Leon Blum. „Sur l'égalité, d'après Piaton“.

⁴ Léon Blum „Nouvelle conversations de Geut et avec Herkmana“, გვ. 257, 1937.

ბლუმში და მისი მოწაფეები უარყოფენ ყოველგვარ კანონზომიერებას და მიზეზობრიობას საზოგადოებრივ განვითარებაში, ხოლო სოციალიზმზე გადასვლის შესაძლებლობას სულის თავისუფლების მოთხოვნის საფუძველზე.

ფრანგი მემარჯვენე სოციალისტი რენე ვიიონი ამტკიცებს, რომ „ადამიანს აქვს დიდი გმობა სულის თავისუფლებისა. ინდივიდუალური სულის თავისუფლება საკვებით ეთანხმება პრინციპს, რომ ზედნაშენი დამოკიდებულია ბაზისზე, საჭიროა მხოლოდ პიროვნება და საზოგადოება ორი სხვადასხვა თვალსაზრისით განვიხილოთ. პირველი ადამიანია, ინდივიდია, მისი სამყარო ინტერმინიზმია, მეორე თვალსაზრისის საზოგადოებაა, სადაც დეტერმინიზმი მეფობს“¹ აქაც ახალი არაფერი არის, აქაც საქმე გვაქვს კანტის „ორ თვალსაზრისით“ მხოლოდ გაუბრალოებულთან და გავუღვარებულთან.

მაქსიმელიან რუბელი, ესეც ერთი ფრანგი მემარჯვენე სოციალისტი, აღნიშნავს, რომ ისტორიული მატერიალიზმი, როგორც მეთოდი მიზეზობრივი ახსნისა, მიბრუნებულია მხოლოდ ისტორიული წარსულისაკენ. მხოლოდ წარსულში, — წერს რუბელი, — მატერიალიზმი პოულობს აუცილებლობას ან და ფატალიზმს, რაც ერთი და იგივეა მისი გაგებით. რაც შეეხება თანამედროვეობას და მომავალს, აქ ადამიანის მოქმედება თავისუფალ ნებას უნდა ემყარებოდეს, ნება კი ისახავს მიზნებსა და ამოცანებს გამომდინარე არა აუცილებლობიდან, არამედ მორალური ნორმებიდან.²

ბლუმში კატეგორიულად უარყოფს მორალის კლასობრივ ხასიათს, მის დამოკიდებულებას ადამიანთა მატერიალური ცხოვრების პირობებთან. „ადა-

მიანი იბადება, — წერს ბლუმში, — ისე, რომ მან არაფერი იცის სამყაროს შესახებ, მაგრამ მას თანდაყოლილი აქვს გრძნობები ზოგადკაცობრიული სოლიდარობისა, თანასწორობისა და სამართლიანობისა“³.

ამასვე იმეორებს შულცი, გერმანელი მემარჯვენე სოციალისტების თეორეტიკოსი. ის ამბობს: „დემოკრატიული სოციალიზმი შორდება მასის ძალის ჭარბებს და უთანასწორდება ინდივიდუუმის კეთილგონიერებას. მისი მიზანია თავისუფალი, ყოველგვარი შეზღუდულობისაგან დამოუკიდებელი თავისთავადობის ამლიარებელი ადამიანი“⁴.

ამ განყენებული ეთიკურ-მორალური მსჯელობიდან ბლუმში და შულცი უცებ გადმოდინ ჩვენს ცოდვილ მიწაზე და მუშებს მოუწოდებენ გაიმსჭვალონ დისციპლინისა და მსხვერპლის გაღების აუცილებლობის გრძნობით, არ შექმნან ჭაოსი და უწყესობა. კომენტარების გარეშეც გასაგებია, თუ რა უწყესობაზე და რა მსხვერპლზეა აქ ლაპარაკი, ე. ი. მუშები უნდა იყვნენ კაპიტალისტების მონები, ბრმა იარაღი ამერიკის მონოპოლისტების ხელში, რომელნიც გეგმავენ ახალ ომს.

„ღიალექტიკა მოძველებული იარაღია“, — ამბობს ვიონი. „თუ მაინცადა მაინც ღიალექტიკა შეიძლება გამოდგეს საზოგადოებრივ კანონზომიერებათა განხილვისას, მატერიალური სამყარო ფიზიკოსებისაგან ძალიან კარგად არის გამორკვეული და მეტად დიდი წარმოდგენისა უნდა იყოს ადამიანი თავის თავზე, რომ ამ მატერიალურ სამყაროს ჰეგელიანური დირექტივები მისცე“⁵.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ აქ მარქსისტული ღიალექტიკა გაიგე-

¹ „Léon Blum.“ Sur l'égalité, d'après Platon“.

² „Die Zukunft“, № 10, 1949.

³ „La Revue socialiste“, № 15 გვ. 473, 1947.

⁴ „La Revue socialiste“ № 15, გვ. 416, 1947.



ბულია ჰეგელის დიალექტიკასთან და ბლუმის ამ მოწაფეს ბუნების შესწავლისათვის არ მიაჩნია საჭიროდ ფილოსოფია და მით უმეტეს დიალექტიკური პატერიალიზმი.

შუმახერელი გუსტავ პიტში ამტკიცებს, რომ მიკროსამყაროს მოვლენებს აღვლილი აქვს არა ჩვეულებრივი სამი, არამედ ოთხი განზომილების სფეროში და ამიტომ ისინი შეუქცნობელნი არიან. ორგანულ ცხოვრებაში იგივე კანონები, ე. ი. ოთხი განზომილების კანონები მოქმედებენ, და ამიტომ ამ პროცესების შეცნობაც სრულიად შეუძლებელია“. აქედან პიტში საინტერესო დასკვნას აკეთებს: „მრავალი ფაქტი გვეუბნება, რომ ამ პრინციპის (ე. ი. ოთხგანზომილების, ვ. მ.) უნივერსალური მოქმედება შეიძლება დამტკიცდეს სოციალურ სფეროშიც“. ეყრდნობა რა ნილს ბორს, მაქს პლანკს, განსაკუთრებით ნაციტ ფიზიკოსს იორდანს, პიტში ამბობს: „მატერიალური არის გამოსახულება და ფორმა იმატერიალურისა. წესიერებას ყოველ არსში ამყარებს სულიერი ბუნების ფენომენი. თანამედროვე ფიზიკა კრიზისს განიცდის. ფიზიკური მოვლენის ახსნა შესაძლებელია მხოლოდ სულიერ, რელიგიურ საფუძველზე“. აქედან შეტად საინტერესო დასკვნა გამოაქვს: „პოლიტიკაში გონებას არავითარ მნიშვნელობა არა აქვს“¹.

პოლიტიკურ ფენომენთა გაგებისათვის ჩვენ სულს უნდა მივმართოთ. როგორც ვხედავთ, ესეც ძველი ბერგსონული ინტუიტივიზმია, უფრო ძველი აგნოსტიციზმი და აქაც ახალი არაფერია.

ელდუარდ გეიმანი, ეს პირწავარდნილი ირაციონალისტი და ამავე დროს მემარ-

ჯვენე სოციალისტი, მოითხოვს შეიზღუდოს გონება, რადგან, როგორც ის წერს, „პოლიტიკაში ლოგოკრატული შედეგები გონებრიობის პრინციპისა ლენინიზმია“².

აი რატომ უარყოფენ მემარჯვენე სოციალისტები გონებას, გონების უმაღლესი პროდუქტი ლენინიზმია, ეს არც იმათთვის არის საიდუმლოება. ლენინიზმი კი მუშათა კლასის ხელში განთავისუფლების იარაღია, ამიტომ ძირს გონება გაიძახიან სოციალ-დემოკრატები, დავეყრდნოთ სულს, რელიგიას.

ვალტერ ბრაუნე—ესეც მემარჯვენე სოციალისტი-თეორეტიკოსი, ამტკიცებს, მარქსისტული დიალექტიკა უაზლოვს კავშირშია რელიგიურ რწმენასთან. რელიგიური რწმენა კი დამახასიათებელი იყო ევროპის ყველა დიდი სოციალური მოძრაობისათვისაო, ამიტომ ის დამახასიათებელი უნდა იყოს სოციალიზმისათვისაო³.

მემარჯვენე სოციალისტების თეორეტიკოსების რიგებში დიდ მოღვაწეა ეგზისტენსიალიზმი, ბურჟუაზიული ფილოსოფიის გახრწნილებისა და გადაგვარების ეს საზიზღარი პროდუქტი, რომელიც ამართლებს ყოველგვარ დემოკრატიას და რენეგატობას, რომ გადაეხედოს პრუფერების, ტილიხების, შულცების, გიუნონების და მრავალ სხვათა ნაწარმოებს, ყველგან შეხედებით იასპერსის, ჰაიდეგერის, სარტრის მოღერ სიტყვებს, გამოთქმებსა და ცნებებს. თქვენ აქ ნახავთ „ცხოვრების განცდას“, „არსებობას, რომელიც ეწინააღმდეგება არსობას“, „სევედას ირაციონალურისადმი და მეტაფიზიკურობისადმი“, „ევროპელი ადამიანის სულს“. მემარჯვენე სოციალისტები აღიარებენ ექზისტენსიონალიზმის დებულებას იმის შესახებ, რომ „მსოფლმხედველობა მკაფიოდ ინდივიდუალურია“, რომ „იმდენი

¹ „Das sozialistische Jahrhundert“, № 13/14, 1948.
² „Das sozialistische Jahrhundert“, № 14/16, 1948.

³ „Das Sozialistische Jahrhundert“, № 15/16 1948.

მსოფლმხედველობა, რამდენიც ადამიანი¹ და ყველაფერი ეს შეზავებულია ნეოკანტიანურ „ზნეობრივ იმპერატივთან“, რომელიც ადამიანის სულშია ჩამარბული, რომ ადამიანს გააჩნია ირაციონალური ლტოლვა ტრანსცენდენტული ეთიკური იდეალისაკენ და ასე შემდეგ. „მემარჯვენე სოციალისტებმა“, განსაკუთრებით ავსტრიაში, ფრეიდიზმიც გაიხსენეს. ავსტრო-მარქსისტა ოტო ლაიხტერი ამტკიცებს, რომ მხოლოდ ქვეშევრდობის უახლოესმა ფსიქოლოგიამ (ე. ი. ფრეიდიზმმა) გახსნა მარქსის „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკის შესავლის“ „ქეშმარიტი აზრი“.² ამაზე შორს წასვლა, მგონი, უკვე შეუძლებელია, მეტი აზრად და უკვე აღარ შეიძლება არსებობდეს.

ფრანგი მემარჯვენე სოციალისტი ჟაკ განაკი პირდაპირ აღფრთოვანებულია ბელგიელი ვულგარული მისტიკოსის დე-მანის ცდებით, რომელიც პროლეტარიატის სიძულვილს კაპიტალისტური სამყაროსადმი ხსნის შით, რომ მუშები დაეადებული არიან არასრულყოფილობის ნევროტიული კომპლექსით.³

განაკი და დე-მანი იმდენად არიან შეპყრობილი მუშათა კლასისადმი სიძულვილით, რომ, როგორც ვხედავთ, არაფერს არ ერიდებიან. უნდა ითქვას რომ, ასეთ საზიზრობამდე არამცთუ „სოციალისტები“, ბნელეთის რეაქციული იდეოლოგიის არც ერთი სხვა წარმომადგენელი არ მისულა. ლაქის სულმა დაძლია სოციალ-დემოკრატებს, ისინი პატრონებსაც კი აპარბებენ მშრომელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. აქაც არაფერია ახალი, ესეც ძველი ისტორიაა.

საინტერესოა, რომ გერმანიის პოლიტიკურ-კულტურულ კონფერენ-

ციაზე, რომელიც მიეძღვნა რელიგიისა და მეცნიერების შეხამების მუშა ტილიში (მუშახერელი თეორეტიკოსი), მთავარი მომხსენებელი ამ კონფერენციაზე, რელიგიისა და გონების შერიგების ამოცანას სახედა როგორც გადამწყვეტს ახალი მსოფლმხედველობისათვის. ტილიში ამბობდა, რომ მარქსი და კიერკეგორი (ეს გახლავთ წარსული საუკუნის დანიელი თეოლოგი ვ. მ.), ეგზისტენსიორალიზმის მამამთავრად გამოცხადებული, ახლოს არიან ერთმანეთთან. ორივე ამკლავნებს სწორ გაგებას ადამიანის არსებისა, „ეგზისტენცისა“. ერთი, ე. ი. მარქსი, გამოდიოდა სოციალური სიტუაციიდან, მეორე კი ინდივიდუალურიდან¹. ამ კომენტარიებიც ზედპეტია. სად მარქსი და სად კიერკეგორი!

მემარჯვენე სოციალისტების სოციოლოგიური კონცეფციები ისე ეყრდნობა მისტიკას, როგორც სალ კლდეს. გერმანელი მემარჯვენე სოციალისტი შულცი პირდაპირ წერს: „ჩვენს ატომური ენერჯის საუკუნეში სრულიად მოძველებულია მარქსის მეცნიერული სოციალიზმი. სამაგიეროდ ახალგაზრდაა, ჯან-ღონით სავსეა სუბიექტური იდეალიზმი“².

სოციალიზმი ამ ხალხს წარმოუდგენია, როგორც რაღაც ირაციონალური და მისტიკური. ტილიში, რომლის შესახებაც ჩვენ ზევით ვილაპარაკეთ, ქადაგებს: „როგორც ქრისტიანებს და სოციალისტებს, ჩვენს გერწამს ბიბლიური წინასწარმეტყველება. რომ მიწაზე დამყარდება ღეთის განგება. ღეთის განგებას ჩვენ ვეძიებთ აგრეთვე დედამიწაზე, ვართ რა მონა-მორჩილი ღეთის განგებისა, ჩვენ უარყოფთ კაპიტალიზმს“

¹ „Der Sozialdemokrat“, 1916 წლის 4 აგვისტოს ნომერი.

² „Das Sozialistische Jahrhundert“, 17/18. 1948.

¹ „Die Zukunft“, № 7. 1948.

² „Die Zukunft“, № 10, 1947.

კაპიტალიზმის უარყოფა ტილისს დემოკრატიული მიზნით დასჭირდა.

მეტად დამახასიათებელია, რომ ეს რელიგიური პრინციპი საზოგადოებრივი მოვლენების ახსნისათვის გახდა ზოგად პრინციპად არა მარტო გერმანიის, ავსტრიის მემარჯვენე სოციალისტებისათვის, არამედ უკლებლივ ყველა სოციალ-დემოკრატიისათვის.

ბლუმი უფრო შორს მიდის. ის საერთოდ უარყოფს პოლიტიკურ დემოკრატიას და ქადაგებს სოციალურ დემოკრატიას. სოციალური დემოკრატიის პრინციპები მას პლატონიდან გამოყავს.

თავის სტატიაში „ერთობა პლატონის მიხედვით“, ის მოგვითხრობს, რომ პლატონს ორნაირად ესმოდა ერთობა: „ერთობა-ტოლფასობა“ და „ერთობა-სამართლიანობა“. პლატონის მიხედვით „ერთობა ტოლფასობა“ გამოიხატება არითმეტიკულ იგივეობაში და შედგება წონის, ზომისა და რიცხვისაგან. ამ პირველი გაგებით ერთიანობას სურს მოსპოს ინდივიდუალურობა და ყველაფერი დაუმორჩილოს ერთ რიცხვს, ერთ ზომას, ერთ წონას. რაც შეეხება „ერთობა-სამართლიანობას“, ეს „ერთობა“ აღიარებს განსხვავებას, სხვადასხვაობას და, მაშასადამე, აღიარებს ადამიანთა, ინდივიდთა, სხვაობას, რომელიც გამოიხატება არა რიცხობრივ ერთიანობაში, არამედ სამართლიან პრინციპულობაში.

ის იძლევა მეტს, ვინც დიადია, ზოლო ნაკლებს — ვინც უღირსია. ძნელი გასაგები არ არის, თუ რა მიზანს ისახავს პლატონით აღფრთოვანებული ბლუმი. ის არც მალავს ამ თავის მიზნებს. ბლუმი წერს: „დემოკრატია, ეს არის არაკომპეტენტურობის რეჟიმი. გამოდის. — გაიძახის ბლუმი, — რომ მათხოვარის ზმას ობერვილიედან იგივე ფასი აქვს, რაც რენარის ან პასტერის ზმას“.

„პოლიტიკური დემოკრატია არა, — წერს ბლუმი, — ჩვენ უნდა გვექონდეს სოციალური დემოკრატია, უნდა გვექონდეს ქვემარატი ერთობა, ე. ი. პლატონის „ერთობა-სამართლიანობა“, და აქედან გამოაქვს უკვე შემდეგი დასკვნა: ჩვენ გვეჭირდება განათლებული, ჰუმანიტარული, არისტოკრატიული სოციალიზმი, სოციალიზმი ინდივიდისა, რომელსაც ადამიანი მიადევნებს თვითგაუმჯობესების გზით. გზა ამ იდეალისაკენ ერთია: სარწმუნოება, რელიგია. „სტადია პოლემიკური მოძრაობისა კაპიტალიზმის წინააღმდეგ უკვე დამთავრდა... ახლა ბრძოლას არავითარი აზრი არა აქვს... დადგა მეორე ფაზა-სულიერი სოციალიზმისა. „შეიძლება დაგვმყოფილდეთ მოციქულობით, სულიერი დაპყრობით, — გვაუწყებს ბლუმი.

ჩვენ უნდა გავაერთიანოთ მეცნიერული დეტერმინიზმი კლოდ ბერნარის გაგებით და გრძნობა ლევაებისა ბუნებაში, ამბობს ბლუმი¹.

მემარჯვენე სოციალისტები ირწმუნებიან, რომ საზოგადოებაში აღარ არსებობენ კლასები, რაც ყველაზე საინტერესოა, თურმე აღარ არსებობს მუშათა კლასი.

როგორ მივიდნენ ამ საკვირველ დასკვნამდე რენერი და მისი მოწაფეები? თავის წიგნში „ახალი სამყარო და სოციალიზმი“ რენერი შემდეგ დებულებებს აყენებს: „თანამედროვე კაპიტალიზმი პრინციპულად განსხვავდება მარქსისდროინდელი კაპიტალიზმისაგან. რაში გამოიხატება ეს განსხვავება? ახლა, — ამბობს რენერი, — ბატონობს არა ინდივიდუალური კაპიტალისტი, არამედ კოლექტიური კაპიტალი, ანონიმური საზოგადოებანი და

¹ „Leon Blum. Sur l'égalité, d'après Platon“.

წარმოებანი. სრულიად არ არის საინტერესო, თუ ვის ეკუთვნის ეს კომპლექსი, როგორც საკუთრება. აქედან პირველი ფოკუსი: ადამიანთა შეგნებაში გაქრა ინდივიდუალური კაპიტალისტი. „მესაკუთრე ქრება, კაპიტალისტი კარგავს ყველა თავის ფუნქციას, მხოლოდ ერთი ფუნქცია რჩება: ის იღებს თავის წილს წლიური შემოსავლიდან. კაპიტალის ფორმა გაქრა, მასზე გაიმარჯვა ხელფასის ფორმამ“. მუშის შრომა სოციალიზირებული ხდება და მუშები ბატონობენ წარმოების მთელ პროცესზე. ცვალებადი კაპიტალი დაიფანტა, დაიქსაქსა, მისი ნაწილი მუშების ჯიბეშია დაფანტული, ნაწილი იხარჯება კოლექტიურად, ე. ი. სოციალიზირებულია. მასასადავს, სოციალიზირებული გამოდის ზედმეტი ღირებულება. აქედან ფოკუსი მეორე: კაპიტალიზმი ავტომატურად გადაიქცა სოციალიზმად¹.

ლენინმა დაამტკიცა, რომ იმპერიალიზმის დროს „წარმოება საზოგადოებრივ ხასიათს ატარებს, მითვისება კი კერძო რჩება... მცირერიცხოვან მონოპოლისტთა მიერ დანარჩენი მოსახლეობის ჩაგვრა ერთიანად უფრო სამძიმო, შესამჩნევი, აუტანელი ხდება.“²

როგორც ვხედავთ. რენერის მთელი ეს არგუმენტაცია ჰაერზეა აშენებული. მონოპოლისტური სტადია კაპიტალიზმის განვითარებისა, სადაც კაპიტალისტთა სხვადასხვა გაერთიანებანი მოქმედებენ, ანონიმური თუ სხვა ტიპისა, არაფერს ცვლის კაპიტალიზმის ბუნებაში. მუშათა კლასს წინ უდგას არა ერთი კაპიტალისტი, არამედ კაპიტალისტთა ჯგუფი, მაგ. აქციონერები, ხოლო ეს გარემოება კიდევ უფრო ამწვავებს კლასობრივ ბრძოლას და კი არ ანელებს მას.

ზედმეტი ღირებულება რომ ექსპლოატატორთა სხვადასხვა ფუნქციონირებაში ნაწილდება, ეს მარქსმა მშვენიერად დაგვანახა ჯერ კიდევ კაპიტალის მესამე ტომში. მაგრამ ვანა ამით კაპიტალიზმი კარგავს თავის სპეციფიკს ისეთი საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციისა, სადაც ექსპოატატორთა კანონი ძირითადი კანონია? რენერის ზემოთმოყვანილ დებულებას ავითარებს ფრანგი მემარჯვენე სოციალისტი ლორა, რომელიც ამტკიცებს, რომ მე-19 საუკუნეში „ბალეობროლუტარიატი“ იყო, რომელიც შედგებოდა ინდუსტრიული მუშებისაგან, ხოლო იმპერიალიზმის ეპოქაში შეიქმნა „ნეობროლუტარიატი“, ეს არ არის პროლეტარიატი. ეს არის კლასი, რომელიც ხელფას ღებულობს — La classe salariée³. ტილიზი წერს: „ყოველი მომუშავე მუშა არის“⁴ პროლეტარიატი საშუალო კლასად იქცევა. ავტორმარქსისტ დიუნებეგის აზრით ბურჟუაზიული და წერილობრივ-ბურჟუაზიული საშუალო ფენები „ხალხის შემოქმედ ნაწილს წარმოადგენს“. ამერიკელების აგენტი გამცემელი ბლუმი გმირულ და კეთილშობილ საფრანგეთის მუშათა კლასს ასე ახასიათებს: „მას არ ჰყოფნის გულთბილობა, იდეალური მოქმედება, შეგნებული უანგარობა და თავისგანწირვა საერთო ინტერესებისათვის“. ამას წერდა კაპიტალისტების ეს დილემირებული ლაქია პარიზის კომუნის მებრძოლთა შვილებსა და შვილიშვილებზე, კლასზე რომელმაც შობა გამრიგელ პერი, პიერ სემარი, დანიელ კანაოვა და ათიათასობით უსახელო გმირი, რომლებმაც თავისი სიცოცხლე შესწირეს საფრანგეთს გერმანელ ბარბაროსთა წინააღმდეგ ბრძოლაში, იმ

¹ Lucien Laurat „Le Manifeste Communiste de 1848 et le monde d'aujourd'hui“, 1948. „Déchéance de l'Europe“, 1949.

² „Das sozialistische Jahrhundert“ № 13—14, 1948.

¹ Karl Renner „Die Neue Welt und Sozialismus“, 1946.

² ვ. ლენინი. თხზ., ტ. XIX, გვ. 89.

კლასზე, რომლის შვილები ახლაც თავდადებით იბრძვიან ამერიკელ ომისგამჩალებელთა წინააღმდეგ.

რენერი ამტკიცებს, — ახლა კლასები კი არ არსებობენ, არსებობს იერარქია მშრომელთა შორისო. მამასადაძე, მუშათა კლასი ავტომატურად ქრება და მას ცვლის კონგლომერატი სხვადასხვა კატეგორიის მუშაკებისა — დამხმარე პერსონალი, მოსამსახურეები და ასე შემდეგ. მუშავდება რაღაც ზოგადი დემოკრატიული ინტერესი ყველა მშრომელისა და აქედან სრულიად ლოგიკური დასკვნა — ზდება სახელმწიფოს „სოციალიზაცია“. ასეთი სოციალიზაციის შესახებ ვ. ლენინი წერდა, რომ „სოციალიზაციად ჩვენ შეიძლება მივიჩნიოთ მთელი საზოგადოების საკუთრებად გადაქცევა, მაგრამ შეიძლება მივიჩნიოთ როგორც ვნებათ კერძო ღონისძიებანი რანაირიც ვნებათ ნაწილობრივი რეფორმები კაპიტალიზმის ფარგლებში, დაწყებული გლეხების ამხანაგობებიდან და დამთავრებული მუნიციპალური აბანოებით და პისუარებით“¹. როგორც ეტყობა, რენერებს აბანოებისა და პისუარების მუნიციპალიზაცია-სოციალიზაცია უკვე სოციალიზმი ჰგონიათ და სახელმწიფოც ამის შედეგად უკვე მოსაზრებლად ეჩვენებათ. როგორც ამის შესახებ ნორვეგიელი და შვედი მემარჯვენე სოციალისტები გაიძახიან, მომხდარა სახელმწიფოს სოციალიზაცია. სახელმწიფო კარგავს ძველ ფუნქციას კაპიტალისტთა კლასის ბატონობის იარაღისა, იკარგება ცნება გაბატონებული კლასისა, სახელმწიფო ზდება ყოველი მშრომელის ინდივიდუალური ცხოვრების მნიშვნელოვან ფაქტორად, — გვარწმუნებენ მემარჯვენე სოციალისტები.

ლორა ამტკიცებს, რომ სახელმწიფო

ზეკლასობრივი ორგანოა. „განვითარებას მივყავართ სახელმწიფო — ლამის დარაჯიდან“, როგორც ეს იყო ლიბერალურ ეპოქაში, სახელმწიფო-რეგულატორთან, სახელმწიფო-არბიტრთან, სახელმწიფო-პატრონთან და მწარმოებელთან“².

ავსტრო-მარქსისტი დეიჩი წერს: „მუშებმა შესძლეს ისეთი პოზიციის დაკერა სახელმწიფო აპარატის შიგნით, რომელმაც შეუძლებელი გახადა ამ აპარატის მათ წინააღმდეგ გამოყენება“².

XIX საუკუნის ლიბერალური სახელმწიფო გადაიქცა სოციალურ სახელმწიფოდ და აქედან სრულიად ბუნებრივი შედეგი-პროლეტარიატი ეწევა კლასობრივ ბრძოლას „არა სახელმწიფოს წინააღმდეგ, არამედ სახელმწიფოსათვის, ცალკეული სოციალურ-პოლიტიკური ღონისძიებებისათვის“³.

დეიჩი ამბობს: „რადგანაც ჩვენ, მემარჯვენე სოციალისტები, მინისტრები ვართ, სახელმწიფოს სულ სხვა პოზიცია უჭირავს მშრომელთა მიმართ, ვიდრე მონარქიულ-ფეოდალურ ან წმინდა ბურჟუაზიულ სახელმწიფოს“² ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მთელი ეს კონცეფცია თავიდან ბოლომდე ემყარება სოციალური ჰარმონიის ძველ თეორიებს, სახელმწიფოს ზეკლასობრიობის თეორიებს, რომლებიც განადგურებულია მარქსის, ენგელსის, ლენინისა და სტალინის მიერ.

ამხანაგი სტალინი გვასწავლის, რომ „არ არსებობს და არც შეიძლება კაპიტალიზმის დროს ექსპლოატირებულ მასათა ნამდვილი მონაწილეობა ქვეყნის მმართველობაში, თუნდაც იმიტომ, რომ კაპიტალიზმის პირობებში უაღრესად დემოკრატიული წესების დრო-

¹ Lucien Laurat „Le Manifeste Communiste de 1848 et le monde d'aujourd'hui“, Paris, 1948, p. 82.

² Deutsch „Was wollen die Sozialisten?“, Wien, 1949.

³ ვ. ლენინი, თბ., ტ. V XI, გვ. 254, მე-4 გამოცემა.

საც მთავრობას აყენებს არა ხალხი, არამედ როტშილდები და სტინესები, როკფელერები და მორგანები“¹.

მამასადამე, მემარჯვენე სოციალისტების აზრით, სახელმწიფო გასოციალურდა. თუ ეს მართალია, აქედან დასკვნა: არსებობს მხოლოდ ევოლუციური, არა რევოლუციური გზა სოციალიზმის მოპოვებისა.

რევოლუციაზე იმ შემთხვევაში შეიძლება ლაპარაკი, — წერს ლორა, — თუ მას ჩვენ მივანიჭებთ მის ჰუმბერტ ღრმა აზრს არა აღმოფეთქვისა, შესაძლებელია ეს აღმოფეთქვა ეფექტურიც იყოს, მაგრამ ფაქტობრივ ის ეფემერულია და ზედაპირული.

ასე, როგორც 1789 წლის საფრანგეთის რევოლუციამ, — წერს ლორა, — ოფიციალურ საზოგადოებრივ წყობად გამოაცხადა ის, რაც ძველ საზოგადოებაში შეიქმნა, ასევე ახლა რევოლუციას მართებს აღიაროს მხოლოდ ის წესრიგი, რომელიც ნელ-ნელა, ევოლუციის გზით შეიქმნა კაპიტალისტური საზოგადოების განვითარების შედეგად².

ლენინი ჯერ კიდევ 1908 წელს თავის ცნობილ სტატიაში „მარქსიზმი და რევოლუციონიზმი“ აღნიშნავდა, რომ რევოლუციონისტებმა (მემარჯვენე სოციალისტების წინაპრებმა. ვ. მ.) შეტოპეს „მეცნიერების ფილოსოფიური გათავისებების ჰაობში, ცელიდენ რა „ეშმაკურ“ (და რევოლუციურ) დიალექტიკას „უბრალო“ (და მშვიდი) „ევოლუციით“³.

ამჟამად, რომ ლორას და სხვათა ნაწერებში გამოსკვივის ძველი თეორია კაპიტალიზმის სოციალიზმში შეზრდისა, რომლის უკანასკნელი ვარიანტი

ევოლუციონიზმად და გამოცემ ბუხარინს. ამ ევოლუციონისტურმა ნაშრომმა, როდესაც ჯერ კიდევ 1891 წელს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამის შესაძლებლად სთვლიდნენ „თანამედროვე საზოგადოების სოციალიზმში შეზრდას“⁴.

მამასადამე, მემარჯვენე სოციალისტები ამტკიცებენ, რომ კლასობრივი ბრძოლა ქრება, იწყება ახალი ერა სახელმწიფოს სოციალიზაციისა, სოციალიზმის ევოლუციური წესით მშენებლობისა.

როგორ ხდება ეს?

როგორ მყარდება, მემარჯვენე სოციალისტების თვალსაზრისით, სოციალიზმი? თურმე ნუ იტყვიოთ, „დემოკრატიული სოციალიზმის“ გზით!

„დემოკრატიული სოციალიზმი“

რა არის ეს „დემოკრატიული სოციალიზმი“? შემახერხელი თეორეტიკოსი შულცი გვაფრთხილებს: „დემოკრატიულ სოციალიზმს საერთო არაფერი არა აქვს მეცნიერულ სოციალიზმთან, ის ჰუმბერტის შემოქმედება არის“.

რა პრინციპით ხასიათდება ეს ახალი „ჰუმბერტის შემოქმედება“?

სულ მცირე სამი პრინციპით:

პირველი — სოციალისტური სამართლიანობით,

მეორე — გეგმიანი ეკონომიკით და მესამე — ინდივიდუალური თავისუფლებით.

ეს არის თურმე ის „მესამე“ დამოუკიდებელი გზა, რომელიც ძველ საბჭოთა კავშირის კომუნისტებსა და ჩრდილო ამერიკის შეროთ. შტატების კაპიტალიზმს შორის.

„ძველი ფორმაციის მეცნიერული სოციალიზმი — წერს „Das sozialist.“

¹ ი. სტალინი თხ. ტ. VI გვ. 133.

² Lucien Laurat Le „Manifeste Communiste de 1848. et le monde d'aujourd'hui“. Paris, 1948. გვ. 79.

³ ვ. ლენინი თხ. ტ. 15, გვ. 14, მე-4 გამოც.

⁴ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხ. ტ. XVI, მეორე ნაწილი. გვ. 108.

che Jahrhundert“ (იხ. № 15 — 15, 1947 წ.), — ფიქრობდა თავისი მიზნების განხორციელებას ძალის გამოყენებით. მას სურდა მასები შეგნებული გაეხადა... დემოკრატიული სოციალიზმა უკუაგდებს მასების ძალას, ის მიმოათავს ინდივიდუუმის კეთილგონიერებას“. ეს არის „დემოკრატიული სოციალიზმის“ პოლიტიკის ამოსავალი დებულება. ვნახოთ, რას ნიშნავს „ინდივიდუუმის კეთილგონიერება“ პრაქტიკაში.

დემოკრატიული სოციალიზმის პირობებში, როგორც გვარწმუნებენ ინგლისელი ლეიბორისტები, კერძოდ ლასკი, შესაძლებელია გეგმიანობა, სოციალიზმის დამყარება ნაციონალიზაციის პროგრამის გატარებით.

ნაციონალიზაციის პროგრამის გატარება დაიწყო ინგლისის ლეიბორისტებმა მას შემდეგ, რაც მმართველ პარტიად გახდნენ, 1945 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად. ინგლისში ნაციონალიზებულია სახალხო ბანკი, ქვანახშირის წარმოება, რკინიგზები, ელექტრობისა და გაზის წარმოება. ეს ნაციონალიზაცია ასეული მილიონი გირვანქა სტერლინგი დაუჯდა ინგლისელ გადასახადის გადამხდლებს. მაგალითად, ქვანახშირის საბადოების ყოფილმა პატრონებმა მიიღეს ერთდროულად კომპენსაცია 165 მილიონი გირვანქა სტერლინგი. ინგლისის სახელმწიფო ბანკის აქციონერებს, გარდა „სამართლიანი“ კომპენსაციისა, დაეწესათ 12% წლიური შემოსავლისა, რომელიც სახელმწიფოს მიერ არის გარანტირებული. „დემოკრატიული სოციალიზმის“ პრინციპზე მდგარი ლეიბორისტების მთავრობა უკვე შეექვეს წელიწადია, რაც ინგლისის საქმეებს განაგებს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, 6% მოსახლეობისა ლებულობს ნაციონალური შემოსავლის 80%.

კაპიტალისტური კამპანიების მოგება ინგლისში ასეთ სურათს გვაძლევს:

1938 წელს 22% ნაციონალური შემოსავლისა მათი იყო, 1946 წელს 25%, 1947 წ. — 26%, 1948 წ. — 27%. რუსეთში, ლორა, ლასკი, ბლუმში „სოციალური დემოკრატიის“ განხორციელებას ამერიკის შეერთებულ შტატებში ხედავენ. იქ არის კაპიტალი სოციალიზებული. ფაქტობრივ რა მდგომარეობაა იქ? ამერიკაში ექვსი წლის მანძილზე, 1940 წლიდან 1946 წლამდე, სხვადასხვა კაპიტალისტურმა მონოპოლიებმა მთავრობის დაკვეთათა შესრულების შედეგად მიიღეს წმინდა მოგება 66,5 მილიარდი დოლარი.

ცნობილი ეკონომისტის იურგენ კუჩინსკის გამოანგარიშებით, ამერიკელი მუშის ხვედრითი ნაწილი საზოგადოებრივ პროდუქციაში-თუ 1900 წელს მივიღებთ როგორც 100, 1868 — 1878 წ. წ. უდრიდა 89; 1897—1908 წ. წ. — 87; 1933 — 1941 წ. წ. — 67. აქ ამერიკის მუშათა კლასის აბსოლუტური და შეფარდებითი გადატყვების სრული სურათია წარმოდგენილი.

რათ დასპირდათ ინგლისის ლეიბორისტებს მრეწველობის გარკვეული დარგების ნაციონალიზაცია? ნუთუ მართლა „სოციალიზმზე“ გადასვლის მიზნით? რომ არავითარი ეჭვი არ არსებობდეს, სიტყვა მივცეთ თვით ლეიბორისტებს.

მორისონი აღნიშნავს — „ნაციონალიზაციამდე ქვანახშირის წარმოებაში ჩვენ ვერ მივალწვეთ მშვიდობიანობას“. ¹ აი თურმე სად მარხია ძალის თავი! ღუგლას ჯეი თავის წიგნში „The Socialit Case“ წერს: „ნაციონალიზირებულ წარმოებებში ხელფასი და ჯამაგირი უნდა განისაზღვრებოდეს თავისუფალი კონკურენციის პრინციპებით“, ე. ი. პროფკავშირების ჩარევის გარეშე. ფრენსის ვილიამსი კი ამ-

¹ „The British Labour Party, its History, Growth, Policy and Leaders“ vol. II, 33 20, London, 1948.

ბობს: ნაციონალიზაცია ნიშნავს „მოწოდებას მუშებისადმი იმუშაონ უფრო დაძაბულად. ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე“.¹

ნაციონალიზებული მრეწველობის მუშები ახლა პირისპირ დგანან არა ცალკეული კაპიტალისტების წინაშე, არამედ კაპიტალისტური სახელმწიფოს წინაშე, რაც გაცილებით ართულებს მათ ბრძოლას ელემენტარულ ეკონომიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის.

ვინ განაგებს ნაციონალიზებულ მრეწველობას? ლეიბორისტულ ინგლისში ნაციონალიზებული ქვანახშირის მრეწველობის გამგეობის თავმჯდომარეა ლორდ ჰაინდლი, ქვანახშირის მრეწველთა ასოციაციის ყოფილი თავმჯდომარე; გამგეობის წევრებია სერ არტურ სტრიტი, იანგი და ბოროუზი — ქვანახშირის მრეწველობის ყოფილი მფლობელები. ასეთი სურათია ინგლისის ნაციონალიზებული სახელმწიფო ბანკის გამგეობაში, რკინიგზების სამმართველოში, ელექტრობისა და გაზის მრეწველობაში. ლეიბორისტი იდეოლოგი ერნესტ დევისი პირდაპირ აღნიშნავს, რომ „ნაციონალიზაცია სახელმწიფო კაპიტალიზმის ღონისძიებათა გატარებას ნიშნავს“.² ეს რომ ასეთა, მსხვილი კაპიტალისტების ორგანო „ეკონომისტიც“ ადასტურებს. „შესაძლებელია, — წერს „ეკონომისტი“, რომ ნაციონალიზაცია არა, ნახშირი ნაკლებად გვექნებოდა და ის უფრო ძვირი ეღირებოდა და, ექვს გარეშეა, რკინიგზის ტარიფები უფრო მაღალ დონეზე იქნებოდა, ვიდრე ახლა არის“.³

ერთი გარემოებაც არის აღსანიშნავი.

ვი. კონსერვატორები ამ ბოლო ხანებში აქტიურად არ ილაშქრებენ ნაციონალიზაციის წინააღმდეგ. მორისონი ჩიოდა კიდეც — კონსერვატორებმა პროგრამა გაგვიცარცვეს, ნაციონალიზაციის მოთხოვნილება მიიკუთვნეს, რომ წარმოებათა გასახელმწიფოებას, მათ ნაციონალიზაციას სოციალიზმთან არაფერი საერთო აქვს, ამას ენგელსიც აღნიშნავდა, როდესაც ამბობდა „თავისებური ცრუ სოციალიზმი, რომელიც ხან აქ, ხან იქ იჩენს თავს, როგორც ნებაყოფლობითი ლაქიობა, ყოყმანის გარეშე აცხადებს სოციალიზმად ყოველგვარ გასახელმწიფოებას, ბისმარკულსაც-კი“.⁴ ინგლისის ლეიბორისტებს ლაქიობაში აბა ვინ აჯობებს, და ენგელსის ეს დახასიათება პირველ რიგში მათ მიეკუთვნება.

ასეთსავე მდგომარეობაშია „დემოკრატიული სოციალიზმის“ სხვა პრინციპები. მათ საერთო არაფერი აქვთ არც დემოკრატიზმთან და მით უმეტეს სოციალიზმთან. „დემოკრატიული სოციალიზმი“, ისეთივე სოციალიზმია, როგორც იყო ნაციონალ-სოციალიზმი თუ ნაციონალ-სოციალიზმს ჩვენ წარმოვიდგენთ როგორც გარკვეულ ეკონომიურ თეორიას და გარკვეულ ეკონომიურ და პოლიტიკურ ღონისძიებათა ჯამს. ეს ჩვენი გადაჭარბება არ არის. ამას თვით მემარჯვენე სოციალისტები რენერი, დეიჩი, ზერინგი და სხვები აღიარებენ. რენერი წერს, რომ: ფაშიზმი კლასებზე ზემდგომი ფენომენი იყო, რომელიც კოლექტივიზმის პრინციპზე იყო აგებული, ინდივიდუალს ანგარიშს არ უწევდა, სახელმწიფოს პრიმატს აღიარებდა.

ზერინგი ამტკიცებს, რომ ფაშიზმი მხოლოდ „გვეგმიანი იმპერიალიზმი იყო“, რომელიც „იბრძოდა მსხვილი სამრეწველო სახელმწიფოების საგეგ-

¹ The triple challenge* by Francis Williams, გვ. 120.

² „How much compensation“ by Ernest Davies, London, 1917.

³ „Economist, 1944 წ. 3 აგვისტო.

⁴ კ. მარქსი და ფ. ენგელსი თხზ., ტ. XV, გვ. 539, შკნიშენები.

მო ტერიტორიების გასაფართოებლად“.

„დემოკრატიული სოციალიზმის“ დროშის ქვეშ ხდება ნაციონალურ-გამათვისფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ გალაშქრება. „დემოკრატიული სოციალისტები“ ქადაგებენ და ცხოვრებაში ატარებენ რასისტულ პოლიტიკას. „თეთრი ავსტრალიის“ ლეიბორისტული დოქტრინის წყალობით ავსტრალიაში გაწყვიტეს ათიათასობით ამორიგენები, ურჯულ მტარვალებად მოველინენ სამხრეთ აფრიკის კავშირის ადგილობრივ მცხოვრებლებს „დემოკრატი სოციალისტები“, ლეიბორისტები. ლეიბორიზმის ლიდერები ზშირად იმეორებენ კიბლინგის ჯინგოისტურ ფორმულას „თეთრი ადამიანის მჭიმე ხედრის“ შესახებ. ერთ დროს მომემარცხნო ლეიბორისტმა შინუელმა ჟურნალ „ემპაირ რევიუში“ დაბეჭდა წერილი მეტად ხატოვანი სათაურით „ჩემი იმპერიალიზმის ნაირსახეობა“ და ეს ირონიული მეტაფორა როდი იყო, ის დადებითი პოზიციებიდან ასაბუთებდა ლეიბორისტული იმპერიალისტური პოლიტიკის აუცილებლობას. ლეიბორისტი დეპუტატი დეკუსი შორეულ აღმოსავლეთში მოგზაურობის შემდეგ პარლამენტში გამოვიდა და განაცხადა: „ჩვენ იმიტომ ვინარჩუნებთ ნდობას შორეულ აღმოსავლეთში, რომ ინგლისში ლეიბორისტული მთავრობაა; ინგლისში რომ ლეიბორისტული მთავრობა არ იყოს, შორეული აღმოსავლეთი ცეცხლის ალში იქნებოდა გახვეული კიდით კიდემდე“. ¹ დევისი აქ სწორად განსაზღვრავს ლეიბორიზმის ფუნქციას, როგორც დემაგოგიურს და პოლიციურს. ლეიბორიზმი, მემარჯვენე სოციალიზმი, სწორედ ამ ფუნქციებს ასრულებს. ისიც კი უნდა ითქვას, რომ ილუზიები, ყოველ შემთხვევაში, შორეულ აღმო-

საელეთში, თანდათან იფანტება და, ლეიბორისტების უნაყოფო ცდების მიუხედავად, კოლონიური სამყარო მართლა გაეხეია ნაციონალგამათვისფლებელი ცეცხლის ალში.

„დემოკრატიული სოციალიზმი“ ქადაგებს „ორგანიზებული კაპიტალიზმის“ ხანის დადგომას, ამტკიცებს „გეგმიანი კაპიტალიზმის“ არსებობას, გეგმიანობის შესაძლებლობას კაპიტალისტური მეურნეობის პირობებში. ესეც მოძველებული და გაქეჩილი კაპიტალისტური აპოლოგეტიკის ნიმუშებია.

ერთი დასკვნა. დემოკრატიული სოციალიზმი არის ინგლისის მონოპოლისტური ბურჟუაზიის რეაქციული დიქტატურა. არავითარა დემოკრატიზმი, არავითარ სოციალიზმი მას არ ახასიათებს. „დემოკრატიული სოციალიზმი“ მოწოდებულია გააბრუნოს მუშათა კლასი, აურიოს მას გზა-კვალი, საბოლოო დალუპვას გადაარჩინოს გახრწნილი კაპიტალიზმი.

მემარჯვენე სოციალისტების კოსმოპოლიტური თეორიები

ვანეხილოთ მემარჯვენე სოციალისტების კოსმოპოლიტური თეორიები. ეს თეორიები ომის გამჩაღებელთა იდეოლოგიურ არსენალში უკანასკნელ როლს როდი თამაშობენ.

რა ეკონომიური მოსაზრებებით ასაბუთებენ მემარჯვენე სოციალისტები თავის კოსმოპოლიტურ თეორიებს? კარლ რენერი აღნიშნავს, რომ „ახლა დადგა ერა მსოფლიო კაპიტალიზმისა, რომ კაპიტალიზმი ნაციონალურ ჩარჩოებში ანაქრონიზშია“. თუ შეიძლება ლაპარაკი ნაციონალურ კაპიტალიზმზე, ეს მხოლოდ ახლა, კოლონიური ქვეყნების ნაციონალურ კაპიტალიზმზე, ასიც პირობით, და მხოლოდ როგორც დროებით მოვლენაზე. რენერი წერს:

¹ იხ. დევისის დაახლოებული ნაშრომი.

„სოციალისტური პარტიები უნდა ისწავლოდნენ ერთი მიზნისაკენ—ჩართონ თავისი სახელმწიფოები საერთო მსოფლიო ეკონომიურ და პოლიტიკურ თანამეგობრობაში“. ¹ თანამეგობრობა ნიშნავს კაპიტალიზმს, ეს ჩვენთვის გასაგებია. ბლუმიც ამას ლაღადებდა — „სოციალური დემოკრატია“ წარმოიღვინება მხოლოდ, როგორც მსოფლიო წესრიგში ჩართულია“. პარტიულ ლასკიც სისტემატურად გაიძახოდა „მსოფლიო ეკონომიკაზე“, რომელიც საფუძველია „მსოფლიო სახელმწიფოსი“.

„მსოფლიო ბაზრის არსებობის დროს, — წერს ლორა, — როგორც კაპიტალს, ისე შრომას არ შეუძლია ჩაეტიოს ნაციონალურ საზღვრებში“. კ. კაუცკის ძველი ულტრაიმპერიალიზმის თეორია მემარჯვენე სოციალისტების კოსმოპოლიტიზმის რეაქციული იდეოლოგიის თეორიულ დასაყრდენს წარმოადგენს.

ვ. ლენინმა ძირფესვიანად გაანადგურა კ. კაუცკის მიერ შეთხზული ულტრაიმპერიალიზმის თეორია, როგორც ცნობილია, კ. კაუცკიმ გამოაცხადა ახალი ერა, რომელიც სხვადასხვა სახელმწიფოთა იმპერიალიზმის გაერთიანებით ხასიათდება და სადაც სხვადასხვა ქვეყნის იმპერიალიზმი ერთმანეთს კი არ ებრძვის, არამედ ისინი ერთიანდებიან და ამის გამო იმპერიალიზმის ეპოქაში ისობა ომები. ამ თეორიის სრული აბსურდულობა XX საუკუნის (ე. ი. იმპერიალიზმის ეპოქის, ვ. მ.) ისტორიამ გვიჩვენა. ყველაზე საშინელი მსოფლიო ხასიათის ომები სწორედ იმპერიალიზმის ეპოქამ წარმოშვა. ამის გამო წერდა ვ. ლენინი, რომ კაუცკის ულტრა-იმპერიალიზმის თეორია „შეშინებული მემჩანინის რეაქციული

ცდაა დაემლოს სასტიკ სინამდვილეს“ ¹.

მემარჯვენე სოციალისტების კოსმოპოლიტური თეორიები, ისე, როგორც სხვა დებულებებიც, რომელთა შესახებ ჩვენ ზევით გვქონდა ლაპარაკი, მოდურ ბურჟუაზიულ, რეაქციულ ახალ-ახალ დოქტრინებს ემყარება: მემარჯვენე სოციალისტები მთლიანად იზიარებენ კარლ იასპერსის იდეას უნაციონალო „ევროპული სულის“ არსებობის შესახებ, რომელიც განისაზღვრება ცნებით „Abendland“ „დასავლეთი“.

„აბენდლანდი“ ყველაზე მოდერო სიტყვაა ახლა ევროპულ ბურჟუაზიულ, ფილოსოფიურ თუ სოციოლოგიურ ლიტერატურაში. „აბენდლანდი“ ნიშნავს „დასავლეთის მთლიანობას“, „დასავლეთის უნივერსალიზმს“, „დასავლურ ადამიანს“.

ამ ახალმა ტერმინოლოგიამ შეცვალა ფაშისტების ბიოლოგიური რასიზმი, „რასის არისტოკრატისმი“, რომელიც ქადაგებდა თეთრი ადამიანის პრიმატს. რა არის ევროპა? იასპერსი უპასუხებს: „ეს არის ნიადაგი სულიერი პრინციპისა; დასავლეთის მთლიანობის პრინციპისა“. ² გერბერტ შრუეკერო, რომელსაც გერმანელი შემახერელები თავის იდეოლოგადაც აცხადებენ, წერს: „დასავლეთის ნიშანდობლივი თვისება ის არის, რომ ის სულიერი იმპერიაა“ ³.

პროფესორი ცოფლი კოსმოპოლიტიზმის იდეის რეალურ მატარებელ ფენომენებს ეძებს და აღნიშნავს, რომ ის აღფრთოვანებულია „რანდების, ბერებისა და ვაქრების უნივერსალურა კოსმოპოლიტიზმით“. ⁴ ევროპის უნაციონალური და სახელმწიფოებრივი

¹ ვ. ლენინი, თბ., ტომი 22, გვ. 260.

² K. Jaspers „Vom europäischen Geist“, გვ. 7, 1947.

³ H. Stülzer „Nation, Abendland, Welt“, გვ. 44-44, 1946.

⁴ K. Renner „Der Unternehmer in der neuen Wirtschaftsordnung“.

საზღვრები შემარჯვენე სოციალისტებს ანაქრონიზმად მიაჩნიათ. „აღგრედ ვებერი წერს: „უაზრობაა წარმოვიდგინოთ დღეს სულიერად და მატერიალურად ერები გარეშე იმ დიდ ახალ ტერიტორიულ დამოკიდებულებათა რომელნიც წარმოქმნენ ომის შედეგად“. იგივე შემარჯვენე სოციალისტები ვებერი წერს: „ძალთა და სახელმწიფოთა სუვერენული თავისუფალი მეტოქეობა ძველი გაგებით არასდროს აღდგება. სუვერენული არსებობა ძველი გაგებით გათავდა. ეს დამშვიდობებაა ძველ ისტორიასთან“¹.

იასპერსი მოუწოდებს სტუდენტობას — პოლიტიკური და პარტიული დემონსტრაციები არ მოაწყობ, მით უმეტეს ნაციონალურიო. უხივერსიტეტები უნდა ემსახუროს დასავლეთის მთლიანობის იდეასო.²

შემარჯვენე სოციალისტი ზერინგი თავის წიგნში „Jenseits des Kapitalismus“ („კაპიტალიზმის მიღმა“) წერს: „ევროპა შეიძლება შევიწახოთ იმ შემთხვევაში, თუ ის გაერთიანდება, როგორც ბირთვი ქვეშარტ ევროპული კოოპერაციისა ყოველგვარი ნაციონალური საზღვრების გადალახვით“. მაგრამ რომელ ევროპაზეა აქ ლაპარაკი? ჩეზოსლოვაკიაც ევროპაა, უნგრეთიც ევროპაა, პოლონეთიც ხომ ევროპაა, საბჭოთა კავშირის უდიდესი ნაწილიც ხომ ევროპაა. ამ ვებერებს, ზერინგებს მათ ამერიკელ პატრონებს ასეთ ევროპის გაგონება არ სურთ. ტრუმენსა და ბრედლის მთელი ეს ფილოსოფიური კორიანტელი იმდენად აინტერესებს, რამოუნდაც ის ხელს უწყობს ევროპის სამხედრო პლაცდარმის კონსოლიდაციას. ეს პლაცდარმი, დასავლური მთლიანი პლაცდარმი, გადამწყვეტი

პლაცდარმია მომავალ ომში, ისინი ცნებობენ რომ ამ პლაცდარმის გარე-დრომებიდან აფრინდებიან ატომური ბომბებით დატვირთული „ბოინგები“ საბჭოთა კავშირის ცენტრალური სამრეწველო რაიონების დასაბოშად. ამ პლაცდარმიდან შეიძლება რეალური სამხედრო ოპერაციების წარმოება სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, და თუ ეს ასეა, დასაშვებია საკვირველი მანიპულაციები ძველ გეოგრაფიულ ცნებებთან. თურმე წუ იტყვიო, არ არსებობს ცნება ევროპისა. ვებერი წერს: „არსებობს ინდუსტრიული ბირთვი ევროპისა და აგრარული სანაპირო ევროპისა“¹.

რას წარმოადგენს ეს ინდუსტრიული ბირთვი? ეს ყოფილა თურმე დასავლეთი გერმანია, ინგლისი, ლუქსემბურგი, ბელგია, ნიდერლანდები, შვეიცარია, აღმოსავლეთი საფრანგეთი (მხოლოდ აღმოსავლეთი. ვ. მ.) და ჩრდილოეთი იტალია (მხოლოდ ჩრდილოეთი. ვ. მ.). ევროპის დანარჩენი ქვეყნები და მათი გარკვეული ნაწილი აგრარულ სანაპიროს განეკუთვნებიან და ისინი არც უნდა შევიწინე „დასავლეთის მთლიანობის“ ცნებაში.

თითქოს განყენებულ ფილოსოფიურ-სოციოლოგიურ კონცეფციასთან გვაქვს საქმე. ფაქტობრივ კი არასდროს ისე არ ყოფილა უშუალოდ დაკავშირებული გარკვეულ პოლიტიკურ ამოცანებთან ეს განყენებული ცნებები, როგორც ჩვენს დროში.

ვებერის მთელი ეს ახლა გეოგრაფიული აღმოჩენა პირდაპირი დასაბუთებაა მესამე მსოფლიო ომის მომზადებაში გართული ანესონ-შუმანის გეგმისა გერმანია-საფრანგეთის ფოლადისა და ქვანახშირის მრეწველობის

¹ Weber „Abschied von der bisherigen Geschichte“, 83 244.

² Jaspers „Die Idee der Universität“, 83-124. Berlin, 1946.

¹ Weber „Abschied von der bisherigen Geschichte“, 83 21.

გაერთიანებისა, ჩერჩილ-ბევიინის „ევროპის გაერთიანებისა“, დასავლეთ გერმანიის შეიარაღებისა.

ეს გეგმები მიმართულია საბჭოთა კავშირის, სახალხო დემოკრატიის ევროპისა და აზიის ქვეყნების წინააღმდეგ.

ევბერის „ევროპის ინდუსტრიულ ბირთვში“ გერმანიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს — ის არის ბირთვის ბირთვი, ევბერი დარწმუნებულია, რომ გერმანია შეძლებს თავისი ადგილი დივიზიონს ევროპის კონსულტაციურ საბჭოში, მონაწილეობა მიიღოს ევროპის სინდიკალურ მმართველობაში.

სრულიად გაქრა ცნება ნაციონალური, სუვერენული სახელმწიფოებისა, იქმნება ახალი ცნებები „ბენილუქსი, „ბიზონია“, „ტრიზონია“, „ევროპის მთლიანობა“. და ასე შემდეგ.

რამდენად ახალია მთელი ეს კოსმოპოლიტური ბოდვები? ის ისევე ძველია, როგორც ძველია ბურჟუაზიული პოლიტიკოსების ცდა გადაარჩინონ საბოლოო დაღუპვისაგან კაპიტალიზმი.

ჯერ კიდევ 1919 წელს ცნობილი გერმანელი მრეწველი მაგნატი რეხბერგი, რომლის შესახებ ამხანაგმა სტალინმა ს.კ. კომ. პარტიის (ბ) XVI ყრილობაზე თქვა, რომ ის „სიმართლე რომ ვთქვათ, ნაყლებად ჰგავს მრეწველს და უფრო გვაგონებს „მრეწველს“ ლიტერატორთა შორის და „ლიტერატორს“ მრეწველთა შორის“¹, აყენებდა იდეას „ინგლისის, საფრანგეთის და გერმანიის მრეწველობის ურთიერთ-დაკავშირებისა, რომელსაც მხარი უნდა დაუჭიროს ჩრ. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მთელი თავისი ფინანსური სიმდიერით და რომელიც გარანტირებული უნდა იყოს ამ ქვეყნების სამხედრო ინტერესების გაერთიანებით“.

ირკვევა რომ, არც აჩესონ-შუმანის გეგმა ახალი, და მით უმეტეს ვებერ-ზერინგების კოსმოპოლიტური თეორიები. ინგლისელი ლეიბორისტები უფრო შორს მიდიან, ვიდრე მათი გერმანელი კოლეგები. ლასკის არ აწყობს ევროპის მთლიანობა. თავის წიგნში „ჩვენი ცივილიზაციის კრიზისი“ ის ლაბარაკობს „მსოფლიო მთავრობაზე“, „ატლანტიის მთლიანობაზე“, რასაკვირველია, ამერიკის კაპიტალიზმის ხელმძღვანელობით. ლასკი აღნიშნავს: „ნაციონალური სუვერენიტეტის პრინციპი ხელს უშლის ფართო მოძრაობას მსოფლიო მთავრობისათვის“. ბლუმიც კვერს უყრავს ლასკის: „წარმოდგენილია საერთაშორისო ორგანიზაცია, თუ ინდივიდუმი არ გაიღებს ნაწილს თავისი პირადი სუვერენიტეტისა, თუ სახელმწიფო უარს არ იტყვის ნაციონალური სუვერენიტეტის ნაწილზე“.¹

ძველი დემაგოგი და სოციალ-გამცემელი რენერი „სოციალისტურ“ დასაბუთებას უძებნის ამერიკელების ბატონობას მსოფლიოზე. უსირცხვილოდ, ისე, როგორც ეს შეეფერება ძველ მეძავს, ის ამტკიცებს, რომ სუვერენულ სახელმწიფოთა მოსპობის პროცესი საფრანგული შეფარდება მარქსის მოძღვრებას მთლიანი მსოფლიო სამეურნეო სისტემის არსებობის შესახებ, „ახალი ადამიანის ინტერნაციონალს“.

„ჩვენ, სოციალისტები, — ამბობს რენერი, — ვართ ისტორიული აუცილებლობის იარაღი და მომავალი კაცობრიობის ბებია-ქალები“. მართლაც რა უდღეო უნდა იყოს მომავალი კაცობრიობა, თუ მისი შეანე დაჩაინაყებულნი, გამოთავყვანებული რენერი იქნება! მომავალი კაცობრიობის საბედნიეროდ, მისი დაბადების პროცესს დიდი ბუმბერაზები ხელმძღვანელობენ და არა ამერიკელი კაპიტალისტების ტაყმასხარები.

¹ ი. სტალინი., ლენინიზმის საკითხები, გვ. 414, თბილისი, 1935.

¹ Léon Blum „A l'échelle humaine“.

კონფლიქტები ევროპაში მისი „პლურალიზმით“ აიხსენებოდა, ამბობს ბლუმი. საჭიროა ევროპის „მონისტური გაფორმება“. სოციალიზმი მაშინ დამყარდება, — უმტკიცებს ფრანგ მუშებს ბლუმი, — როდესაც „ნაცია მთლიანობის ერთეული გახდება“. ეტლიც მოითხოვს „ნაციების აბსოლუტური სუვერენიტეტის შეზღუდვას“.¹ მაშასადამე, ერების სუვერენული არსებობა გამორიცხულია, უნდა შეიქმნეს არათუ კონტინენტუალური, არამედ მსოფლიო მთლიანობა და ამ მთლიანობის მეთაურად, მის ძარღვად, წამყვან ძალად ამერიკელი კაპიტალისტების ლაქიები, მემარჯვენე სოციალისტები, თავის პატრონებს აცხადებენ. ლორა წერს: ამერიკა მოწოდებულია დისციპლინა დაამყაროს მსოფლიოში“, „ჩრ. ამერ. შეჯრთ. შტატები ქმნიან მსოფლიო კოპერაციას, რომელიც მსოფლიო სოციალიზმის საფუძველია“. ამერიკაში, თურმე, კაპიტალიზმიც არ არის, „ქჷარბობს ანტიკაპიტალისტური და რადიკალური ელემენტები. ლეიბორისტი სამხედრო მინისტრი, სტრეიჩი გვარწმუნებს, რომ ამერიკა ყველაზე მემარცხენე ქვეყანაა მსოფლიოში.

როგორც ვხედავთ, მემარჯვენე სოციალისტები, ეს სტაჷიანი გაიძვერა ჯაშუშები, არც ერთ არგუმენტს, არ სტოვებენ, ყოველი ჯურის სოფიზმებს,

უსირცხვილო დემაგოგიას მიმართავენ, რომ გაუადვილონ ამერიკელ პლუტოკრატ-მონოპოლისტებს „აბსურდული ზრახვების შესრულება მსოფლიო ბატონობის მოპოვებისა.

რით აიხსნება მაინც კაპიტალისტურა სამყაროს მესვეურთა გონების ასეთი დაბნელება?

ვ. ლენინს ამაზე შესანიშნავი, გენიალური პასუხი აქვს. ილიჩი ამბობს, რომ „არ შეიძლება სწორად მოზომონ, როდესაც დაღუპვის გზაზე დგანან“.

მსოფლიო კაპიტალიზმი დაღუპვის გზაზეა დამდგარი. მისი ყავლი უკვე გასულია. ისტორიას ბარდებმა უკანასკნელი კლასობრივი საზოგადოება. ახალი სამყარო, სამყარო კომუნიზმისა, გარდუელად იმარჯვენებს. მისი გამარჯვენება მსოფლიო მასშტაბით ახლო ისტორიული მომავლის საქმეა. ძველ კაცობრიობას ახალ სულს ვერ ჩაბერავენ ვერც ბურჷუაზიული რეაქციის პირდაპირი მოციქულები, ვერც მათი ფინიები — „მემარჯვენე სოციალისტები“. ისინი განწირულნი არიან, როგორც ძველი სამყაროს ნაშვიერები.

ლენინისა და სტალინის იდეები, რომლებსაც მასები ეუფლებიან, ახალი სამყაროს უძლიერესი მამოძრავებელი ძალაა. ახალი კაცობრიობის მშობელი დიდი სტალინია, ის არწევს მის აკვანს, მის ხელშივე დაეაყვადება კომუნიზმი მთელ მსოფლიოში.

¹ Attles „The Labour party in perspective, გვ. 159, London.

ბიბლიოგრაფია

★

წიგნების სია — „საქართველოს“

★

ყველასათვის ცნობილია, რომ საბჭოთა თეატრი ყველაზე იდეური, ყველაზე მოწინავე მსოფლიოში და რომ ამ თეატრს საფუძვლად უდევს ბოლშევიკური პარტიულის პრინციპი, ხოლო მის მეთოდს წარმოადგენს სტალინის მიერ განსაზღვრული სოციალისტური რეალიზმი. ყველასათვის ცნობილია აგრეთვე ისიც, რომ საბჭოთა აქტიორი, ვ. ი. მოქალაქე, რომელიც თავისი სამშობლოს ინტერესებით ცხოვრობს და მარქსიზმ-ლენინიზმის მოწინავე იდეებით ზელომღვანელობს, თანამედროვე გვირის სახის შემქმნელი უნდა იყოს.

აქაი ზორავა ახალი, საბჭოთა ინტელიგენციის წარმომადგენელი და დიდი ს. ბჭოთა აქტიორია. ამიტომ მის მიერ შესრულებული როლების განხილვა გარდა საერთო ნიშნებისა, დასაბუთებული უნდა იყოს იმ თავისებურებითაც, რომელიც ახასიათებს აქაი ზორავას როგორც დიდ შემოქმედს.

მონოგრაფიის ავტორი მსახიობის შემოქმედებით გზების განხილვას 1922 წლიდან იწყებს, ხოლო წინა პერიოდზე შენიშნავს შემდეგს: „1919 წლიდან, რაიონებს თეატრებში მშრომლის შემდეგ, შ. ლვა დადიანთან ერთად, იგი გადმოვიდა თბილისში და დაიწყო მოღვაწეობა უფილ სახალხო სახლში“ (ვ. 4).

ვფიქრობთ, არ იქნებოდა ზედმეტი ავტორს უფრო ვრცლად გადმოეცა ზორავას ამ წინაპერიოდის მუშაობა რაიონული თეატრების სცენაზე — სურამის დრამატულ წრეში, სადაც იგი არა მარტო მსახიობად, არამედ მოკრანახედაც ყოფილა. ვფიქრობთ, არც ის იქნებოდა ცუდი, რომ ავტორი უფრო ვრცლად შეხებოდა ზორავას მუშაობას სახალხო სახლში, მართალია, წიგნის ამ ნაწილში ავტორი ნათლად და სხარტად იძლევა რუსთაველის თეატრის რეპერტუარს 1922 წლიდან და ამ რეპერტუარში გარკვეულად ხატავს ზორავას ადგილს, მაგრამ, რადგან მსახიობმა 1919 წლიდან დაიწყო თავისი აქტიორული მოღვაწეობა, ცხადია, ოთხ წელიწადს შემოქმედებითი ცხოვრებისათვის უთუოდ გარკვეული მნიშვნელობა ექნებოდა. კარგი იყო აქვე აღნიშნ-

ნულიყო ღონისძიებანი, რომლებთანაც საბჭოთა ზელისუფლება იმთავითვე შეუდგა მსახიობისა და დრამატურგის დაყენებას სწორ გზაზე. მაგალითად, ავტორთეატრების შექმნა, დრამატული ნაწარმოებები საბჭოთა თეატრისათვის, ზელომღვანის მუშაობა კავშირის როლი ამ პერიოდში და სხვა. საერთოდ რუსთაველის თეატრის დაკრძოლ და აქაი ზორავას შემოქმედებითი გზების ჩამოყალიბებაში გარკვეული როლი შეასრულა აღნიშნულმა ღონისძიებებმა.

ავტორი ზორავას შემოქმედებაში, ბერსენევის როლის შესრულებამდე, ვ. ი. 1928 წლამდე, ასახელებს როლებს ისეთ სპექტაკლებში, როგორცაა: „სალომე“, „მასკოტი“, „გაანანურებულა მდამი“, „კაცი-მასა“, „გვანი“, „ლიანბონის მიწისძვრა“, „გაყრა“, „დეზერტირა“ და აღნიშნავს, რომ ჩამოთვლილმა სპექტაკლებმა ზორავას შემოქმედებითს ბიოგრაფიაში შიშოლოდ შემამზადებელი საფეხურის როლი შესასრულა.

სრულიად მართებულად იქნება შიშოლოდ აღნიშნა, რომ დედაც ბერსენევის როლს განიხილავს საერთო „ბრძოლა რთული მხატვრული სახეების სწორად გახსნისათვის“. მართალია, ეს იყო ბრძოლა, ეს იყო სწრაფვა იქითენ, რომ მოქმედი ყოფილიყო „თანამედროვე ცხოვრების ფერხულში ჩამხვლი ადამიანის ცოცხალი სახე“. რა თქმა უნდა, ზორავას მიერ შესრულებული წინა რეპერტუარის გვირების სულეობა საშინაო არ ემთხვეოდა თანამედროვეობას; არათანამედროვე რეპერტუარში ზორავას რევიოლუციური გეგმაცა ვერ პოულობდა ნიადაგს, მაგრამ მოვიდა ახალი პიესა, მოვიდა ბერსენევი, რომლის სახის გახსნისთვისაც ავტორი ვრცელ ანალიზს ახდენს. ამ ანალიზის შემდეგ შეთხვეული თავისუფლად ასცენს, რომ ზორავას ბერსენევი ღრმად ადამიანური ღირსში შეერთებულია მ. მ. ცურ გამხედაობასა და მტკიცე ხასიათთან. ეს კი უსათუოდ შემოქმედებითი სახის გამოძლევა უნდა იყო. კონკრეტული მაგალითებით ავტორი ასაბუთებს, რომ ბერსენევის როლის შესრულებისას ზორავამ თავისებურად გამოამყვანა გარდასახვის საოცარი ნიჭი, მაგრამ უნდა აღინიშნოს,

რომ ლავრენეის პეისა „არღვევა“, ზორავას შე მოქმედებასთან დაკავშირებით, სხვა მხრივაც შოთხიხვს ყურადღებას. საქმე იმაშია, რომ ეს პეისა დაკავშირებულია რუსული საბჭოთა რეა-ლისტური დრამის დადგენასთან და აღსანიშნავია, რომ ეს პირველი საბჭოთა რეალისტური დრამა მანინვე კმოვებს გამოქაზებს ქართულ საბჭოთა სცენაზე, ისევე როგორც „ჯავშნოსანი 14 — 69“, ამავე რუსთაველის თეატრში. ეს ფაქტი მოწმობს იმას, თუ რაოდენ ერთნაირი ინტერესი აღელვებდა რუსულ და ქართულ საბჭოთა თეატრებს და იმასაც, რომ აკაიე ზორავამ სწორად ამ პეისაში გამოავლინა პირველად თავისი მოქალაქეობრივი სახე და ამ პეისის გმირმა — ბერსენეევმა აპოგინა ზორავას შემოქმედებითი გზა.

ავტორი, სათურით — „ძიება რომანტიკული სახისა“, განიხილავს ზორავა — ანზორს, მკითხველისათვის ნათელი ხდება, თუ როგორ შესძლო ა. ზორავამ ეჩუქებინა თანამედროვეობის გმირული სახე. მონოგრაფიის ავტორი მკითხველის დაჯერებას ახერხებს მსახიობის შემოქმედების ფიქსირების ხერხით. დიდი ზონების ძლიერი ვაჟაკი, შეიარაღებული აჩანაყების დაბედული ორგანიზატორი და ზღუდმდევანი-არ შეიძლება სახის ასეთი გახსნას არ მოხდინა მყურებელზე დიდი ემოციური ზემოქმედება, არ შეიძლება ზორავა-ანზორს არ გაეტაცებინა მყურებელი თავისი რომანტიკული მკვნიზარებით. როგორც ცნობილია, 1927 წელს მოსკოვის სამხატვრო თეატრში პირველად დაიდვა ესეველი დიანოვის „ჯავშნოსანი 14 — 69“, რომელიც ვალდოკეთა დრამატურგმა ს. შინაიშვილმა „ანზორის“ სახელწოდებით. სამხატვრო თეატრის ეს სპექტაკლი გარდატეხის პუნქტი იყო არამარტო სამხატვრო თეატრის ცხოვრებაში, არამედ საერთოდ მთელს საბჭოთა თეატრში. ამ სპექტაკლით სამხატვრო თეატრში ცხალყო თავისი ზრდა იდეურ პოლიტიკურად და, გარდა იმისა, ეს სპექტაკლი საბჭოთა დრამატურგიას ანიჭებდა წამყვან როლს თეატრში. კანალოვმა ვერშინინის სახე შექმნა ღრმა იდეური, ზნეობრივი და შინაგანი განცდებით. კანალოვის ვერშინინი ერთხმად იყო აღიარებული როგორც აქტიორის დიდი გამარჯვება. ასევე ერთხმად იყო აღიარებული ზორავას ანზორიც. აქტიომ, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნებოდა მონოგრაფიის ავტორის პარალელი გავლელ ამ ორი დიდი მსახიობის მიერ შესრულებულ სახეთა შორის, ენაიდან აკაიე ზორავამ ანზორის შესრულებით არამარტო სპეციფიკური, არამედ ნაციონალური თავისებურებაც კი გამოავლინა.

მონოგრაფიის ავტორი ზორავა-კარლ შოთხის განხილვას იწყებს გენოს პარადოქსით — ზე-
11. „მნათობი“ № 10.

ლონებაშიც არსებობენ შამები... რაიმეს შექმნისას საჭიროა მშობლების არსებობა; შექმნილებულია მისცე საყუთარ თავს სიციცხლე ისე, როგორც შექმნილებულია თვითვე დაბნაბი“ (გვ. 26). ამის შემდეგ შალვა აღზიბე ანეთიარებს აზრს, რომ ზორავას მიმართ ეს მტაციება არ არის მართალი, რადგან იგი ქმნის ისეთ ტიპებს დიადი საბჭოთა სინამდვილიდან, რომელთაც არავითარი წინამორბედი არ ყოლიათ, არც ცხოვრებასა და არც მსახიობთა თამაშში, ხოლო კარლ შოთხი ეს იყო პირველი გამოჩაყლისი იმ მხრივ, რომ ამ როლს ქართულ სცენაზე თავისი ისტორია და ტრადიცი აჭესო. ამის შემდეგ განხილულია ამ როლის ისეთი შემსრულებლები საქართველოში, როგორიც იყენენ ლადო შესხიშვილი და ალ. იმედაშვილი. შესხიშვილს პირველ პლანზე ფრანცი ჰყოლია წამოწყული, ხოლო კარლი მკრთალი, მეორე ხარისხიანი და არამ-შეიდეული ძალის ყოფილი. ზორავამ კი სახე ისე გახსნა, რომ პრიორიტეტი მიანიჭებული აქვს კარლს, იგი ხსნის დრამის პროგრესულ იდეას და ავტორი სამართლიანად დაასჯენის, რომ ეს არის საბჭოთა თეატრის ნიშანდობლივი თვისება, რომ კლასიკური შემკვიდრებაში მონახოს და წინ წამოსწიოს პროგრესული ძალები. მაგრამ ვალგებრობას ქმნის შემდეგაც როგორც თვით ავტორის დასაყენიდან ზინს, აკაიე ზორავას კარლ შოთხის პერიოდიული სახე შეუქმნია ლადო შესხიშვილისაგან განსხვავებით. მაშ, რატომ მაინცა ავტორის შესხიშვილის შოთხი ზორავას შოთხის წინამორბედად, პირიქით, თუ დავეთანხმებით ავტორის შეხედულებას ზორავას შოთხის შესახებ, მაშინ ზორავა — კარლსი „უმამოთა“ როლების რიგებს უნდა მივაკეთენოთ. აკაიე ზორავა დიდი შესაძლებლობის საბჭოთა მსახიობია და, მაშასადამე, ზას ახსიათებს ინდივიდუალური სახეების შექმნა, საყუთარი — საბჭოთა ინტერპრეტაციი; აქტიომ ზას ამ მხრივ წინამორბედი არ შეიძლება ჰყავდეს. თუ ეს ასეა, მაშინ, ვფიქრობ, არც კარლ შოთხი წარმოადგენს გამოჩაყლისს. ავტორი მეტად გასაგებად იძლევა ზორავას მიერ კარლ შოთხის სახის გახსნას. მკითხველი გრძნობს, რომ ზორავა-კარლისათვის შთაეარია პრიორიტეტი მაშინდელი საზოგადოების წინააღმდეგ.

წიგნში კარგად არის მოცემული რუსთაველის თეატრისა და კერძოდ ზორავას ზრძოლა ანტირეალისტური მიმდინარეობის წინააღმდეგ.

მონოგრაფიაში საკმაო ადგილი აქვს დათმობილი პლატონ კრეჩეტის ანალიზს და ეს სრულიად ბუნებრივია, რადგან ეს როლი იძლევა ერთერთ მაგალითს იმასა, რომ ზორავა თავის შემოქმედებაში წინ აყენებს სახის ფსიქოლოგიურ გახსნას, თუმცა შეიძლება აქვე აღინიშნოს, რომ იგი არც ვარგენტულ სცენიურ ხერხებს

უიყოფს. მონოგრაფიის ავტორი აღნიშნავს, რომ მსახიობმა „განსაკუთრებით ხაზი გაუსვა საბჭოთა ჰუმანიზმის შემოქმედებით ძალას, იმ იდეურ სიწმინდეს, რომელიც საბჭოთა ადამიანს გმირად აქცევს. ა. ხორავამ აქაც, ამ როლშიც, შეიტანა პოლიტიკურა თეატრისისი, პარტაული სწრაფვა, სიმპატიე, რთაც გაამდიდრა და იგი ფართო განზოგადების დონემდე აიყვანა“ (ცე 29). ამ როლის ანალიზის დროს საყურადღებო ის არის, რომ მონოგრაფიის ავტორის მსჯელობით საყურადღებო ნათელი ხდება, თუ როგორ შეაგოსო ხორავამ სინამდვილის ლირიკული აღქმის უნარით რომანტიკული პათეტიკა. არ იქნებოდა ზედმეტი, თუ ამ როლში დაკავშირებით შალვა აფხაძე მოიხსენიებდა თვითონ მსახიობის ამის „კრიტიკის“ გმირის შესახებ: — „ყველაზე მეტად მე მიღწევდა სახის შინაგანად გახსნის პრობლემა, პრობლემა დაფარული დრამატიზმისა. მე მივსიდა, როცა ფარდა იხსნებოდა, მყურებელმა იგრძნოს, რომ ჩემს გმირებს აქვთ მდიდარი ამაღლებული წარსული, მე მივსიდა მყურებელი მივხედვს, რომ მივსიდა დამთავრების შემდეგ ისევე გრძელდება ამ გმირების სიცოცხლე, განვითარება და ბრძოლა. მე მივსიდა, რომ ამ მყურებელმა წარმოადგინოს ჩემი გმირების შემდგომი გზა, რომ არ მოეცილოს მის განუარჩევლად და გულგრილად“ (1934 წ. ნომერის „ლიტერატურისათვის გაზეთი“). აქაც ხორავამ სწორედ ასეთი გმირი მოგვცა, რომელიც მის შემოქმედებაში უთვრად დიდ ადგილს იკავებს.

შალვა აფხაძის მონოგრაფიის ერთ კარგ ღირსებას ისიც შეადგენს, რომ საერთოდ წიგნი არ არის გადატვირთული განუთვნიდან ამონაწერებითა და რეცენზიებით.

არსენას როლის ანალიზის დროს წიგნის ავტორი მართებულად ამახილებს მითხველის ყურადღებას იმ მნიშვნელოვან მომენტზე, რომ არსენას როლი იყო მსახიობის პირველი ცდა ეთამაშა ისტორიულ-რევოლუციური გმირის როლი. ყურადღება გამახვილებული იმაზე, რომ ა. ხორავამ როლის განსახიერების დადგენა მხატვრული და ისტორიული სიმართლე, რომ მან გმირი ისტორიულ წრესა და პირობებს კი არ მოუყვია, არამედ მათ ჩარჩომში მოაქცია.

საყურადღებო მართალია შალვა აფხაძე, როცა ვერცაღ ჩერდება აქაც ხორავას მიერ გვერცაღ-ლიტერატურა მურავიოვის როლის შესრულებაზე. ავტორი მურავიოვის ფართოდ მხილავს პრამატო იმიტომ, რომ მურავიოვი სტალინური სკოლის, სტალინური გამოწერისის სარდალა, რომელიც სტალინის სამხედრო სტრატეგიისა და ტაქტიკის ამოხრციებებს, არამედ იმიტომაც, რომ აქ ხორავამ საბჭოთა აქტიორის საუკეთესო თვისებები გამოამჟღავნა. და მართლაც, მყურებ-

ბელი საყურადღებო გრძობდა იმ უპირატესობას, რომელიც გააჩნდა ხორავამ-მურავიოვის მისი მონაღალმდევე კლასისთან შედარებით, რასაც ხორავა ახერხებს იშვიათი ძალითა და რწმენის დიდი სიღრმით, ახერხებს გადმოგვეცეს აზრის მოძრაობა და სულიერი განწყობილება, რომელიც იგი ვანიცდის. ამ როლის ანალიზის დროს იხილავს ისევე ჩათვლება, რომ ხაზგასმულია, თუ როგორ შექმნი აქტიორმა ბოლადისადმი სიყვარულის ატმოსფერო, თუ როგორ ქმნის აქტიორი დასახული სტალინური ამოცანის განმარტებულისათვის საჭირო მდგომარეობას. ხორავას შემოქმედებაში ისე არსად ჩანს საბჭოთა აქტიორის დამახასიათებელი თვისებები, როგორც ამ როლში და ეს საყურადღებო გასაგებია.

შემთხვევითი როლია ის გარემოება, რომ ხორავას კარლ მორი, ოტელი, არსენა და ივანე მრისხანე არამარტო ნაციონალური, არამარტო საყვარლო, არამედ მსოფლიო თეატრალური კულტურის განმს მიაყვთუნეს და სრულიად მართებულა ის აზრაც, რომ ხორავას შემოქმედებისადმი მიძღვნილი წიგნი ასე ვერცელი ადგილი დათმობს ხორავა-ივანე მრისხანეს განხილვისას. ავტორის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ იგი თითქმის ყველა როლის ანალიზის დროს მიმართავს თვით აქტიორული შემოქმედების ფიქსირებას, ზოგან მეტად და ზოგან ნაკლებად. ხოლო ამ როლის განხილვისას იგი თითქმის მთლიანად ამ ხერხის გამოყენებით იძლევა. ამ ხერხით იგი იძლევა როლის ინტერპრეტაციას და ამავე დროს ამ ხერხს იყენებს იმისათვის, რომ მკითხველი დაარწმუნოს ხორავას მიერ სახის ფსიქოლოგიურად სწორად გახსნაში. სახის სწორად გახსნისათვის ხაზს უსვამს ხორავას ხმისა და მეტყველების მნიშვნელობას. მეტყველების მართლაც დიდ მნიშვნელობას აქვს, ვინაიდან მისი მეტყველება თავისუფალია ყოველგვარი პროინციალიზმისაგან, მდიდარია ნამდვილი ქართული ინტონაციებით; მისი ფრაზა ყოველთვის ჩამოყალიბებული და გამართულია. ხორავას მეტყველება სცენაზე ყოველთვის ემსახურება მისი შემოქმედების მოქმედებას. როდესაც ისეთ დიდ მსახიობზე, როგორც ხორავა, მონოგრაფია იწერება, არ შეიძლება განსაკუთრებით არ აღინიშნოს მისი ხმის მომხიბლველობა, ხოლო, თუ რას ნიშნავს ეს უკანასკნელი და რამე გამოიხატება იგი კონკრეტულად, ეს ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნებოდა უფრო დამტკიცებით აღნიშნულიყო წიგნიში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ხორავას ხმის ტემპრის სიმდიდრე, მისი ზავებდოვანობა. სწორედ მისი ხმის ეს მდიდარი ტემპრი წარმოადგენს ხორავას, როგორც შემოქმედის, ერთერთ ძლიერ საშუალებას, რაც ხორავას ხმის თანდაყოლილი, იშვიათი თვისებაა. საინტერესო ის



არის, რომ ხორავა გარდასახვის დროს, როდესაც იგი მთელი სისრულით გადასცემს მისი გმირის დამახასიათებელ სულიერ განწყობილებას, ყოველგვარ ძალდატანების გარეშე, სრულიად ბუნებრივად ცვლის ხმას განწყობილების შესაბამისად.

ოტელი განხილვა შეიძლება იყოს მორთონ ერთად მოთავსებულიყო სათაურით „კლასიკური შემოქმედების ათვისების საკითხი საბჭოთა აქტიორის შემოქმედებაში“, მაგრამ იგი როგორც „შემოქმედებითი შედეგები“ ავტორმა სრულიად სამართლიანად დასათურა და გამოკყო ცალკე. მართალია, ხორავას შექმნილი აქვს სახეთა მიხედვით წყვილები, რომლებსთვისაც მას მიენიჭა სტალინური პრემია, მაგრამ ამ სახეთა შორის ყველაზე პოპულარული ოტელია და ამიტომ ვასაგებია, თუ რად დაასათურა ამ სახის განხილვა — „შემოქმედებითი შედეგები“. ოტელი-ხორავა ერთხმად არის აღიარებული როგორც მსოფლიო მნიშვნელობის მქონე. ოტელის როლი ავტორის მიერ თქმულია თითქმის

ყველა მოქმედების მიხედვით, ყველაფერი აღწერილი, თუ როგორი გულსრულია მისი ლენის ქვეშ აყენებს მყურეშელს ხორავა-ოტელი იმ დროს, როდესაც იწყება გარდატეხა მის სულიერ ცხოვრებაში და საცხებით ზუსტად შეინიშნავს წიგნის ავტორის მყურეშელის განწყობილებას ამ დროს. მართლაც მყურეშელი კარგად ამჩნევს, როდეს შეირბა ოტელიში აღამაინისადმი რწმენის გრძნობა და როგორ თანდათან მივიდა იგი ამ რწმენის დაცარგვამდე. შალვა აფხაიძე აღნიშნავს, რომ ხორავა-ოტელი შემოქმედების ისეთ დიდ მოვლენას წარმოადგენს, რომ მას სპეციალური წიგნი უნდა მიეძღვნათ.

მონოგრაფიის დადების მხარეს წარმოადგენს წერის მხატვრული მანერა. შალვა აფხაიძემ მეტიად საჭირო, ნაყოფიერი მუშაობა ჩატარა და წარმოდგენილი წიგნი აუცილებელ წყაროდ გადაიქცევა მომავალი თაობისთვის დიდი საბჭოთა აქტიორის შემოქმედებითი გზების შესასწავლად.

ნიკო შხანშიკაძე

3. ძიძიგური „ქართული ენის სწავლება დაწესებით სკოლაში“

საქართველოს სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტის გამომცემლობა, 1950 წ.



საქართველოს სსრ პედაგოგიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტმა დაწესებით სკოლის მასწავლებელთა დასახმარებლად უკანასკნელ პერიოდში მთელი რიგი საყურადღებო მეთოდოლოგიური ნაშრომი ჩამოაყალიბა.

დაწესებით სკოლისათვის განკუთვნილი მეთოდოლოგიურად და მეცნიერულად გამართული ყოველი ახალი წიგნი, იქნება ეს სტაბილური სახელმძღვანელო თუ დამხმარე მეთოდური ლიტერატურა, ყოველთვის ფართო საზოგადოებრიობის ინტერესსა და ყურადღებას იმატებურად. რამდენადაც უფრო მაღალ საფეხურზე იქნება დაყრდნობილი სწავლა-აღზრდის საქმე დაწესებით სკოლაში, რამდენადაც უფრო სწორად დაინერგება აქ თავიდანვე წერითი და ზეპირი მეტყველების მაღალი კულტურა, მხატვრული ნაწარმოების კითხვა-გაგების სწორი ჩვევები, იმდენად უფრო გადაიღობება ყოველმხრივ განვითარებული, მაღალიდგური და მაღალმორალური თვისებათა მქონე ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში საშუალო სკოლის წინაშე დასახულ ამოცანათა წარმატებით გადაჭრა.

ამ კეთილშობილური მიზნის განხორციელებაში თავისი წვლილი შეაქვს საქართველოს სსრ სკოლის დამსახურებული მასწავლებლის, ვარლამ ძიძიგურის საკმაოდ მორბილ წიგნს

„ქართული ენის სწავლება დაწესებით სკოლაში“. ვარლამ ძიძიგური პოპულარული საზოგადო მოღვაწეა სახალხო განათლების დარგში. მის მიერ შედგენილი პირველი კლასის სახელმძღვანელოებით ათეული წლების განმავლობაში იზრდებოდა ჩვენი ნორჩი თაობა. დაწესებით სკოლის მასწავლებელთა დასახმარებლად გამოცემულ სარეცენზიო წიგნში თავმოყრილია ხანგრძლივი დროის მანძილზე ავტორის მიერ პედაგოგიკურ ასპარეზზე ჩატარებული მუშაობის, პირადი დაკვირვებისა და ჩვენი სკოლის მდიდარი გამოცდილების განზოგადების შედეგები. ამავე დროს წიგნი ემყარება ქართულ და რუსულ ენებზე არსებული მრავალფეროვანი მეთოდოლოგიური ლიტერატურისა და საბჭოთა პედაგოგიკის მეცნიერულ მონაცემებს, რის გამოც იგი სერიოზული მეთოდოლოგიური ნაშრომის ხასიათს ატარებს.

წიგნის განხილვით დაწესებით სკოლაში ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა ძირითადი საკითხი. წიგნის შესავალ ნაწილში ავტორი გვიჩვენებს იმ დიდ ინტერესსა და მისწრაფებას, რომელსაც ქართული ხალხი მუდამ იჩენდა სწავლა-განათლების საქმისადმი, მაგრამ ამ ინტერესს, როგორც ცნობილია, არასოდეს არ ღირსებია ვამოლა-

განვითარება საქართველოში ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. ქართული, შშობლიური ენა სასტიკ, დამამორბეველ დევნასა და შევიწროებას განიცდიდა, განსაკუთრებით ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის პირობებში.

„ცარიზმი, — წერდა ამბანავი სტალინი 1920 წელს თავის წერილში „საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა ნაციონალურ საკითხში რუსეთში“, — ავიწროებდა, ზოგჯერ პირდაპირ აქუმბობდა ადგილობრივ სკოლას, თეატრს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს იმისათვის, რომ მასები სიბნელეში ჰყოლოდა. ცარიზმი აზნობდა ადგილობრივი მოსახლეობის საუკეთესო ადამიანთა ყოველფე ინციდივას, ბოლოს ცარიზმი ჰკლავდა განაპირა მხარეების ხალხთა მასების ყოველგვარ აქტივობას“ (ი. სტალინი, თხზულებანი, ტ. IV, 1948 წ., გვ. 388).

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობითა და საბჭოთა მთავრობის დამხმარებით განხორციელდა უდიდესი სახელმწიფოებრივი ღონისძიებანი ჩვენი სკოლებში ქართული ენის სწავლების გაუმჯობესებისა და მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე ცოდნით მოსწავლე ახალგაზრდობის შეიარაღებისათვის. უდიდესი როლი ამ საქმეში შეასრულა საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ისტორიულმა დადგენილებებმა დაწესებით და საშუალო სკოლების სასწავლო რეჟიმის, სასწავლო-მეტერიალური ბაზის განმტკიცებისა და სტაბილური პროგრამებითა და სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის შესახებ. დღეს როგორც ე. ძიძიგური შენიშნავს, „ქართველი ხალხი, საბჭოთა ქვეყნის სხვა ხალხებთან ერთად, მასობრივი წინიერებითა და განათლებით არის ცნობილი“.

წიგნის პირველ თავში ავტორი საკმაო ცოდნითა და სიღრმით აშუქებს ანბანის სწავლების მეთოდებს (გვ. 3-25) და გვიჩვენებს იმ დიდ დამსახურებას, რომელიც მიუძღვის გამოჩენილ ქართველ პედაგოგსა და საზოგადო მოღვაწეს იაკობ გოგებაშვილს ქართული ანბანის სწავლების მეცნიერული პედაგოგიკური გზებისა და ხერხების დამუშავებისა და, საერთოდ, ქართული ენის სწავლების გარკვეული სისტემის შექმნაში. საბჭოთა სკოლაში ი. გოგებაშვილის მდიდარი და მრავალფეროვანი მემკვიდრეობის ფართოდ გამოყენებას ცხადყოფს ის ფაქტი, რომ „დედა-ენის“ ამაჟამლ მოქმედი სტაბილური სახელმძღვანელო შედგენილია ი. გოგებაშვილის პედაგოგიკურ მოთხოვნათა და მისი „დედა-ენის“ ძირითად პრინციპულ საფუძვლებზე. წიგნში ფართო ადგილი აქვ

დათმობილი დიდი რესი პედაგოგის კ. დ. უშინსკის მაგალითზე ი. გოგებაშვილის მიერ დამუშავებული და შემოღებული ქართული ანბანის სწავლების ანალიტიკო-სინთეზური მეთოდის გარკვევას და მისი გამოყენების პრაქტიკულ საკითხებს. ე. ძიძიგური ამასთან დაკავშირებით სამართლიანად მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ი. გოგებაშვილი ყოველთვის შემოქმედებითად იყენებდა უშინსკის პედაგოგიკურ მოძღვრებას ანბანის სწავლების მეთოდების შესახებ. კ. დ. უშინსკი, რომელიც ანბანის სწავლების ყველაზე სწორ ანალიტიკო-სინთეზური მეთოდის ფუძემდებლად ითვლებოდა რუსეთში, უპირატესობას აძლევდა წერა-კითხვის ამ მეთოდით სწავლების ხერხს, რაც იმაში მდგომარეობდა, რომ მოსწავლეს ჯერ წერა უნდა ესწავლა, შემდეგ კი კითხვა, ე. ი. წერა-ანალიზი წინ უსწრებდა კითხვა-ანალიზს. ი. გოგებაშვილმა უშინსკის ეს მოძღვრება შეუფარდა ქართული ენის ფონეტიკურ ბუნებას და შემოქმედებითად განავითარა იგი. ი. გოგებაშვილის მეთოდში უპირატესობა კითხვა-წერის ხერხს აქვს მინიჭებული, ბავშვები ჯერ ანბანის კითხვას იჩევიან, ხოლო შემდეგ წერენ მას, ე. ი. კითხვა-სინთეზი წინ უსწრებს წერა-ანალიზს, რაც ხელს უწყობს ანბანის შეგნებულად და გააზრებულად შესწავლას.

სხვა მთელ რიგ წმინდა სასკოლო-მეთოდური ხასიათის დადებითს მხარეებთან ერთად, წიგნის ღირსებას წარმოადგენს ისიც, რომ მასში საკმაოდ ფართო ადგილი აქვს დათმობილი ქართული ენის გაუმჯობესებზე მხატვრული ლიტერატურისადმი მოსწავლეთა პირველადი ინტერესის აღძვრის პედაგოგიკურ-ფსიქოლოგიური საკითხებისა და მხატვრული ნაწარმოების კითხვის, გაგებისა და შესწავლის კონკრეტული სპეციფიკური ხერხების გამოქვეყნებას, რასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს დაწყებით სკოლაში ენის სწავლების ზარისხის გაუმჯობესებისათვის.

ამ საკითხისადმი სპეციალურად მიძღვნილია წიგნის შუაობე, მოცულობით ყველაზე დიდი თავი (იხ. „კითხვის ტექნიკის დაუფლება და ზემოთი მეტყველების განვითარების გზები“, გვ. 140 — 217), რომელიც ავტორი სკოლებშია და პირადად გამოყენების გამოყენების საფუძველზე საუბრისხმო მოსაზრებებს იძლევა და სწორ დასვენებს აკეთებს.

სკოლაში მხატვრული, შენებული, გააზრებული კითხვის ჩეევებს საფუძველი ეყრება პირველ კლასიდანვე. იმაზე თუ რამდენად ღრმად ჩაუნერგავს მასწავლებელი თავიდანვე მხატვრული ნაწარმოებთა სიყვარულს მოსწავლეს, რამდენად ღრმად განაცდევინებს მას მასში გამოსახულ გრძობებს და აზრებს, დი-

დალა დამოკიდებული ბავშვის მოელი შემდგომი განვითარება, ლიტერატურისადმი მისი მიდრეკილების შემდგომი ბედი.

მხატვრული გამოხატულებებითი კითხვის ტექნიკის გამოყენების საკითხი აღრიდანვე უძველესი რევოლუციონერული პროგრესული მეოთხდისტების ყურადღებას. გამოჩენილ რუსი პედიოლოგი ექტორ ოსტროგორსკი სკოლაში გამოხატულებითი კითხვის ჩვენების დანერგვას თვლიდა ადამიანის მხატვრულ-ესთეტიკური აღზრდის ერთერთ პირობად (იხ. მისი წიგნი „Выразительное чтение“. Москва, 1966). დაწყებით სკოლაში ასწილი კითხვასთან ერთად დღეს დიდი ყურადღება ექცევა მხატვრულ-გამოხატულებითი კითხვის ჩვენების გამოხატულებას, რაც მოსწავლეთა ზეპირი მეტყველების კულტურის ამაღლების ერთერთ საშუალებას წარმოადგენს. სწორად აღნიშნავს ავტორი, რომ „სისტემატიური, დაუღალავი, გეგმიანი, შეუზღუარი მუშაობა ამ მიმართულებით ბავშვებს მიაჩვენებს დალაგებულად ლაპარაკს, აზრების ერთმანეთთან დეკლარირებას, ლოგიკურად გამართულ თხრობას, ლოგიკურ მსჯელობას“ (გვ. 147). ბავშვის მხატვრული აზროვნების განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს სრულყოფილი ადამიანის აღზრდასათვის. მხატვრული აზროვნება ხელს უწყობს ბავშვის წარმოსახვითი უნარიანობის განმტკიცებას, აფართოებს და ამდიდრებს ფანტაზიას, აცხოველებს და ასურათოვნებს მეტყველებას, აჩვენებს ბავშვს სწორი ლიტერატურული ენით ლაპარაკს. პირველი კლასიდანვე ბავშვი სკოლაში უნდა ეჩვეოდეს სწორ, ზუსტ, ნათელ, ლოგიკურ, გარკვეულ და სურათოვან ლაპარაკს. ეს კი მოითხოვს სერიოზულ მუშაობას მოსწავლეთა მეტყველების სიმინდისათვის, ბავშვის სამეტყველო ლექსიკიდან დიალექტურობებისა და არქაიზმების განდევნისათვის. ვ. ძიბიჯური თავის შრომაში გარკვევით აღნიშნავს დაწყებითი სკოლის მოსწავლეთა საყურადღებოდ, რომ

ენის სიმინდისა, სისუფთავისა და დახვეწილობისათვის ზრდილა ერთერთი ძირითადი მოვალეობაა დაწყებითი სკოლაში“ (ე. ქრუჭევი, იქვე). უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ არის დაუფლებული სწორ მეტყველებას თვით მოსწავლელი — აღზრდელი. ამ თავში ავტორი არკვევს კითხვის ტექნიკის დაუფლების გზებსა და საშუალებებს და პრაქტიკული მავალითებით ცხადყოფს ამ საქმის დადებითად მოგვარების სრულ შესაძლებლობას დაწყებითი სკოლის პირობებში.

შრომის თან ახლავს სხვადასხვა კლასში გადასაცემი გაკვეთილების საორიენტაციო კონსპექტები, რაც მნიშვნელოვან გაუადვილებს დაწყებითი სკოლის ახალგაზრდა მოსწავლეს გაკვეთილისათვის მომზადებას და ლიტერატურულ-მხატვრულ მასალებზე ვარჯიშს. ამ მხრივ პირველ კლასში შესასწაველი მასალიდან ავტორის მიერ აღებულია სტალინის ყრმობის-დროინდელი ლექსი „დილა“ და მოცემულია მის გარშემო გაკვეთილის ჩატარების სანიშნო კონსპექტი, მეორე კლასის მასალიდან — იაკობ გოკებაშვილის მოთხრობა „ენო და ფრინველები“ და მესამე კლასის მასალიდან — რაკლი აბაშიძის პატრიოტული ლექსი „აპიტანი ბუხაიძე“. ავტორი მოხერხებულად იყენებს თითოეულ ამ მხატვრულ მასალას მოსწავლეებში პატრიოტული და მეგობრობის გრძნობის აღზრდასათვის.

კარგი იქნებოდა ავტორის ასეთივე სანიშნო კონსპექტი მოეცა მეოთხე კლასის მასალიდანაც, ეს უფრო სრულყოფდა შრომას. მაგრამ, მიუხედავად ამ ხარვეზისა, შრომა საერთოდ გამართულია პედაგოგიურ-მეთოდოლოგიურ თვალსაზრისით და იგი დიდად დაეხმარება ჩვენი მოსწავლეებებს დაწყებით სკოლებში მშობლიური ენის სწავლების გაუმჯობესების საქმეში.

პ. თოფურიანი

6. ჩაჩავა „სიბიბლიოგრაფია“. საბჭოთა მშენებელი 1950 წ.



კრებული იხსნება ლექსით „ბელოდის წიგნი“, რომელშიც პოეტი გვიხატავს ი. სტალინის გენიალური ნაშრომების, საბჭოთა ხალხის ცხოვრების დიდი ენციკლოპედიის — „საქაფირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კორსის“, სილადეს. ამ წიგნი გამოქმნილი აზრები და შეხედულებანი, ბელოდის ბრძნული იდეები გვინათებენ

წინსვლისა და გამარჯვების გზებს, გვიბარბუზენ და გვარბზავენ ლენინ-სტალინის ძლევაში-სილი პარტიის გარშემო კომუნისმის მშენებლობისათვის, მშვიდობის დაცვისა და ჩვენი სამშვიდობო პოლიტიკის განუხრებლად გატარებისათვის ბრძოლაში. პოეტი წერს:

„გადამლი წიგნს და ბელადის აზრი
ჩირალდანივით გზას ვაგინათებს.
ბრძოლებისათვის გიხმობს და გრანძვს,
გაგამხნევებს და ძალს გიმატებს“.

ლექსი „იმ მიდის ხალხი“ დაწერილია თბილად და წრფელი ღირსეული განცდით. ამ ლექსში პოეტი მხატვრულად გვიხატავს იმ პატარა სახლს, სადაც დიხადა და თავისი ბავშვობის წლები გაატარა დიდმა ბელადმა. ეს სახლი, პოეტის სიტყვით რომ ვთქვათ, „ყველას ნუგეში და საფუარი“ გამხდარა, „იმ მიდის ხალხი რომ ნახოს თვალთ თავის წარსული და მომავალი“.

პოეტის მიერ კარგად არის გააზრებული ლექსი, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, ღირსეული ფრაგმენტი — „წინაპრები“. პოეტი იგონებს ჩვენს სახელეოდ წინაპრებს, რომლებიც თავად დედათა და შუემორად იბრძოდნენ „მისთვის, რომ კერა თბილი არ გაეციხა ღუმშანის ტყვიას“, რომ დაეცვათ და აემალბებინათ ჩვენი ხალხის დამოუკიდებლობა და ეროვნული ღირსებანი. კრებულში მოთავსებული სხვა ლექსებიდან უფრო აღდგება იპყრობს ლექსი „მახათას მთაზე ტყე იშრიალებს“. თბილისის ახლოს მდებარე მახათას მთას, რომელიც აქამდე ქვიშითა და ღორღებით დაფარულ უდაბურ ფერდობს წარმოადგენდა, მალე „ახალი მოღმამს ადამიანები“, ჩვენი ქვეყნის მშრომელი ადამიანები, ხეებითა და ნარგავებით დაფარავენ და მოშრიალულ ტყედ გადაქცევენ:

„რომ ყოველ დილით საყვარელ თბილისს
ტყიდან ესტუმრის ნიავი ვრაილი,
რომ რტოთა რხევა, ფოთოლთა ჩრდილი
უხარებოდეს სივრცეს და თვალებს,
რომ ამშვენებდეს ხანდაზმულ თბილისს —
მახათას მთაზე ტყე იშრიალებს“.

სამამულო ომის თემატიკაზეა გაშლილი ავტორის ზოგიერთი ლექსი, რომელთაგანაც საუფრო აღდგებო ღირსეულ ნაწარმოებად შეიძლება მივიჩნიოთ — „გუშავი ფიჭობს“, „წერილი უტრანელ მეგობარს“, „მან ხელმეორედ ნახა ქვეყანა“ და სხვ. ლექსში „წერილი უტრანელ მეგობარს“ პოეტი გვიხატავს მეტად შეშინარავ და ამძლევებელ სურათს. საბჭოთა მებრძოლი მიდის თავის მშობლიურ სოფელში, სადაც უფლაფერი ფერფლად და ნანგრევებადაა ქცეული:

„იჩველიე გამლილი ველები ფართო
და გაფანტული ქვებილა დარჩა“ —

ამბობს პოეტი. მაგრამ საბჭოთა არმიის ჯარისკაცი, მებრძოლი და კეთილშობილი უკრაინელი

ადამიანი მორალურად როდი ეცემა, პირიქით, იგი ამაყად და თმდიანად გაძევრებს მოკვალს, ეინაიდან იცის:

ბიბლიობრატია

„რა გააცევებს მშობლიურ კერას,
როცა ხალხია პატრონი მისი“.

ამ თემატიკური რაკალიდან აღსანიშნავია ერთეულ ლექსი „მან ხელმეორედ ნახა ქვეყანა“. ამ ლექსში გამოთქმული აზრი ნათელი და გასაგებია. საბჭოთა არმიის მეომარმა დიდი სამამულო ომში დაკარგა თვალის სინათლე. იგი დღემდე ფიჭობს იმაზე, თუ როდის იქნება ესა შეხედავს, ვაილებს თვალებს“. მართლაც, მისდა საბედნიეროდ, გამოცდილმა სამხედრო ექიმებმა შესძლეს სინათლედაკარგული მებრძოლის განკურნება, აღუდგინეს მის მხედველობა. მებრძოლს კვლავ დაუბრუნდა აღტაცება და სიხალისე, „მან ხელმეორედ ნახა ქვეყანა“.

სამამულო ომის ბრწყინვალედ დასრულების შემდეგ ჩვენი ქვეყნის მშრომელი ადამიანები გაცხოველებით შეუდგნენ მუშაობას ომით დაზიანებული სახალხო მეურნეობის აღსადგენად და ასაღორძინებლად. ამ ადამიანებმა გაიმარჯვეს სასტეგ და დაუნდობელ ბტრებთან ბრძოლაში, ისინი იმარჯუებენ და არნახულ წარმატებებს აღწევენ აქამდედაც სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში. „ისინი ძალიან ბეერი არიან, მათი სახელი ლეგიონია, იმიტომ რომ ეს ადამიანები ათეულ მილიონობით არიან. ისინი უბრალო, თავდაბალი ადამიანები არიან“ (სტალინი). დიდი ბელადის ეს სიტყვები აქვს წამძღვარებული პოეტის ერთერთ ლექსს „კაცი უბრალო“. ამ ლექსში პოეტი უმღერის იმ უბრალო და თავდაბალ, გამარჯვ და შრომის მოყვარე ადამიანს, რომელმაც „გადაიტანა სუსხი და თოში“, რომელიც

„იციავდა მიწის ნაწიბურს, მტკაველს,
უელიდა, ზრდიდა თვითეულ თაველს,
როგორც სამშობლოს ბარაქას, დოვლათს
უჩინარი და უბრალო ყოვლად“.

მაგრამ ეს უბრალო ადამიანი ახლა, როცა „სამშობლო ისევ მშვიდობას თხოვს“, გამალეებით შრომობს და იბრძვის ჩვენი ქვეყნის საყეთილდევოდ, მშვიდობიანი ცხოვრების შესანარჩუნებლად:

„ჩვენში მშვიდობა რომ იყოს მყარი
და მარად ჰქონდეს მშვიდობას ბინა“

დადებით შთაბეჭდილებას სტოვებს ლექსები: „ჩვენი ქალაქი“, „ჩემთან შეზრდილი ნაჭვის ხე“, „მაღადა სამგორზე“ და სხვ. ლექსში „მაღადა სამგორზე“ პოეტი მოგვითხრობს მომა-

ვალ სახეშეცვლილ სამგორზე, სადაც „აშრილ-
დება ტყეები ვრცელი და ცას მიაღწევს ბოლი
კერიდან“. აქამდე უდაბურ და ქარების სათა-
რეშო ადგილას მალე დამკვიდრდება სიცოცხლე,
გაჩაღდება მიწხიდეული და ბარაქანი ცხოვრება,
კვლავ აღდგება ოდესღაც სპარსთა ურდოთაგან
ნარბევი და „ნაოხარი გზები“:

„აქ მოვა ბევრი მოსახლე ზქარა,
უსიერ მიწას მორწყავს მდინარე...“

კრებულში ავტორის შეუტანია აგრეთვე 9 სა-
ბავშვო ლექსი, რომელთაგანაც ყურადღებას
იპყრობს „ჩვენი მიხი“, „თავადებული შოფერი“
და სხვ. „ჩვენი მიხი“ აღმზრდელითი მნიშვნე-
ლობის შინაარსის შემცველი ლექსია.

მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ საბავშვო ლექ-
სების განყოფილებიდან ზოგიერთი ლექსი, მა-
გალითად, „სანაპირო“ და „კიტრი“ სუსტი და
უმნიშვნელო შინაარსის მქონეა.

ლექსის „სანაპიროს“ აზრი გასაგებია; იქ, სა-
დაც წინათ ჭობი იყო და ბაყაყების ყუიანი გა-
ისმოდა, ახლა სანაპირო ქუჩაა გაშენებული. მაგ-
რამ ლექსი მხატვრულად სუსტია, მასში შეხედე-
ბით უზერხელ და ლიტერატურულად გაუმართავ
გამოთქმებს. მაგალითად, ამ ლექსში არის ასეთი
გამოთქმა: „მათმა აყიყიყინებამ“. საბავშვო ლექ-
სის მნიშვნელობა მარტოოდენ შინაარსით რო-
დი განისაზღვრება. საკვირია ლექსის ენა და
მხატვრული მხარეც მაღალ დონეზე იდგეს, რომ
ბავშვს ესთეტიკური გემოვნების აღზრდასა და
კანთიარებაში დაეხმაროს.

ავტორმა თავისი ლექსების კრებულს უწოდა
„სიცოცხლეს ვემღერ“. მაგრამ, უნდა ითქვას,
რომ ავტორი მკრთალად წარმოსახავს სოციალის-
ტური ცხოვრების სურათებს, კოლექტიური
შრომის მიღწევებსა და სიღაღეს, შრომელ
ადამიანთა ერთუზიანსს, სიცოცხლის დაუმრე-
ტელ ძალასა და სიხარულს. მართალია, კრებულ-
ში გვხვდება საკოლმეურნეო ცხოვრების ამსახვე-
ლი ლექსებიც; მაგალითად: „ქვაჩაბიას მოსაგა-
ლი“, რომელშიაც ლაპარაკია სოციალისტური
შრომის გმირის ქვაჩაბიას შრომითს გმირობაზე,
„ქართულ კოლმეურნეს“, „კოლექტივის ყანე-
ბა“ და სხვ., მაგრამ ეს ლექსები საკმარისად
ვერ გვიხატავს ომისშემდგომი ხელწოდებში სო-
ციალისტური შრომის ფერხულში ჩაბმულ ადა-

მიანთა გმირულ მოქმედებასა და შრომითს ალ-
მელობას. წიგნი მაშინ გამართლებდა თავის სი-
ხელწოდებას, მაშინ ექნებოდა იგი სიცოცხლის
ნამდვილი საგალობელი, თუ მას ზემოაღნიშნუ-
ლი ნაკლი არ ექნებოდა.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ისიც, რომ კრე-
ბულში ზოგჯერ ვხვდებით უმნიშვნელო შინაარ-
სის ლექსებს. ასეთებია, მაგალითად, „წაბლავ
და შეინდავ“, „პატარაძალი“, „ჩემზე ათი წლით
პატარა ხომ ხარ“, „ეს გაზაფხულიც უცებ
მოვიდა“.

სოციალისტური ეპოქის პოეტის მხატვრული
აზროვნება უნდა იყოს რეალისტური და დამა-
ჯერებელი, სადა და ნათელი. პოეტი უნდა ცდი-
ლობდეს, რომ მხატვრული სახე, პოეტური
ფრაზა იყოს მოკვეთილი და ლაკონური,
დახვეწილი და გამჭვირვალე. კრებულის ავ-
ტორი ზოგიერთ თავის ლექსში გვთავაზობს
აზრობრივად ბუნდოვან, მხატვრულად გაუ-
მართავ გამოთქმებსა და შედარებებს. მაგა-
ლითად, ლექსში „რა გულთბილია ქვე-
ყანა ჩვენი“ საკმაოდ გამართული და შინაარ-
სიანი სტრიქონების გვერდით ვხვდებით ასეთ
გაუგებარ გამოთქმებს: „რომ ქვეყნისათვის
დღემდე ე უბიძნა, ეს სურნელება გასა-
კვირველი“. ამ კიდევ „სურნელებით ცად აყუ-
ნილი“. ამავე ლექსში პოეტი ასახელებს სხვადა-
სხვა მცენარეებს: ჩრდილოეთიდან მოტანილ ნაძ-
ვებს, ფერიკის პალმებს და შემდეგ კითხვის
ფორმაში გამოთქმას ასეთ აზრს: „ვინ შეედ-
რება მათ სიმწვანეში?“ გაუმართლებელია ზე-
მოაღნიშნული გამოთქმა. როგორ შეიძლება ადა-
მიანი შეედაროს მცენარეებს სიმწვანეში!

ზოგ ლექსში ვხვდებით არაზუსტ გამოთქმებსა
და მხატვრული თვალსაზრისით გაუმართლე-
ბელ შედარებებს; მაგალითად:

„შენ ერთი ხარ და შენებრი
გამბედაობა
ათასელებს თან მოჰყვება, როგორც
საგზალი“.

ანდა კიდევ:
„სუფთა წყალივით რომ გელვრება
სიცილი, ქალო“.

არაა სწორი გამოთქმა: „ნადებრი ხალხში
საგზალს იციებებს“. არაზუსტია ასეთი ცალკე-
ული გამოთქმებიც: „ფოთლების წრილი“, ან-

და, ბალახს რომ ვუთხრათ: „რატომ შემოირბინე“.

რითმა ღექსის კეთილზოგანებისა და მუსიკალური ელერადობის ერთერთი აუცილებელი პირობაა. ამიტომ პოეტი უნდა ეცადოს, რაც შეიძლება გაამდიდროს და გაამრავალფეროვნოს თავისი რითმების მარაგი, თავისი პოეტური ღექსიკა საერთოდ. უნდა ათქვას რომ ზოგიერთ ღექსში პოეტი ხმარობს არაკეთილზოგან და მხატვრული ზემოქმედების მზრივ სუსტ რითმებს, მაგალითად: ხარბად — მარად, ცარიელს — ცრემლი, იმედს — ჩინელს, სათქმელად — გადასასვლელად. დაიფიქროს — იწყებს, კაცო — გასწერივ და სხვ. აქა-იქ გვხვდება მრავალგზის

განმეორებული რითმებიც, მაგალითად: გუშინ — გულში, ალაგო — ქალაქო, უნდა — უმეზღოდ, თაობა — გამბედაობა, მტკიცელო — თავილო და სხვ.

საჭიროა პოეტი მეტი ყურადღებით მოეპყრას ღექსის მხატვრულ მხარეს, უნდა გვახსოვდეს, რომ ნაწარმოები მაშინ არის მაღალიდური და მას მაშინ აქვს დიდი მხატვრული ღირებულება, როდესაც მისი ფორმა და შინაარსი ერთ მთლიანობაშია.

ნიმონ აკვილაძე

